

# Կարգ

9

1987

# სესია

362

გამოცემის ოცდამეთერთმეტი წელი

9

საქართველო

1987

თბილისი

საბ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

---

საპარტევლოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# ბ ი ნ ა ა რ ს ი

## პროზა და პოეზია

8. თანვით ჩალაური — ...და არ იყო ჩვენს შორის  
გმირი რომანი. გაგრძელება
31. შედეა კახიძე — ლექსები
34. მგარ თურმანაული — ლექსები
37. გოდამი ჩხეიძე — მგელი, რომანი. გაგრძელება
65. მიხეილ ძვლივიძე — ლექსები
68. გორენა ჯაფარიანი — ლექსები
71. ქეთი ნიჟარაძე — რას გვპირდება ნოემბერი? მო-  
თხრობა
76. დილარ ივარდავა — ლექსები
79. მურმან ჯგუჯურიძე — ლადო, მირზა, კოკი. პოემა
85. ზურაბ თორია — სალომე. მოთხრობა
96. ნანა ჯაფარიანი — ლექსები
97. მურთაზ ჩახავა — გზის გორბალი. პოემა-ზღაპარი
103. ამირან ჯგუჯურიძე — ნოემბერი
107. ნოდარ გაჭავაძე — ლექსები
109. გოდამი გოდამიშვილი — ლექსები

## შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ლვინჯილი

სარედაქციო კოლეგია:

გივი ალხაიციანი

თეოდო გვიციანი

(შთავარი რედაქტორის  
შოთაგოძე)

გურამ გვამყინი

გივი გვამყინი

გიორგი გვამყინი

თეოდო გვამყინი

მერაბ ვლიციანი

შაველა კახიძე

შოთა ნიჟარაძე

გურამ შანგიანი

მორის შოთაშვილი

ალექსანდრე შატაძე

ნუგზარ შატაძე

ანტონიდი

ჩხიკვიციანი

(პასუხისმგებელი მდივანი)

სოსო შინგაძე

გიორგი შარვაშიანი

ტარიელ ჟანდუკია

ბადრი ჟორდანიანი

მეჩა ჯორჯაძე

## დიდი მკთრეობები — 70

110. გურამ გვამყინი — გმირი და დრო. გაგრძე-  
ლება

## გარდაქმნა დროის მოთხოვნა

125. ზურაბ ნარმაია — „შემომხედება ნიჟარას სიკვ-  
დილის მოკვლას“

## წერილები

131. ვალერიან ითონიშვილი — ქოსტა ხეთაბურავი  
და ხალხური ტრადიციები
135. ალექსანდრე ფოცხიშვილი — საიათნოვა — ში-  
შვარბაშული თუ სივარულის მომდევალნი
139. ციური ხეთაბაძე — ვალერიან გუნიანი — მსახი-  
ობი
145. სერგი თურნავა — ქართველი საბჭოთა პოეტები  
შცხოვრებებში

## რეცენზია

149. ზაზა სინარულიძე — კარგონის ქიზაში

## ხელოვნება

151. ტარიელ ჟანდუკია — ელისო — კირველი, ელი-  
სო — მორე
156. ელიზარ გიორგაძე — ანტონიდი ვარაზი

159. ქრთია



თენგიზ ჩალაური

...და არ იყო ჩვენს შორის გმირი

რომანი

საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს კარგად მოეხსენებოდა ტყვეთა შორის შეათედიც რომ არ იყო ებრაელი, მაგრამ იმასაც საზღვრავდა, ბრაუნის ამის შემოწმებით თავს არ შეიწყუხებდა, ხოლო პატაკში, ზემდგომთა საამებლად, უცვლელად აღნიშნავდა მის მიერ ნაკარანხევ ცრუ ცნობას.

— ქეშმარიტად გულმოწყალებ ქველმოქმედის საკადრისი საქციელი იქნება, — მხარი აუბა პოლკოვნიკმა, — მეც მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე თავაუღებლად ვსწავლობდი და ვიზებირებდი მათი თაღმუდის წიგნში წაითხულ ბრწყინვალე აზრებს და უბედნიერესად მიმაჩნია ის დღე, როდესაც კრაკოვის სინაგოგაში მათ ელაღწვერიან რაბინებთან იაპვესათვის მისართმევ სამსხვერპლოს არჩევნის თაობაზე ვბჭობდი.

— ვიცი... ვიცი, — ხითხითით დაეთანხმა ენეკე, — მსმენია იმ დიდებული ცოცხალი ხანძრის თაობაზე. — უთხრა, ფამილარულად ხელკავი გამოსდო და აღსასრულის მომლოდინე, შიშით დაზაფრული ტყვეების წინ ორივემ ისე დინჯად გაიარ-გამოიარა, ლექციის დაწყების მოლოდინში დარბაისელი პროფესორები რომ სეირნობენ უნივერსიტეტის პარმალზე.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 6, 7, 8.

— როგორც ასეთ საქმეებში დიდი გამოცდილების მქონე პიროვნება, რას მირჩევს ჰერ პოლკოვნიკი, როგორი წესით და რიგით ჩავატაროთ დაჯილდოების ცერემონიალი?

საპატიო სტუმარმა საჩვენებელი თითი საფეთქელზე მიიბჯინა და ღრმად ჩაფიქრდა, შემდეგ ახალი თეორემის აღმომჩენივით დამაჯერებლად და დასაბუთებულად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება:

— თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ბატონო გენერალო, რომ იუდეველთა ბედის ვარსკვლავი ექვსქიმიანია, ხოლო კომუნისტებისა — ხუთიანი, ექვსს მიწუს ხუთი არის ერთი... აი, ასე მორიგეობით მოვამტვრიოთ თითო-თითო ქიმი მათ ვარსკვლავებს.

საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალმა აღტაცება ვერ დამალა.

— გენიალურია, — მიელაქუცა კალტენბრუნერის ემისარს, — ზუსტი და ამასთანავე ცხოვრებისეული მათემატიკაა.

ენეკემ ხელის დაქნევით მოუხმო შტურმბანფიურერ გენეციუსს და როდესაც ეს უკანასკნელი წინ გამოეჭვიმა, დავალება ისეთი უდრტვინველი ხმით მისცა, თითქოს ნაცნობ კელნერს სადილის მენიუს კარნახობდა.

— ვალტერ, დაიწყეთ ყოველი მეექვსიდან და თითო-თითო გამოაკელით.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

ასე ერთიმეორის მიყოლებით დაიხვრიტა აჯიმუშკაის კატაკომბებს შეხიზნული და შემდეგ ტყვედ დანებებული ორი ათას რვაას სამოცდათერთმეტი ადამიანი.

პირადი ინიციატივით და ბრძანებით ჩადენილი ეს სისასტიკე გენერალ პოლკოვნიკ ენნეკეს ისეთსავე სასიამოვნო მოგონებად დარჩებოდა, როგორც საქათმის დამწიოკებელ მელოას, მაგრამ ხშირად გამარჯვებულსაც კი ბედი ცალთვალმოჭუტვით და დაცინვით უცქერის.

ძაძებით მოსილმა ახალგაზრდა უკრაინელმა ქალმა, რომელსაც გათვლის შედეგად პირველი ნომერი შეხვდა გვერდით მდგომ პირმშოს ადგილი შეუცვალა, მაგრამ პოლკოვნიკ ბრაუნის ყოვლისმხილველ თვალს ეს გადაადგილება არ გამოჰპარვია. ტყვეთა დახვრეტა შეაჩერა და ქალი მწკრივიდან გამოაყვანიდა.

— რა მიზნით შეუცვალე ადგილი ბავშვს? — ჰკითხა თარჯიმნის პირით.

— ბალლი ჯერ სამისაც არ არის, — მიუგო გაკერპებულმა დედამ, — მინდა ხუთი წუთით მეტი იცოცხლოს.

პოლკოვნიკმა მეფისტოფელივით მოწყალედ და გამგებინად გაიღიმა.

— რამდენიმე წუთი რაღა ბედენაა, — მოჩვენებით გაიკვირვა. — ნუთუ მთლად დაუჩლუნგდა მშობლის გრძნობა, სთხოვოს ბატონ გენერალს, — ხელის მიშვერით ანიშნა ენნეკზე, — ის ხომ პატარების გულმხმურვალე სიყვარულითაა ცნობილი.

აქამდის სასოწარმთეულ ქალს რაღაცის იმედი გაუჩნდა, ორ სასწაულმოქმედ ხატზე მლოცველივით ხან ერთს შესცქეროდა და ხან მეორეს, ვერ გაერკვია, რომელი იყო უმეტესად შემძლე.

— რაღას უცდი, გამოტყინებულო, — დაუტატანა აწოწილმა თარჯიმანმა და თავის გადაქნევით მიანიშნა, ვისაც უნდა ხლებოდა.

ქალი მოწყვეტით დაემხო, ჩაიკეცა, ფორთხვით მიბობლდა გენერალთან, ჩე-

ქმებზე ხელები შემოხვია და ტყვენიტები დაუჟოცნა.

ენნეკეს ისეთი ზიზღი აღებეჭდა სახეზე, თითქოს მცოცავი შემოეგრავნა კოჭებზეო, ფეხიც კი შემართა ჩასაწიხლად, მაგრამ ბრაუნის შემპარავმა ხმამ შეაჩერა.

— ხომ ამჩნევთ, ბატონო გენერალო, ძუენა რომ შავებშია, ალბათ, ქმარი ფრონტზე დაეღუპა, უდავოდ, ყურადღების ღირსია, მოუსმინეთ და განიკითხეთ ქვრივი.

გამუდმებული ჯაფისაგან დაწითლებულ და აქერცილილ ხელებს ქალი ისეთი მონაცვლეობით უთათუნებდა ენნეკეს სლიპინა ქრომის ჩექმებს, თითქოს ძროხის ჯიქანს ამზადებდა საწველად, შემდეგ გამწარებით, სულამოყოლით ამოიკენესა — „ოიო“ და სიმღერით დაიწყო მოთქმა.

— ეს ერთადერთიღაა დედის იმედად და ნუგეშად დარჩენილი, მთელი გვარი მამაპაპიანად ამოწყვეტა ამ წყეულმა ომმა... სამისა აგვისტოში გამხდებდა... მე თუნდაც ნაჭერ-ნაჭერ დამაქუცმაცეთ და დამჩხეთ... ოღონდ ჩემი გრიშუტკა შეიბრალეთ... უცოდველია... უმწიკვლო და ობოლი.

წელში მოხრილი თარჯიმანი ზურგს უკან ეღდა და ყურმიშვერილი სიტყვასიტყვით იმარგმნიდა ქალის ნამღერს, შემდეგ, იმან რომ ერთხელაც ამოიხრიალა, „ოიო“ და დადუმდა, თავის მხრივაც შეაწია რამდენიმე სიტყვა.

— ქმარი პარტიის წევრი ჰყავდა, ბრესტთან ჩაძალდა, მამამთილი შტურმბანფიურერის ბრძანებით, ახლახანს ჩამოვახრჩვეთ პარტიზანობისათვის, ძმებიც იქ დარჩნენ, დაბლა, ყველანი სისხლმომწამულელები არიან, კატაც კი წითელი ფერისა ჰყავთ, ერთიც არაა გასაშვები.

გენერალმა თავით-ფეხებამდე ჩააყოლა მზერა ოწინარივით ვადმოხრილ თარჯიმანს და პოლკოვნიკს მიუბრუნდა:

— ესეც ბინძური და მყრალი ღორიშვილია, — ცხვირით მიანიშნა, — ჰკი-



თხე, სალახანავ, — შეუღრინა არაკაცს, — ბავშვი ბიჭია თუ გოგო?

ამასობაში უღედოდ დარჩენილ პატარას გულმა აღარ მოუთმინა, ასლუქუნებული გამოემართა მათკენ, გორმახებზე ბანცალებდა და გაშლილი ხელებიძღა ინარჩუნებდა წონასწორობას, გრძელ, თბილ შალში გამოკრულს, არც შარვალი მოუჩანდა და არც კაბა.

— ბიჭია, ბიჭი! სასწრაფოდ ამცნოსახეწამოჭარხლებულმა თარჯიმანმა, — გრიშუტკაო, წელან თავად არა თქვა?! — კეთილი, კეთილი! — დაეთანხმა ენეკე, — უთარგმნე, — უბრძანა აწოწილს, — ბავშვს არ დაეხვრეტო. — და ვიდრე ქალს ამ სასიხარულო ამბავს აცნობებდნენ, პოლკოვნიკს ხმადაბლა გადაულაპარაკა, — თუ განსჯა გვეოფნის, ასეც უნდა მოვიქცეთ, იგი ხომ თორმეტი წლის შემდეგ აღებს თოფს ხელში და ჩვენსავე შვილებსა და შვილიშვილებს მიუშვერს.

ორთავეს — გენერალსაც და პოლკოვნიკსაც მეტისმეტად სერიოზული სახეები ჰქონდათ, როგორც კაცობრიობის მომავალზე მზრუნველ ბრძენკაცებს. ძაძებით შემოსილი ქალი ნათარგმანებს არ ენდო, ვერც საკუთარ ყურებს დაუჯერა, კვლავაც დარჩილი ყოველ მხარეს ტრიალებდა და წინ გაწვდილი ხელები საით მიეშვირა, აღარ იცოდა.

— შენს გამჩენს გაფიცებ, ჰკითხე — ისევ თარჯიმანი ირჩია, — მართლა მაჩუქეს მისი სიცოცხლე, გაამეორებინე, ერთხელაც გაამეორებინე. — კიდევ რაო? — იკითხა კუშტად მომზირალმა ენეკემ და როდესაც დედის ნათხოვნი მოახსენეს, განაწყენდა, მაგრამ მაინც ამაყად განაცხადა: — ფიურერის არმიის გენერლის სიტყვა და კანონი ერთი და იგივეა, რადგან ვთქვი, არ დაეხვრეტ-მეთქი, ვასრულებ კიდევ. პირობას რომ ადასტურებდა, გენერალ-პოლკოვნიკი ენეკე თან მონაცვლეობით ხელის თითებს ატაკუტუნებდა, შემდეგ გვერდით მდგომ პოლკოვნიკს მრავლისმთქმელად გადახედა, თითქმის ქედმაღლურად და დინჯად დაიძრა, ტა-

ლახიან წუმბეში მოუტირდებლად ზარბაზნაძისა, მათკენ მომავალი ბალლი აიტაცა, მკლავზე ჩამოსვა, ტყვეთა მწყკრივამდე მიიყვანა, გაუღიმა და თბრილში გადაისროლა.

იმავე წამს გაღმა მხრიდან ბულღოზერი. დაიძრა, მუცელზე მხოხავი დრაკონივით ღრიალით მიუახლოვდა უმწეოდ ასხმარტალებულს, მაგრამ ზედკი არ შედგა, შორიდანვე დაუშვა დანა, მიწა მობლოტა, მოაქუჩა, ზედ გადააყარა და ბალლი ცოცხლად დამარხა.

ცალთვალმოჭუტულმა ბედმაც სწორედ იმ დროს გამოხედა ენეკეს, როდესაც მან სამი წლის გრიშუტკა თბრილში გადაისროლა, თუმცა ეს ბედი კი არა, ჩვეულებრივი ფოტოაპარატის ობიექტივი იყო, რომელიც გენერლის ადიუტანტს ჰქონდა მომარჯვებული, რათა შეფის უკვდავი გამირობანი საოჯახო ფოტოალბომისათვის აღებეჭდა.

(ზუსტად ხუთი წლისა და ექვსი თვის შემდეგ, 1947 წლის ნოემბერში, სევასტოპოლში შემდგარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესზე, ყირიმის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ენეკეს სახელმწიფო მსჯავრმდებელი სწორედ ამ ფოტოსურათს წარუდგენს უმთავრეს მამხილებელ მასალად და მისი ბედი ერთხელაც კიდევ დახუჭავს თვალს, ოღონდ ორთავეს და ამასთანავე სამუდამოდ).

იმ დროს, როდესაც კატაკომბებიდან მხუთავი გაზებით გამოდევნილ და უკვე დახვრეტილ ადგილობრივ მოსახლეობას, მხოლოდ ერთადერთი, ძაძებით მოსილი და გონსგადამცდარი ქალიღა ჰყავდა დამტარებლად, აჯიმუშკაის გარნიზონის უფროსმა უფარაჯო ჯარისკაცი და ფონ ბაბენბერგი ერთდროულად იხმო და მაგიდასთან დასხა. თავად ხანის ფეხზე წამოდგომა უკვე აღარ შეეძლო, რადგან ბრაზსა და ბოღმას თითქმის გაეჭკვებინა. მათ საუბარს კიდევ ორი კაცი ესწრებოდა — კაპიტანი მანოხინი და ძველი ქვისმჭრელი ნიკოლოზ დანჩენკო.

— არ ვიცი, შენთვის ცნობილია თუ

არა, — მიმართა ხანინმა უფარაჯოს, — ჩვენი თავშესაფრიდან ორიოდ კილომეტრის დაშორებით, ზღვის მხარეს ძველიძველი ლაბირინთი რომ არსებობს. იქ, ამ უბედურებამდე, — გარნიზონის უფროსს გაზების ხსენებაც აღარ უნდოდა, — ლეიტენანტ ოტვაენის მეთაურობით სამი ათასამდე მეზობელი იყო შეხიზნული და გამაგრებული. ორი კვირა სრულდება, რაც მათთან ყოველგვარი კავშირი გაწყდა და მას შემდეგ მცირე გარნიზონის შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. დანჩენკო გიჩვენებთ საიდუმლო გასასვლელს, საიდანაც ქვის ძველი კარიერი და ლაბირინთის შესასვლელი ხელისგულივით მოჩანს; იქაურობა ესესვლებით იქნება გარშემორტყმული, მაგრამ რაიმე უნდა იღონო, თუნდაც ხვლიკად იქეცი, ოტვაენის ხალხის შესახებ კი ყოველივე უნდა დამიდგინო. ამ ბარონსაც თან წიყყან, — ბაბენბერგზე მიანიშნა, — მხოლოდ მიზანს ნუ გაუმხელ. განთიადისას გახვალთ.

— ეს ტომარა რაღა ოხრობისათვის მჭირდება, — შეჰბედა უფარაჯომ, — ფორანის მეხუთე თვალადაც არ გამოდგება.

ხანინმა კუშტად შეხედა და გააჩუმდა. — ეგ კაცი არქეოლოგიის დოქტორია და მიწისქვეშეთში თხუნელასავით ლაღად გრძნობს თავს, გარდა მაგისა, ჩვენს ზემოთ მდებარე ტერიტორია ნაბიჯ-ნაბიჯ აქვს შემოვლილი და შესწავლილი. ხომ შესაძლებელია, რომ ძველსა და ახალ ლაბირინთებს შორის რაიმე დამაკავშირებელი ხვრელიც არსებობდეს და ბაბენბერგზე უმალ მას ვერაფერ აღმოაჩენს, ასე რომ ერთად მოგიწევთ ძებნა. იმასაც გიბრძანებ, თვალისჩინივით გაუფრთხილდე!

ისინი რომ დანჩენკოს თანხლებით გარნიზონის უფროსის საკნიდან გამოვიდნენ, აქამდეს უტყუად მჭდომმა კომისარმა წყენანარევი ხმით ჩაიბურტყუნა: — ნეტავი ვიცოდე, რას უფრთხილდებით ამ ფრიცს, ან კი რისი მაქნისია, ჩემი ნება რომ იყოს, დღესვე კედელთან მივაყენებდი.

ხანინმა ხრინწიანად ჩაახველა მუცელი და მზერაგაშტერებული საღლაც, კედლებს იქით იცქირებოდა.

— შენი ნება რომ იყოს, მთელ გერმანიას, ყველა მოკავშირეებიანად, მაგას ამოუყენებდი გვერდით და დღესვე მუსრს გაავლებდი.

მანოხინმა შეტუნებით შეხედა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— თვალსაც არ დაეხახხამებდი, — უთხრა.

გარნიზონის უფროსმა უცნაურად, გაურკვეველად ამოიხვნეშა.

— დიდადაც შეცდებოდი, — მოკლედ მოუჭრა. — დარწმუნებით გეუბნები, შეცდებოდი-მეთქი.

— რაში? — ცეცხლი წაეკიდა მანოხინს, ჩვეულად წამოუჭარხლდა ყვრიმალეები, თუ ისინი არ გვერდობენ, ალალმართალ ხალხს კალიებვივით გვეუყავენ, ჩვენ რა მორალი, ანდა რომელი რწმენა გვიშლის?

ხანინი კვლავ უძრავად იჯდა და ძველებურად საღლაც, არარსებულ შორეთში ისე იცქირებოდა, თითქოს გამჭვირვალე მინის იქით კაცობრიობის მომავალს ჰვრეტდა.

— დაიხსოვე მანოხინ, — მშვიდად და დაბეჯითებით თქვა, — მსოფლიო ცივილიზაცია სიყვარულმა უნდა იხსნას, სიკეთის ქმნის სიყვარულმა და რწმენამ, და მას ისეთი ფიზიკური და გონებისმიერი ძალა უნდა ჰქონდეს, რომ არა მხოლოდ დათრგუნოს და მოსპოს ყოველგვარი ბოროტება, არამედ ძირისძირშივე გარდაქმნას იგი და თავისივე ტოლფარდ სიყვარულად და სიკეთედ მოაქციოს, სხვაგვარად კაცობრიობას, ადრე თუ გვიან, იავარქმნა და დაღუპვა ელის.

●  
ტყუპმა ძმებმა ლამურათაგან მინიშნებული ლაბირინთის მესამე, შედარებით მომცრო, ფართული კარიც განვლეს და ბოსფორის ხელმწიფეთა მიწისქვეშა საიდუმლო აკლდამაში შეაბიჯეს.

თუტუმ ჩირალდანი შემართა და

კლდეში გამოკვეთილი ვრცელი დარბაზის განათება სცადა; შემდეგ მეორეც აანთო, დათქუს გადაწოდა, იქვე დატოვა და იატაკს ჩაჩერებული ფრთხილად წინ გაემართა. გული უგრძობდა, რომ პერისადსა და დრიოდეს აქ არა ერთი ხაფანგი ექნებოდათ მძარცველთა საწინააღმდეგოდ დაგებული

პირველს, მოქანავე ფილაქნებს, რომელთა ქვეშ ღრმა ორმოებში წვერწამახული შუბები იყო დაგებული, იოლად მიაკვლია და დამცინავად გაედიმა, რადგან ასეთ სატყუარებში კარგა ხანია გონიერი დათვებიც აღარ ცვივდებოდნენ; ბრმა და, ამასთანავე, ბრიყვი უნდა ყოფილიყო ქურდი, რომელიც ამას ვერ შენიშნავდა; მაგრამ მეორე ხაფანგი გაცილებით უფრო სახიფათო და ძნელად შესამჩნევი აღმოჩნდა — აქ მონადირეს ისიც განესაზღვრა, რომ აკლდამის სრულად განათებას ვერავინ შეძლებდა და მუხლის სიმაღლეზე გაბმულ უფერულ ძუას უცილობლად წამოედებოდა. დიდთავა ქონდრისკაცი წინგაშვერილმა ჩირაღდანმა იხსნა, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ზევიდან ქვევით და მარჯვნიდან მარცხნივ დაატარებდა და როდესაც შემთხვევით ლარს გამოსდო, ათეულობით ისარმა ცხვირწინ სისინ-წუთილით ჩაუქროლა და საბერისპირო კედელს შეენარცხა.

თუტუ მიხვდა, რომ დრიოდეს ფანტაზია ამით ამოიწურა, რადგან საკუთარს გარდა, მეტისმეტად მცდარი წარმოდგენა ჰქონდა სხვათა გონებასა და საზრიანობაზე. მაგრამ რჩებოდა პერისადი, რომელიც ცხიერებით გაცილებით სჭარბობდა ბერძენ არქიტექტორს.

ლევკონ პირველის ცხედარი დარბაზის შუაგულში მომწვანო კვარცხლბეკზე მდგომ თეთრი მარმარილოს საკოფაგში განისვენებდა, რაზედაც მყარად მორგებული თავსახურავიც მიანიშნებდა, მის გვერდით კი პირველის ზუსტ ასლად შესრულებული მეორე საკოფაგი იყო შემოდგმული, რომელიც ჭერაც ცოცხალსა და ჯანმრთელ ხელმწიფეს ელოდა, განსხვავება იმაში მდგო-

მარგობდა, რომ აქ სადგარი შავი ქვიპი იყო, განსანსვენებელი კი — მოწითალო მარმარილოსი, რომლის საბადოები მხოლოდ ლაზების ქვეყანაში მოიპოვებოდა.

მეფეთა აკლდამის ოთხივე კუთხით დაარჩებოდა ედგენ დიდ ღმერთთა ქანდაკებები.

მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს მბრძანებელთა სასუფეველი მეტისმეტად ღარიბულად გამოიყურებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ ხელოვნებაში გაუთვითცნობიერებელი ადამიანისათვის.

თუტუ პირველი შეხედვისთანავე მიხვდა, რომ ქანდაკებათაგან თუ ყველა არა, ორი მაინც — აფროდიტე და არტემიდა, თავის წონა ოქროზე მეტად ფასობდა, რადგან თანამედროვეობის და, შესაძლოა, ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ხელოვანის პრაქსიტელის ნამოღვაწარი იყო და დღესაც მთელს საბერძნეთში ყველას უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიაჩნდა.

მესამე, აპოლონის ქანდაკება, ამ ორი წლის წინათ თავად თუტუმ გამოკვეთა დრიოდეს დავალებით, ხელმწიფის ზღვისპირა, ახალი სასახლის დასამშვენებლად. ხოლო მეოთხე — მარსისა, მისი ყოფილი მასწავლებლის და ბატონის საჭრეთელს ეკუთვნოდა. ამ ქმნილებაში ათენელ ხუროთმოძღვარს საკუთარი ნიჭიც კი დაეჯახნა, რადგან უდროოდ დაღუპული ვაჟიშვილის გაცოცხლებას ცდილიყო და გაუმხელელი სიყვარული მარმარილოში განეცხადებინა.

სარკოფაგთა გარშემო, ცისფერი ფიქალით მოპირკეთებულ იატაკზე, თორმეტი მკვდარი კაცი ეგდო, ყველანი ახალგაზრდები და ათლეტური აღნაგობისანი. მტვირთავი მონებისათვის სიცოცხლე საწამლავეთ მოესწრაფათ, ზოგიერთს ღვინიანი სასმისი ჭერაც ხელთ ეპყრა, შხამს რამდენიმე დღის წინ უმტკივნეულოდ ამოერთმია მათთვის სული, სახეზე ნეტარი ღიმილი ეფინათ. პერისადს უჩვეულო გულმოწყალება გამოეჩინა მათდამი.

ლევკონ პირველის განსასვენებლის თავსახურავზე რაღაც საგანი თვალსაჩინოდ იდო, თეთრ ფონზე მუქად გამოიყურებოდა და მნახველის უნებლიე ყურადღებას იქცევდა. თუტუ კატისებური სიფრთხილით მიუახლოვდა და შორიახლო შედგა, დაკვირვებით შეათვალიერა გაბერილი და თავწაყრული ტყავის ქისა, რომლის ზემოთ, გლუვ მარმარილოზე ბოსფორის ყოფილი განმგებლის სახელი, ტიტულები და მეფობის წლები ამოტვიფრათ. ზოლო ქვეშ ბერძნულ, ლათინურ და ფინიკიურ ენებზე ერთიდაიგივე შინაარსის ტექსტი წაეწერათ:

„მოკვდავო, ნუ დაარღვევ უკვდავის სიმშვიდეს. გახსოვდეს, ამქვეყნად ყველაფერზე დიდი საგანძური სიცოცხლეა. წარიტაცე ქისა და განერიდე ღმერთთა სამყოფელს.“

ვიდრე თუტუ ტექსტს კითხულობდა, სარკოფაგს ახალი შუქ-ჩრდილი დაეცა, შემდგომ კი დათჰუს ძლიერი და გრძელი ხელი მძარცველთათვის განკუთვნილ საზღაურს წასწვდა, მაგრამ ვიდრე შეეხებოდა, ტყუპის ცალის მკაცრმა და მომთხონენმა ხმამ შეაჩერა.

— არა! — უბრძანა მან და ძმას ზურგით უბიძგა, — პერისადი არაფერს გასცემს ისე, თუ სანაცვლო არ მიიღო.

დათჰუმ მაინც ვერ მოითმინა, ქისას ჩირაღდნის ტარი გაჰკრა და დაბლა გადმოავდო, ოქროს მონეტებმა სმენის მამამებელი წკრიალა ხმა გამოსცა.

— ხედავ, — ნიშნის მოგებით ჩიბურტყუნა დათჰუმ და წვერმოშვებული ყბები ნერვიულად მოიქეპა, — იქ ფულია და ის ჩვენ სამშობლოში დასაბრუნებლად დაგვჭირდება.

— მე ვერაფერს ვხედავ, მხოლოდ მესმის, — მიუყო თუტუმ, — მესმის და ამასთანავე ვიცი, რომ ყოველივეზე სახიფათო მახე ადამიანისათვის ოქროა, რადგან იგი აბრმავებს მას.

მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ძმის სიხარბეს ვერ სძლევდა, დიდთავა ქონდრისკაცი ხენეშით მოიხარა, ჩირაღდანი ტყუპის ცალს გადააწოდა.

ქისა ჯერ ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ ფრთხილად აიღო და თითები ყოველმხრივ მოისინჯა და როდესაც მის უვნებლობაში დარწმუნდა, თასმა შეხსნა, და იატაკზე მოაპირქვევა.

ოქროს მბზინვარებასთან ერთად, წვრილმა, ძლივშესამჩნევმა მზისფერმა ძაფმა სხივივით გაიღვრა, ჩაცუცქულმა თუტუმ ძლივს მოასწრო ხელის აქნევა და უკან გადახტომა და გულადმა გადაიქცა.

მტკაველის სიგრძე და თმის სისქე პინდური ბეტა, ამქვეყნად ყველაზე შხამიანი ასპიტი, რომელიც მხოლოდ მაშინ იღვიძებს, როდესაც ვინმე დასაგესლი, უსწრაფესი კლავნიით მისრიალებდა მისკენ და დათჰუს უმარჯვესი ჩირაღდნის ხელი რომ არა, მისი ძმა წამსვე იქვე გართხმული თორმეტი მონის ბედს გაიზიარებდა.

ქვის ფილაქანზე მეფური გულუხვაობით მიმოზნეულ ოქროს მონეტებზე სტატირად რომ იწოდებოდა, ცალ მხარეს პირში შუბგაჩრილი ლომისთავა დრაკონი აღებუჭდათ, ზოლო მეორეზე პერისად პირველის ამაყი და ხელმწიფური პროფილი იყო გამოხატული.

დათჰუმ თავწმწვარი ბეტა ფეხის კვრით მოისროლა, ჩირაღდნები მეფის განსასვენებელზე ტარშებრუნებით ჩამოაწყო და განძის მობოჭვასა და ქისაში ჩაბრუნებას შეუდგა.

— ტირანის წყალობას ღვთის წყევლა გერჩივნოს, — დაარიგა ტყუპის ცალი ჯერაც გულადმა მწოლარე ძმამ — პანტიკაპეონის ზარაფხანაში მოჭრილი ევ მონეტები ან ყალბი აღმოჩნდება, ან მოწამლული, — უთხრა და ძლივძლივობით აიკრიფა გამოფიტული სხეული, დათჰუს დაცივით გადახედა, ჩირაღდნები აიღო და ქანდაკების შემოვლასა და ჰკვრეტას შეუდგა.

ვიდრე თვალბანთებული ჯუჯაკაცი ბერძენ მოქანდაკეთა შორის უპირველესის უზადო ხელოვნებით ტკებებოდა და ღმერთქალებს გლუვ, თითქოს რბილსა და თბილი ფეხის თითებზე აცახცახებული ხელით ელაციებოდა.



დათქმე ქისა შერა, ყელზე ჩამოიკიდა და ახლა ლევკონ პირველის სარკოფაგის თავსახურის ახლა სცადა, მაგრამ მიუხედავად გოლიათური ძალ-ღონისა, ძვრაც ვერ უყო, ღრიჭოც ვერ გამოუჩინა. ტყუპის ცალის დაძაბულმა ხენეშამ და უკმაყოფილო ბუტბუტმა თუტუ გამოაფხიზლა, შემოაბრუნა და შეაკრთო.

— შეჩერდი, უგუნურო! — ბრაზით შეუძახა სისხლხორცს. — მიცვალებულთა ძარცვა უმძიმესი დანაშაულია მხისქვეშეთში და, ევრეც რომ არ იყოს, როგორ ფიქრობ, თუ პერისადმა ას ოქროში ცოცხალი სიკვდილი ჩასვა, საუკუნეობით ნაგროვებ სავგარეულო განძში რაღას ჩაამწყვდევდა?!

ამ სიტყვების უეჭველმა სიმართლემ ერთიანად დაძაგრულ დათქმე მაგიურად იმოქმედა, სარკოფაგს შიშით უშვა ხელი, მაგრამ მუშტი მაინც დასცხო და ზიზლით დააფურთხა.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა, — თუმცა ძალა რომ მყოფნიდეს, თუნდაც სიკვდილის საფასურად, თანახმა ვარ პერისადის შექმნისათვის მისი მამის ბილწი ძვლები ვირთხების საღრღნელი გავხადო.

თუტუმ ძმის ნალაყბევს ყურიც ადარ ათხოვა, დარბაზის შუაგულში ნიკაპაღერილი იდგა, ხელთ ანთებული ჩირაღდნები ეპყრო და რიტუალური ცეკვის შემსრულებელივით ერთ ადგილზე ტრიალებდა.

ღამურები კი მომეტებული სისწრაფით დაჰქროდნენ, ოთხივე კედელს აწყდებოდნენ. თითქოს ინსტინქტით გრძნობდნენ თავისუფლების მოახლოებას და თითო-თითოდ თვალშისაცემად კლებულობდნენ.

როდესაც უკანასკნელი ფრთიანი თავვიც, ანე უწოდებდა მათ თუტუ, სადღაც გაქრა, ფეხებმოღრეცილი გონჯი დარბაზის ნაბიჯ-ნაბიჯ შემოვლას და შემოწმებას შეუდგა.

და სულ მალე, უკვე გამოვლილი საიღუმლო კარის მოპირდაპირე მხარეს იდგებოდა ახორხლილებს რომ მიაკვლია,

მზად იყო, ყოველი მათგანი სათითაოდ ჩაეჭრა მეკრდში და სლოზინა ცხვირპირი ჩაეკოცნა.

დათქმე აკიდოსავით ასმული რამურები ცემა-ტყეპით გაყარა, კედელს საოცარი სიზუსტით მორგებულ ქვის ფილა გაუჭირებლად გამოაცალა. გვერდით გადადო, ვიწრო ხვრელში თავი შერგო და მოულოდნელი, ჭერაც გაუთვითცნობიერებელი სიხარულისაგან ცხოველური ღმეილი აღმოხდა.

აღმა მიმავალ ხვრელში, ოროციოდე ნაბიჯს იქით, ვარსკვლავებით მოქიქული უღრუბლო ზეცა მოჩანდა.

მეფეთა აკლდამაში ზღვის სუნით გაქრენთილი მაცოცხლებელი ჰაერი შემოიჭრა, რომელმაც თუტუს, როგორც საქანელაზე დიდხანს მოქანავე ჭანსუსტ ბაღს, თავბრუ დაახვია და მუხლებში ჩაქცვა.

მის გოლიათ სისხლხორცს კი ამ დროს ბუხრის საკვამურში გაჩხერილი ლოდევით ამოევსო თავისუფლებისაგან მიმავალი გზა; გულაჩვილებულს, ღაპალუბით ჩამოსდიოდა ცრემლები და ოდნავადაც არ აქცევდა ყურადღებას შიშველ ბეჭებზე ფუთფუთითა და ფხაქნით მიმავალ წებოვან მასას, რომელიც ფრთების შრიალით მაღლა, საოცნებო სივრცისაგან მისწრაფოდა.

ბოლოს და ბოლოს, დათქუ გონს მოევგო, ძმა გაახსენდა, შემობრუნდა; მკილევით თვალები ამოიმშრალა და მკლავებგაშლილმა მიაშურა, მაგრამ თუტუ, ფეხმორთხმით მჯდომი, უკარება და თავჩაქინდრული დაუხვდა.

„რატომ გასწია დროოდემ ესოდენი ფუტი შრომა ამდენი ფარული კარის შექმნით, როდესაც თავისუფლად და დაუბრკოლებლად შეეძლო ბოსფორის განმგებელთა სამარხის გაძარცვა უმოკლესი ხვრელით? — ფიქრობდა დიდთავა ჭუჭა, — ვთქვათ, ეს გზა იმ შემთხვევისათვის ესაჭიროებოდა, თუ პერისადი მასაც ჩვენსავით ლაბირინთში შეამწყვდევდა და კედლებს ამოუგმანავდა, მაშინ ეს ლოგიკური საქციელია, მაგრამ რატომ გამოკვეთა თვით გვი-

რაბები ანდა გასასვლელები ისეთი სიმალლე-სივანისა, თითქოს საქორწინო ეტლით აპირებდა მათში გამოვლას?"

დაძაბული ფიქრისაგან თუტუს საფეთქლები ჩაქუჩდაკრულივით სტეხდა, მაგრამ განუჭვრეტელი და ამოუხსნელი საიდუმლო პითონივით შემოგრაგნოდა და განძრევის საშუალებას არ აძლევდა.

„ანდა თუნდაც ეს, — მესამე, და ყველაზე უმთავრესი, — როგორ გახსნიდა სუსტი ძალ-ღონის მოხუცი უმძიმეს კარიბჭეებს, თუ მათი შეღება თვით დათქუსაც გაუჭირდა და რატომ არ მოიშველა ამ მიზნით დამხმარე ბერკეტები, რომელთა აგებულება დიდებულად უწყის და ადრინდელ ნაგებობებშიც მრავალგზის გამოუყენებია?“

როდესაც ტყუპის ცალმა მხრებში ხელები ჩასჭიდა და მძლავრად შეანჯღრია, თუტუმ ყველა კითხვას თვითგვემით გასცა პასუხი.

„როგორც ჩანს, მე ბრიყვს ღრიოდ ჩვეულებრივი ცინდალი მგონია, მაშინ როდესაც ის ზრდასრული მედლიკოტია“.

უდიდეს განსაცდელს თითქმის გამოირიდებული ძმები რომ აღმა მიმავალ ხვრელში მიბობლავდნენ, მოუსვენარმა ჭიამ ერთხელაც შეუღლიტინა გონებაში დიდთავა ჭონდრისკაცს.

„ამდაგვარ პრიმიტიულსა და იოლად მისაკვლევ გვირავს ღრიოდ ასეთ გრანდიოზულ ნაგებობას არასოდეს აკადრებდა“.

ჭარბი ბედნიერებისაგან აღიღინებულსა და ამჩატებულ დათქუს კი სახეზე უზრუნველი და მეოცნებე კაცის ღიმილი დასთამაშებდა, ხანგამოშვებით ყელზე ჩამოკონწილავებულ ქისას აცეტებული კნუტივით უთათუნებდა ხელს და აქეთ-იქით აქანავებდა, მაგრამ იმეამად თუნდაც ის რომ სცოდნოდა, რას იხილავდა ხვრელიდან გასვლისთანავე, ალბათ, სამუდამოდ დასწყევლიდა საკუთარ ბედ-იღბალსა და ვაჩენის დღეს.

ქვის კარიერიდან ციცაბო ფლატესკენ მიმავალ ერთადერთ ბილიკს, რომელიც საიდუმლო გამოსასვლელთან მთავრდებოდა, ვაჩქარებული ნაბიჯით მისდევდა ექვსი თავ-ფეხამდე შეიარაღებული კაცი, რომელთაც ოდნავ ჩამორჩენით მიჰყვებოდნენ ენამოკვეთილი ბერძენი ხუროთმოძღვარი ღრიოდ და დაუნდობლობით ცნობილი ბოსფორის განმგებელი პერისად პირველი.



დიდად ბრძენი უნდა იყოს ადამიანი, რომ რიგით პიროვნებას ბედნიერების რაობა განუშარტოს და სრულად შეაგნებინოს, მაშინ როდესაც ცხოვრებისეული გაჭირვება ამას ძალდაუტანებლად, ჩვეულებრივ ახერხებს.

ფონ ბაბენბერგმა ეს სიტყვები მაშინ უთხრა უფარაჯო ჯარიკაცს, როდესაც ქვის მჭრელმა ნიკოლოზ დანჩენკომ გამთენიისას კატაკომბის ჩრდილოეთი კედელი ძალაყინით გაანგრია და სამივენი ბოსფორის ხელმწიფეთა სამარხი ყორღანის მოპირდაპირე მაღალსა და ციცაბო ფლატეზე გამობობლდნენ.

ქერჩის მუქ, მელნისფერ ზეცას ოდნავშესამჩნევი სიმკრთალე ერეოდა, ხოლო თეთრად გაწეწილ-გაპენტილი ღრუბლები დასავლეთისაკენ მიფარფარებდნენ და ნაცრისფერი, თითქმის უძრავი ზღვიდან მონაბერი მლაშე ნიავი სიცოცხლის ელექსირივით მსუბუქად მოედინებოდა.

ყოველივე, რასაც ისინი იმ წამს გრძნობდნენ და აღიქვამდნენ, იმდენად დაუჭვრებელი და ზღაპრული ჩანდა, თითქოს მარად ბნელი და გაქვავებული პლანეტრიდან მოვლენილნი, პირველად უმზერდნენ: დედამიწის უჩვეულო ნატივ სილამაზეს.

მოხუცმა ქვის მჭრელმა ისეთი უცნაური ბგერები ამოუშვა მკერდიდან, რომ ძნელი გასარკვევე იყო, ამოიოხრა, ამოიკვნესა თუ ამომიღერა, ხოლო უფარაჯო ჯარისკაცს, თავადაც რომ

ვერ მიხვდა, ისე მოეძალა თვალზე ცრემლი.

„მართლაც ასეა, — გაიფიქრა. — თავისუფლების თუნდაც წამიერი შეგრძნება, ერთი ყლუბი წყალი, ანდა ჰაერის ღრმა ჩასუნთქვა, ზოგჯერ სრულყოფილ ბედნიერებას განგაცდევინებს თურმე ადამიანს“.

სამივენი წარმართული კერპებით გარინდულიყვნენ და მთელი არსებით ერწყმოდნენ ბუნებას გაღვიძების დიად საიდუმლოს.

დაბლა, ტაფობში ქვის საჭრელ უძველეს კარიერში, ნაპერწკალმა გაიტიატა, თითქოს ვილაცამ ასანთი გაჰკრა, რომელმაც ალი არ მოიკიდა, შემდეგ კიდევ რამდენჯერმე განმეორდა ასე.

— მე წავალ, — დაიხურჩულა ნიკოლოზ დანჩენკომ, — ასე მაქვს ნაბრძანები, თქვენ სადამომდე უთვალთვალეთ, მაინცდამაინც საფრთხივლებივით ნუ გამოიჩგივებით, ძველი ლაბირინთის შესასვლელი მარჯვენა მხარესაა, აქედან არ ჩანს, დაბლა რომ დაეშვებით, მერე დანახავთ, — თქვა, ჯარისკაცს მხარზე ხელი დაჰკრა და ტუჩები ყურთან მიუახლოვა, — ყურადღებით იყავი, ეს ძუკნიშვილი არსად გაგისხლტეს.

უფარაჯომ თავი გააერთრეტა, ერთი სიტყვაც არ სმენია მისი, შეგონებებიისათვის სად ეცალა, ფრინველად ქცევას ნატრობდა, იისფერი ზეცა უხმობდა და იზიდავდა.

დაბლა კვლავინდებურად გაკრთა ნაპერწკალი, ახლა უფრო ახლოს, და მოულოდნელად რადცამ იფეთქა და აბრიალდა, ერთმა ალმა მეორე შვა, მეორემ — მესამე, შემდეგ ყველამ თითო-თითო, ბოლოს დაშორიშორდნენ კიდევ და მათკენ დაიძრნენ.

ფონ ბაენენბერგმა და უფარაჯო ჯარისკაცმა მზერა იქით, შუქთა ლიცლიცზე გადაიტანეს, ინსტინქტურად უკუნაბიციც წარდგეს და ბექებით ფლატის დაკბილულ კედელს აეკვრნენ, ჯგერლმულისკენ მიმავალთ ხერეღში ჩამავლვა არც უფიქრიათ, ნიკოლოზ დანჩენ-

კოც ისე გამჭრალიყო, რომ ვერც შენს.

ვიდრე ცეცხლმფრქვეველი საგნები უახლოვდებოდათ. შორეულ ზღვას ნელ-ნელა მტრედისფერი მოეფინა, ცისა და წყლის შესაყარი ზოლიც განათდა და გამოკვეთილად გამოჩნდა.

ქვევით ვილაცამ გაბმულად და ხრინწიანად დაიხავლა, თითქოს რომელიღაც გრძელკისერა ფრინველს ნანადირევი გაეჩხირა საყლაპავში. შემდეგ გაბრაზებული გამაფრთხილებელი სისინი გაისმა და გრძელკისერა ყელში დანაგამოსმულივით იმწამსვე ჩაჩუმდა.

მოციმიციმე სინათლეები ფლატეს მიმართულებით ამოუყვნენ აღმართს. გამთენიის ზღვაურმა წამოუბერა, შეუბილწავმა ჰაერმა კედელს მიკრულთა ჩახუთულ ფილტვებს ღვთაებრივი ნექტარივით დაუარა, გააბრუა, არაამქვეყნიური ნეტარება მიანიჭა და უჩვეულო შეგრძნებით გამოწვეული შიშიც კი მოჰკვარა.

თითქოს სიცოცხლემ უკვდავება იგრძნო, ხოლო ღრომ და ჟამმა მნიშვნელობა დაკარგა.

„რა არის ეს?“ — უსიტყვოდ, მხოლოდ გონებაში გაივლო ჯარისკაცმა.

„არ ვიცი“, — უსიტყვოდ მიუგო ფონ ბაენენბერგმა.

მათკენ მომავალ ბილიკზე, ერთიმეორის მოყოლებით, ხელში ჩირადან-მომარჯვებული სამი კაცი ამოდიოდა, თვალშესავლებად ჯერ არ მოჩანდნენ, მაგრამ მათი ფეხის ხმა უკვე მკვეთრად ისმოდა.

— ეი, თქვენ, კლდის ხვლიკებად დაბადებულნო, — გაისმა წელანდელი მბრძანებლური და სისინა ხმა, — ცოტა დინჯად გადაადგით ნაბიჯი!

ჩირადნები ერთდროულად შედგნენ, ჯადოქრის კვერთხდაკრულებივით გაქვავდნენ, მხოლოდ ცეცხლის ალიდა ლოკავდა აპარპარებული ენით ჰაერს. ახლა უკვე გარკვევით შეიძლებოდა მათი შეფვალიერება.

მეტისმეტად უცნაურად ეცვათ, არც სამხედროებს და აღარც სამოქალაქოებს რომ არ შეჰფეროდათ, ბალ-მას-

კარადის მონაწილეებს უფრო წააგავდნენ. სქელი, უხეში ზეწრები წამოესხათ და წელზე თოკის ქამრებით შემოეჭირათ.

ყველანი წვერწამახული შუბებით იყვნენ შეიარაღებულნი.

— გაიგე, რაც ითქვა? — უხმოდ იკითხა ფონ ბაბენბერგმა.

— გავიგე — უჩუმრად მიუგო უფარაჯომ.

— იცი მათი ენა?

— არა, მაგრამ ყველაფერს ვხვდები. როგორ, თავადაც ვერ ვსაზღვრავ.

მეჩირაღდნეთა კვალდაკვალ კიდევ სამი კაცი შემოუღდა ბილიკს, შედარებით მშვიდად მოაბიჯებდნენ, პირველს კატასავით მომწვანო ალთი უელავდა თვალები. თვალშისაცემად და მდიდრულად შემოსილს, ხელმწიფური იერი ჰქონდა. შემდეგი გატანჯული იერსახის მელოტი მოხუცი იყო, დაღლილდაქანცული ქოშინით ხიხინებდა და გაჭირვებით ითქვამდა სულს, მკერდზე მძიმე ოქროსფერი გულქანდი ეკიდა და პირი წითლად ჰქონდა მოთხუპნილი. უქანასკნელი — ასაკოვანი, ტანსრული კაცი იყო, ისიც სამასკარადოდ გამოწყობილიყო, ხელში მოკლე, ცხენის დასაკრავი მათრახი ეჭირა და წინმიშავალ მოხუცს მალიმალ კოკებში უქაპუნებდა.

იმათაც წინმიშავალთა დარად გზისმანათობელნი მოჰყვებოდნენ, ოღონდ ხმლებით შეიარაღებულნი.

— რას გვამცნობს სახელმწიფოს უპირველესი ხუროთმოძღვარი, — უბგერო ქირქილით მიუბრუნდა მბრძანებლის გარეგნობისა მელოტ მოხუცს, — ქეშმარიტი და უცდომელი გზით მიემართება თუ არა სამართლის მსახვრელი მარჯვენა?

გატანჯული სახის ბერიკაცმა პასუხად ჯერ რაღაც გაურკვეველად დაიბღავლა, თითქოს მუნჯად დაბადებულმა საკუთარი ნაკლისა არარა უწყოდა, მხოლოდ შემდგომ ამისა მიაშვირა ხელი ბილიკს და დასტურის ნიშნად თავი დააკანტურა.

— მზის სადარო! — მიმართა ნებელს ახოვანმა, — სიფრთხილე გამართებთ, ამ გველახუას რაიმე ხაფანგი არ ჰქონდეს გამართული.

„საოცარია, — თავისთვის აღნიშნა ფონ ბაბენბერგმა, — ისინი ძველბერძნულად საუბრობდნენ, ამასთანავე დახვეწილად, ეს ენა კი სრულყოფილად ამუშავებულ მსოფლიოში მხოლოდ ერთეულებმა იციან“.

„მართლაც გასაკვირია, — გონებაში დაეთანხმა უფარაჯო ჯარისკაცი, — უფრო კი ის, რომ ჩემთვის ეს ენა არავის უსწავლებია“.

მათი სამალავიდან მარჯვნივ და ზევით, იმ მხარეს, საითაც მელოტმა უენომ ხელი მიაშვირა, დაგორებული ლოდის ხრიალი გაისმა, ამ ხმას ჯახანიც მოჰყვა და დაფშვნილ-დაქუცმაცებული ქვის ნაშალის ჩხრიალიც.

ბილიკზე შეჩერებულმა უცნაურმა ხალხმა და ფლანგის კედელს ლანდად მიტმასნილებმაც იმწამსვე იქით მიაპყრეს მზერა, სადაც ქვათაცვენა მოხდა.

— ფრთხილად, დათჰუ, — მოისმა მადლიდან სუსტი და ჩახლეჩილი ხმა. — პერისადის ბილწ ძაღლებს სმენა ძილში უფრო მახვილი აქვთ. ვიდრე სიფხიზლეში.

— მე მათ კატის ბრმა კნუტებივით გაგვუღავ, — ბუხუნა ხმით დაიქანდა მოპასუხემ და სულ მალე ცისფერმორეულ ცის ტატნობზე, წინ წამოშვერილ ქარაფზე, მისი გოლიათური შიშველი ლანდი აღიმართა.

ვიდრე დათჰუ დაბლა ჩამოხედვას მოასწრებდა, მეფის მცველებმა გიმეტის კალთებით ერთდროულად ჩააქრეს ჩირაღდნები, დაოთხდნენ და ნაბულალებული მეძებრებივით გაირინდნენ.

— ჰილ... ჰილ! — ჩუმად და ხორხისმიერად დაისისინა ბოსფორის გამგებელმა და შუბოსანთა სამეული უსწრაფესი ფორთხვით, ხვლიკებივით გაჩაჩხულნი აღმართს შეუყვნენ.

მცოცავივით თავშემართული ზენონი ოღნავ დახანებით მათ კვალს მიჰყვა,

მხოლოდ თვალაკვესებული პერისადი დარჩა ფეხზე მდგომარე, დროიდე ბილიკზე ჩამომჯდარიყო და მეფის ყორღანისკენ იტყირებოდა, თითქოს ყოველივე, რაც ამჟამად აქ ხდებოდა, მას ოღნავადაც არ აღეღებდა.

წინ წასულებმა სწრაფად მიაღწიეს ბილიკის მიჯნას, წამახულ ქარაფს სამივე მხრიდან შემოერთყენენ, შუბები შემართეს და ჩირაღდნები აანთეს.

ფონ ბაბენბერგმა და უფარაჯო ჯარისკაცმა ახალა შენიშნეს, რომ ტანშიშველ გოლიათს მხარში თავიდა ქონდრისკაცი ამოსდგომოდა და ჰორიზონტს მონუსხულივით გასცქეროდა.

ალყაშემორტყმულ ძმებს გასაქციევი და თავის საშველი აღარსაით ჰქონდათ, მათ უკან წინ წამოზიდული და უკარება ფრილო კლდე აღმართულიყო.

პერისადთან დარჩენილმა მცველებმაც შემართეს ჩირაღდნები და როდესაც სახეგანათებულმა ბოსფორის გამგებელმა მიდამო მოათვალიერა და მარცხნივაც შემობრუნდა, არქეოლოგიის დოქტორს უნებლიე ოხვრა აღმოხდა.

— ღმერთო, — გოცებით დაიჩურჩულა და პირჯვარიც გადაისახა, — როგორა ჰგავს ეს კაცი იმ ცოფიანს!

ტანშიშველ გოლიათს სასიკვდილოდ დაჭრილი მხეცის ბრდღვინვა აღმოხდა, თვალისდახამხამებაში აიტაცა უზარმაზარი ლოდი და ბილიკზე ამომავალ ზენონს სტყორცნა, მაგრამ იმან დროულად უგანა და მოხერხებულად აიციდინა.

— თავს ნუ იტანჯავ, — მშვიდად შეაგონა თუტუმ, — შენკენ მაცქერალ უხსენებელს ქვას ვერასოდეს მოახვედრებ.

პერისადი ბილიკს ბოლომდე აღარ მიჰყვა, თადარიგი დაიჭირა, უგანა და მარცხნივ აუყვა, მომცრო, ორიოდ ნაბიჯის სიფართის ბეჭე შედდა და ამით თითქმის გაუსწორისწორდა ქარაფზე გადმომდგარ ტყუპ ძმებს.

— ჰეი, თუტუმ! — გასძახა მცველებით გარემოცულმა, — როგორ განსჯი, რა სასჯელს იმსახურებს ის ნაირ-

თვალა გომბეშო, რომელმაც ამ ცოფიანს ოდენი ხნის წინ, მთვარის სინაკლულის ქამს, მბრძანებელს უგუნური სიტყვა აკადრა?

თავიდა ქონდრისკაცმა გოლიათ ტყუპის ცალს ბორძიკით შემოუარა, მეორე მხრიდან ამოუდგა, ბეჭებით თეძოზე მიეყრდნო და ისე ჩამოხედა ბოსფორის გამგებელს.

— ასეთი უდიდესი მკრეხლობისათვის ცერბერის ყბაც კი მხოლოდ ყურის აწვევის ტოლფარდი დატუქსვა იქნებოდა.

ხელმწიფე პასუხით კმაყოფილი დარჩა, სიამით დაიკრუტუნა და თითებიც გაატაკუნა. — სრული ქეშმარიტებაა, — ხმამაღლა აღნიშნა, — მაგრამ გულმომწყალე მეფე უნდა უფრთხილდებოდეს მუხათა რჩეულ ქვეშევრდომებს, ამიტომაც თავხედ თავკომბალს მხოლოდ რბილოებზე გამათრახებას აკმარებენ, ჩამოდი!

ჯუჯაკაცი უცნაურად მოიდრიკა, თითქოს მუცლის გვრემა დაეწყო, ჩაიყუნცა კიდეც და ამის შემდგომ მისწვდა მსმენელებს მისი სუსტი, თავშეკვეებული ხითხითი.

— რა გაცინებს? — რისხვით შეუყვირა გვირგვინოსანმა და მიწას ფეხი გაავებით დაჰკრა.

— ღმერთების რჩეულის ნება კანონია, თუმცა ამჟამად მას აღსრულება არ უწერია.

— რატომ, — გაიოცა პერისადმა, — რა აღუდგება წინ?!

თუტუმ ორთავე ხელი წყალობის მთხოვნელივით გამოიშვირა ხელმწიფისაკენ.

— დასჯისთვის აუცილებელი ატრიბუტია შოლტი, — გამოსძახა და მარჯვენის საჩვენებელი თითით მარცხენის ნეკი ნებში მოიდრიკა, — მასზე საჭირო და მთავარი კი ჭალათი, — დაუმატა და ნეკს არათითი მიაყოლა, — ეს ორთავე მბრძანებელს თან ახლავს; მაგრამ არსად სჩანს მთავარზე უმთავრესი. საჭდომი, რომელსაც ტყავი უნდა გააძრონ.

სხვებზე უმაღლესი კონდრისკაცის ოსუნჯობას ხელმწიფე მიხვდა და გულიანად ახარხარდა, მაგრამ მის სიცილში ისეთი ბოღმანარევი სიცივე იგრძნობოდა, რომ უნებლიეთ ყველას ციებშეყრილივით გააქრეოლა.

— ბოსფორის გამგებლის პირობა განმეორებას არ საჭიროებს, — ხმამაღალი სიამაყით განაცხადა, — დიდთავა კოლხი დღეიდან სახელმწიფოს პირველი ხუროთმოძღვარია!

თუტუ მუხლგებში გაიმართა, რამდენიმე ნაბიჯი წინ წარსდგა და ქარაფის წვერზე შედგა, ერთი ციდაც და, თვალშეუღდამ ხრამში გადაიჩეხებოდა, დათჰუმ დაბდღენილი გიმატიის საყვლოში სტაცა ხელი, უკან გაქაჩა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. მისი ტყუპისცალი თითქოს ქვად ქცეულიყო და კლდეს შეზრდოდა.

— არწივი რომ დაიმონო, მართვეობიდანვე უნდა მოითვინიერო, — მუქ ცისფრად შეფერილ ზეცას უთხრა თუტუ, — მაგრამ თუ ერთხელ მაინც განაღდვინე ფრენის სილაღე, მისი ხელმეორედ დამორჩილება შეუძლებელია.

— მონობასა და მორჩილებას ყველა არსება ეგუება, — დაუხანებლად შეაგონა პერისადმა. — ამქვეყნად არსებული ყოველი სიცოცხლე.

— მართალი ბრძანებაა, — დაეთანხმა თუტუ, — მხოლოდ სიკვდილის დამონებაა შეუძლებელი.

ბოსფორის გამგებელმა ცოტა ხნით იყუჩა, გააუბნით და გაოცებით შესცქეროდა ქარაფის წვერზე მდგომ, ამაყად თავაღერილ ჭუჭყაქაცს.

— დათჰუ, — გასძახა მის ტყუპისცალს, — შენს ძმას გონება თანატოსმა დაუბინდა, მას ლაბირინთში შებრუნების იმედი აქვს, მე კი მაღალი ღმერთების სახელით ვადასტურებ, რომ ეს უაზრო თავგანწირვაა, რადგან იქ უკვე კიანდაა, ორთავა ურჩხული, შენ იცნობ მას.

თითქოს მბრძანებლის ხმობა იგრძნო, მიწისქვეშეთში რაღაცამ ისეთი ღრიალით დაიგუჟუნა, კაცს ეგონებო-

და, ვულკანი აპირებდა ამოფრთხილვას. ამ საზარელი ხმით შემკრთალმა გოლიათმა შეშფოთებით გაიხედა ზურგსუკან და თვალგებში სასოწარკვეთა გაუქრთა.

— ჩამოდი, დათჰუ, — შემპარავად დაუყვავა პერისადმა, — ჩამოდი და ეგ ამპარტავანი ბრიყვიც თან ჩამოიყვანე. ყურად იღე ბრძნული ნათქვამი, მკვდარ ლომს ცოცხალი სახედარი ყოველთვის სჯობს!

თუტუ მკვეთრად შემობრუნდა, დამცინავად გადმოხედა ბოსფორის გამგებელს.

— ეგ სიბრძნე იმ ვირის აზრია, რომელსაც არასოდეს უოცნებია ლომობაზე! — თქვა, ტყუპისცალს რაღაც ანიშნა, ხელიც უქიმუნჯა და ორივენი სასწრაფოდ დროოდეს გათხრილ საიდუმლო ხვრელში გაუჩინარდნენ.

ქერჩის ცისფრად მოლივილივე ზეცა ისე უეცრად აენთო, თითქოს ცეცხლი წაეკიდა.

აღმოსავლეთიდან ქვეყნად სიცოცხლის მომნიჭებელი და ცის თალის შემკავებელი ცეცხლოვანი მნათობი მოემართებოდა.

ტაფობში, ქვის ყოფილ კარიერში, გერმანული ჯიშის ნავაზების ღველავი და ყეფა გაისმა, შემდეგ კი მათივე პატრონების ხმამაღალი მისალმებები და მხიარული შეძახილები. საგუშავო კოშკურებზე ყარაული იცვლებოდა, მეფის ყორღანიდან მარცხნივ და მარჯვნივ სამმეტრიანი მავთულხლართების ღობე მიემართებოდა და კატაკომბების უზარმაზარ ფართობს ობობას საცეცხლივით ერთყმობდა.

ფონ ბაბენბერგი და უფარაჯო ჯარისკაცი თითქოს საღათას ძილიდან გამოფხიზლდნენ, გაოგნებულებმა გადახედეს ერთიმეორეს.

— რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ან რა იყო, — ჰკითხა უფარაჯომ — მოჩვენება, სიზმარი თუ სინამდვილე?

არქეოლოგიის დოქტორმა საფეთქ-

ლები მოისრისა, შემდეგ გაშლილი ხელისგული შუბლზე და ცხვირზე რამდენჯერმე გამეტებით მიიტყაპუნა, თავს იფხიზლებდა.

— ეშმაკმა უწყის, — მხრებაწურვით თქვა. — ვერაფერი გამიგია, თქვენ ყველაფერი გასსოვთ?

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა უფარაჯო. — მეფეც, მცველებიც, მელოტი მუნჯიც და ტყუბი ძმებიც.

— მოქმედებაც, საუბარიც, მისი შინაარსიც?

— სიტყვასიტყვით.

Хоча Виძვეჩიჯი („ — არის და არ არის“)

— რა ბრძანეთ?

ფონ ბაბენბერგი ცისკიდურს გაცქეროდა, იქნებ უფრო იქითა სიღრმეებშიც ცდილობდა გონებით შედღწევას და ამით უცნაური საიდუმლოს ამოხსნას ესწრაფოდა.

— მე თქვენ ძველებერძულად ერთი წინადადება გითხარით, — ამცნო გვერდით მდგომს. — ხომ იცით, რომ ისინი ამ ენაზე ლაპარაკობდნენ?

უფარაჯომ ხელი მოწყვეტით ჩაიქნია, წინასწარვე ხედებოდა ამ საოცრების განჭვრეტა რომ შეუძლებელი იყო.

წედან ყოველი სიტყვის აზრს სრულად ვხვდებოდი, — ჩაფიქრებით აღნიშნა. — ახლა კი... არ ვიცი, რა მოხდა, სასწაულს წაგავს ყველაფერი.

— გონება არის რაღაც ღვთაებრივი და, ამდენად, შეუვალი. — არისტოტელეს ცნობილი ფრაზა მოიშველია, ფონ ბაბენბერგმა და უფარაჯოს თვალეზში ჩააცქერა. — ვგონებ ჩვენ საუკუნეებს იქით ვიმოგზაურეთ, ამასთანავე საკმაოდ შორს, თუ ენას და სხვა ფაქტორებსაც გავითვალისწინებთ, ორნახევარი, სამი ათასწლეულის მიღმა.

ბოლო წინადადება არქეოლოგიის დოქტორმა ნელ-ნელა გაწეოდა, ყოველ სიტყვაზე შეანელა და მეტისმეტი განცვიფრებაც გამოესახა სახეზე.

— თუ გასსოვთ, — უეცრად ჰკითხა, — რა ეპითეტით მიმართა შეხ-

ვედრისთანავე ხელმწიფემ დიდთავსადაც კონდრისკაცს?

უფარაჯო ჯარისკაცი წუთით ჩაფიქრდა, ის სცენა, როგორც თეატრში ნანახი, ისე დეტალურად გაიხსენა.

— ნაირთვალა გომბეშო, — უთხრა. — დიახ, ასე... ნაირთვალა გომბეშო.

მისმა თანამოსაუბრემ ერთხელაც მოისრისა ხელებით პირისახე.

— ეს უდავოდ მისტიკაა... ან ის, რისიც არასოდეს მჭეროდა, თუმცა, შესაძლოა, ყოველივე გაზეზით მოწამვლის შედეგია, იცით თუ არა, — მიმართა უფარაჯოს ისე, რომ მისკენ აღარც კი შებრუნებულა, — იცით თუ არა, რა ფერის თვალეზი გაქვთ?

— ვიცი, — მიუგო იმან, — ზუსტად ისეთივე, როგორც თქვენ, ყოველ შემთხვევაში, თუ იდენტური არა, ანალოგიური მაინც.

ფონ ბაბენბერგს მუხლებმა უღალატა, ხერელიდან გადმოგორებულ ხავსიან ლოდზე ძალგამოცლილი დაეშვა, ისე იცქირებოდა, ემჩნეოდა, ჰკუდიან შეშლას აღარაფერი უკლდა.

— ხომ შესაძლებელია, რომ თუტუ ჩვენი საერთო წინაპარი იყო, — დაიჩურჩულა შეშფოთებულმა.

— დასაშვებია, — დაუდასტურა უფარაჯომ. — ამასთანავე, სხვა დამთხვევებიცაა, — დაუმატა, — თქვენ ხომ ოტო გქვიათ, მე კი დიტო, სამივე სახელიც ხმოვანებით ერთიმეორეს წააგავს.

ფონ ბაბენბერგმა ხელები უღელივით გადაიღო კისერზე, ქედი მოიდრიკა და იდაყვები საფეთქელზე მიიჭირა თავი გასკდომაზე ჰქონდა.

— მისტიციზმი, გაცხადებული მისტიციზმი, სხვა რა შეიძლება იყოს? — ამოიხრიალა და ჯარისკაცს შლეგის თვალეზით ახედა, — რატომ არ მოგეწამლა გაზეზმა მაინცდამაინც ჩვენ ორნი, მაშინ, როდესაც რამდენიმე ჩასუნთქვითაც კი ყველა გაიგულა, ესეც ხომ რაღაც არარეალურია?!

— ხანინსაც ვერაფერი დააკლო, — უტყუარი ფაქტით დაამშვიდა უფარა-

ჯომ. — იქნებ ეს მოჩვენებებიც, როგორც თავად აღნიშნეთ, შხამების შემოქმედების შედეგია.

არქეოლოგიის დოქტორი ამ სიტყვებმა ოდნავ დააწყნარა, მაგრამ სრულად მაინც ვერ დაამშვიდა, რადგან მისი გონება ფაქტების შეპირისპირებით ქვეშაობების დადგენისათვის იყო შექმნილი.

შუალღმდის თრითინასავით თავშემართული უფარაჯო მხოლოდ იმას აკეთებდა, რომ დეტალურად აღნუსხავდა, სად და რამდენი კაცი იდგა საგუშაგოში, რამდენ ხანს მორიგეობდნენ და როდის იცვლებოდნენ. მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა ქცევითა და ფრთხილი გარჯით იმასაც მიხვდა, რომ ძველ ლაბირინთში ჯერ კიდევ მოქმედებდნენ კაპიტან ოტვაჟენის ნაწილები, თუმცა ერთი რამ მეტისმეტად უშლიდა ხელს, მიწისქვეშეთის შესასვლელ ყელს ვერ ხედავდა და ამ ღამით მხოლოდ ინტუიციასზე და ბედ-ილბალზე მოუწევდა ბრძალ მინდობა.

ფონ ბაბენბერგი დიდი ვერაფერი დამხმარე აღმოჩნდა, გამთენიის მოლანდებებს ისეთი შემოქმედება მოეხდინა მის ფსიქიკაზე, რომ კარგა ხანი დასჭირდებოდა გონს მოსასვლელად, გამუდმებით რაღაც გაურკვეველს ბუტბუტებდა და უარყოფის ნიშნად თავს ვაცივით აქიციებდა.

ერთი რამ ცხადზე უცხადესია, — ფიქრობდა მისი მაკქერალი ჯარისკაცი. — ეს კაცი ზედმეტი ხურჯინია და ამასთანავე არასაიმედოც, მაგრამ ხანინი არაფრით გადათქვამს თავისას და, როგორც ყოველთვის, იქნებ ახლაც მართალი აღმოჩნდეს“.

როგორც კი მზე ზენიტს გადასცდა და ესესელთა ნაცვლად ახლა მას მიაშუქა თვლებში, უფარაჯო ჯარისკაცმა უკან მიბრუნება და ხილულ-აღნუსხულის გარნიზონის უფროსისათვის მოხსენება გადაწყვიტა.

— წავიდეთ, — უთხრა ხაროსთან გაწოლილ ფონ ბაბენბერგს, — უკვე დროა.

— რა მითხარით? — ხელის დილივით ჰკითხა იმან.

— წავიდეთ-მეთქი, — გაუმეროა. — შელამებულზე დავბრუნდებით.

არქეოლოგიის დოქტორი იდაყვებს დაებჯინა.

— მე აქ დავრჩები, — ისე მშვიდად შესთავაზა, თითქოს წითელარმიელთა კომისრად იყო დაბადებული და მის პატიოსნებაში ექვის მიტანაც კი მკრეხელობად ჩათვლებოდა.

— ოჰო, — ღომილით გაიოცა უფარაჯომ, — ქვევით ჩასეირნება და თანამომძევა მონახულება რომ მოგესურვილოთ, მაშინ?

— ეგ დაუშვებელია, — სრულიად სერიოზულად და კატეგორიულად უარყო ვერმანელმა არისტოკრატმა. — ხანინმა ხომ განგვიმარტა და საკმაოდ დამაჯერებლადაც, რომ ერთმა არიელმა მაინც უნდა განიცადოს ის, რასაც აქ მყოფნი იტანენ, ეგეც რომ არ ყოფილიყო, მე ხომ ჩემი ხელით დავასაფლავებ იმდენი ბავშვი... —

ჯარისკაცი დაძაბული ყურადღებით უსმენდა, ეს კაცი რაღაც არაბუნებრივი სიმშვიდით მსჯელობდა.

— მე მაინც მირჩევნია, თან გამომყვეთ, — პირდაპირ უთხრა, — უფრო მშვიდად ვიქნები.

— კეთილი, — დაეთანხმა ის. — ეგ ჩემთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, მაგრამ დამერწმუნეთ, მთელი დღე იმ საკითხზე ვფიქრობ, რომელიც გარნიზონის ყოფნა-არყოფნას ეხება, უკუნეთში ბორძიკით სიარული და პრობლემის გადაჭრა ერთდროულად შეუძლებელია, მშვიდად წაბრძანდით, მე აქ დაგელოდებით.

— ოჰო! — ხელმეორედ გაიკვირვა უფარაჯომ, თან ისიც გაივლო გუნებაში: „ამას დაბადებით ჰკუასუსტი ხომ არ ვკონივარო“. — თუ შეგიძლიათ ამიხსენით, რომელ ლოგიკას დაუქვემდებარო, რომ ტყვედ ჩავარდნილ მტერს მოწინააღმდეგის ჯარისკაცი პატიოსან სიტყვაზე ენდოს? — ჰკითხა და ხელი ტაფობისაკენ გაიშვირა, —

მაშინ, როდესაც თქვენ მარადიული ფიციტა ხართ შეკავშირებული თქვენსავე სახელმწიფოსთან და ფაშიზმთან.

ფონ ბაბენბერგს სახეზე თვალშისაცემი წყენა აღებეჭდა, ქინაქინგადაყლაპულივით დაიღმია.

— დანაშაულებრივი ფიცის მიცემა მძიმე დანაშაულია, მაგრამ ასჯზის მძიმეა დანაშაულებრივი ფიცის დაცვა! — თქვა.

უფარაჯო ჯარისკაცი გაირინდა, მთელი სიგრძე-სიგანით გაიპარა ნათქვამი.

— დიდებულად გამოგივიდათ, — მაინც ირონიით შეაქო. — მშვენიერი აფორიზმია, შეგიძლიათ ჩაიწეროთ, რომ შთამომავლობას არ დაუქარგოთ.

— ეს შექსპირია, — პირდაპირ განუმარტა არქეოლოგიის დოქტორმა, — ის კი მარად უმცდარია.

ჯარისკაცს ჭოკმანი დაეტყო.

— თუ სიტუაციას გაითვალისწინებთ, ეგ გამონათქვამი, შესაძლოა, თქვენთვის სიბრძნე გამოდგეს, ჩემთვის კი სისულელი.

ჯერაც იდაყვებზე წამოწეულ ფონ ბაბენბერგს უცნაური ნალევი ჩაუდგა თვალეში.

— სიბრძნის დაჯერება ზოგჯერ ბრწყინვალე შეუძლია, ბრძენი კი არასოდეს ირწმუნებს სიბრძნევებს, — თქვა და მძიმედ წამოჯდა. — წადით, დიტო, — დაუმარტა ისეთი სითბონარევი სიმშვიდით, თითქოს ბალღს მოძღვრავდა. — ნუ შემიშლით ფიქრებს, გეფიცებით, სიკვდილამდისაც რომ დამპირდეს ლოდინი, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ, ჩვენი თვალეების ფერია ამის თავლები.

უფარაჯო ჯარისკაცმა ახლად შენიშნა გერმანელი არისტოკრატი ორჯერ მასზე უფროსი რომ იყო ასაკით.

კრინტიც აღარ დასცდენია, ასანთი გაჰკრა, მოიხარა, ჭრაქს მოუყიდა, ზეწმარათა, ფონ ბაბენბერგს თავი დაუქრა და გვირაბის სიღრმეში გაუჩინარდა.

უფარაჯო რომ საკანში შევიდა, გარნიზონის უფროსი მაგიდასთან მჯდომი დაუხვდა, წელში გამართული სკამის საზურგეს არ ეყრდნობოდა, გამკაცრებული სახით კართან ატუზულ მანოხინს შესცქეროდა და წამწამს არ ახამხამებდა.

— შენ რატომ დაბრუნდი, — ჰკითხა ახლად შემოსულს, — მოხდა რამე? ჯარისკაცი მიუახლოვდა და წინ დაუდგა, რალცით არ მოეწონა ხანინის გამომეტყველება.

— რჩევა მინდოდა მეკითხა, — მოახსენა. — კიდევ ის, იქნებ ცოტაოდენი წყალი და სურსათი გამეყოლებინა, ისე... ყოველ შემთხვევისათვის.

— მძღლარი ჯარისკაცი ომს ვერ მოიგებს, — აღნიშნა ხანინმა, თან მანოხინს თვალს არ აცილებდა, — თუ რაიმე კიდევ გაგაჩნია, ცოტაოდენი არ გუნე, — იმას უბრძანა, — რჩევა-დარიგებას კი ვერ მოგცემ, თავი იმისთვის გადგას მხრებზე, რომ ადგილზე გადაწყვიტო ყველაფერი; ბაბენბერგი სად არის?

— იქ დავტოვე, — მშვიდად მიუგო ჯარისკაცმა, — უმთვალყუროდ.

ხანინი ცოტა ხნით გაყუჩდა, ერთი ნაკვითი არ უტოკავდა სახეზე.

— თავად გთხოვა? — შემდეგ ჰკითხა.

— ეგრე გამოვიდა, — ამცნო ჯარისკაცმა, თავისთვის კი გაიფიქრა: „დამხვრეტს აუცილებლად დამხვრეტს და ლირსიც ვიქნები“.

— სწორედ მოქცეულხარ, — მოუწონა გარნიზონის უფროსმა. — ყველაფერში დაუჭერე, ეგ უკვე პაციფისტი. ახლა კი წადი და გაემზადე.

— რა სჭირს? — საკნიდან რომ გამოვიდნენ მაშინ დაეკითხა უფარაჯო მანოხინს.

— ქვავდება, — მიუგო იმან, — ჩემქმის ლანჩებით უკვე იატაკს შეე-

თენგიზ ჩალაუარი

...და არ იყო ჩვენს შორის ბრძენი

საქ. სსრ კ. შარქიძის  
სახ. სახ. რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა

ზარდა და ველარ დგება, ბოლომთ მოს-  
დის ვგონებ, ხომ შეამჩნიე, სახეზეც  
რკინისფერი ადევს.

— არაფერი ეშველება?

— მაგას რა სჭირს საშველი, — გა-  
იოცა მანოხინმა, — აბსოლუტურად  
დარწმუნებულია, რომ ომი მოგებუ-  
ლი გვაქვს, ჩვენ ვიკითხოთ.

— საიდან დაადგინა? — ახლა ჯა-  
რისკაცმა გაიკვირვა.

მანოხინმა ხელი ჩასჭიდა და სურ-  
სათ-სანოვაგის საწყობისკენ მიმავალ  
ვიწრო გვირაბში ჩაიყოლია.

— წუხელ თქვა, იმ ხალხის დამარ-  
ცება, რომელიც შიმშილით სულს და-  
ფავს და მაინც ძალდაუტანებლად იბრ-  
ძვის, შეუძლებელიაო, — გზადაგზა  
უხსნიდა, — ხომ ხვდები, მაგას თავისი  
ურყევი თეორიები აქვს.

საწყობში რომ შევიდნენ, ორი გო-  
ჭივით ვირთხა დაეტაკათ ფეხებში, მე-  
სამე ფეკილის თავნაკლულ ტომარაზე  
შემომჯდარიყო, მათკენ იცქირებოდა,  
კბილებს აკაპკაებდა და იმუქრებოდა  
„ახლოს არ მომეკაროთო“.

მანოხინმა ფარანი ვერ გაიმეტა, მა-  
გიდაზე შემოდგმულ ცარიელი ვაზნის  
ჭრაქს დასწვდა და ესროლა, მაგრამ  
ააცდინა.

— მალე თქვენი ჯერიც დადგება, —  
უბოროტოდ დაემუქრა. — მიკვირს,  
ამათ რაღა აიძულებთ აქ ყოფნას.

საკმაოდ ვრცელი საკანი მოლოკილი  
ჯამივით გამოიყურებოდა, ერთ კუთხე-  
შიღა აებოროხლათ სურსათ-სანოვაგის  
ნარჩენები.

— დესანტისა რა ისმის? — დანტე-  
რესდა უფარაჯო.

მანოხინმა თავი გააქანქარა.

— ჩვენთვის ველარ მოიცლიან, —  
გაენდო. — მთელ სანაპიროზე ჯოჯო-  
ხეთი ტრიალებს, შენ ერთი დაიხსო-  
მე, — საუბრის თემა გამოცვალა, თან  
პატარა თოფრაში რაღაც-რაღაცეებს  
ულაგებდა. — თუ ოტვაენიმდე მიად-  
წევ, რაღა თქმა უნდა, მაგასაც ბედი  
სჭირდება, პირველ რიგში მუცლის ამო-  
საყორზე იფიქრე, იქნებ რაიმე დარჩათ.

აქ ცუდი დღე მოგველის, ეს ძალღონა  
გაგდებულები დილიდანვე ტანკებს და-  
ატარებენ შარშანდელ ნათესებზე და  
მერე რაღაც თეთრ ფხვნილს აყრიან,  
შაქარი რომ არ იქნება, ნამდვილად  
ვიცი.

— უუხ, — გააგებით დაიხზავლა უფა-  
რაჯომ. — თუნდაც სამკედრო-სასი-  
ცოცხლო ომის დროს, კაცობის რაღაც  
კანონები მაინც ხომ უნდა არსებობ-  
დეს?!

— ომის დროს კანონები სდუმან, —  
განუმარტა თანამოსაუბრემ, — ორ  
ცალ შოკოლადსაც ვიმეტებ, იცოდე,  
უქანასქენელია, — დააყვედრა და ხელში  
მიაჩეჩა, — ერთი შენ და ერთიც იმ ნა-  
ბიჭვარი გებელსის არისტოკრატ ნა-  
ბუშარს.

უფარაჯო ჯარისკაცმა შოკოლადის  
ფილები გულის ჯიბეებში ცალ-ცალკე  
ჩაილაგა.

— ძაღლობას არ გეუბნები, — მოუ-  
რიდებლად უთხრა, — ვხვდები, ასეთ  
დროს უქანალის ქნევა და რევერანსი  
რომ არაფერს ნიშნავს.

მანოხინმა ბავშვობის მეგობარივით  
დაჰკრა მხარზე ხელი.

— ძველზე გულნაწყენი ნუ დამრჩე-  
ბი, — აღრინდელი გაუხსენა, — ასე  
იყო, ალბათ, საჭირო, ოდესმე გაიგებ.  
ახლა კი ერთიც დაიხსომე, ბრძანებაა,  
შენებური ოინბაზობები არ გაბედო,  
თავზეხელაღებულობა და ფატალიზმი  
მაშინაა მისაღები, როდესაც საკუთარ  
ბედისწერას ეთამაშები, აქ კი ათასო-  
ბით ადამიანის სიცოცხლე გადაეცა მხრე-  
ბზე, ხანინს ემედი არ გაუწილო, სამი  
ჯგუფი ჰყავს გაგზავნილი და უკან ჯე-  
რაც არავინ დაბრუნებულა.



„მებრძოლს თუ სროლას აუკრძალავ,  
რაღა ოხრობის მეომარია!“ — უქმაყო-  
ფილო ბურტყუნით მიაბიჯებდა გვირაბ-  
ში უფარაჯო ჯარისკაცი, როდესაც  
სმენით კი არა, სხეულით იგრძნო, რომ  
ვიღაცა ფეხდაფეხ მოჰყვებოდა, და-

ტუქსულ ფინიასავით შეუმჩნევლად და მალულად; მიაყურა და როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, ლაგამმოქაჩულ იორღასავით მკვეთრად შედგა. იმას კი, აჩრდილივით რომ ასდევნებოდა, ერთი ნაბიჯი უნებურად წასცა და ამან გაამჟღავნა.

ჯარისკაცი შემობრუნდა და ჭრაქი თავზევით შემართა.

— რომელი ხარ მანდ! — მკაცრად გასძახა სიბნელეში.

პასუხი არავინ ვასცა და ამან დააეჭვა, დილანდელივით რაიმე ხომ არ მელანდებო, ყოველ შემთხვევისათვის ერთხელაც შეამოწმა.

— გამოჩნდი, ნუ იმალები, ვიცი, რომ უკან მომყვები!

კატაკომბის კედელს აკრული ანისკა თავჩაქინდრული და რატომღაც დარცხვნილი გამოვიდა, ნაწნავი მკერდზე გადმოეგდო და ორთავე ხელის ფრჩხილებით იწვალებდა.

უფარაჯო ჯარისკაცს უჩვეულო სიამემ სითბოსავით დაუარა მთელ სხეულში.

— რა მოხდა, — შემდეგ შეშფოთდა, — რაიმე ხომ არ გეჭირთ?

— გვიჭირს, — იმწამსვე გაენდო ანისკა.

— შენს დაიკოს?

— ჰო, — დაეთანხმა ის, — ცუდააა.

— რა სჭირს? — ხელის გაქნევით დაეკითხა.

— ახველებს.

ჯარისკაცს გულზე მოეშვა, ჩაიხიბინათა კიდევ.

— ახლა ყველას ახველებს, — დაამშვიდა, — ამ ნესტიან სარდაფში ეგეთი რაღაცები არც უნდა გაშინებდეს.

ანისკა კვლავ თავჩაქინდრული იდგა, თვალების გასწორებას ვერ უბედავდა; თითქოს დიდად სამარცხვინო რამ ჰქონდა გასამჟღავნებელი.

— მეც მიჭირს, — როგორც იქნა, ამოიღულულა.

— შენ რაღა დაგეშართა? — შეწუხდა

და უფარაჯო, დინჯად მიუხალოვდა, კაპში თითები ამოსდო, კისერი ააღერინა და ჭრაქით სახე გაუშუქა.

გამთენიისას. ზეცაში ღია ლურჯისა და მუქი ცისფერის შერწყმა რომ იხილა, ისეთივე საოცარი ფერის, დიდრონი თვალები ამოსცქეროდნენ — ვედრებით, ტკივილითა და ყვედრებით.

— შენთან მინდა, — დაიჩურჩულა გოგომ და ქუთუთოთა გარდიგარდმო კუთხეებში ნელ-ნელა დაიგროვა ცრემლი, შემდეგ კი ორ მსხვილ კურცხლად გადმოეგორა დაწვებზე. უფარაჯო ჯარისკაცი შეცბა, უნებლიეთ შეუშვა ხელი.

— სულელო, — ნაძალადევი სიმკაცრით დატუქსა, — სულ ერთად არა ვართ?!

ანისკამ გაუბედავი ნაბიჯი წარსდგა წინ, თითქმის მკერდზე მიეტმანა.

— მე შენთან მინდა, — კვლავინდებურად დაიჩურჩულა და თვალები მილულა. მეორე წყვილი კურცხალი გრძელ წამწამებზე დაეკადა და წმინდა წყლის ბრილიანტებად აუკიაფდა.

ჯარისკაცი არც შეტოკებულა, მოთმინებით უცქეროდა იმის გაფითრებულ სახეს, მაღალ შუბლს, თმას, ნაიარევი ყურის ბიბილოს და გრძელ, სუსტ კისერს, რომელზეც იის ფესვივით წვრილი, ცისფერი ძარღვი მოუსვენრად ფეთქავდა, და უეცრად ვაჟურჟოლა, თითქოს დენმა დაჰკრაო, მთელი სხეულით ათრთოლდა და აცახცახდა.

ახლა საესე და წინწამოზიდული წითელი ტუჩების გარდა, ველარაფერს ამჩნევდა, ვერც თვალებს, ველარც ცრემლებს და ველარც ვერაფერს.

ორად გააზობოდა ანისკას ბაგე და შიგნიდან უმწიფარი ბროწეულის მარცვლებივით თეთრი კბილები უელავდა.

იქნებ ვერც ვერარა გაებედა და ასე. ქარში მდგომი კვიპაროსისვით აცახცახებული დარჩენილიყო, მაგრამ გოგომ მოლოდინგამწყდარის ოხვრით ამოიგმინა და ამ ცხელმა, მწველმა ამონასუნთქმა ჯარისკაცის უწყლობით დამს-

კდარი ტუჩები თავისთავად მიიზიდა, მიიკრა და შეიწვება.

ახლა კი ცხადელი აუხდა ის, რასაც დილით განთიადის შემსწრე ნატრობდა, იისფერ ზეცაში მიფრინავდა, თავბრუდამხვევ სიმაღლეზე, სხივმფრქვეველი მცხუნვარე მნათობისაკენ და გასაოცარი ღისწრაფით უახლოვდებოდა მის ცეცხლოვან დისკოს.

ანისკამ კისერზე შემოაჭლო მკლავები და თბილი, მსუბუქი ღრუბელივით შემოეხვია, სხეულით ზედ შეადნა, თავდაც ათრთოლდა, აჯანკალდა, ნელ-ნელა დაჰქაჩა, თითქოს გულადმა ამოაბრუნა, ფრთებიც შეუბოჭა და დაბლა, ქვევით წაიყოლა

რატომღაც მოელვარე მნათობიც იქით მოექცა, დედამიწისაკენ და ერთურთს მიკრულნი, სინათლის მხურვალეობას მისწრაფებული ფარვანებით ფარფატ-ფარფატი მიეხალნენ მის სიმკვრივეს.

ყოველივე გაქრა და წარიხოცა — დრო, საუკუნე, ომი, შიმშილი, შიში, მხოლოდ სიკვდილი დააცქერდათ ცივად და მოშურნედ, მაგრამ მალე ისიც გაქარწყულდა და გაუჩინარდა, რამეთუ უძლური იყო მათ ძლირებასთან.

— არ შეიძლება, ამოიკენესა უფარაჯო ჯარისკაცმა, რადგან იგრძნო, რომ გონს ჰკარგავდა, სადაცაა სული ხორცს უნდა გასცლოდა, თავის ნებაზე მიეშვა და სურვილების ანაბარა მიეტოვებინა, — არ შეიძლება, — უსასოოდ გაიმეორა.

ანისკა კი ქარიშხლიან ზღვაში უმესაჰეოდ შეცურებული ნავივით აღიჩადიოდა გოლიათ ტალღებზე და ცეცხლისფერ თოლიას ასცქეროდა, რომელიც თავზე დასტრიალებდა და გაუბედავად, შიშნულად უახლოვდებოდა, სადაცაა კამარას შეჰკრავდა, დააცხრებოდა, ააელვარებდა, ჩაფერფლავდა და თვალჩაუწვდენელ სილივლივეში ჩასძირავდა, სადაც იქნებოდა ჯერ განუცდელი სიმშვიდე, სიგრილე და ნელ-ნელი გამოფხიზლების ნეტარება.

— არ შეიძლება, — შორეული და

დაგვიანებული ძახილივით მისწყდა სმენას.

უფარაჯო წამოჭდა, მუხლები ისე ძალუმად უხტოდა, რომ ხელების დაბჯენითაც ველარ აკავებდა: „ღმერთო, შენ გამაძლებინე... ღმერთო, გამაძლებინე...“ ბავშვობის შემდგომ პირველად ევედრებოდა უფალს, რადგან მის გარდა, დამხმარე მართლაც აღარავინ ჰყავდა.

არც უფიქრია, გუმანშიც არ გაუვლია, რას ეჩავდივარო, ისე მოიშველია წინაპართა უძველესი ხერხი, ჭრაქს ჩასწვდა და ერთიმეორისთვის აკივლებულ სხეულებს შორის ჩადგა.

— მოდი ჩემთან! — თხოვნანარევი ძახილით უხმო გათანგულმა გოგომ, — ფუჭად ნუ იტანჯავ თავს, ვგრძნობ, რაც გიშლის, ნულარაფერზე იფიქრებ, უბრალოდ მოდი, შენ ყველაფრის უფლება გაქვს.

ჯარისკაცმა თავი ჩახარა, გახვითქული შუბლით ხელის ზურგებს დაებჯინა, „მგონი შეგძელი“, სინანულნარევი სიხარულით გაიფიქრა.

— მე არ მიყვარხარ, — ენაბლუსავით გაჰირვებით აღმოთქვა, კბილებს ერთიმეორეზე აცემინებდა.

— სტყუი! — იმწამსვე ამხილა ანისკამ, — აღიარე, რომ იცრუე!

— ჰო, ვიცრუე, — დაეთანხმა უფარაჯო. — მაგრამ მაგას რა მნიშვნელობა აქვს, არ შეიძლება და მორჩა, რამდენი წლისა ხარ?!

ანისკამ გულზედაკრეფილი სუსტი მკლავები ჯერ გვირახის ჰერისაკენ შემართა, შემდეგ თავქვეშ ამოიწყო და ისე ნებიერად გაიზმორა, თითქოს სიბკლდეზე კი არა, ბატის ბუმბულის ქვეშაგებზე იწვა.

— მე უკვე ქალი ვარ...—წაიმღერა,— ამას კი ასაკი არ სჭირდება, სხვა რამეა, თავდაც იმით მივხვდი, რომ შენთან ვიყავი... — უთხრა და გვერდულად გადახედა, — გესმის, შენთან ვიყავი, და ისიც განვიცადე, რაც ქალმა საყვარელ მამაკაცთან ყოფნის დროს უნდა იგრძნოს... ახლა კი მინდა, შენც იგრძნო, მხო-

ლოდ უფრო ნაღდად და სრულყოფილად... კარგად ვხვდები, რომ არასოდეს ყოფილხარ სხვასთან და მე ისეთივე პირველი ვიქნები შენთვის, როგორც შენ ჩემთვის...

— არა-მეთქი, — დაიხრიალა ჯარისკაცმა, — რამდენჯერ გაგიმეორო, არ შეიძლება!

— რატომ? — მშვიდი გულუბრყვილობით ჰკითხა გვერდით მწოლმა, — ამისხენი; რატომ არ შეიძლება?

— ნუთუ ამას განმარტებები სჭირდება? — გაცხარდა უფარაჯო და მოკუმშული თითები შუბლზე გამეტებით მიიკაქუნა, — თავიდან ხომ უნდა მიხვდე, რომ აქ, ამ დაწყველილ ჯურღმულში, სადაც ჭინჭველებით ამოგვუჟუჟეს, გაგვგულდა და გაგვსრისეს, სადაც პატარა ბალებიც კი დაუტირებლად დაგვამარხინეს... ყოველგვარი სიყვარული და სიხარული დაუშვებელია... სხვა რაღა გითხრა, ნუთუ არ არის საკმარისი? ეს ხომ ყველაფრის და ყველას შეურაცხყოფა იქნება... იმათიც — წასულების და ჩვენიც...

ანისკა ფოცხვერივით წამოხტა, ტანიც არ აუქნევია, ისე, ჯარისკაცის წინ მუხლებზე დაეცა, ათივე თითით სახეში ჩააფრინდა, ფრჩხილები ჩაასო და აქეთ-იქით წვრთნა დაუწყაო.

— შეიძლება, შეიძლება! — წყალწაღებულვით ავივლდა, — სიყვარული ყველგან შეიძლება, ცაშიც, მიწაზეც და სამარეშიც... ჩვენც ხომ აქა ვართ, დიდ საფლავში... ცოცხლად დამარხულები, მაგრამ მაინც სულდგმულები... სწორედ ამის გამო შეიძლება, რომ ჯერ კიდევ სულდგმულები ვართ და სიყვარული გვწყურია... სხვა საშუალება აქ არ გავგაჩნია... ამიტომაც უნდა მოხდეს აქ... ასე განგვისაზღვრა და გადაგვიწყვიტა ბედმა... სხვას არც გვარგუნებს... ერთადერთი საშუალება მოგვცა... პირველი და უკანასკნელი, რადგან ამ ჯოჯოხეთს ვედარავინ დავაღწევთ თავს, ვერც ერთი... ვგრძნობ... ცხადად ვგრძნობ, ვიცი და იმასაც ვხვდები, რომ... შენც იცი!

„შენც იცი“, უკვე ხმაჩავარდნილმა დაიკვნესა, სუსტად, მაგრამ ისეთი სასოწარკვეთით, რომ ყურისდამგდები მიწისქვეშეთშიც გაიგონებდა, მიწაზეც და ცაშიც.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში უფარაჯო ჯარისკაცმა ახლა უკვე მესამედ დაიკმუვლა ბუნადანგრეული მგელივით, ვერც კი გრძნობდა დაწვებიდან რომ თქრიალით მოსდიოდა სისხლი, ანისკამ კი მხოლოდ ახლა შენიშნა, მაგრამ ჰრახის მკრთალ შუქზე ცრემლებად მიიჩნია და ამიტომ თავიდან ატირდა.

კვლავინდებურად ჩაეკრა, ჩაეხუტა და თავდავიწყებით დაუწყაო კოცნა, გულის წასვლამდე რომ მივიდოდა, სულის მოსათქმელად განერიდებოდა. მხურვალე ბაგეებით თვალბს უმშრალედა და დაწვებს ულოკავდა, მაგრამ უცნაურს ვერაფერს გრძნობდა, რადგან ამ ყიამეთსა და უტუნეთში სისხლიც ისეთივე მლაშე და ცხელი იყო, როგორც ცრემლები.

— შენ იმდაგვარივე უნდა დაბრუნდე იქ, ჩვენს სამყაროში, როგორიც აქ ჩამოხვედი, — ჩურჩულებდა ჯარისკაცი, — ისეთივე სუფთა, ცისფერი და ხელთუკარები... სხვაგვარად ყოველივე ფუჭი ყოფილა... სულ ტყუილად გვიომია... არაფრის გამო დაგვიღვირია ამდენი სისხლი და გავვიწირავს სიცოცხლე... სიწმინდისათვის ჩავიღინეთ ეს ყველაფერი... სისპეტაკისთვის... სიყვარულიც იმას უნდა ემსახუროს და ემორჩილოს... მხოლოდ იმას, უდიდესს და უნათლესს — სიწმინდის სიმართლეს...

ანისკამ უფარაჯოს სახე ხელისგულეში მოიქცია, თვალეში ჩააშტერდა. უმზერდა და იღიმებოდა, აქერცლილ ტუჩებზე თითებით ელაციცებოდა.

— შერეკილი ხარ, — თბილად უთხრა და ფრთხილად აკოცა, მხოლოდ ლოყაზე. — ნამდვილად შერეკილი, კარგი ბიჭი და კარგი მებრძოლი, მაგრამ რად გინდა, მეტისმეტად გაბმულად უკაქუ-



ნებ... არ ვიცი, რა გეშველება... ერთი ეს მითხარი, მართლა გიყვარვარ?!

— ოჰ, — ამოიგმინა ჯარისკაცმა — ვერც კი აგისხნი, ნუთუ ამასაც თქმა და გამჟღავნება სჭირდება?

— კეთილი... კეთილი, — დაუყვავა ანისკამ. — მჯერა შენი, მართლაც, რა აუცილებელია. ოღონდ იცოდე, სჯობდა ჩემთვის დაგეჭვებინა, ვიცი, სანაწებელი გაგიხდება, წინათგრძობით ეხვდები... რა გაეწყობა... შენი ბრალი ხომ არ არის, რომ ასეთი შერევილი ხარ და თანაც ჯიუტი.

— ძალიან ნუ გამითამამდი, — მოჩვენებით გაუწყრა ჯარისკაცი, — ნუ გავიწყდება, თითქმის ოთხი წლითა ვარ შენზე უფროსი.

— ერთხელაც მაკოცე, — შეეხვეწა გოგო, — ერთხელ კიდევ.

მლოცველებივით მუხლმოყრილი ჩაეკვრნენ ერთმანეთს. ძველებურად აბრიალდნენ, მათი მხურვალეებისაგან საუკუნეობით უძრავად ჩახუთული ჰაერიც კი ამოძრავდა და მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო გვირაბებში გაზაფხულის ცეტი ქარივით მხიარული კისკისით გაიშლივნა.

უფარაჯო რომ წასასვლელად გაემზადა, ანისკამ ველარ გაუძლო, თავად პირველი გაეცალა, ხელეგაშვერილი შეიჭრა სიბნელეში, მაგრამ ოციოდენ ნაბიჯის შემდეგ შედგა და შემობრუნდა.

— ჰეი, ჯარისკაცო! — ყიამეთიდან გამოსძახა, — გთხოვ, ძალიან გთხოვ, ერთხელ მაინც მითხარი ის სიტყვა, რომელიც ვერ გაიმეტე ჩემთვის, ერთხელ და უკანასკნელად მითხარი.

უფარაჯოს რალაც ბაბუაწვერასავით მშრალი მოებჯინა ყელში, მოიხარა, კრაქი ფეხებთან ჩაიდგა, მკლავები ჭვარზე გაკრულივით გაშალა, ერთიანად დაიძაგრა, უღრმესად ჩაისუნთქა და მთელი სიმძლავრით იღრიალა. — მიყვარხარ!

ამ საოცარმა ხმამ კატაკომბების საუკუნოვანი კედლები დაბზარა, რამდე-

ნიმე ადგილზე გასასვლელად გააჩნდნენ გარეთ გაიჭრა და მათგან რვა კილომეტრითა და სამასი მეტრის დაშორებით, ქალაქში მყარად მდგომი მოწინააღმდეგის დენთის საწყობი ააფეთქა.

თუმცა, ქერჩის საოკუპაციო ჯარების შტაბის დახვედრამ, ეს ყოველივე პარტიზანების ნაშოქმედარად მიიჩნია და საწყობის ცოცხლადდარჩენილი გუშაგებიც დოყლაპობისათვის უმკაცრესად დასაჯა.



როგორც კი ტყუპი ძმები დროოდეს საიდუმლო ხერხით მეფეთა აკლამაში უკანვე ჩაძვრნენ, დათჸუ შესასვლელ ყელთან ჩასაფრდა და მდევარს დაუდარაჯდა, მაგრამ ბოსფორის გამგებელი არც ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ დათვივით გაავებული გოლიათისთვის თითო-თითოდ ჩაეგზავნა საკუთარი მცველები გასაგლეჯად.

პერისადმა ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება მიიღო, ხერხილი ლოდებით ამოაქოლინა, ხოლო შესასვლელი ჩააქვიტირებინა და ტყუპ ძმებს ურჩხულის ყბებსა და წყურვილით სიკვდილს შორის არჩევანია არგუნა.

აკლამაში ჩამონაყარი ლოდების ხრიალის ხმა გაისმა თუ არა, თვალანთებულმა და საბრძოლველად გამზადებულმა დათჸუმ დაგესლილივით დაიღრიალა და თავში გამეტებით წაიშინა ტორები; ცხადზე უცხადესი იყო, რომ თავის დახსნის იმედის ნატამალიც კი სამუდამოდ გაქრა და გაქარწყლდა.

აქვითინებული მიეახლა ძმას, ხელმწიფისათვის განკუთვნილ სარკოფაგზე რომ წამოწოლილიყო, მაშხალაც აენტო და აკლამის ქერზე მოცეკვავე ჩრდილებს ისეთი გულისყურით მისჩერებოდა, თითქოს ამქვეყნად ყოველგვარი სადარდებელი გამოლოვდა.

— დავიდუბეთ, — ჩივილით შესტირა დათჸუმ. — ჩვენი უდიდესი სალოცავი — მთვარის კერპიც კი ველარ გვიხსნის, ერთილა დაგვრჩენია, ორთავა

დრაკონის კერძი რომ არ შევიქმნათ, ქვის ამ სამარეში საკუთარი ნებით ჩაეწვეთ, თავსადგარიც გადავიხუროთ და კბილებით მაჯის ძარღვები გადავიხსნათ.

თუტუმ მაშხალის ტარი მარმარილოზე დააკაჟნა.

— რატომ ჩქარობ სიკვდილთან სტუმრობას, როდესაც იმის მასპინძლობას ვერსად გაექცევი, — მშვიდად შეაგონა ტყუპისცალს, — ეს ერთი, და მეორეც, ნუ მიშლი ფიქრს?!

აცრემლებულ დეკაცს გაოცებისაგან ყბა მოექცა, „ნუთუ ღმერთების ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ კიდევ არსებობს ძალა, რომელიც ჩვენ შეგვეწვევა და გვიხსნის?“ — კმუნვით გაიაზრა და სარკოფაგთან მოწყვეტილ ჩაქდა.

აკლდამაში შემავალი კარიდან კი უკვე გარკვევით ისმოდა კიანფას რვა ფეხის მონაცვლების დგანდგარა ხმა.

„ახლა უკვე ნათელია, რატომ გაჭრა ღრიოდემ ლაბირინთის გვირაბები ორჯერ უფრო მაღალი და განიერი, — მსჯელობდა თუტუ, — საიდუმლო გადასასვლელებიც იმ მიზნითაა შექმნილი ესოდენ ფართო, რომ ურჩხულმა თავისუფლად იმოძრაოს, და ეს ყოველივე პერისადის ბრძანებით გაკეთდა, ამის გამო არ შეგვხვედრია არსად არც იატაკქვეშა ფარული ორმოები და არც სხვა დაბრკოლებები, გარდა მოქანავე ფილებისა, თუმცა ეს ხაფანგი იმდენად ვიწროა, რომ ორთავა ურჩხული თავისუფლად გადმოაბობდებდა მას; ისრები კი, როგორც ჩანს, მის ჯავშანს ვერაფერი დააკლბდა“.

თუტუ მარჯვენა მხარეს გადაბრუნდა ტყუპისცალს ზურგი მიაქცია.

„ახლა მეორე, — განაგრძო ფიქრი, — ბერკეტები და სხვა დამხმარე ხელსაწყოები, იმ უმძიმეს კართა შესაღებად, რომელიც დათჰუს შემწეობით დავძლიეთ, ღრიოდემ იმიტომ არ მოიშველია, რომ მათ გამოყენებას არ აპირებდა, ხოლო კიანფა სრულად გონიერი არსება არ არის, მაგრამ რადგანაც

ლაბირინთში თავგზა არ დაებნა და ჩვენს კვალსაც შეუტდომლად მოჰყვება, უდავოა, რომ ყნოსვის შემწეობით მოქმედებს“.

— ის უკვე გვიახლოვდება, — ჩურჩულით დაიხავლა დათჰუმ, წამოხტა და ტყუპისცალს მხარში ჩააფრინდა, — დავგმანოთ კარი!

— ეგ უაზრობაა, — მშვიდად აუხსნა თუტუმ, — ურჩხული ცხვირის დაცემინებითაც კი შემოაღებს მას.

დათჰუმ სასოწარკვეთისაგან თმებში იტაცა ხელი, ძმამ კი ამ დროს აბრალებული მაშხალა მიაჩეჩა, თავად პირქვე გაწვა და პირისახე ხელისგულეებში ჩამალა.

„მესამე და უმთავრესი კი ის უნდა იყოს, რომ ღრიოდემ მეტისმეტად პრიმიტიული გვირაბი გათხარა აკლდამის გასაძარცვად, ამაში თავიდანვე დავეჭვიდი და ვარაუდი იმანაც დამიმოწმა, რომ ეს ხვრელი არც გარედან აღმოჩნდა შენიღბული, რასაც ჩემი მუდამ ფრთხილი და გაიძვერა მწვრთნელი არაფრით დაუშვებდა, და თუ სამთავე დასკვნას შევაჯამებთ, ნათელზე უნათლესია, რომ ჩვენს მიერ აღმოჩენილი გასასვლელი თვალისასახვევადაა შექმნილი, და ვინაიდან ღრიოდემ ლაბირინთის გამოყენებას არც აპირებდა, იმასაც საზღვრავდა, რომ პერისადს იგი სამუდამოდ შეეძლო მეფთა სამარხში გამოემწყვდია, ამიტომ უსათუოდ გათხრიდა სხვა, სრულყოფილად შენიღბულ გასასვლელს და ეს გასასვლელი აქვეა აკლდამაში“.

თუტუ იმდენად სწრაფად წამოჯდა, რომ აღსასრულის შიშით გათანჯული მისი ტყუპისცალი შეკრთა კიდევ, რადაცის თქმაც დააპირა, მაგრამ დიდთავა ქონდრისკაცმა პირზე ხელი ააფარა.

— კარგად დამიდგე ყური, დათჰუ, — ისეთი დამაბული და მომთხოვნი ხმით უთხრა, რომლის მაგვარიც არასოდეს სმენოდა.

— ეს ხვრელი, — სახით მიანიშნა, — ღრიოდეს თვალთმაქცობაა და დარწმუნებით ვიცი, რომ არსებობს სხვაც, რომ

მლის პოვნა და აღმოჩენა გაცილებით ძნელია, ღამურებმა მას ვერ მიაგნეს, რადგან მეტისმეტად სქელი ქვით არის დაგმანული. შენ მარტოს მოგიწევს მისი მოძებნა და აღმოჩენა.

— რატომ მარტოს? — შეშფოთებით დაეკითხა ძმა.

— მომისმინე-მეთქი, — შეუყვირა თუტუმ, — კიანთა ჩვენს ნაკვალევს გეშაღებულები ძალივით მოსდევს და მალე აქ იქნება, მის ყებებსა და შხამს მოკვდავი წინ ვერ აღუდგება, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი შეცდენა შესაძლებელია და ამიტომ ჩვენს შორის ერთ-ერთი უნდა გაიწიროს... და ის ერთი მე ვიქნები.

დაძვთ მუხლებზე შემოეხვია ტყუპისცალს, მძლავრად შემოაჭლო მკლავებს.

— არა, თუტუ, არა! — შეძრწუნებულმა დაიხავლა, — ეს არ მოხდება!

— გაჩუმდი, — შეაჩერა ჯუჯაკაცმა და თავზე ხელისგულებით დაეხვინა, — ურჩხული მთარული სიკვდილია. სიკვდილი კი მხოლოდ ცოცხალს სდევნის, შენ ამ უბედურთა შორის უნდა ჩაწვე, — მოწამლულ მონათა გვაგებზე მიანიშნა, — მიცვალებულთა სუნი გიხსნის, მე კი დავენახვები და გავიქცევი, არ ვიცი, რა სიგარძისაა ლაბირინთის დარჩენილი ნაწილი, ვერც იმას გეტყვი, რამდენ ხანს მეყოფა ძალონე, მაგრამ რამდენზეც შევძლებ, გავიტყუებ, ნაბიჯზე ვატყობ, მეტისმეტად მიმედ მოძრაობს.

— ნუ იქმ, ძმაო, მავას, — აქვითინდა დათჳ, — ერთად დაბადებულები ერთად დავიხოცოთ, ეს უფრო მართებული იქნება.

ქონდრისკაცი სარკოფაგიდან ჩამოხტა და გოლიათ ტყუპისცალს მაშხალა ხელიდან წაპვლიჯა.

— დამიჯერე, დათჳ, დაბეჯითებით უთხრა, — გვარის გამგრძელებლად ჩემისთანა გონჯს შენდაგვარი ჯანმრთელი კაცი სჯობს, ხომ გახსოვს სიზმარი, დედა რომ იხილე, მამცნე კიდევ, ძუძუს გვაწოკებდა დამშეულ ჩვილებსო, იმ

ღამეს მისი სახება მეც გამომეცხადებოდა, ვიცი, ჩემი წილხვედრი ძუძუ რძეგამშრალი იყო, ეს არჩევანი ჩვენივე მშობლის ნებაა და განგების წინასწარი ნიშანიც, სჯობს სიმახინჯემ იხსნას მშვენიერება, ვიდრე მშვენიერება შეეწიროს სიმახინჯეს.

— მე ვერ შევძლებ საიდუმლო გასასვლელის აღმოჩენას თუტუ, გონება და განსჯა არ მეყოფა, — მხრებში ხელი სტაცა ტყუპისცალმა. — სირბილით კი შენზე მარჯვედაც გავიქცევი და უფრო შორსაც...

კიანთას ფეხთახმა ბოლო შემოსახვევში გაისმა, აკლდამამდე ორმოცდაათი ნაბიჯილა რჩებოდა.

— ყოველივე გადაწყვეტილია, — მტკიცედ დაასკვნა თუტუმ და გასასვლელისაკენ გაემართა, — კარგად შეამოწმე, შესაძლოა, საიდუმლოს გასაღები რომელიმე ქანდაკებაშია, ეს ბერძენ ხუროთმოძღვართა რჩეული ხრიკია, — გზადაგზა მოძღვრავდა, — თუ სიცოცხლე გსურს, იაზროვნე, განსაჯე და განჭვრიტე, სხვაგვარად შენც განწირული ხარ და ჩვენი შთამომავლობაც, — უთხრა და აკლდამის კარში გაიხედა.

ნაკვერჩხლებივით აელვარებულნი ორი უზარმაზარი თვალი უკუნეთს წითლად ანათებდა.

— ერთი უკანასკნელი თხოვნა შემისრულე, დათჳ, და მონაგარსაც ანდერძად დაუბარე, — უთხრა და ძმას გამამხნევებელი ღიმილით ახედა, — ჩვენს გვარში თუ ოდესმე ნაირთვალა ბიჭი დაიბადა, ჩემი სახელი დაარქვან.

თუტუ ვაქვავებულ ტყუპისცალს მკერდში ჩაეკრა, გულზე აკოცა, სანაცვლო ამბორსაც არ დაელოდა, კარში მაშხალაშემართული გაიჭრა და ათიოდენ ნაბიჯზე მოახლოებულ ღრაკონს წინ გადაუდგა.

— ჰეი, ბოროტების ბილწო მსახურო, — ზიზღით შეუძახა, — შხამადაც შეგრგებია ჩემი სიცოცხლე!

ორთავა ურჩხულმა სისხლმწყურვალე ვნებით დაიდრიალა, ხანჯლებივით ეშვები გააღრჭიალა. რვავე ფეხი ერთ-

დროულად ააჩქარა და ლაბირინთში გა-  
ქცეულ ქონდრისკაცს სიკვდილივით  
დაედევნა.

ორი უსაშველო დღე და ორი უსას-  
რულო ღამე შეუსვენებლად გარბოდა  
თუტუ ლაბირინთში და ორ დღესა და  
ორ ღამეს მისდევდა შეუჩერებლად მას  
კიანფა.

ორჯერ ამობრწყინდა ამ ხნის განმა-  
ვლობაში პანტეკაპეონში მზე და ორ-  
ჯერ შეცვალა იგი მთვარემ.

პატარა, ფეხებმორეცილი ჭუჭაქა-  
ცი კი დამსკდარ-დასისხლიანებული ტე-  
რფებით მიინც გარბოდა, აღარც ძალა  
ჰქონდა, არც გზისმანათობელი მაშხალა  
გააჩნდა, წყვილიადა და უკუნეთში კედ-  
ლებს ეხეთქებოდა, წყურვილ-შიმშილ-  
ისაგან თავბრუ ესხმოდა, გონსაც ხში-  
რად ჰკარგავდა, მაგრამ როგორც კი და-  
ეცემოდა, რაღაც არაადამიანური ნები-  
სყოფის მოხმობით ზეწამოდგომის ძალ-  
ას მიინც პოულობდა და კვლავ გარბო-  
და.

გონებითაც იცოდა და გუმანიტაც  
ხედებოდა, რომ განწირული იყო, ცხა-  
დლივ გრძნობდა თვით სიცოცხლაც კი  
არ ღირდა იმ ტანჯვის საფასურად, რა-  
საც განიცდიდა და იტანდა, მაგრამ რწ-  
მენა და შეგნება იმისა, რომ შეუძლებ-  
ლის შეძლებით თავის სისხლზორცს,  
გენს და შთამომავლობას სამარადუა-  
მო განადგურებისაგან იხსნიდა, ზეკაც-  
თა შესაშურ სიძლიერეს უნერგავდა.

მეორე დღე-ღამის დასასრულს, რა-  
დესაც მთვარე კიმერის სრუტეში ჩა-  
ინთქა, ხოლო მზე ჯერაც არ იყო საა-  
მქვეყნოდ შობილი, განწირული ქონდ-  
რისკაცი მარადიულ წყვილიდში ქვის  
ტიხარს შეენარცხა. ეს იყო პერისადის  
ბოროტი გენიის ნებით შექმნილი კედ-  
ელი, რომელიც მეფეთა აკლდამას ცრუ  
უორღანისაგან მიჯნავდა, რათა ამით სი-  
კვდილისათვის ისეთი უმეცრება დაემ-  
ტკიცებინა, როგორც მიცვალებულთა  
სიმდიდრე და სიღარიბეა.

კიანფამ შეუცდომლად მიავნო მის  
ვერპლს, რადგან დადევნებული აღსას-  
რული ადამიანს არასოდეს ჰკარგავს.  
ოთხი ებით ორად გაგლეჯილი ტანჯულ-  
ის სხეული უძლებ სტომაქში ჩაინთქა,  
და ამით დასრულდა სიცოცხლე იმ კა-  
ცისა, რომელსაც დაბადებით სხვადას-  
ხვა ფერის თვალები ჰქონდა — ერთი  
მაისის უღრუბლო ზეცასავით ლურჯი  
და ხასხასა, ხოლო მეორე — კარბონატ-  
ივით შავი და სხიმფრქვეველი, და ეს  
თვალები უპირველესი ბუღას ქურუმ-  
თა წინამძღოლის თქმით, ერთ არსება-  
ში ორი ღირსეული რაობის — ღვთი-  
ურისა და ადამიანურის მიმნიშნებელი  
იყო.

ცოტაოდენი რამ თუ განაცდევინ-  
ებს ადამიანს ისეთ სიამაყეს და მიანიჭ-  
ებს იმდაგვარ შინაგან კმაყოფილებას,  
როგორსაც საკუთარი ღირსების შეგრ-  
ძნება, მით უმეტეს, თუ ამას სხვა პირ-  
ვნების საქციელიც დაუდასტურებს.

თითქმის ამდაგვარი რამ განიცადა  
უფარაჯო ჯარისკაცმა, როდესაც დაბინ-  
დებისას ფლატეზე გამოობლდა და დო-  
ქტორი ფონ ბაბენბერგი მხართემოზე  
წამოწოლილი იქვე დაუხვდა, სადაც შუ-  
ადღისას მიატოვა.

„საოცარია, — გაიფიქრა, — თუმცა  
კი ვავბედე და ამ უცხო გვარტომის  
კაცს ვენდე, მაგრამ მთლად დაჭერებუ-  
ლი მის პატიოსნებაში მიინც არ ვიყავი,  
მაშინ, როდესაც ხანინი ამაში აბსოლუ-  
ტურად დარწმუნებული აღმოჩნდა.“

— სიტყვის ადამიანი ყოფილხართ.  
— დამსახურებული ქება არგუნა გერ-  
მანელ არისტოკრატს, თუმცა იმან ქა-  
თინაურს ყურიც არ ათხოვა.

— თქვენ ძველ ლაბირინთში შეპარ-  
ვას აპირებთ? — ამის სანაცვლოდ ჰკი-  
თხა.

— დიახ, — დაეთანხმა უფარაჯო, —  
რაღაც უნდა დამიჯდეს, ეს ხომ გარნი-  
ზონის უფროსის ბრძანებაა.

ფონ ბაბენბერგმა ისე შეიბჯინა თავ-  
ქვეშ ხელისგული, თითქოს ცხვრის ფა-



რა ჰყავდა სამწყემსად გამოყვანილი და ბექიდან გადაჰყურებდა.

— დამერწმუნეთ, მხოლოდ ცდაც კი უაზრო თავგანწირვა იქნება, — დამაჯერებლად აღნიშნა, — თუნდაც, დამხმარედ მიძიმე ტანკების შენაერთი გამოცვეთ.

ჯარისკაცი იმ ხავსიან ლოდზე დაეშვა, რომელზეც გამთენიისას გერმანელი არისტოკრატი იჯდა. დრო ჯერ კიდევ საეკოიდ ჰქონდა, მზე ახლად ჩასული ჩანდა და ახლა მხოლოდ აბრიალებული ჰორიზონტილა ახსენებდა მხილველს მის ოდინდელ არსებობას.

— მაინც უნდა ვცადო, — დაბეჯითებით თქვა, — თუნდაც ასიდან მხოლოდ ერთი შესაძლებლობა მქონდეს.

— ათასში ერთიც არ არსებობს, — განუცხადა ფონ ბაბენბერგმა, — მე ზედმიწევნით ავწონ-დავწონე ყოველივე და დასკვნაც იქიდან გამოვიტანე, კატაკომბებისაგან განსხვავებით, ლაბირინთს ერთადერთი გამოსასვლელი ჰქვს.

— როგორ დაადგინეთ? — გაოცდა უფარაჯო ჯარისკაცი.

არქეოლოგიის დოქტორი წამოჯდა, ფეხები შეიკეცა და სპარსულ ყაიდაზე მოირთხა.

— თქვენი აქ არყოფნის პერიოდში, ლაბირინთში გამაგრებულმა ნაწილმა ორჯერ სცადა ცეცხლით თავის დაღწევა და ორჯერვე უშედეგოდ. ჩანს, მეტი სიმეტად არათანასწორია ძალთა თანაფარდობა, მაგრამ ალყაში მოქცეულთ უკიდურესი გაჭირვება მაინც აიძულებს უაზრო თავგანწირვას.

— ეგ საიდანღა განსაზღვრეთ?

— სამმა მათგანმა, როგორც იქნა, შეძლო ძველი კარიერის ტერიტორიაზე გამოღწევა და მათმა ქანცვაცილილმა სირბილმა და მოდუნებულმა მოქმედებამ დამარწმუნა, საკვებზე რომ აღარაფერი ვთქვა, სულ მცირე, მთელი კვირის მწყურვალეები, მაინც იქნებოდნენ.

— ესე იგი, ალყის გარღვევა შესაძლებელი ყოფილა, — მამხილებელი ნიშნისგებით უთხრა უფარაჯომ, — შემდეგ რა მოხდა, რა ბედი ეწიათ?

თანამოსაუბრემ თვალი თითქოს მიძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და გამხელა ესირცხვილებოდა.

— დასაწყისში მეც ასევე ჩავთვალე, მაგრამ შემდგომ მივხვდი, რომ ის უბედურები განზრახ გამოატარეს, ესეიღებს უყვართ სასტიკი თავშექცევები და ამდაგვარ გასართობებს სისხლიანი მისტერიების სახელით ნათლავენ.

— როგორ თუ თავშექცევა? — გაიკვირა ჯარისკაცმა.

ფონ ბაბენბერგმა მუხლებთან წამოზრდილ ბალახში გვირილა მოწყვიტა და ერთხანს უაზროდ ატრიალა თითებში.

— კარიერი მთლიანად გარემოცულია და აქედან გაღწევა შეუძლებელია, ლტოლვილებს ჯერ ყველა ვაზნა დააცლევინეს, შემდეგ კი შავი მგლები — დობერმან პინჩერები მიუსიეს და ნაჭერ-ნაჭერ ცოცხლად დააგლეჯინეს.

უფარაჯო ჯარისკაცმა ფერი დაკარგა, ცხვირიც კი გაუფთორდა. თქმით სიტყვაც არ დასცდენია.

— ისინი იცინოდნენ, — ცხადად განცდილ კოშმარს იხსენებდა არქეოლოგიის დოქტორი, — არა, კი არ იცინოდნენ, ხარხარებდნენ, მე არასოდეს მსმენია რაიმე მსგავსი, იმ ხორხორის ხმა ლიუციფერსაც კი შეზარავდა, ადამიანის არსებულ და არარსებულ მტრებს შორის უბოროტესი, მაინც ადამიანია.

— ადამიანი, — კბილები გააღრჭიანა ჯარისკაცმა, — თქვენ ასე თვლით?

— მართალი ხართ, — მიუხვდა გვერდით მჯდომი, — გარეგნულად მსგავსნი.

კოტა ხანს გარინდებულები იხსდნენ, ბინდმორეულ ქვის კარიერს ჩასცქეროდნენ.

— ჩვენ მაინც მოგვიწევს ყოველივეს შემოწმება, — დაფიქრებით აღნიშნა უფარაჯომ, — სხვა გზა არა გვაქვს.

— ნება თქვენია, — დაეთანხმა ფონ ბაბენბერგი, — მე იქამდისაც ავცოცდი, — გვირილით იმ ქართამდის მიანიშნა,



სადაც გამთენიისას ტყუბი ძმები იხილეს, — იქ მართლაც არსებობს საიდუმლო ხვრელი, მხოლოდ პროფესიონალის თვალისათვის აღსაქმელი და უხსოვარ ღროს ამოშენებულ-დაგმანული.

— რომ შეენიშნეთ, — შეშფოთდა უფარაჯო ჭარისკაცი, — ისინი ხომ განუწყვეტილად ზეერავენ გარემოს.

— შეენიშნეს კიდევ და სროლაც ამიტხეს, — მშვიდად აღუყა არქეოლოგიის დოქტორმა, — მაგრამ, როგორც ჩანს, ბედი მწყალობს.

ჭარისკაცმა უკმაყოფილო სახით გაძახედა.

— მაგის უფლება მე თქვენთვის არ მომიცია, — წყრომით უთხრა.

— მართალია, — დაეთანხმა ის, თან გვირილას ნესტოებზე იცაცუნებდა. — მხოლოდ ერთიცაა, არც აგვირძაღავთ, ხომ ასეა?

ორივენი გაყუჩდნენ, გაბუტულებივით სხვადასხვა მხარეს სახემოქცეულები უბრად ისხდნენ. შემოდამების თალხი ნელინელ ეძალეობდა რიბირაბოს. ირგვლივ უჩვეულო სიმშვიდე და სიწყნარე სუფევდა, თითქოს დედამიწაზე არათუ ომი, ყოველგვარი ხმაურიც კი აეკრძალა ბუნების უზუნაეს ძალას.

„მეტისმეტად თავხედურად მოვექეცი, — ქირღვით ფიქრობდა უფარაჯო — მტერი მოკეთედ მოიქცა, ჩვენს გამო თავიც გასწირა და მე კიდევ ისეთი ბაქიბუქით ვტუქსავ, თითქოს ხელზე მოსამსახურე ბიჭად მყავდეს აყვანილი, ამასთანავე ხანინის დარიგებასაც უგულბებლავყოფ.“

— თქვენ რას მიჩვენთ, — ლობიერად დაეკითხა, — როგორ მოვიქცე?

გერმანელი არისტოკრატი კვლავინდებურად გვირილას ყნოსავდა — ვერასოდეს ვიფიქრებდი ამ მინდვრის ყვავილს თუ ასეთი საოცარი სურნელი ექნებოდა, — ჯერ ეს აღნიშნა და შემდეგ უბასუხა: — ვინაიდან ლაბირინთში შეღწევა მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი, ყველაზე გონივრული იქნება, დაგმანული ხვრელი შევანგრიოთ, დრო-ყამს იგი საკმაოდ დაუბზარავს და დაუსუსტებიან.

უფარაჯო ჭარისკაცმა ქეჩო მოტეხა, ხვდებოდა, ერთადერთი და სწორი გადაწყვეტილება უნდა მიეღო. ამასთანავე, მეტისმეტად მნიშვნელოვანი.

— ვინ არის თავმდები, რომ იქიდან გზას გავიგნებთ?

— არავინ, — ეჭვი დაუდასტურა არქეოლოგიის დოქტორმა, — მით უმეტეს, რომ ასეთი ტიპის ნაგებობანი ოდითგანვე იმ მიზნით იქმნებოდა, რათა შიგემმაქსაც კი თავგზა დაბნეოდა.

როდესაც მთლად ჩამობნელდა, ჭარისკაცი დაღმა მიმავალ ბილიეს ჩაუყვავ, ფონ ბაბენბერგიც თან გაიყოლა და მთვარის ამოსვლას კლდის ქვეშ ღრმულადშეჭრილ ქვაბურში დაელოდა, თვალნათლივ სურდა ლაბირინთის მიუვალობაში დარწმუნება.

სამალავში მათი შეყუყვიდან თხუთმეტი წუთიც არ იქნებოდა გასული, ქვევით ერთი რიარია და ორომტრიალი რომ დატრიალდა. ჯერ სირენების გაბმულმა ცივილმა და ძაღლების დავღავმა შეძრა ჩაუამული არემარე, შემდეგ მძლავრმა პროექტორებმა დღესავით გაამზეურა ლაბირინთის შესასვლელი ყელი, საიდანაც წელში მოხრილი ლანდები ზიგზაგებით გამორბოდნენ და სამივე მიმართულებით კანტიკუნტად და მომჭირნედ ისროდნენ; სამაგიეროად, აქეთ-იქით ჭაბურღილებივით ამართული, შეჯავშნული საგულშაგოებიდან დაზვის ტყვიამფრქვევების ჯვარდინი ცეცხლი ყოველივეს ცხრილავდა და ადულბდა. მოწინააღმდეგეთა ძალები მართლაც რომ უკიდურესად არათანაბარი და უთანასწორო ჩანდა.

„ნათელია, ოტკავნის ხალხს ჩვენზე გაცილებით მეტად უჭირს და თუ ხანინის გამოგზავნილმა მზვერავებმა აქ სცადეს გზის გაკვლევა, უჯობდათ, რკინის კედელს შეწყდომოდნენ მკერდით“, — სინანულით გაიხზრა უფარაჯო ჭარისკაცმა და ფონ ბაბენბერგს უკან გაბრუნება ანიშნა.

მთვარის ამოსვლამდე ძველ სამალავს მიაღწიეს, ნიკოლოზ დანჩენკოს ძალაყინიც გაიყოლეს და, თუმცა, გაუ-



ქირდათ, ტყუბი ძმების ქარაფზეც დროულად აბობლდნენ.

— ეცადეთ ნამტვრევები შიგვე ჩაპყაროთ, — უთხრა არქეოლოგიის დოქტორმა, როდესაც ჯარისკაცმა ძალაყანის პირი ქვეთკირის ნაბზარს მთარგო. — ხმაურიც ნაკლები იქნება და იმასაც დავადგენთ, ხერელი ამოქოლილია თუ არა.

— მართლაც რომ ასე აღმოჩნდეს, — შეშფოთებული ჩურჩულით დაეკითხა უფარაჯო, — მაშინ რაღა ვიღონოთ?

ფონ ბაბენბერგმა მხარზე გამამხნევებლად მოუთათუნა ხელი.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ასე არ იქნება.

რამდენადაც შეეძლოთ სწრაფად და მონაცვლეობით მუშაობდნენ, ძალღონით ვედარცერთი ვერ მოიწონებდა თავს, მცირეოდენი დაძაბვის შემდეგაც კი ასთმით დაავადებულის ქოშინი ერეოდათ და გული ყელში ებჯინებოდათ, ეტყობოდა, უშედევგოდ არ ჩაევლო დიდ გაჭირვებას და შხამიან გაზებს. ასე იყო თუ ისე, ორივე ხორციელი არსება იყო.

დროოდეს ხერელიდან ათიოდე მეტრით მალდა, ფრიალო კლდის თავზე, ზეგანისეული ვაკე იწყებოდა, სადაც მთვარის ამოსვლამდე ბუსთვალა ადამიანიც ვერაფერს შენიშნავდა, მაგრამ როგორც კი ღამეულმა მნათობმა მიდამო გააშუქა, მინდორში ქურდულად და ფეხაკრეფით მოარული ლანდები გამოაჩინა.

გვირაბის მთხრელთა ზევით, ქუდივით გადმოფარებული კლდის თავზე, ბლახზე ყურდადებული კაცი იწვა, მეორე ფერხითით დასდგომოდა და ყურადღებით დასცქეროდა.

— ისმის რაიმე ჰაინრის? — ჩურჩულით დაეკითხა ის.

წამოწოლილმა ხელი დაუქნია, თითქოს დასაძინებლად მიიბატიყო და როდესაც იმან ჩაიმუხლა, ჩუმი ხითხითით ამცნო.

— ბატონო ფელდფებლო, წრუწუ-

ნები სოროდან გამოცუნცულდნენ და ახლა კაკანათის კარებს უტრიალებენ, შესვლას ცდილობენ.

ფელდფებლომა დამშეული მგელივით გამოაჩინა ლოჯები.

„მართალი აღმოჩნდა ბლუ იოჰანი, — გაიფიქრა, — როგორც დასტურდება, დღისით აქ გამოცოცებული პარტიზანი მართლაც ფარულ შესასვლელს ეძებდა“.

— რამდენნი არიან? — დაეკითხა მიწაზე განრთხმულს.

სქელუა ჰაინრიხმა არცოდნის ნიშნად ხელი აზიდა და გაასავსავა.

— მოგროვდებიან, — მერე მიუგო, — საღ წავივლივ.

ფელდფებელი ჰანს ფისნერი შტურმბანფიურერ გენეციუსთან სამახარობლოდ გაეშურა, გზად თავისსავე ხელქვეითებს გაუარა, რომლებიც ორთვალა ურიკას შემოსხდომოდნენ მინდორში და ხმადაბალი ქილიკით მასავე ჰორავდნენ. ურიკაზე წყალში დამხრჩველივით გაბერილი ფუგასური ბომბი იყო დასვენებული.

— პეტერ, — მიმართა ყირაფივით ბრტყელტუჩას და პატარათავიანს, — ყოველგვარი ყბედობისა და ტიტყინის გარეშე ეს ძვირფასი ძღვენი ჰაინრიხთან მიაგორეთ და გამზადდეთ, მე ახლავე დავბრუნდები, თუ რომელიმეს სიცოცხლე მოგებრდათ, გაბედეთ და თუნდაც ცხვირი დააცემინეთ.

უფარაჯო ჯარისკაცმა და ფონ ბაბენბერგმა შუალამემდე იჯახირეს და ღვარეს ოფლი, ბოლოს, როგორც იქნა, კედელი გაარღვიეს და საიდუმლო ხერელში ჩაძვრნენ, აქ კი ბედმა ნაწილობრივ გაუღიმათ, რადგან ათასწლეულებს და მიწისძვრებს ქვის გვირაბი დაეზხარა, გაეფართოვებინა კიდეც და ოდესდაც შიგ ჩაყრილი ლოდები ერთიანად ჩაეპირქვავებინა და ჩაეხვავებინა მეფეთა აკლდამაში.

ჯარისკაცი, როგორც უფრო ახალგაზრდა და მოხერხებული, პირველი ჩაეშვა, გაცილებით სწრაფადაც ჩაიცოცდა

და როდესაც არქეოლოგიის დოქტორი ბოსფორის სახელმწიფოს გამგებელ სპარტოკიდთა აკლდამაში აღმოჩნდა, გაცევისა და მოულოდნელობისაგან თავშეუქავებელი და უნებლიე ოხვრა აღმოხდა.

მის თვალწინ ჭრაქის შუქით განათებული და გასხივოსნებული ოთხი უდიდესი ღმერთის უმშვენიერესი და უძველესი ქანდაკება იდგა, რომელთა თვალის შევლევაც არქეოლოგიის დოქტორისათვის სრულიად საკმარისი იყო იმის მისახვედრად, რომ იგი, ოტო ფონ ბაბენბერგი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლის აღმოჩენის შემსწრე შეიქნა.

მიუხედავად გაუსაძლისი გაჭირვებისა და უკიდურესი ქანცვაცლისა იმ წუთში მან ქვეყნად ყოველ კაცზე უბედნიერეს ადამიანად მიიჩნია თავი.

და სწორედ იმ წამს, როდესაც ფონ ბაბენბერგმა ეს შეიგრძნო, მის თავზე თითქოს ზეცა განიხვნა, რალაცამ საშინელი გრგვინვით დაიქუხა, ჰერი ჩამოაქცია და ირგვლივ მარადიულმა წყვილადმა დაისადგურა.

ორი უსაშველო დღე და ორი უსაშველო ღამე დაბორიანდებდა ბალივით აცრემლებული დათბუ მეფეთა აკლდამაში და ფეხის თითებიდან ხვეულ თმებამდე სინჯავდა და ელაციცებოდა ბერძენთა ოთხი უდიდესი ღმერთის ქანდაკებას.

ხოლო მესამე ღამეს, როდესაც მისი ტყუპის ცალის სისხლხორციტ მუცელამოყორილი კიანფა, მძიმე და დაღლილი ნაბიჯებით უკანვე მოუყვებოდა ლაბირინთს, ცივი ქვის იატაკზე მძინარე შიშველ გოლიათს ყოველი ადამიანის უდიდესი სალოცავი — დედა ესიზმრა.

ამომავალი მზით განათებული ქოხის ღია კართან მდგომი მშობელი ორთავე ქალღმერთზე მშვენიერიც იყო, სხივმფინარიც და თავსზევით მკლავშემართული, მარჯვენა ხელის მტევანს ისე

ამოძრავებდა, თითქოს პირმშოს თავის კენ და სიცოცხლის მომნიჭებელი მნათობისაკენ ერთდროულად უხმობდა.

შლეგვიით წამოვარდა დათბუ, მაშხალა აანთო, ხელაწეულ აფროდიტეს ქანდაკებას კვარცხლებეზე აუხტა, თითებში სწვდა და მაჯა მოაბრევიდა.

იმავე წამს, დარბაზის უშორეს კუთხეში, ამოქოლილი ხერელის პირდაპირ, უზარმაზარი ქვის ლოდი უხმაუროდ გამოიღო და აღმა, თავისუფლებიდან მიმავალი კიბის საფეხურები ჯანმრთელებიანი ღიმილივით გამოაჩინა.

აუტანელი, ხანგრძლივი შიმშილი ყოველ სულდგმულზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს და ასეთ დროს მათში დედა ბუნების მიერ ჩახვრავილი საწყისი სრულ გამოშვებებს და გამეღვენებას იწყებს.

ცხვარი მიწას განერთხმევა, ცრემლიან თვალებს ზეცად აღაპყრობს და აღსასრულს უდრტივინველად, მორჩილად დაუწყებს ლოდინს.

მგელი საკბილოს მოსაპოვებლად ათას კილომეტრს გაიძუნძულებს და, თუ ვერაფერი მოიხელთა, მიწას დაუწყებს ჰამას.

გამოსაზამთრებლად ნაგროვები სარჩოს დამკარგველი ჩრდილოეთის ციყვი ორკაპა ტოტს შეარჩევს, შორიდან ისკუბებს, ქანაღებელი, კისერს შუაში ჩააკვეტებს და თავს იხრჩობს.

მთის არწივი მართვეს ბუდიდან გადაადგდებს, თვალჩაუდგამ უფსკრულში წინ გაუსწრებს და თავად პირველი ჩაიჩიებება.

დედობრივი მზრუნველობით არცთუ სხვა დროს გამორჩეული ალიგატორი საკუთარ შთამომავლობას შესანსლავს და ნიანგის ცრემლებსაც უხვად დაღვრის.

ვეფხვი გარეულ კამეჩთა, ანდა სპილოთა ჯოგს შეგებება და შიმშილით სიკვდილს უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვას ამჯობინებს.

თანაზიარად განცდილი უდიდესი

გაჭირვება სულეირად ძლიერ ადამიანებს აახლოვებს და მოკეთებდად მოაქცევს, მაშინ როდესაც სუსტებს, თუნდაც სისხლის ნათესავეებს, ერთიმეორეს წაჰკიდებს და კიდევ გადაამტკერებს.

მშვიერ-მწყურვალ არსებას, როგორც წესი, ერთი საფიქრალი და საზრუნავი აქვს, როგორმე კუჭი ამოივსოს და დარწყულდეს, მაგრამ აჯიმუშაკის მიწისქვეშა გარნიზონის მეციხოვნეებს, ამ ერთის გარდა, კიდევ იმდენი თავსატეხი ჰქონდათ, რამდენიც თავად იყვნენ.

კომისარ მანოხინს განუწყვეტლივ ის აფიქრებდა, როგორ დაეპურებინა ამდენი ხალხი, როდესაც დაკეპილ-დამარბილებული კომბოსტოსა და ამძაღბული ფქვილის გარდა, აღარაფერი გააჩნდა და იმასაც პეშვობით, მომჭირნობით ანაწილებდა.

ღამეულ თავდასხმებს და ამ გზით აღადის მოპოვებას შედეგი აღარ მოჰქონდა, რადგან გენერალ-პოლკოვნიკ ენნეკეს ბრძანებით, კატაკომბების სიახლოვეს მყოფ ყოფილ ოფიცერსა თუ ჯარისკაცს მკაცრად აეკრძალა ყოველგვარი სურსათ-სანოვაგის ტარება და გადაზიდვა.

ინეინერი ტრუბინი, რომელმაც დაღუპული მეგობრისა და ყოფილი წინამორბედის საყვარელიძის ვალდებულება იყისრა, ოთხკაციანი ჯგუფით ცენტრალური ქვაბურის სიახლოვეს დღეღამე ჰქრიდა ჰქვას და ორი კვირის თავზე საწაღელსაც ეწია — მთლიან კლდეში თხუთმეტი მეტრის სიღრმის ჰა გათხარა, მიწისქვეშა წყლის ნაკადს წააწყდა და ალყაში მოქცეულთ ერთ-ერთი უდიდესი სატანჯველი მოაშორა.

უცნაური დედაბერი ბაბა შურა, მიუხედავად მეთაურების ნებართვისა, არაფრისდიდებით არ ტოვებდა მიწისქვეშეთს, საყვარელ ჰრეღ დედალს, აკულინას ძველებურად ილღიაში გამოჩრილს დაატარებდა და ბავშვთა ლაზარეთს ყოველდღიურად კეთილსინდისიერად აპარებდა თითო კვერცხს.

ბაგეროველ გლეხს — „მოდგა“ ვალოს“, ყოველგვარ მომხვეჭლობაზე ხელი აეღო, აღარაფერს ახურდავებდა, ახლა მძიმე ფიცრებისაგან კაკანათსატყებელებს ამზადებდა და ვირთხებზე ნადირობდა, რადგან ქურანასა და მის თანამომძმეთა ჩლიქები კარგა ხნის წინ ჰქონდა მოთხრილი და წენიანად ქცეული.

სნაიპერი ხამზა ხოჯაევი კვლავინდებურად დაათრევდა გრძელსა და ნაცად შაშხანას, ფარულ ამოსასვლელებში ქვა-ღორღს ქამელეონივით ეხამებოდა და შიმშილისაგან დაუძლურებული არც ხელის კანკალს უჩიოდა და არც მხედველობის დაქვეითებას.

განსაკუთრებული ქიმიური ნაწილის უფროსის ვალტერ გეინეციუსის წინადადებით, კატაკომბებში მხოლოდ გაზების ჩატუმბვა მთელი ცხრა დღით განაახლეს, მაგრამ უშედეგოდ, რაც მეტი დრო გადიოდა, აჯიმუშაკელთა გარნიზონი უმეტესი მძვინვარებით იბრძოდა, და ქერჩის საოკუპაციო შტაბის უფროსმა, სხვა განმარტება რომ ვერ მოუძებნა ამ საოცრებას, ზემდგომათვის გაგზავნილ პატაკში მას „მასობრივი ფსიქოზის გამოვლინება“ უწოდა, ოღონდ ამ დიაგნოზში ერთი შეცდომა უდავოდ დაუშვა — „ფსიქოზის“ ნაცვლად სხვა, უფრო მნიშვნელოვანი აზრის შემცველი სიტყვა უნდა ჩაესვა, ვთქვათ „გმირობა“ ანდა „თავგანწირვა“, თუმცა ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ დაკავებულ პოსტზე უარის თქმაც მოუხდებოდა და უმეტეს უსიამოვნებასაც გადაეყრებოდა.

მაგრამ ყველა სხვაზე მეტი საზრუნავი და განსასკელი გარნიზონის უფროსს ხანინს ჰქონდა, რომელიც უკვე სანახევროდ გაქვავებული, გაუნძრევლად უჯდა საწერ მაგიდას და განუწყვეტლივ, მისხალ-მისხალ წონიდა ყოველივეს, რაც პირადად ევალებოდა და იმასაც ჰკვრეტდა, რასაც მოწინააღმდეგე მომავალში მოიმოქმედებდა.



### შენ ჩამორბიხარ

დაბლა დაცემულს  
დამცქერი შიშით,  
ხელში ამიყვან  
და ტირილს მიშლი.  
შენ ჩამორბიხარ  
ზეციდან მკვირცხლად  
და მთელ ქვეყანას  
ჩემს გამო კიცხავ.  
დაბლა დაცემულს  
დამცქერი შიშით,  
მელაციცებო

და ტირილს მიშლი,  
ფრენით ამიყვან  
მეშვიდე ცამდი  
და დავიწყებას  
ედლევა ცხადი.  
უეტრად ქრება  
ზმანება დილის,  
და ჩემს სახლს  
მწუხრის  
ეცემა ჩრდილი.

### სამუთხლოს გარეთ

უმზეო გზებზე  
სიცივე ყვირის,  
ვეკვრით ერთმანეთს.  
კაცი ამაყობდეს  
თოვლით და ყინვით —  
მიკვირს ღმერთმანი!

მე ვიცი ზოგი,  
მოსწონს ცა ბაცი,  
დაფარული

ცარციით და ნაცრიით,  
ემაყება  
ზიარი ცოლი  
და ყინვის მოლი.

განვიცდი შიმშილს  
მზისა და მთვარის  
და შინისაკენ  
მიჭირავს თვალი!

უშენოდ სეტყვად მექცა  
ნისლი ერთი ციდა,  
მუხები დამიხერხეს  
კარწინ  
კუბოს ფიცრად,  
აღარ მახსენდება  
გიტარა არც ჩანგური.  
ბალიშში ვიმღულრები  
თავჩარგული.  
შენ აგატივტივეს  
ცაში ვარსკვლავებმა,

და სინამდვილესთან  
ვერ შეძლე გამკლავება.

საწუთრო  
არც არავის  
მოგვცემს შვებას,  
არავინ იცის,  
ვინ სად ვკვდებით,  
საფლავებს სჭირდებათ  
მოფერება,  
საფლავებს უხდებათ  
წითელი მიხაკები.

## თეთრი ფერები

თეთრი ფერები მეცვა,  
სხვა ფერის შეუთრევლად,  
ჩიტბატონებს და მერცხალს  
ვთვლიდი  
ჩემს რჩეულ მრევლად,  
ვიცოდი, რა დროს ვნახავდი  
თოვლქვეშ მოხეტქილ  
ყვავილს,  
მხიბლავდა ქარი დამფრთხალი  
და კურდღლაობა ყანის.  
სად იზრდებოდა აბზინდა  
ვიცოდი, შეუმცდარად,

მას შემდეგ  
წლები გაფრინდა  
ბევრი რამ შეიცვალა.  
მე დავივიწყე  
ბარამბო,  
კურდღლის ცოცხა და სვინტრი,  
ცრემლის წვიმებმა დამალბო,  
მინდვრისკენ აღარ ვილტვი.  
ტანზე ჩამაცვენს დიდ ნდობით  
შავი სამოსი ყვავის  
და სხივჩამდგარი მინდორი  
ახლა უჩემოდ ყვავის.

## ვანი თუ არაფერი შეიცვალოს

სიტყვას სასალბუნეს  
ვერვინ მეტყუვის  
დამეს უცრემლებოდ  
ველარ ვათევ,  
დღეებს მივაგორებ  
წელის წყვეტით,  
მანაც არ ვთხოულობ  
შედავათებს.  
გულში მიმძაფრდება  
შიში ათად,  
ვაი თუ ძველებურად  
გძინავს ცულად,  
ვაი თუ სიზმრად გნახო  
იშვიათად,  
მანდაც იმედები გაგიცრუვდა.  
ვაი თუ გიღიმიან  
ისევ ცალყბად,  
ვაი თუ არც მანდ  
სჯიან უსახურებს,

შენი უიღბლობა უკან გაეყვა  
და კვლავ  
ჯვარზე გაეკრას იმსახურებ.  
ვაი თუ  
არაფერი შეიცვალა,  
და ჟამსაბრუნავში დარჩი  
ობლად,  
აღარ შემოგცინის დღე  
ცისმარე —  
კუბოს ჭერი დაგარჩა  
საჩრდილობლად.  
ძილშიც ვიდაცის ხმის  
ექო დამდევს,  
წარსულს ნუ მიიჩნევ  
უფასურად,  
და კვლავ უფალს ვუხმობ  
მე ქომავად,  
რადგან ჩვენი დასჯა  
უფალს სურდა.

## ძველი ალბომი

გადავფურცლავ ალბომს —  
დღეებს ჩემი ყრმობის,  
და დანესტილს ობით  
ცხარე ცრემლით ვალბობ.  
და მივტირი ჩავლილ  
ქარს, რომელიც არ ქრის,  
როცა პიტნის ჩაის

ვსვამდით კვნიწი შაქრით.  
ახლა ველარ მოვრწყავთ  
ვაშლაატმებს თვალწავლილს,  
ველარ დავკრეფთ მოცხარს,  
არც გზის ვინმე გვასწავლის.  
არ იფინქლებს ჟინვალთან,  
როგორც მაშინ ჟინქლავდა.

ცაზე ბედის, ვარსკვლავი  
ველარ ჩაგვიღიმილებს,  
ველარც წყაროს კამკამას,  
ველარც მამლის ყვირლებს  
ველარსაით დავლანდავთ,  
ვერ გავტოპავთ ალაზანს...  
ალარც თვალი შემკრთალი,  
ალარც ბალი მოცხარის,  
ალარცერთი თქვენგანი  
ალარ არის ცოცხალი!  
მაგ ღიმილით ველარ მრთავთ,  
განმა თქვენი ხე-ჭალა,  
მატყლის უხეშ ხელთათმანს  
ვერ მომიქსოვთ ხელჩქარად.

ველარ მოგიტავეხლებთ,  
დრო ჩაგიდგათ კრიჭაში,  
თქვენს საყვარელ სახელებს  
სიკვდილამდე ვინ წაშლის!..  
თვალზე ცრემლის შემშრობი  
ალარ დამრჩით არც ერთი,  
წლები დგანან ჩვენს შორის,  
ვფურცლავ ალბომს ვაცრეცილს.  
ცრემლის ცხელი ამბორით  
იხურება ალბომი.  
ვერ ვეწევი  
იმ დიდ გზებს  
და ტკივილად ვგიზგიზებ!



## და ვწერ

თბილი ღიმილით, ან ცრემლის სითხით, ან ტკივილების მწარე კუნწულით, დატვირთული მაქვს ურიცხვი სიტყვა, ფიქრის ურიცხვი მცირე კუნძული; არა იმიტომ, დროს, ძირს რომ მითხრის, გადავუშალო ფიქრი მცირედით თიხისგან ქმნილმა, სანამ კვლავ თიხის მღვრიე ბელტებში ჩავიძირები;

არა! როდესაც ვიცი, ვტირი, ვსაუბრობ ან ვწერ, მაშველ რგოლებად როდი ვაგროვებ სიტყვებს წვალბის ფასად რომ შევერჩე ვინმეს გონებას, ან კი ასეთი სუსტი ალიბით უქცდავებაში ვის დავაჯერებ? „სიკვდილმისჯილნი“ სველი თვალებით გაგვაცილებენ მაინც „დასჯილებს...“

ვწერ, რადგან სიტყვის ამოსვლა თვითონ, მინდვრად ბალახის ამოსვლასავით ბუნებრივია: ჯერ თითო თითო, მერე წყვილ წყვილი, მერე სამ სამი და, სიტყვა, როგორც ყვავილი სითბოს, სიხარულსა და ტკივილს მორჩილებს, და თუმცა ვხედავ ყვავილებს ცელით, სიტყვებს კი ისევ სიტყვით მოჭრილებს, მაინც ვწერ როგორც ვიცი, ვტირი და ჭირსაც, ლხინსაც ვუძღვებ რაღაცით, რადგან მე ამ დროს ვემორჩილები ჭირზე და ლხინზე უფრო რაღაც დიდს, და იგი, ჩვენი სულის მპყრობელი, ჭირსა და ლხინს ვინც ქვეყნად არიგებს ქედს მახრევიანებს: „ესე სოფელი ასე უქმნია არსთა გამრიგეს“. და ვწერ...

## გვირილა

გვირილავ, სითბოს ამოჰყოლიხარ და ილიმები მუდამ იმგვარად რომ ჩემთვის ვფიქრობ: „ღმერთს, ამ ორიდან, ნეტავ რომელი ჩვენგანი ვგავართ“.

მგონია მუდამ ბედნიერი ხარ, თეთრ ღიმილს ისე უხვად არიგებ, არ იცი, ალბათ... არა და იქნებ იცი ის, რასაც მე ვერ გავიგებ.

ისეც და ასეც შენზე ცოდო ვარ და ღმერთს თუ ხედავ, ჩემზეც ანიშნე: „ეყოფა მაგას კაცად ჯახირი, მინდვრის ყვავილად სადმე დანიშნე“.

ცოტახანით თვალი მეც ავახილო, სიკვდილ-სიცოცხლის რამე გავიგო, სანამდე მომძოვს სოფლის ნახირი, მომძოვს, ან სულაც ჩლიქქვეშ გამიგებს.

მაგრამ, იქნებ შენ ჩემზე შორიდან უყურებ ღმერთს და არა იცი-რა... მაშინ გავუყოთ, მოდი, ორივემ ერთ-ერთს, რაც ჩვენში თრთის და ციმციმებს:

ცოტას იტირებ შენაც, ჩემსავით, ცოტას, შენსავით, მეც გავიცინებ... ბოლოს ხომ ორნივე ერთად დავწვევებით ჩაგებუტები და დავიძინებ.

## ცოდვა

რა ვქნა, მე მიყვარს ეს ჩემი ცოდვა, ჩემს სიზმრებში რომ ჩუმაღ წრიალებს და გარეთ უნდა რომ გამოვიდეს და შეხვდეს ცოდვილ ადამიანებს.

იგი იზრდება და იმ წუთს ელის მე რომ ვიქნები მასზე პატარა, რათა, როგორც ბავშვს, ჩამკიდოს ხელი და დღე და ღამე შენთან მატაროს...



ჯერ კი ტოლები გავდივართ გარეთ,  
იგი გაზაფხულს და ხალხს შეხარის;  
მაგულიანებს: „ოთხივე მხარეს  
ყველა ცოდვილი არის შენსავით“

მე: „არა მეთქი, დაგწყევლოს ღმერთმა  
ჩამომეხსენი და მომასვენე“

ვდავობთ, არ მიშვებს არაფრით სსსლში.  
ვიღლები, არც მე არ ვარ ძლიერი  
და ცოტას ვუთმობ — შევდივარ ბაღში  
და უცნობ წყვილებს ვათვალიერებთ..

ნაცნობ ქუჩაზე გავდივართ ერთად:  
ნაცნობ ტელეფონს ზუსტად მახსენებს;

**ფიქრი სიხარულზე**

სიხარულო, ვისი შვილი ხარ  
რომ ძაღვის ყველას მისცე თავი და გაახარო?  
სიხარულო, როგორ მეგობრობ  
ერთნაირად სიყვარულთან და სიძულვილთან?  
სიხარულო, როგორ ბინადრობ  
ეშმაკში და ანგელოზში... ადამიანში?  
ყველაზე უკეთ სიხარულო, ალბათ შენ გვიცნობ  
თითოეულ ჩვენგანს, რადგან... შენს წინაშე ვერაფერს ვფარავთ, —  
ვერც სიყვარულს, ვერც სიძულვილს, ვერც ღიმილს, ვერც ცრემლს,  
შენ შეიძლება დაგაფართ გაქვევებული სახის ნაკვთები,  
მაგრამ ჩვენგან მოცემული ჩვენი გული ხომ შენს წინაშეა...  
რად მიხარია შენზე ფიქრი მე, სიხარულო?  
ლაღად გრძნობ ახლა თავს მანდ ჩემს გულში?  
თუ გავიწროვებს უკვე ეჭვი და სუნთქვას გიშლის?  
მიდიხარ უკვე? ვისთან მიდიხარ —  
ეშმაკი ვიხმობს თუ ანგელოზი?

**მეზი**

კი ყველაფერი უნაკლოდ მახსოვს —  
წვიმის ყველა წვეთს ვიხსენებ თითქმის  
და შენ ხომ ისე ცხადად და ახლოს  
რომ გული მაშინდელივით მიიჭრის —  
თითოეული შერხევა თმების

თითოეული შერხევა თითის,  
მაგრამ...  
ხსოვნის ამ ძვირფასი ტვირთით  
ვუახლოვდები თანდათან სიკვდილს  
და ეჭვი მიპყრობს: „გამატანს ღმერთი  
რაიმეს, ჩემი სიკვდილის იქით?“

ჩვენ რითი ვგავართ ერთმანეთს მდინარეზე?  
რითი ჰგავს ჩემი კალაპოტი შენსას  
და შენი მაღალი მთები  
რითი ჰგვანან ჩემი ნაცნობ-მეგობრების,  
ხელებს, თვალებს, გულებს, სახეებს?  
ალბათ იმით რომ ჩვენ ორივე თავის სადინარს  
თვითონ ვთხრით მთელი ჩვენი ცხოვრება,  
ვთხრით, ვითომდა თავის ნებაზე,  
მაგრამ მერე ამ მთებში რომ ხეობას გასჭრი,  
მაგრამ მერე ამ ხალხში რომ გზას გავიკვალავ

მერე იმ მთებს, შენგან გაჭრილს, ველარ წაუხვალ  
და მეც ამათი ცრემლ-ღიმოლის მონა ვარ მაშინ...

კიდევ რითი ჰგავს შენს ცხოვრებას ჩემი ცხოვრება?  
იმით რომ, გესურს თუ არა წასვლა, მივდივართ  
და ვიზრდებით, ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა გაზრდა  
და ხანდახან რომ გენატრება ნაკადულობა  
სოფელ-ქალაქის ჭუჭყით გავსებულს  
მეც ისევე მენატრება ზოგჯერ ბავშვობა...

კიდევ რითი?.. იცი მდინარეც  
როგორც შენში, ჩემშიც ისე ბანაობს ხალხი  
რა წმინდა წყალი მე ვარ მაგრამ...  
შენს მღვრიე ტალღებს განა ცოტა მოჰფერებია?  
ოღონდ ერთი რამ ავიწყდებათ ადამიანებს —  
რომ როგორც ერთ და იმავე წყალში  
(მდინარის წყალში) ვერ შევლენ ორჯერ  
ისევე ჩემშიც... მე ხომ მივდივარ...

კიდევ... შენსავით ადიდება ვიცი ხანდახან,  
თავისუფლება ძალიან რომ მომენატრება  
შემიძლია მივატოვო ყველა ნაცნობი,  
მაგრამ როდესაც გამოვერკვევი  
ვხედავ: უფრო ღრმად გამიჭრია ჩემივე არხი,  
უფრო დაბლიდან ამოვყურებ იმათ ცრემლ — ღიმოლს...

და რითი არ ჰგავს შენს ცხოვრებას ჩემი ცხოვრება?  
ტყვილით ჩემო მდინარეო, დიდი ტყვილით:  
მტკივა, როდესაც გზას მივიკვლევ  
მტკივა, როდესაც ვინმეს ვეხები,  
მტკივა, როდესაც მიყურებენ და მიღიმიან,  
მტკივა, როდესაც სულში, ჩემს სულში შეტოპავს ვინმე,  
მტკივა, როდესაც მღვრიე ვარ და დაწმენდას ვცდილობ...

და შენსავით ვობრავ, მდინარეც.

---



## გგელი

რ მ ა ნ ი

ლუკამ აღარ იცის საით მიდის, ალალ-ბედზე მიიწევს წინ და ყოველ გაფახუნებას ყურს უგდებს. გზადაგზა ჩვრის ნაჭრებს ცეცხლს უკიდებს და ზურგში ტოვებს რომ უკანიდან არაფერი წამოეპაროს. ცეცხლისა თურმე ეშმაკებსაც ეშინიათ...

ეშმაკების გაფიქრებაზე ცივად გაპბურძგლა. რატომღაც ის ხევი გაახსენდა, მგელქალის კუდიანი სხეული რომ გადაისროლეს. მანამდეც ეშმაკეულად თვლიდნენ იმ ხევს და იმის მერე ხომ სულ აღარავინ ეკარებოდა.

პირჯვარი გადაიწერა და შეეცადა რამე სხვაზე ეფიქრა. ისევ ბავშვობისდროინდელი ხატობა ამოფრინდა მეხსიერებიდან. ისევე ამოფრინდა, როგორც ის ქალი ამოფრინდა მაშინ მლოცავთა შორის:

დღეობა თავის ეშში იყო შესული. მლოცველებს მოჰყავდათ რქებზეთეთორ-მიტკალწაკრული კურატები და სამხვეწრო ჯორზე, დეკანოზის ქვემოთ ჩერდებოდნენ. მაღალ ბანებზე ახალგაზრდებს ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ. უკვე სიმთვრალეში შესული ხალხი ღრვობდა, ერთი სუფრიდან მეორეზე გადადიოდა და აღარ დაგიდევდნენ დღეობის წესრიგს. ერთმა მთვრალმა დეკანოზს ხანჯალი წაჰკლიჯა და თვითონ მოაჭრა თავის საკლავს თავი. აირია ხალხი, აყაყანდა, ატყდა ჩხუბი.

შეშინებული ბალები ხის კენწეროებს მოექცნენ. აღარ გაიგებოდა, ვინ ვის ურტყამდა. დეკანოზი ზარებს მიეკ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“, № 8.

რა და ხალხის დასაშოშმინებლად ჩამორეკა. ყური არავინ ათხოვა ზარის ხმას.

მუხლებზე დაეარდა დეკანოზი და მხურვალე ლოცვით შეჰლაღადებდა ზეცას. ეკლესიის მოედანზე კი ქალი და კაცი ერთმანეთზე გადადიოდა. ქალები დაკანონებულ საზღვარს აღარ დაგიდევდნენ და სამანს იქით გარბოდნენ მოჩხუბართა გასაშველებლად.

უცებ საიდანღაც გამოვარდა თმაგაშლილი ქალი და აქადაგდა:

— მე წმინდა გიორგი! მე წმინდა გიორგი!

ქალს რაღაც სხვანაირი ხმა ჰქონდა და აყაყანებული ხალხი ერთ წუთს გაისუსა.

— მე წმინდა გიორგი! მე წმინდა გიორგი! გაგწყვეტთ და გაგანადგურებთ! გაგწყვეტთ და გაგანადგურებთ! აღარას ისმენთ ჩემსა, აღარა გჯერათ ჩემი... დაიჩოქეთ!

რამოდენიმე კაცმა დაიჩოქა, მაგრამ დანარჩენებმა თავის თანასოფლელებს ქალი რომ იცნეს, ისევ აყაყანდნენ.

— დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ-მეთქი! — ლუკა მაღალ ბანზე იდგა და იქიდან გადაჰყურებდა ამ ამბავს.

— დაიჩოქე, ბალო! — ვილაც მის გვერდით მუხლმოყრილმა კაცმა ჩამოჰქაჩა ხალათზე და თავის გვერდით დააჩოქა.

ქვემოთ ისევ საჩხუბრად ყაყანებდა ხალხი და ამ დროს უცებ გაშალა ქალმა ხელები, მოსწყდა მიწას და ეკლესიის გუმბათამდე აიწია ჰაერში.

ზემოდან გადაჰყურებდა ლუკა, როგორ დაეცა უცებ ხალხი მუხლებზე.



ათასი წყვილი თვალი ეკლესიის გუმბათთან ჰაერში გაჩერებულ ქალს მისჩერებოდა და — ღმერთო, შენ გვიშველე! ღმერთო, შენ შაგვინახეო! — ამასლა ლულულულებდნენ შეშინებულნი და გაციებულნი.

ამდღეობა დღე იყო. ეკლესიის გარშემო თეთრად გადაპენტლიყო მსხლები, მთები და ტყეებიც ახლად აყვავებულნი იყვნენ. ჭიუხებიდან წამოუბერა ნიაჲმა, წამოუჭროლა აყვავებულ მსხლებს და ეკლესიის გუმბათი, ჰაერში გაჩერებული ქალი და მოედანზე დაჩოქილი მლოცავი ყვავილების თეთრ საბურველში გაახვია. მთებიდან და ტყეებიდანაც მოეფინებოდა ჰაერში ყვავილები. გარშემო ისეთი სურნელება იდგა, აქამდე გამოჰყვა ეს შეგრძნება ლუკას.

მერე ჩადგა ნიაჲვი.

ყვავილები ნელ-ნელა დაეფინნენ დემიწას.

დამშვიდდა ხატის მოედანი.

ქალმა ნელ-ნელა იწყო ძირს დაშვება. ხელები ახლა გულზე ჰქონდა ჯვარედინად დაწყობილი და მიწას ჯერ თითის წვერებით შეეხო, მერე იმანაც, ხალხთან ერთად, მუხლი მოიყარა, თვალებით ზეცას მიაჩერდა, წამოდგა და ამით ანიშნა ხალხს, ამდგარიყვნენ.

პირჯვრისწერით წამოიშალა ხალხი.

დეკანოზმა ზარი დარეკა.

გაგრძელდა დღეობა.

ირგვლივ სხვანაირი მზიარულება დატრიალდა. ყველა როგორღაც აღტაცებული და ბედნიერი იყო სასწაულის ხილვით.

მარტო ის ქალი იდგა გახევებული და გარინდებული, არ იდგებდა ხმას, მაშინ ვერაკინ მიხვდა რომ დამუნჯდა.

მხოლოდ ახლა, როცა ის ქალი აღარსად არის, როცა კი გაიხსენებენ, ყოველთვის ასე ამბობენ:

იმის ენაპირმა ხატის სათქმელი თუბნა და რა გასაკვირია, რომ იმის მერე დამუნჯდა და აღარა თქვა რა.

მარტო ის ვერ გაუგიათ, სად წავიდა.

ზოგი რას ამბობს და ზოგი რას.

მარტო თეთრუაი, ეს მრავლისმეტყველო დედაკაცი, არწმუნებს ხალხს, რომ — ისრე იმ წყალწაღებულ ბაღლის ძვლებს ვფიცავ, ჩემი თვალით დავინახე, გამთენიისას ციდან ნათელი სვეტი ჩამოდგა, ქალმა მაღალ ბანზე ხელები გაშალა და როგორც იმ დღეს ვიზილეთ, ისე გაფრინდა ზეცაში, მიდიოდა და ნათელი სვეტიც იმის მიყოლებით იკრეფდა კალთას. რა ჩემი ცოდვილი თვალებით საყურებელი ის არის-მეთქი, სახლს შევეფარე და აღარ მინახია, რა იქნა.

ვისაც როგორ უნდა, ისე სწამს, ზოგს საერთოდაც კი აღარ ახსოვს ის ქალი. ლუკას კი რატომღაც სასიკეთოდ ეჩვენა ეს მოგონება და გული მიეცა. ბენზინიან ჩვარს ერთხელ კიდეც ჩამოახია ნაპირი, ცეცხლი მოუკიდა და გახვევებულ ძირხვნის ფეხზე ჩამოჰკიდა.

ცეცხლმა გარეშემო გაანათა და ლუკა მიხვდა, რომ გზა დაუკარგავს, სადღაც უზარმაზარ ლოდებსშორის მოხვედრილა და, ღმერთმა იცის, საით მიდის. ანთებული ჩვარი ძირხვნის ტოტით აიღო და უკან გაჰყვა თავის ნაფეხურებს, რათა ისევ ეპოვნა სამანქანო გზა. ჯერ კიდეც იმედი ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან რაიმე მანქანა გამოვიღოდა, თუმცა აქ საერთოდ იშვიათად დადიოდნენ მანქანები, მარტო სამგზავრო ავტობუსი ამოდიოდა კვირაში ორჯერ და ერთი-ორიკი კოლმეურნეობის მანქანა. ახლა აქაურნი ცხვარი საზამთრო საძოვრებზე იყო წასული და, ეტყობა, ყველა მანქანა იქ იყო გაგზავნილი.

მაინც უნდა ეპოვა ლუკას გზა, რომ როგორმე მახლობელ სოფლამდის მისულიყო. მართალია, აღარ ყმუოდნენ მგლები, მაგრამ ღუმილი უფრო აუტანელი გახდა.

თავის ნაკვალევს მიჰყვებოდა უკან და ანთებული ჩვრით ინათებდა გზას.

უცებ გველნაკბენივით შეხტა. უფრო სწორედ, კი არ შეხტა, შედგა, ადგილზე გაქვავდა და თვალი თავისივე ნაფეხურზე გაუშტერდა: იმის ნაკვალევზე მგლის ნაფეხურები ეტყობოდა.



მიმოიხედა.

ახლომავლო არაფერი ჩანდა, მარტო ნადრის ნაკვალევი მიუყვებოდა აღმა, ტყიანი ფერდობისაკენ.

„ეტყობა, უკან რომ მოგბრუნდი, იმიტომ გადაუხვია. ალბათ, ერთია და კვალში იმიტომ მომყვება, ჭერ ვერ ბედავს თავდასხმას, უკანიდან უნდა წამომეპაროს და დრო მიხელთოს“, გაიფიქრა ლუკამ და გზის ძებნას თავი გაანება, წინ გააგრძელა სიარული.

„მოდ, ავანთებ მთლიან ჩვარს და ნახევარ საათს მაინც იმედიანად ვივლი“, დააპირა კიდევ ღიმილი ჩერისთვის მოეკიდებინა ცეცხლი, მაგრამ ისევ გადაიფიქრა: „ეს ჭერ ერთია და, როგორც ჩანს, ვერ ბედავს თავდასხმას, თუ სოფელს ვერ მივალწევ და ბევრნი დამესხმიან თავს, მაშინ უფრო გამომადგება“.

ახლა სხვა ფიქრმა გაუელვა თავში: „ვაითუ, ეს ნამდვილი მგელი არ არის და ვინმე კაცი ამედევნა მგლის სახით? მაგრამ ვინ?“

„იქნებ ქალაქიდან გამომყვა ვინმე...“ ლუკამ ხან ვისი სახე გაიხსენა, ხან ვისი: „ვინ უნდა ყოფილიყო იქ ჩემ ნაცნობებში მგელი?“

იქნებ ნაცნობი არ იყო და უბრალოდ ამედევნა.

არა, ისე, უბრალოდ არაფერი არ ხდება.

თუ ყველაფერი წინასწარ დაცანონებულია, მაშინ მოსასვლელი მაინც მოვა, მაგრამ ვინ უნდა იყოს ის მგელი, ქალაქიდან ტყუილად რატომ წამომყვებოდა... მძლოლი? არა, ავტობუსის მძლოლმა თვითონ მომცა ეს ჩირაღდანა მგლების დასაშინებლად, თუმცა იქნებ ამით გამაბრწყინა და ახლა მგლადქცეული კულში მომდევს. ავტობუსი? ავტობუსი რაღა უყო? მოიცა, მანქანის ზმა რომ მომესმა და უცებ გაქრა, ეს რაღა იყო? იქნებ გორის იქით გააჩერა და თვითონ ჩემს კვალზე მოსუნსულებს?...“

— ეპეჰეჰე! ეპეჰეჰეჰე! — მთელი ძალით იყვირა ლუკამ.

მთებს არ მიუყვიათ ბანი. გახშირებული ბულმა თოვლის ფიფქებმა და ხეობაში ჩამოწოლილმა ბურუსმა შეთანთქეს ეს ხმა. მარტო სადღაც შორიდან მგელი გამოეპასუხა.

„სჯობია, გავჩუმდე, თორემ ხმაზე უფრო ბევრნი მომაგნებენ“, — გაიფიქრა და სტვენა წამოიწყა ხმადაბლა.

„ავტობუსის მძლოლი რატომ გამომეკიდებოდა, მე ხომ არც ვიცნობ, თანაც თავს ისე იმართლებდა, ჩემს წინაშე კი არა, საკუთარი თავის წინაშე, ეტყობოდა, ჭერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა იმის სულს პატიოსნების ნატამალი და გზაზე რომ მტოვებდა, ამაზე თავის თავს ეჩხუბებოდა. შინაგანი პატიოსნება არ აძლევდა ამის უფლებას, მაგრამ ბოროტი ნება იქით ეწეოდა. არა, ეგეთი კაცი არ შეიძლება მგლის სახით დადიოდეს. მგელქალი სულ სხვა-ნაირად დამშვიდებული იყო ყოველთვის, როცა რაიმე სამგლო საქმეს სჩადიოდა, თანაც შემოგზავდა და თვალებით შეგზარავდა, შეგაზავებდა, ამას კი ისეთი უეშმაკო თვალები ჰქონდა. მგელქალის სიკვდილის მერე, ხომ ჩამოვიდა ის მწყემსი სოფელში და ტირილით თქვა: მაპატიეთ, მაშინ ის ქალი გამოვიცანი, მაგრამ ისე შემომხნდა, შემეშინდა და ხმა ვეღარ ამოვიღეო. ბალებსაც როგორ გვზარავდა იმის შემოხნედა“.

ლუკამ კიდევ მოუკიდა ჩერის ნახევს ცეცხლი და უკან მოიხედა. რამდენიმე ნაბიჯიც გადადგა და თავის ნაკვალევს დააკვირდა, კიდევ ხომ არ მომყვება მგელიო. ვერაფერი შეამჩნია. ჩვარი თოვლიან ლოდზე შემოღო და გზა გააგრძელა.

ლამის მუხლებამდის დადო თოვლი ნახევარ საათში და სიარული გააჩნელა. ცხვირწინ ჩაღაცამ ჩაუქროლა.

უცებ მოახია ჩვარს და ცეცხლი მისცა.

ორ სამ ნაბიჯზე კურდღელი იყო თოვლში ჩაფლული და სინათლის შუქმა ისე დააბნია, გზა ვეღარ გააგრძელა, მოსალოდნელი უბედურების მოლოდინ-



ში. წინა თათები თვალზე აიფარა და ყურები ჩამოყარა.

ლუკამ უცებ ჩააქრო თოვლით ჩვარა და ნაბიჯი აღარ გადაუდგამს, აცადა კურდღელს გონს მოსვლა. ცოტა ხანში ისევ გაიშრილა თოვლმა და ლუკა მიხვდა, კურდღელი ქვემოთ წავიდა.

„იქნებ აქ ახლო-მახლო სოფელი ეგულება და იქეთ მიდის, მოდი, მაგის კვალს გავყვები“, ლუკამ მოძებნა ძირს დაგდებული ჩვარი და ისევ მოუყიდა ცეცხლი.

სწორედ ამ დროს მოისმა მგლის ყმუილი. ერთს მეორე მოჰყვია, მეორეს მესამე გამოეძრა და ატყდა საზარელი ზარი.

— აუუუუ! — გაყინულ ხმაზე აგუგუნდა მთელი ხეობა.

„ეტყობა, ის მგელი წავიდა და ახლა ჩემს ასაველ-დასაველს სხვა მგლებს ატყობინებს“, — გაიფიქრა ლუკამ და კურდღლის კვალს მიჰყვია. ორმოცდაათ ნაბიჯზე მიხტოდა კურდღელი. ეტყობა, უჭირდა თოვლის ვაკვალვა.

ერთხანს იყმუვლეს და ისევ ჩაჩუმდნენ მგლები. ლუკას ისევ წამოეშალნენ ბავშვობის მოგონებები.

ისევ ამოხტა მგელი. ოღონდ ამჟამად ლუკა უკვე მოზრდილი იყო და სანადირო „ცენტრალიც“ ჰქონდა საკუთრად.

ღვიწურებს აუყვია აღმა და თივების საგულეებელში ავიდა.

აღრეული შემოდგომა იყო. მიდამოს გაცრეცილი ფერი დაჰკრავდა. ჰაერში გამზხარი ფოთლები დაფარფატებდნენ უთავგზოდ.

ჩიტების უმრავლესობა უკვე საზამთროდ გაკრეფილიყო და ხანდახან ღვიის ბუჩქიდან შაშვი თუ წამოჭახუბანდებოდა.

ლუკა გორზე წამოწვა და მიდამოს გადახედა ქვემოთ. თივების საგულეებელში არყის ლატნებით ბაკი იყო შემოლობილი და შიგნით სამი ცხენი გამოემწყვდია ვილაცას. ორი მოზრდილი ცხენი თავებს სწევდნენ აღმა და დროდადრო ჰაერს ყნოსავდნენ. მესამე, პა-

ტარა კვიცი, ფაშატის გარშემო და მერე ერთი ცხენი მიწაზე გაგროვდა, ტორები მალა აიშვირა და მიწაზე გადაგორ-გადმოგორებით ზურგი მოიფხანა.

ფაშატმა ნელა დაიხვიხვინა. ღვიწურებიდან ძაღლმა ამოირბინა, ბაკთან ავიდა და იქ ჩამოყუნცდა.

ლუკამ ყურადღება არ მიაქცია, იფიქრა, სადაცაა, ალბათ, პატრონიც გამოჩნდებათ, თანაც ძაღლის პატრონი ცხენების პატრონადაც მიიჩნია.

ძაღლმა კი წაიმელურა, მიწაზე გაწვა, გადაგორდ-გადმოგორდა, მერე მუცლით ცხენებისაკენ გახობდა და თან კუდს აქიცინებდა და მიწაზე ურტყამდა. ცხენებმა ჯერ კი ცქვიტეს ყურები, მაგრამ ძაღლი ისე მიელაქუცა, ისე გაუგორდ-გამოუგორდა, იმათაც ანებეს ფრუტუნს თავი. კარგა ხანს ურტყა ძაღლმა მიწას კული, მერე ისევ გამოძვრა ბაკიდან, ჩაეფარა ღვიწურებში და ცოტა ხნის მერე ისევ გამოჩნდა მძიმედ მომავალი. თითქოს მუცელი ძირს ეწინქებოდა. მძიმედ-მძიმედ გადავიდა ბაკში. ცხენები უკვე მიჩვეული ჰყავდა და აღარ შეშფოთებულან, ის კი ჩამოუყუნცდა წინ და როცა მისკენ ფაშატმა ტუჩი გამოსწია, ძაღლი ეცა და კბილებით ჩააფრინდა. ცხენი ყალყზე დადგა, მაგრამ ძაღლი თავს არ ანებებდა, ზედ ეკიდებოდა.

ლუკა ქვემოთ გაიქცა. თოფის სასროლ მანძილზე რომ მიუახლოვდა, ჩაუმუხლა და ესროლა.

ძაღლი მოწყვეტით დაეცა და მძიმედ გაიღო ბანჩანი. ლუკა რომ თავზე წამოადგა, წამოიწია, მაგრამ მუცელი ვერ წამოსწია.

ლუკამ თვალეში რომ შეხედა, ახლადა იცნო მგელი, წაშვი ციკნის ამბავაც გაუელვა თვალწინ.

შეიძლება ის მგელიც იყო. კიდე დაახალა.

მუცელი რომ გაუჭრა, გაოცდა: კუჭი საესე ჰქონდა თიხით. ეტყობა, ღვიწურებში თიხის საქმელად ჩავიდა, რომ დამძიმებულიყო და როცა კბილებით

ჩააფრინდებოდა, ცხენს ადვილად ვე-  
ლარ მოეშორებინა.

ეს ლუკას პირველი ნანადირევი იყო.  
ფაშატს თქრიალით მოსდიოდა სისხ-  
ლი და ფრუტუნებდა. კვიცი კი ჯერ  
ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა და  
ფერდებში სჯამუჯნიდა პატარა ტუ-  
ჩებით.

ლუკამ ბაკის კარი გაუღო და დამფრ-  
თხალმა ცხენებმა ნალების ძვრიალით  
ჩაიარეს სოფლისაკენ მიმავალი სათივე  
გზა-შარა...

ამის გახსენებაზე ცხენი ინატრა ლუ-  
კამ.

უცებ შიმშილი იგრძნო და წარმო-  
უდგა როგორ აცხობდა ხოლმე დედამი-  
სი ხმიადებს. პირველ ხმიადს რომ გა-  
მოაცხობდა, ღმერთო შენ შეგვეწიფო,  
იტყოდა და დაამტკრებდა ცხელ ხმიადს,  
ლუკას ახლაც თვალწინ უდგას ცხელი  
პურის ორთქლი...

— იიიიი! იიიიი! — მოისმა უცებ  
კურდღლის განწირული ყვირილი.

ლუკამ სასწრაფოდ ანთო ჩვარის ნა-  
ხევი და სინათლეზე გამოჩნდა მელა.  
ის-ის იყო, რომ უნდა დასცემოდა თავ-  
ზე კურდღელს, რომელიც ისევ წელან-  
დებურად ჩამჭდარიყო თოვლში, წინა  
თათები თვალეზე აეფარებინა და ყურ-  
ჩამოყრილი განწირული ხმით ყვიროდა.

— ჰაი! ჰაი! — დაჰკივლა მელას ლუ-  
კამ და იმანაც მოჰკურცხლა, თოვლში  
გაითრია გრძელი კუდი.

— იიიიი! იიიიი! — ყვირილს განაგრ-  
ძობდა კურდღელი და თვალებიდან  
თათებს არ იშორებდა.

უცებ ლუკამ შორიახლო მორიალე  
ლანდებს მოჰკრა თვალი.

— ჰე-ჰეე! — დაჰყვირა ხმამაღლა.

— აუუუუ! — აყმუვლდნენ მგლები  
მის გარშემო.

— აუჰ — აღმოხდა ლუკას და აკან-  
კალებულმა დიდ ჩირაღდანს მოუკიდა  
ციცხლი.

აბრიალდა ბენზინიანი ჩვარი და გარ-  
შემო ყველაფერი განათდა.

ამ სინათლეზე უფრო შემზარავი და  
უღაბური მოეჩვენა მთელი ხეობა ლუ-

კას. მიმოიხედა და თავის ირგვლივ  
ლაღშემოწყობილი მგლები შეამჩნია.

მგლებს, ეტყობა, არ ესიამოვნათ ამ-  
ხელა სინათლე და უკან დაიხიეს,  
ოღონდ რკალი არ დაუშლიათ, ისევ  
უკანა ფეხებზე ჩამოყუნდნენ და ციცი-  
ხლოვანი თვალები გამოაკვესეს.

— ჰეი, ჰეიი! — დაჰკივლა ლუკამ  
და თავისივე ხმის თვითონვე შეეშინდა.  
ეს არ ჰგავდა, არც ყვირილს და, მიბ-  
უმეტეს, არც მგლების შესაშინებელ წი-  
მობახილს. მართო თოვლში ჩამჭდარა  
კურდღელი აკივლდა ამ ხმაზე.

— იიიიი! იიიიი! — გაჰკიოდა შემფო-  
თებული.

წასასვლელი აღარსად იყო.

მანამ ეს ჩვარი ენთო, მანამდე, აღ-  
ბათ, ასე შორიახლოს ისხდებოდნენ  
მგლებიც, მერე კი თავისთავად ნათე-  
ლი იყო ყველაფერი.

თითები პირში ჩაიყო და ხმამაღლა  
დაუსტვინა. არც ერთი მგელი არ გან-  
ძრეულა. მართო ისევ კურდღელმა ატი-  
ხა განგაში.

— შენ რაღა გული გააწყალე, ადე,  
შენ მაინც გაიქეცი, — დაჰკივლა ლუკამ  
და მერე თავის რჩევაზე მწარედ გაეცი-  
ნა: „სად წავა, იქით წავა მელია შეჭამს,  
აქეთ წამოვა მგლები, სულ ერთი არ  
არის?“

ცოტა ხანს ჩუმად იყო ლუკა და კურ-  
დღელიც ჩაწყნარდა, ჩამოუშვა თათები  
და ყურები წამოსწია. უცებ წამოხტა  
და გაიქცა. ლუკას გული დასწყდა მარ-  
ტო რომ რჩებოდა. კურდღელი სკუპ-  
სკუპით უახლოვდებოდა მგლების  
რკალს. მგლებმა ყურიც არ ათხოვეს,  
ოღნავ არ დაურღვევიათ რკალი, ისე  
გაატარეს კურდღელი.

— ჰე-ჰე-ჰე-ჰეე! — იყვირა ლუკამ და  
ჰაერში დაატრიალა ანთებული ჩირაღ-  
დანი.

მგლები ისევ ქანდაკებებივით ისხდ-  
ნენ ადგილებზე.

— იიიიი! იიიიი! — უცებ სადღაც  
იქეთ ატეხა განგაში კურდღელმა, მგლე-  
ბის რკალში შემოვარდა და წელანდე-

ბურად ჩაერტო თოვლში. ეტყობა, იქედან ისევ მელის გამოექცა.

— ჰე-ჰე-ჰე-ჰეე! — ყვიროდა ლუკა და მშველელს უხმობდა.

— იიიი! იიიი! — გულგახეტქილი ეპასუხებოდა კურდღელი.

„ეხლა ამის გულისთვის ვედარ უნდა დავიყვირო?“ — გაიფიქრა ლუკამ და მგლებს წრე შეათვალიერა.

ჩირადანს ნელ-ნელა მოაკლდა სინათლე.

მგლებმაც თავ-თავიანთ ადგილებზე თითო ნაბიჯით წინ წამოიწიეს.

ეს ჯერ შეუძმნეველი დარჩა ლუკას.

მერე ჩირადანს რომ უფრო გაბაცდა, მგლების წინსვლაც შესამჩნევი გახდა და ეხლა კი მეტი გზა აღარ იყო, ხან ყვიროდა და ხან უსტვენდა ლუკა.

კურდღელი ერთხანს ეპასუხებოდა, მერე იმის ხმაც აღარ ისმოდა, ჩირადანს ჰაერში ატრიალებდა და იმის ნაპერწკლებში არეულ მგლების ცეცხლიან თვალებსდა ხედავდა მარტო.

მგლები უკვე აღარ ისხდნენ, უკანა მხარე მალლა წამოებურძგლათ და წინა ფეხები წინ წამოეშვირათ, ასე მოიწევდნენ, ნელა, ფეხშეწყობილად, ყოველი მხრიდან.

უცებ საიდანაც კაცის ძახილი მოესმა ლუკას. ერთხელ, მეორედ.

— ჰეი! — ჩახლეჩილი ხმა ძლივს ამოსცდა ლუკას ბაგეებს.

ვერც კი შენიშნა, როგორ შემოვარდა მგლების რკალში კაცი და ლუკას ხელიდან გამოსტაცა ანთებული ჩვარი.

მგლებმა უცებ სვლა შეწყვიტეს. კაცს მიაჩერდნენ, კუდები ამოიძუეს და უშნო ქსუტუნითა და ყმულით მიმოიფანტნენ.

— ხომ არ შეშინდი? — ჰკითხა კაცმა ლუკას და გაუღიმა.

— არა, ისე... კი, შევშინდი, — ძლივს ამოვიღო ხმა ლუკამ.

— შენი სტვენა და ყვირილი გავიგონე და ქედრიდან გადმოვიხედე, მერე ამ ამბავს მოვკარ ცეცხლის შუქზე თვალი და გამოვიქეცი.

— მერე თქვენ, თქვენ არ შეგეშინდათ? — ჰკითხა ლუკამ.

— მე არა, — მოკლედ მოსტრა კაცმა, — წავიდეთ, ამაღამ ჩემთან გაათენე და ხვალ თუ დარი გათენდა და საზვავე არ იქნება, გაუდექი შენს გზას, რომელი სოფლიდანა ხარ?

— ხეობის ბოლოს, მდინარის პირას რომ სოფელია, გორზე, იქიდან.

— მერე შენ სოფელს სახელი არა აქვს? — გაეცინა კაცს.

— ჰო, აქვს, რაღი, მე მეგონა, იცოდით, რაც ჰქვია, — უთხრა ლუკამ.

— ვიცი, როგორ არ ვიცი, აქ გაზრდილი და დაბადებული ვარ, — თქვა კაცმა.

ლუკამ შეხედა, ვერ იცნო.

— ტყუილად ნუ მიყურებ, ვერ მიცნობ, კაი ხანია, რაც აქ არ ვყოფილვარ, ისე, არც მე მეცნობი, ვისი ჩამომავლობისა ხარ?

ლუკამ დაუსახელა თავისი ჩამომავლობა.

— ჰოო! — თქვა კაცმა, — წავიდეთ, დანარჩენი სახლში ვიუბნოთ, სახელი რა გქვია?

— ლუკა.

— ჰაააშენსაც ლუკა ერქვა, არა?

— ჰო, ლუკა ერქვა.

— მე თედო მქვია, თედო, თევდორე, შენ რომელიც გინდა, ის დამიძახე.

— შეიძლება ძია თევდორე დაგიძახოთ?

— ჰო, ეგ კი დამავიწყდა, ძიად გეკუთვნი, აბა რა, საცაა სამოცი წლის გავხდები.

თევდორე წინ წავიდა და ლუკა უკან მიჰყვა.

— ერთი წუთით მაიცა, ძია თევდორე, — თქვა ლუკამ და იქეთ გაიქცა.

— რა იყო?

— კურდღელი.

თევდორეც აქეთ წამოვიდა.

კურდღელი ისევ ისე იჯდა თოვლში, თვალბზე თათებაფარებული და ყურებჩამოყრილი.

— იიიიიიი! — გამოაჯავრა ლუკამ და გაეხუმრა:

— გეყოფა დამალობანას თამაში, წა-  
ვიდნენ მგლები.

კურდღელი არ განძრეულა.  
მაშინ ლუკამ ხელით ჩამოეწვია თათე-  
ბი და კურდღელი მისი ხელის მოძრა-  
ობას დაჰყვა. უსიცოცხლოდ გადაგორ-  
და თოვლში.

— ეტყობა, გული გაუსკდა, — სინა-  
ნულით თქვა ლუკამ და თევდორეს  
ახელა.

— წამოდი, წინ ვერ აღუდგები ცოდ-  
ვა-მადლის გამჩენს.

ლუკამ თოვლში ჩამარხა გულგახეთ-  
ქილი კურდღელი.

წავიდნენ.  
მძიმე-მძიმედ მიუყვებოდნენ თოვ-  
ლიან მთის ფერდობს.

წინმძივალნი თევდორე დროდადრო  
ჩერდებოდა და თითქოს მიდამოს ყნო-  
სავდა.

— გადაიკარგნენ აი! — თქვა ერთხელ.  
— ვინა? — უცებ ვერ მიუხვდა ლუკა.  
— მგლები.

— ჰოო, ძალიან კი დააფრთხე.  
— ეტყობა, კარგა ხანს გითვალთვა-  
ლებდნენ.

— ნეტავი რას მიპირებდნენ? — გუ-  
ლუბრყვილოდ იკითხა ლუკამ.

თევდორეს მხოლოდ გაეცინა, ლუკას  
მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— არ არ მომხდარა, იმაზე ნულარ  
იფიქრებ.

გზა გაავრძელეს აღმა, გორზე ავიდ-  
ნენ და გამოჩნდა სოფელი. მარტო ერ-  
თი სახლიდან გამოდოდა სინათლე.

— აი, ესეც ჩემი სოფელი! — ამაყად  
თქვა თევდორემ.

— მარტო თქვენ ცხოვრობთ ამ სო-  
ფელში, ძია თევდორე? — ჰკითხა ლუ-  
კამ.

— ჰო, მეღა დავრჩი, დანარჩენები  
საზამთროდ ქვემოთ ჩადიან. მე აქ მი-  
ჩენია, აქედან უფრო კარგად ჩანს მთე-  
ლი ხეობა და ზამთრობით შენნაირ  
მგზავრებს აღარ ვაჩაგვრინებ მგლებს,  
თანაც მარტო ყოფნას მივეჩვიე — ეს  
ყველაფერი ხუმრობის კილოზე თქვა  
თევდორემ.

დერეფანში თოვლი ჩამოიბერტყნა.  
იქვე ახლოს, ბოძზე ება მეცხვარის  
ძალი და ბომბორა კუდს უქნევდა  
სტუმარს კეთილი განწყობილების ნიშ-  
ნად.

— ამას მგელი ვერც მოერევა, რად  
უნდა დაბმა, — თქვა ლუკამ.

— ეგ რო გავუშვა, ერთი მგელი  
შორს გაიტყუებს და დანარჩენები იქ  
მიესევინა, ვიცი მე მაგათი ამბავი, —  
ისე თქვა თევდორემ, თითქოს შართლა  
უკლებლივ იცოდა მგლების ყოველნაი-  
რი ასავალ-დასავალი.

ლამფის შუშით განათებულ ოთახში  
სასიამოვნოდ თბილოდა. ლუკამ ისევ  
იგრძნო შიმშილი და უხერხულად მიმო-  
ხედა.

— დაჯექი, დაჯექი, ჭერ გათბი და მე-  
რე ვივახშმოთ, — გაუღიმა თევდორემ,  
ღუმელს შეშა შეაყარა და ააგუზგუზა.  
სითბოზე ნისლივით ავარდა ლუკას  
ტანსაცმელს ორთქლი.

თევდორე შიგნით, მეორე ოთახში შე-  
ვიდა და ცოტა ხანში სამფეხა ხის ზონ-  
ჩაზე გაწყობილი პურ-მარილით შემობ-  
რუნდა, ლუკას წინ ჩამოდგა და თვითო-  
ნაც იქვე ჩამოჯდა სამფეხა სკამზე.

— სამფეხა სკამზე მიყვარს ჯდომა და  
სამფეხა ზონჩაზე პურის ჭამა, სამებას  
მახსენებს ყოველ წუთს, — თქვა თევ-  
დორემ და პური გატეხა.

ლუკას მოეწონა მისი ნათქვამი და  
თავით-ბოლომდე შეათვალეირა ეს პო-  
ეტური ბუნების მქონე კაცი.

თევდორეს გულთან ხალათის უბეზე  
ჩამჭკნარი, მაგრამ ულამაზო ფერის  
ყვავილი ჰქონდა ძველი გამოკერებული.

— ეტყობა, ძალიან გიყვართ ყვავი-  
ლები, — უთხრა ლუკამ.

— ჰოო, ეს გრძელი ამბავია.

— მაგ ყვავილის ამბავი?

— ჰო, ამ ყვავილის და, საერთოდ,  
ჩემი, ჩემი ჩამომავლობის ამბავი, რო  
არა ეს ყვავილი, შეიძლება შენც ვე-  
ლარ დაამჯდარიყავი დღეს ჩემთან.

— როგორ, განა რა ყვავილია ეგეთი,  
ან მე... — დაიბნა ლუკა.

თვედორემ ხარის ყანწებში თაფლის არაყი ჩამოასხა და დაილოცა:

— სამეზბას გაუმარჯოს, წმინდა სამების მადლი შეგვეწიოს, სიყვარული ნუ მოგვეკლოს, მოკეთე გვიცოცხლოს, ავი და ბოროტი ჩვენზედ ნურასოდეს მოწულებიყვეს.

— ამინ! — თქვა ლუკამ.

— ჩემი გამოხდელი არაყია, ფუტკარი მყავს და თაფლი ბევრი მაქვს, — უთხრა თვედორემ.

— ძია თვედორე, წელან ჩამომავლობა ახსენე, თანაც მითხარი ამ ყვავილმა გადაგვარჩინაო, რა ვუთხრა ჩვენებს, ვისი ჩამომავლობის კაცმა გადაგვარჩინაო რომ მკითხონ?

— ჩემი ამბავი იციან თქვენ სოფელში, თითქმის ყველას ვიცნობ იქ, ჩემი ჩამომავლობა კიდე ამ ყვავილიდან მოდის.

— როგორ? რანაირად?

— ეს ყვავილი მამაჩემია.

— ჰმ! — ძალად გაიცინა ლუკამ, თან დაიბნა, იფიქრა, აქამდე ვერ შევამჩნიე და, ეტყობა, თვედორე გეყოფა. ახლა გაახსენდა როგორ შემოგარდა მგლების რკალში უიარაღოდ და თან დასჭყიოდა, ვინ იზამდა სხვა ამას, ნორმალურ ჰკუთხე მყოფელი. მეც არ გამიკვირდა, რამ შეაშინა მგლები-მეთქი, ეტყობა, იმათაც ეშინიათ გიჟის, მაგრამ ხანდახან რომ დალაგებულად ლაპარაკობს?..

— ვიცი შენ რაც გიკვირს, ყვავილი როგორ შეიძლება მამაჩემი იყვეს, არა? ასეა და, რა გქნათ, ასე მოისურვა წმინდა სამეზბამ.

„ეს წმინდა სამეზბა რალად ამოიჩემა“, — გაიფიქრა ლუკამ.

— რო არა წმინდა სამეზბა, სამგლეთად მოიქცეოდა მთელი დედამიწა, ვერა ზედავ ისედაც როგორ მომრავლდნენ მგლები, მშორად იქცა ქვეყანა.

— რომელი ქვეყანა? — წამოროშა დაბნეულმა ლუკამ.

— რომელ ქვეყანას იცნობ კიდე, ქვეყანა ერთია, ჩვენ ვართ და ღვთის სამართალი, მგლების სამართალი კი სულ სხვაა, იმათ სხვა უწერს მგლურ

კანონებს, ღვთის განგებას იმათთან სერთო არაფერი აქვს. ხო გითხარი, რო არა სული წმინდა, მგლებს დარჩებოდათ ეს ქვეყანა, შენ საიდან მოდიხარ?

— ქალაქიდან.

— ჰა, აგაშენა ღმერთმა, ქალაქში მგელი არ შეგხვედრია არა?

— არა, ამა იქ საიდან?

— რამდენიც გინდა, იმდენია, თუმცა შენ რას გამოიცინობდი, კაცი კაცსა ჰგავს და არა მგელს, გამოცნობას კი რა დიდი ამბავი უნდა, ჩაუსახლდება ვინმეს სულში მგელი და ააყმუღლებს იმის არსებობას, იმდენს აქნევიანებს, ახლა სხვას მოაქცევს მგლად. სადაც სული წმინდა ფეხს ვერ იკიდებს, იქ იმ წუთში მგელი ჩასახლდება, მერე ეს მგელი ცდილობს საზოგადოებას კრავად მოაჩვენოს თავი; მგლებს ხომ კანონები უყვართ, ჰოდა, ეს „კრავიც“ კანონებს ეფარება, იქი-აქა იღობებს, კანონების ციხენიმაგრეში ცხოვრობს, ცხოვრებას შეჰიძებულ კაცს კი არ შეიძლება ფეხი არსად წაუცდეს და აი, სწორედ იქ წამოეწევა მგელი, ჩააფრინდება და ამა და იმ კანონის ძალით გამოსწოვს სისხლს. სული წმინდას რყვნიან, ზერე-პავენ და იმით არიან ეგენი მაძლარი. ეეე, დაილოცოს წმინდა სამეზბავ, შენი განგება და ნუ მოაქცევ ქვეყანას სამგლეთად. — პირჯვარი გამოისახა თვედორემ.

— ამინ! — ისევ დაემოწმა ლუკა.

— ყველა ყვავილი ეტყობა ვიდაცის მამაა, ოღონდ ეგ არის, ალბათ, დიდი ხანია მას მერე გასული და აღარ გვახსოვს, ვინ რომელი ყვავილის ჩამომავლობა ვართ, — თქვა თვედორემ.

„ეჰეეე, ისევ აურია“, — გაიფიქრა ლუკამ.

— იძახი, ალბათ, ეს ძია თვედორე რა ზღაპრებს ჰყვებაო, არა ლუკა?

— არა, რატომ...

— ეს ყვავილი მამაჩემი იყო. მამაჩემს თანდილა ერქვა, მთელ ხეობაში სიწმიდითა და ღვთისნიერებით იყო განთქმული. ბალახში რომ გაივლიდა,



წუნდა, ყვავილებზე ფეხი მდგმევიენება და ითელებიანო. ზღაპრებში ხო გაგიგონია, ისეთი კაცი იყო, ჭიანჭველას ფეხს არ ადგამდაო, აი, სწორედ მამაჩემი იყო ასეთი, გაუჩერდებოდა ჭიანჭველას, მოუხდიდა ქუღს, შესწირავდა ღმერთს მადლობას და იტყოდა: — რა ძალა აქვს იმ დალოცვილ სამებას, ხედავ, რა შეაძლებინა ჭიანჭველას, რამოდენა ტვირთი მიაქვს შვილების სიყვარულით.

ბაღლებს ისე უყვარდათ მამაჩემი, სუ გარს ეხვეოდნენ, ყოველთვის ისე გველაპარაკებოდა, როგორც თავის ტოლთ.

ცხოვრებაში ბევრი სიმწარეც გამოიარა, მაგრამ ერთხელ არ გამოგონია იმის სამღურავი, წყენას ისე მოგიტევენება, სასიკეთოდ განაწყობდა.

დიღზანაც იცოცხლა, ძალიან დიდხანს, ხალხი სანახავად მოდიოდა და უძვირდათ, ამ ხეობაზე ამდენ ხანს არავის უტოცხლიათ.

მშვიდი კაცი იყო მამაჩემი, მშვიდად შეეგება სიბერეს, სიკვდილის მოსვლასაც მშვიდად ელოდა.

— ისეთი რა მოვა, რაც ღვთის ხელიდან არ გამოსულაო, ამბობდა მშვიდად. სიკვდილი კი იგვიანებდა.

იმისი ზანგრძლივი სიცოცხლე სალაპარაკოდ ვახდა მთელ ხეობაში. ზოგი იმასაც ამბობდა:

— ღმერთს დაავიწყდა თანდილი, მუღმისად უნდა იყოსო.

— მაგათ უნა გააჩერონ, ღმერთის გულმაგვიწყობა რა მაგათი სახსენებელიაო, — თქვა ერთხელ მამაჩემმა და მზეს მიეფიცხა.

მზისგულზე უყვარდა ჯდობა. მალალ ბანზე დაიდგამდა სამფეხა სკამს. ჯოხს დაეყრდნობოდა ოდნავ წინგადაწეული და მზეს ეფიცხებოდა.

ბოლო ხანებში ხანდახან ვიღაცას უწყებოდა:

— დაიკარგენით, თქვე წყეულნო, მოსწყდით აქაურობას!

— ვის ეჩხუბები, თანდილავე? — ეკითხებოდა ზალხი.

— არავის, — პასუხობდა მშვიდად ერთ დღეს ძალიან გაწყრა და ჯოხიც კი ესროლა იმ ვიღაც უჩინარს.

მე ჯოხი ავიღე, მივუტანე და ვკითხე: — რა იყო, მამავ, ვის უწყებები ხოლმე?

— წყეული იყო მოსული, შვილო, ამ ბოლო დროს ძალიან შემომიჩნდნენ, მეუბნებიან: ხომ ხედავ, ღმერთს დაავიწყდა, ჩვენ მოგვაბარე შენი სულიო. — ხო არ გეშინია, მამავ?

— არა, შვილო, ღმერთს არაფერი ავიწყდება, — მომიგო უკვე დამშვიდებულმა და ჯოხს დაეყრდნო.

ასე გაგრძელდა კარგა ხანს. არ ასვენებდნენ ის წყეულნი. ერთხელ მითხრა, ფრთხილად იყავი, შვილო, წყეულები მემუტებებიან, თუ ჩვენ არ მოგვყიდი სულს, შვილი ხო გყავს, ჯავრს იმაზე ვიყრიოთო.

— ჩემზე ნუ იფიქრებ, მამავ, — ვუთხარი და ამით ვაგრძნობინე, არ გატეხილიყო.

ვაზაფხული იყო. ვალობდა ნაზამთრალი დედამიწა. პაერში ნაირ-ნაირი პეპლები დაფრინავდნენ.

მამაჩემმა ლოგინიდან წამოიწია, კარგა ხანს რაღაცას უგდებდა ყურს, იღიმებოდა, სახეზე კმაყოფილების აღმუერი გადასდიოდა, მერე მე შემომხედა და მითხრა:

— გარეთ გამიყვანე, შვილო. წამოვაყენე.

მალალ ბანზე თავისი სამფეხა სკამი დაეუდგი და იქ დაესვი. ჯოხს დაეყრდნო. მზეს მიეფიცხა.

ისევ ისეთი კმაყოფილი სახით იმზირებოდა საღაც, შორს.

უკებ ვავოვნი. მამაჩემს ჯერ შუბლზე ამოუვიდა ყვავილები, მერე მთელ მის სხეულზე იწყა ამოსვლა.

მთელი სოფელი ჩვენ ბანზე შეგროვდა.

ყვაოდა მამაჩემი. აი, ასეთი ყვავილები ამოსდიოდა

ყველგან — თავზე, ხელებზე, ზურგზე, ყველგან, ყველგან...

ყვოდა და თან სურნელება იდგა ერთ აუწყარელი.

ხმის ამოუღებლად შევეყურებდით.

ბოლოს სულ ყვავილების თაიგულად იქცა.

კაცის ფორმა ჰქონდა ამ თაიგულს და სკამზე იჯდა.

ასე იყო ერთხანს.

თაიგულის სურნელება ათრობდა მიდამოს.

მერე წამოუბერა ზენა ქარმა და პაერში მიმოაბნია ეს თაიგული.

ჩვენს წინ დარჩა ცარიელი სამფეხა სკამი. მიფრინავდნენ ყვავილები ჰაერში და მამინ აზრად არავის მოგვესვლია, ერთი მაინც აგველო სამახსოვროდ.

ვინ მოიფიქრებდა ამას, კარგა ხანს ფეხის გადადგმას ველარაინ ვახერხებდით.

ქროდა ზენა ქარი...

ლუკა გაოგნებული უყურებდა თევდორეს მკერდზე მიმაგრებულ სასწაულებრივ ყვავილს.

თევდორემ ჰქებები შეავსო და თქვა:

— ღმერთმა ნათელი დააყენოს!

— ამინ! — ისევ დამოწმდა ლუკა.

— იმის მერე კარგა ხანმა გაიარა, წესი და რიგი არ დაგვიკლია მამის ხსოვნისათვის, ორმოციც თავის დროზე გადაუხადეთ, წლისთავიც, მაგრამ, ეტყობა, იმისი სული მაინც რაღაცას წუხდა, ხშირად მეჩვენებოდა სიზმარში და მეუბნებოდა, მოძებნე ყვავილი, მოძებნე ყვავილიო, მეც დავდიოდი აღმა-დაღმა და ვეძებდი. დიდი დრო იყო მას მერე გასული, ველარსად მივაგენი მამაჩემის ყვავილს.

სანადიროდ დავიწყე სიარული, იქნებ სადმე მოუვალ მთებში წავწყდომოდი.

შევეჩვიე ნადირის ხოცვას. ბოლოს ამ საქმემ ისე გამოიტაცა, აღარც კი მახსოვდა ყვავილი. შებრალების გრძნობა დავკარგე, ჯერ კიდევ ცოცხალ-მკვდარ შველს ისე გამოვჭირდი ყელს, გულში ერთი ნერვიც არ შემიტოკებოდა.

ასე თანდათან გადაუხვიე მამაჩემის კეალს.

ერთხელ სანადიროდ მყოფს შემომალამდა და ეხში გადაწყვიტე ღამის გათენება. მიუვალი მთა იყო, ხევებუიანი, უდაბური. მთელი დღე ისე ვიბეტიალე, ნადირის ნაკვალევსაც კი ვერსად წავეწყდი, დავიღალე, ჭდანები დამაცვდა კლდეებზე ხოხვით.

სალამოთი, როცა ეხი ვიპოვე, ცეცხლი აღარც კი დამინთია, გუდიდან მცირეოდენი ყველი და პური ამოვიღე, წავიხემსე და ნაბაღში გავეხვიე დასაძინებლად.

ჩვეულებად მქონდა, თუ სადმე ღამეს უცხოდ ვათევდი, ძილს წინ იმ ადგილის დედას მივებარებოდი.

„შემინახე ამ ადგილის დედაც!“ — ჩავიჭურჩულე და პირჯვარი აღარც გამომისახია, იმდენად ვიყავი დარწმუნებული, რომ ყველა ადგილს თავისი კეთილი დედა ჰყავს.

იმ წუთას ჩამეძინა.

ისევ დამეხიზმრა მამაჩემი, შეწუხებული სახე ჰქონდა, ჩემთან ახლოს ვერ მოდიოდა და შორიდან მეძახდა:

— ყვავილი უნდა იპოვო, შვილო! — განათებული იყო იმის გარშემო ყველაფერი, სადაც მე ვიდექი იქ კი ბნელოდა.

კვილის ხმამ გამომავლია:

— დორაისხეველი გიხმობთ კრებაზე, სტეფაოო! — ვიღაცა გაღმა მთიდან გამოჰკიოდა გამოღმა.

— სტუმარი მყავს მოზარებული, ვერ წამოვალ, ვერა! — სადაც მე ვიწექი, იმ ეხიდან გასძახა ვიღაცამ.

— წამაიყვანე სტუმარიც, წამაიყვანე! — ისევ გამოსძახეს გაღმიდან.

წამოვკეჭი.

კვანკალებ.

ვერცხლისფერმა შუქმა გაანათა ეხი და დავინახე ჩემს წინ კაცი იღვა.

— ადე, თედო, სასტუმროს წავიდეთ, — მითხრა იმ კაცმა.

— სად სასტუმროდ?

— ყველაფერს იქ გაიგებ, ეხლა კი

ადექ, ნუ გეშინია, რაკი შენი სული მე მომაბარე, დანარჩენი მე ვიცი.

— შენ ვინლა ხარ?

— მე სტეფია ვარ, ამ ადგილის დედა, — მითხრა იმან.

ამაცხროვა.

თავიდან-ფეხებამდე თითქოს ჭიანჭველებმა დამკბინეს.

— წამო, წამო! — წამომაცუნა იმ კაცმა და, მეტი რა გზა მქონდა, თან წავეყვი. რაკი ადგილის დედა მიხსენა, რას მოვიფიქრებდი, თუ ეშმაკებიც იქნებოდნენ ადგილის მეპატრონენი.

გავიარეთ ფრიალო ხეგუბები და გავედით გაღმა, სადაც მაწვევარი გველოდებოდა.

— ოოო! თევდორე გყოლია სტუმრად, — შემოგვეგება მაწვევარი და თავის თმანი აღმა წამივიდა. შენ არ ვიცი, თუ გეხსომება, მაშინ პატარა იქნებოდი, სოფლელი ქალი იყო, კუდი ჰქონდა და, რო მოკვდა, ხალხმა არ დამარხა, ხევში გადააგდეს, ის ქალი იღვა ჩემს წინ.

— როგორა ხარ, თევდორე? — შემომცინა და შემომაფეთა თოლები.

— წამო, წამო, დროს ნულარ დავკარგავთ, — გვითხრა და სწრაფი ნაბიჯებით ჩაგვიძღვა დაღმართზე.

ერთ უღაბურ ხევში ჩავედით.

ერთხანს სიბნელე გვეხურა, გვალთან თითს ვერ მიიტანდი, მერე გავედით მთვარის შუქით მკრთალად განათებულ მინდორზე.

იქ ერთი ქრიამული იღვა. სტუმრები მიდი-მოდიოდნენ და რიგისად სხდებოდნენ. მე მიმიყვანეს და „სასტუმრო“ სიბზე დამაყენეს. ვხედავ, სუფრები გაშლილი. ზოგ სუფრას მგლები უსხედან გარშემო, ზოგს — კატები, ზოგს — ალები.

ზემო თავში ზის დორაისხეველი და წესი და რიგი მიჰყავს.

მოდინ და მოახსენებენ დორაისხეველს თუ ვინ რა გააკეთა იმ ღამეს. ისიც ახალ-ახალ ბრძანებებს იძლევა. იმის გარშემო დგანან ყარაულები და

თავიანთ უფროსთან ახლოს მოსვლენებას არავის აძლევენ.

დორაისხეველმა გასცა ბრძანება და მის გარშემო შემოიკრიბა ყველა სუფრიდან თითო წარმომადგენელი.

დაიწყო სერობა.

ითათბირეს.

მერე ვილაცს მაგრად გაუწყრა დორაისხეველი.

ყველანი მას მიესივნენ და აღავლადნენ, წაიყვანეს და მანამდე აწამეს, მანამ არ გამოტუნეს რალაცაში. ამის მერე შეკრეს ბალახის აღდახებით და დილეგში გადაუძახეს.

კმაყოფილი იჭდა დორაისხეველი.

მერე რალაც კიდევ მოახსენეს და ჩემზე ანიშნეს.

ახლოს მიმიყვანეს.

— ვისი ჩამომავლობის არის? — იკითხა დორაისხეველმა.

— თანდილაის შვილია, სული რო არ მოგვეიდა, იმისა.

— გასაგებია. თქვენ ხომ გააფრთხილეთ, რომ შთამომავლობაზე ეზრუნა.

— გავაფრთხილეთ და მაინც არ მოგვეყიდა.

— რას იტყვით, რად ვაქციოთ?

— მგლად! — წამოიძახეს ზოგიერთებმა.

— კატად ყოფნა დავუდგინოთ, უკეთესია, — თქვა კატების სუფრის წარმომადგენელმა.

— გავუშვათ, სოფელში კაცის სახით იცხოვროს და ჩვენთან იქონიოს კავშირი, როცა მოესურვება, რალაც უნდა, იმად იქცევა, — აზრი გამოთქვა ერთმა.

— არა, ამის სოფელში კაცად გაშვება ხელს არ მოგვეცემს, კაცმა შეიძლება ყვავილი იპოვოს, — იუარა ჩემმა მასპინძელმა სტეფამ.

ითათბირეს და დაადგინეს:

— მგლად მოინათლოს!

მგლების სუფრაზე სიხარულის ყმულილი ატყდა.

— გახადეთ! — ბრძანა დორაისხეველმა.

გამზადეს ტანსაცმელი და დამტოვეს დედიშობილა.

— ალდახი! — ისევ ბრძანა დორაის-ხეველმა. ხელქვეითი იქი-აქა მიმოიფანტნენ, მოკრიფეს ჯადოსნური ბალახი, იმისაგან ვაგრიხეს საბელი, გამოალიღისთავეს და მარყუჟად გადაამაცვეს ყელზე.

დორაისხეველს ცალი თვალი ეჭდა შუბლზე და იმას ატრიალებდა აქეთ-იქით.

— ინათლება მგლად... — დაიწყო წესის გამრიგებ. — დღეის მერე ევალება: იყოს მგელი და მხოლოდ მგელი. სახე მისი არა კაცის ფერი, არა სხვა რამის მსგავსი, არცა კატის, არცა ეშმაკის.

დღეის მერე იყოს მორჩილი მბრძანებლისა ჩვენის და მისგან განწესებული ყოველი კანონის!

დღეის მერე სვას სისხლი და ერიდოს მძორს!

არ დაინდოს ადამიანის ძე!  
არ უღალატოს მგლებს!  
ნადირობისას არ მოშალოს რკალი!  
არ გადავიდეს წინამძღოლის ნება-სურვილს!

ყოველივე, რაიც განწესდება ჩვენს სამსჯავროზე, იყოს შეუფალი კანონი მისთვის!

ყელს გადაცმული ალდახი იყოს მისი მგლობის ბეჭედი.

— მოინათლოს! — ბრძანა დორაის-ხეველმა.

გამონასკვეს ალდახი ჩემს ყელზე და ვიქეცი მგლად.

— სისხლი! — ისევ ბრძანა მბრძანებელმა.

მოიტანეს მგლის სისხლი და ზედ გადამასხეს.

ასე გავხდი წითელი მგელი. მიმიყვანეს მგლებმა თავიანთ სუფრაზე და ჩემი ადგილი მომაკუთვნეს.

ჩამოვყუნდი.  
დავიყმუვლე.  
დანარჩენებმა ხმა ამაყოლეს.

— აბა, ახლა კი დროა, გამოცდაზე მობრძანდეთ! — დაიძახა დორაისხეველმა.

მარცხნივ, წამოყუდებული იყო, რომლის ფხაზეც ყინულის ლოლუები ეკიდა.

სათითაოდ მიდიოდნენ მგლები, კლდის ძირას დგებოდნენ, თავს მალდა, ყინულებისაკენ აიშვერდნენ და შეჰყმუვლებდნენ.

თითოეულს სამჯერ შეყმუვლების უფლება ეძლეოდა.

ვინც სამივე შეყმუვლებაზე სამ ყინულს ჩამოაგდებდა კლდიდან, ის ინიშნებოდა ხროვის წინამძღოლად, მანამ, სანამ დავალებულ საქმეს სისრულეში არ მოვიყვანდით.

შეიძლება რამდენიმეს ჩამოეგდო სამი ყინული. მაშინ გამარჯვებულნი უფრო მაღალ კლდესთან მიჰყავდათ და ახლა იქ გამოსციდნენ.

დორაისხეველს გადმობრუნებულ ლაშ-პირში ორი კბილი ეჩარა.

ჩაპბერეს ბუქს და დაიწყო გამოცდა. სათითაოდ გადიოდნენ მგლები და შეჰყმუვოდნენ კლდეს. ყინულები წკრიალ-წკრიალით ცვიოდა დაბლა.

ჩემი რიგიც მოდგა. შეყმუვლე: ერთხელ.  
მეორედ.

მესამედ წამოვიდა ერთი დიდი ყინული და შიგ თავში მომხვდა წვეტით. გონს რომ მოვედი, ჩემს გარშემო მგლები ისხდნენ ჩამოყუნებულნი და სხვა მეტი არავინ იყო, არც დორაისხეველი, არც სტეფანე და არც სხვა ქაჯი და ეშმაკი.

— ადექი, წავიდეთ! — ტოტი გამკრა ერთმა ბებერმა მგელმა, რომელსაც ბასა ერქვა. სანამ მე უგრძობლად ვეგდე, ეტყობა, იმ დროს ბასა აირჩიეს ჩვენს წინამძღოლად.

ბასა წინ გავვიძღვა და ჩვენ იმის უკან დავეწლიკდით. დანარჩენ მგლებს ერქვათ: ჯალაბა, ბოღრა, ჯლუნა, აპარეკა, წიწილო, ფეფო, კოჟა, ჯაყო, ქორა და, რა ვიცი, ბევრნი ვიყავით, ეხლა აღარც მახსოვს კარგად ყველას სახელი. აფუყევით ფერდობს.

გადავიარეთ სერი და დავეშვით დეკიანებში.

ნელი ძუნძულით მივდიოდით ქვემოთ და ფრთხილად ვუახლოვდებოდით სოფელს.

ერთ ადგილას შევჩერდით.

ყური მივუვლდეთ.

— აუუუუ! — მოისმა სოფლის მხრიდან.

— ის არის! — თქვა წინამძღოლმა და თვითონაც გაეპასუხა. იქიდან ისევ მოგვესმა პასუხი.

წამოვიშალეთ და დორდიან ხეცს დავეუყევით ქვემოთ. წყაროსთან ფაჩიფუჩი შემოგვესმა. მუცლებზე გავწექით. თულუხმოკიდებული ქალი მოდიოდა სოფლიდან. გორს რომ გადმოეფარა, თულუხი მოიხსნა, მიწაზე გაგორდ-გამოგორდა და მგლად იქცა.

წინამძღოლმა ნელა წაუყმუჭლა.

ის ჩვენსკენ გამოიქცა, მოვიდა და ჩამოგვესკუპდა.

— რა ამბავს იტყვი — ჰკითხა ბასამ.

— ხმას არ იღებს.

— სოფლიდან არ აპირებს გასვლას?

— რას გაიგებ იმისას, მუნჯია და, გულში რა უღვევს, არავინ იცის.

— კარგი, ამ სამსჯავროზე წინამძღოლად მე ამირჩიეს და იმ ქალის შეჰქმა დაგვევალა, — უთხრა ბასამ.

— თუ სოფლიდან როდისმე გავა, აუცილებლად შეგატყობინებთ.

— ჩვენ დეკიანებში დავიდებთ ბინას, აბა, ყოჩაღად! — უთხრა წინამძღოლმა.

მგელმა ფერდობი ჩაირბინა, გაგორდ-გამოგორდა, ქალად იქცა და თულუხი წამოიკიდა. ხო, მართლა, ეხლა გამახსენდა, თქვენი სოფლის თავ ვიყავით, ის დედაკაციც თქვენი სოფლელი იყო, ცა-ცო ერქვა.

— ცა-ცო?! — აღმოხდა ლუკას.

— ჰო, ჰო, ისე მოკვდა და ისე დამარხეს, ვერაინაც ვერაფერი გაიგო, მაგნაირი იმდენი დადის, ქვეყანა საესეა. ის ქალი ხო გახსოვს, ამალუბის დღესასწაულზე ჰაერში რომ აფრინდა.

— დონატა ერქვა, ამბობენ, მერე სამულდამოდ გაფრინდა ცაშიო, — თქვა ლუკამ.

— ჰო, ხალხი ასე ამბობს, — დაუდასტურა თევდორემ.

— თეთრუას უნახავს, როგორ ჩამოდგა ლამით ციდან სინათლის სვეტი და როგორ გაფრინდა დონატა.

— თეთრუას დონატამ სთხოვა, ასე ეთქვა, — თქვა თევდორემ.

— როგორ? თეთრუამ ტყუილი თქვა?! იმან ხომ ასე დაიფიცა: იმ წყალწაღებული შვილის ძვლები დავკენიტო, თუ ვტყუოდეო.

— კი, ასე თქვა და სწორედაც მოიქცა, მან ხომ ამით ღვთის რწმენა გააღიდა.

— როგორ, ტყუილით?!

— თეთრუამ თქვა, ქალი ზეცაში გაფრინდაო, ხალხს ასეც სურდა რომ ყოფილიყო, ადამიანები ხომ ყოველთვის ოცნებობენ ამაზე, ჰოდა, თურმე რაკი ასე მოხდა, უფრო ირწმუნა ღმერთი ხალხმა. თეთრუას ტყუილით კი ღვთის წინაშე არაფერი დაშავებულა, პირიქით, აქ მთავარია რწმენა.

— ხალხმა ხომ მანამდეც ნახა, როგორ აფრინდა დონატა, მეც ვნახე ჩემი თვალთ, — თქვა ლუკამ.

— ჰოდა, ერთხელ რომ აფრინდა და მერე დაკარგა ეს ძალა, აი, ამან კინაღამ ჰკუდიდან შეშალა დონატა. ველარ ეგუშუბოდა მიწაზე სიარულს, არადა, რომ ველარც მიფრინავდა?

— განა ამაში განგების ხელი არ ერია?

— ბერების მთა იცი?

— ვიცი.

— ჰეოფელხარ იმ მთის წვერზე როდისმე?

— არა, არ ვყოფილვარ, წმინდა ადგილად ითვლებოდა და ბავშვობაში გვიშლიდნენ იქ ასვლას.

— პაპამქედელი თუ გაგიგონია?

— არა, არ გამიგონია.

— მფრინავი ბერები?

— არც ეგ მსმენია.

— ამბობენ, ერთიც იყო და მერე-

ნიცო. პაპამჭედელს ცეცხლის რწმენა ჰქონდა, მფრინავ ბერებს — წყლისა. იქ, მთის წვერზე, ბერების ნასაყდრანობთან წყაროც არის.

წყლის რწმენა ჰქონდათ ბერებს და შეეძლოთ ჰაერში ფრენა, როგორ ახერხებდნენ ამას, არავინ იცის, ჰაერში თურმე ჩიტებივით დაფრინავდნენ, აი, ისე, დონატა რომ აფრინდა ამალგებას. სადაც დონატა აფრინდა, ადრე იქაც იმ მფრინავ ბერებს უცხოვრიათ. გადმოფრინდებოდნენ მთის წვერიდან და დაფრინავდნენ ხეობაში, გადაუვლიდნენ ტყეებს, ჰაერიდანვე ჰკრეფდნენ შვინდს, ძახველს, მოცხარს.

მერე ხეობაში გამოჩნდა კაცი, რომელსაც წყლის რწმენა კი არა, ცეცხლის რწმენა ჰქონდა. მოვიდა და დისახლდა. სახელად პაპამჭედელი ერქვა.

ბერებს უკვირდათ, რომ პაპამჭედელს ცეცხლი სწამდა და არა წყალი. გადმოფრინდებოდნენ მთიდან და ამით პაპამჭედელს აჩვენებდნენ თავიანთი რწმენის ძლიერებას. პაპამჭედელს მანინც ცეცხლისა სწამდა და ამით შორის ერთხანს ჰარმონიამ დაისადგურა: ბერები მთის წვერიდან კალათით უგზავნიდნენ წყალს, პაპამჭედელი, ბარად ხარ და ცივი წყალი მოგენატრებოდაო. წყლიან კალათას წვეთიც არ გავარდებოდა.

ახლა პაპამჭედელი გაუგზავნიდა ჩერებში გახვეულ გავარვარებულ უროს, მთაში ხართ და ხელებს მოითბობთო.

ბერებმა თავიანთი ტომის ქალი მიათხოვეს პაპამჭედელს.

გამართა ქორწილი. იცეკვა პატარაძალმა. ყველას მოეწონა.

ბერებმა გულში გაიფიქრეს, რაღა პაპამჭედელს მივათხოვეთ, ჩვენ გვეთხოვა ეს ქალიო.

დამთავრდა ქორწილი.

მთის წვერისაკენ გაფრინდნენ ბერები. ჰაერში ერთხელ კიდე მოიხედეს, რომ კიდევე შეეგლოთ პატარძლისათვის

თვალი. მოიხედეს და ძირს ჩაბოცვიდნენ, დაკარგეს ფრენის უნარი.

— რატომ? — ჰკითხა ლუკამ.

— იმიტომ, რომ დაკარგეს რწმენა და გულში ავი გაივლეს სხვის ცოლზე.

— პაპამჭედელი?

— პაპამჭედელი გამრავლდა, გაიმარჯვა იმის რწმენამ. ბერებმაც ცეცხლი იწამეს და მთაზე აღარ წასულან.

— მერე?

— მერე მოვიდა სხვა რწმენა.

— მერე?

— მერე სხვა.

— დონატა რომელმა რწმენამა ააფრინა?

— ეს ვერც დონატამ გაიგო და მეორედ რომ ველარ გაფრინდა, გადაწყვიტა, იმ მთის წვერზე წასვლა და წმინდად ცხოვრება, სადაც ადრე მფრინავი ბერები ცხოვრობდნენ. იფიქრა, იქ ცხოვრებით დაუბრუნდებოდა ფრენის ძალა. ვინ იცის, იქნებ მართლა რომელიმე იმ მფრინავი ბერის შთამომავალი იყო და გენებმა ააფრინეს იმ დღეს. ერთხელ რომ იგრძნობს ადამიანი ზეგარდმო ძალას, მერე უჭირს მიწასთან ყოფნა. დონატასაც დაეღია გული მოლოდინით. გადაწყვიტა, ღამე გაპარულიყო მთაზე. ხალხს რომ მისი ადგილსამყოფელი არ გაეგო, თეთრუას სთხოვა: შენ ყველა დაგიჯერებს, თქვი, ღამე დავინახე, დონატა ზეცაში გაფრინდათქო, ოღონდ ეს თქვი და შენი შვილებისთვის ვილოცებ.

— როგორ, დონატა ხომ დამუხჯდა იმ დღის მერე?!

— ვიცი, რომ თეთრუას ასე უთხრა, ღამით კი გაიპარა და ბერების მთისაკენ მიმავალ ფერდობს აუყვა აღმა.

ცაცომ იმ წუთშივე შეგვატყობინა ყმულით.

დავწაოციდით.

ბასას ჩავუდევით კვალში.

კარგა ხანს მივდიეთ ძუნძულით. არ ჩქარობდა წინამძლოლი.

ას ნაბიჯზე მივყვებოდით დონატას. ერთ გორზე შედგა და იქ შეისვენა.

— აბა, ესლა კი დროა, თორემ მთვა-

რე ამოგვისწრებს მერე, — გვიბრძანა ბასამ.

წრეზე შემოვერტყით დონატას.

— აბა, ვინ გაჰკრავს პირველი კბილს? — იკითხა ბასამ.

მგლები შეყოვნდნენ.

რატომღაც ყველას მოერიდა დონატასათვის პირველს გაეკრა კბილი.

— მე დავეცემი, — წამოდგა ძლიერი მგელი ჭალაბა.

— აბა, დროზე თორემ უცებ არ გავციფრინდეს, — ბრძანა ბასამ.

ჭალაბას მოქნილი და ძლიერი ნახტომი ჰქონდა.

მერე ჩვენც მივესიეთ...

სერდასერ ავიარეთ, მფრინავი ბერების ნასაყდრალეებში გავილოკეთ ტუჩები და თითო ყლუბი ცივი წყალი დავლიეთ.

ჩაემწკრივდით სერზე და ვალმოხდილნი გადმოვყურებდით ქვეყანას.

უცებ ჩვენს უკან მთვარემ ამოყო ყური.

დავფრთხით.

კულები ამოვიძუეთ და მიმოვიფანტეთ, მივიძალეთ დეკიანებში.

მთვარის ნათელი სვეტი კი მართლა ჩამოაღდა იმ ადგილს, სადაც დონატა გავწირეთ.

თუ წაიყვანდა, მთვარე წაიყვანდა იქიდან მის სულს, მეტი არავინ.

თვედორემ არაყი ჩამოასხა და დაილოცა:

— დონატას სულს გაუმარჯოს, ნათელში აფრინოს გამჩენმა.

— ამინ! — დაემოწმა ლუკა, არაყი კი აღარ დაუღუგვია.

— დალიე, რატო აღარ სვამ. ნამგზავრს მოგიხდება.

— არა, რატომღაც აღარ მინდა.

— შენი ნებაა, მაგრამ შესანდობარი ცოტა მაინც უნდა მოსვა, რა იცი, იქნებ მართლა არსებობს მისასვლელი გზა.

ლუკამ თავლის არაყი მოსვა. სასმელმა სასიამოვნოდ დაუარა ძარღვებში, თვედორეს შეხედა.

— რა დამფრთხალი მიყურებ, ბიჭო,

ისევე მგელი კი აღარა ვარ, თუ გინდა, ამის შესახებ აღარაფერსაც აღარ მოგიყვები.

— მოყევი, ძია თვედორე, არ მეშინია, — თქვა ლუკამ და იმწუთსვე მიხვდა, რომ ეშინოდა.

— აეგრე იყო ჩვენი საქმე, ხან ვინ გყავდა წინამძღოლი და ხან ვინ. შვიდი წელიწადი ვიყავი მგლად და იმ შვიდ წელში ერთხელ არ მომერგო წინამძღოლობა. ვერც ერთხელ ვერ ჩამოვაგდე კლდიდან სამი ყინული. სულ სხვათა კვალში ვიყავი ჩამდგარი, სულ სხვათა ბრძანებებს ვემორჩილებოდი. არადა, ვერ წარმოიდგენ, რა პატივი და სიამაყვა მგლისთვის წინამძღოლობა. მიდიხარ მკერდწამოწეული, უკან დაწალიკებული მგლები მოგყვებიან, შესდგები და იმავე წუთს გაქვავდებიან ისინიც. ბრძანებას გასცემ, ტოტს გაიქნევ, ბრძანება შესრულებულია. არავის არაფერს დაუთმობ, ბეწვისოდენ წყენასაც არავის შეარჩენ, მუხლი გერჩის და კბილები ალეხილი გაქვს. ქვეყანაზე ერთადერთი მთვარე ვაფრთხობს, ბროკას გიფანტავს და დამფრთხლები, შენ ბრძანებას აღარ ემორჩილებიან, სხვა, ისეთი დარდი არაფერი გაქვს. თვალეზიცი გიჭრის სიბნელეში და, რაც მთავარია, სინდისი არ გაწუხებს, როცა ვინმეს თავს დაეცემი. ასეთია სიამაყე წინამძღოლი მგლისა.

— მთვარისა რატომ ეშინიათ? — იკითხა ლუკამ.

— ახლა არ ვიცი, მაშინ, მგონი, მძორის სუნი მოგვდიოდა მთვარიდან, ისე კი მთვარიანშიც ბევრჯერ გვიწანწალია სარჩოს საძებრად. ერთხელ იალაღებზე გაშვებულ ხარებს დავესხით თავს. ერთი ხარი მოვიგდეთ წრეში, ნელ-ნელა შევაიწროვეთ რკალი. ხარი გასასვლელს ეძებს. მგლების კანონი ურყევია, გასასვლელი არ უნდა მისცე შენი მხრიდან, თორემ ვაი შენი ბრალი, საშიშია დამშეული მგელი.

ვაიწროვებთ წრეს და უცებ ჩემი ხარი ვიცანი. ახლა აღარ მახსოვს, როგორ ვიცანი, მგონი, შემომხედა, ჩემი გაზრ-

დილი იყო და, ალბათ, თვალებით ვიცანი. ისიც რატომღაც პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა, ჩემს მხარეს მოინდომა წრის გარღვევა. შეიძლება იმიტომ, რომ იმდენ მგლებში მე ვიყავი წითელი ფერის. ტოტი მოუქნიე შორიდან. შედგა, ყელის ძარღვები დაუბერა და დაიქშინა. მგლებმა უფრო შეკრეს წრე, ხარმა ეს იგრძნო და გამოექანა.

პირველი მე ვექვარე და მერე სხვებიც წამომეშველნენ.

სხვა ხარები ქედრიდან გადმოგვეყურებდნენ და ბლაოდნენ.

იმ დღეს წინამძღოლის ქება დავიმსახურე.

წინამძღოლობა კი არა და არ მეღირსა. სხვათა ბრძანებით ათას სამგლო საქმეს ჩავდიოდი. წრისთვის არასოდეს მიღალატნია. ახლა რომ ვიხსენებ, იმდენი ცოდვა მაქვს ჩადენილი... რომელი ერთი მოგიყვე. იმათ შორის მართო ერთი დღე თუ გააბათილებს ჩემს ცოდვიან, მგლურ დღეებს. ეს მოხდა ჯალაბას წინამძღოლობის დროს. ჯალაბა მოხერხებული და ჯანიანი მგელი იყო, ამიტომაც ხშირად ინიშნებოდა ჩვენს წინამძღოლად. მას მგლის ყველა თვისება ჰქონდა. ბეწვი მორუხო-მონაცრისფროდ უბზინავდა, სულს არ მოგვათქმევინებდა, ისე გადაგვატარებდა მთას. უფროსებშიც დიდი პატივით სარგებლობდა. ყინულიან კლდეს ისეთი ხმით შეჰყმუვლებდა, გეგონებოდა, კლდე ჩამოიშლებო. შებრალება არ იცოდა რა იყო, ცოდვა კი იმდენი ჰქონდა ჩადენილი, ჯერ რაც მართო ჩემი თვალთ ვიხილე, ისა კმარა.

ერთ სოფელში შეყვარებული გოგო და ბიჭი ცხოვრობდნენ. როცა სოფელს ვუთვალთვალედი, ხშირად ვხედავდი, როგორ გამოიძარებოდნენ შეყვარებულები დაბინდებისას სოფლიდან და ერთი დიდი მუხის ძირას ხედებოდნენ ერთურთს. უფრო ხშირად ბიჭი მოდიოდა ხესთან პირველი. მუხა სოფლიდან კარგა მოშორებით იდგა, ასიოდე ნაბიჯზე ტყე იწყებოდა, საიდანაც ჩვენ ვუთვალთვალედი სოფელს.

გოგო და ბიჭი გვიანობამდე ბოდნენ ერთმანეთის ალერისთ. ხანდახან თავი, ეტყობა, ისე ავიწყდებოდათ, მთელი მგლების ხროვა თავზე ყმულით რომ დავსხმოდით, ალბათ, კარგა ხანს ვერც კი მოვიდოდნენ გონს, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო.

ჯალაბა სულ კბილებს ილესავდა, მაგრამ, რატომღაც, ისე მოხდა, რომ იმის წინამძღოლობას არ დაემთხვა შეყვარებულთა გამოჩენა.

ტყიდან იმასაც კი ვუთვალთვალედი, როგორ იქორწინეს იმ გოგომ და ბიჭმა. ისე მოდიოდა წელში გამართული ნეფე, გეგონებოდა, ეს-ესაა აიწევა და გაფრინდება. გოგო მოჰყვებოდა დამფრთხალი შველივით. ორ დღელამეს ჰქონდათ ქორწილი. მესამე დღეს პატარძალი წყაროზე გადმოვიდა.

უცებ სოფელში თოფმა იგრიალა.

პატარძალს ამ ხმაზე მხრიდან კოკა გადმოუვარდა და გზაზე დაიმსხვრა, ჯერ კოკის ნამსხვრევებს დააცქერდა, მერე ადგილს მოსწყდა და სოფელში გაიქცა.

სოფელში ერთ კვირამდის არ შეწყვეტილა გლოვის ხარი. კვირის თავზე, სასაფლაოსკენ თმაგაშლირი, გულის დამმუდურავი ქვითინით მიჰყვებოდა გოგო თავის ნეფეს, რომელიც ვილაც მეზობელს მოუტლავს იმის გამო, რომ ის გოგო თავადაც ჰყვარებია.

მგლებს რა ცოდვამ უნდა დაუძღულდროს გული, მაგრამ ეს რომ ვიხილეთ, ერთმანეთს გადავხედეთ და ეს იყო ნიშანი სიბრალულისა.

მართო ჯალაბას არ შერხევია წარბი. გავიდა დრო.

ჯალაბას მიერგო წინამძღოლობა.

ისეც იმ სოფლის თვალთვალმა მოგვიწვია ტყიდან.

ვხედავთ, გამოდის შებინდებულზე შავოსანი გოგო და იმ მუხასთან მოთქვამს თავის დაკარგულ სიყვარულზე.

გავიდა ერთი ღამე.

მეორე.

მესამე.

გოგო ყოველთვის შებინდებულზე გამოდის.

ერთხელაც ასე რომ ტირიდა, წამო-  
დგა თავზე იმ განსვენებული ბიჭის  
აჩრდილი.

გოგო შექრთა.

მერე იყვია და შემოეხვია ბიჭს.

ამის მერე ყოველთვის ამ დროს ხვდე-  
ბოდნენ იმ ხესთან. ეალერსებოდნენ  
ერთთრთს, მერე, ეტყობა, ბიჭს რა-  
ღაც ვადა გაუვიდოდა და ქრებოდა.

გოგო ტირილით ეხვეწებოდა: არ გაქ-  
რე, ნუ დამტოვებ მარტოსო.

ერთ საღამოსაც რომ შეიყარნენ, ჯა-  
ლაბას ბეწვი აებურძვლა.

— მომყევით! — ტოტის აქნევით გვა-  
ნიშნა და წინ გავარდა. ჩვენ ადგილიდან  
ვერ დავიძარით. ის კი თავისი ჩვეული  
მოქნილი მოძრაობით დაეცა გოგოს და  
კარგა ხანს თვრებოდა იმის სისხლით.

— რაისთვის მახრჩობ, სიყვარულო,  
რაისთვის? — ზრიალებდა გოგო, რო-  
მელსაც, ეტყობა, ეგონა, ვაჟის აჩრდი-  
ლი ახრჩობდა.

შეშინებული და გაოგნებული აჩრდი-  
ლი კი მუხას აეკრა და მანამდე იყო  
ასე, მანამ გაქრობის დრომ არ მოუწია.

ჯალაბა ბანაკში დაბრუნდა და ერთი  
შემოგვიბღვირა ურჩობისათვის.

ამის მერე ზომ აღარაფერს გვაბატი-  
ობდა.

ერთხელაც იყო, ხეობის სიღრმეში  
მივარდნილ სოფელს ვუთვალთვალებ-  
დით.

ჯალაბა იყო წინამძღოლი.  
დილით თოვდა.  
თოვამ რომ გადაიღო, სოფლიდან  
ერთი ტანში მოსული ახალგაზრდა ლა-  
მაზი ბიჭი გამოვიდა და დაღმართი ჩა-  
მოიარა.

დედამისი ბანზე იყო გადმომდგარი  
და კარგა ხანს ჩამოჰყურებდა შვილს.  
ახალმოსულ თოვლზე ბიჭმა ნაკვა-  
ლევი დატოვა.

ერთი კვირის თავზე სოფელში ქალე-  
ბის წიოკი და ტირილი ატყდა.

გავიხედეთ.  
სოფლისაკენ იმ ბიჭს მისვენებდნენ  
საკაცით.

დედა ჩამოეგება, მაგრამ გზაში  
იკეცა.

ყინვები დაიჭირა.  
მთვარიანი ღამეები დაიწყო.

ღამშეუღლები ვიყავით და მთვარესაც  
აღარ ვერიდებოდით.

გამოვიდოდა ხოლმე დღისით და ღა-  
მით იმ ბიჭის დედა, დაჰყვებოდა შვი-  
ლის ნაფხურებს და ჰკოცნიდა.

თოვლი აღარ მოდიოდა და ნაკვალე-  
ვიც დიდხანს იყო.

ერთ ღამეს, როცა შავოსანი დედაბე-  
რი კოცნით ჩამოჰყვა შვილის ნაკვა-  
ლეს, ჯალაბას ავად აებურძვნა ბეწვი,  
მბრძანებლურად აგვიქვინა ტოტი და წინ  
გავარდა.

ქვალში ჩავეუღექით.

წამოვეწვი.

დავწინაურდით.

მომხედა.

მომყევით, ტოტი გამიქვინა.

მოგყვები—მეთქი, ვანიშნე და შევეკარ  
კამარა.

ზუსტი აღმოჩნდა ჩემი ნახტომი.

თოვლიან მიწაზე გაეშხლართე ჯალა-  
ბა და ყელში ვეცო.

წამოგვეწვივნენ სხვა მგლებიც და მც-  
ნენ ისინიც წინამძღოლს.

ყმუოდა, ზრიალებდა. დიდხანს არ  
დაგვემორჩილა.

ბოლოს ჩაწყყნარდა.

ჩაწყყნარდა მიდამოც.

თოვლში ეყარა წინამძღოლის ნაფ-  
ლეთები, ჩვენ კი ისევ სათვალთვალოდ  
წავედით.

რა თქმა უნდა, დედაბერს ჭეშმარი-  
ტად მკვდარი გული ჰქონდა, ამიტომ  
ვერც ჩვენი ხრიალ-ხრიალი ვაიგო და  
ვერც ის, როგორ ჩამოჰკვივლა ვილაცამ  
სოფლიდან:

— ამოდი, ქალო, სალომე, არ გესმის,  
როგორ ღაფლუებენ მგლები!

სალომე იჭდა და შვილის ნაფხურს  
ჰკოცნიდა.

საესე მთვარე ეკიდა ცაზე.

მერე საიდანღაც ამოძვრა პატარა  
ღრუბელი, გასივდა, გაიბერა და სათოვ-  
რად გაეშხალა.

წამოვიდა თოვლი და აღარაფერი ჩანდა.

მეორე დღესაც თოვდა.

შესამე დღეს კი, რომ გამოიღარა, ნაფეხურები აღარ ეტყობოდა. აღარც სალომე ჩამოსულა მეტად.

— მერე, სამჯავროზე არ დაგსაჯეს მაგის გულისთვის? — ჰკითხა თევდორეს ლუკამ.

— არა, სამჯავროზე ეს ვერ ვაიგეს, თორემ ერთს აღარ დაგვტოვებდნენ ცოცხალს. უტენია მგლების კანონი, თუ რაიმეზე პირი შეკრეს, ვეღარ გატეხავ. ჩვენ პირი შევკარით, რომ სამსჯავროს წინაშე არავის დასცდენოდა ეს ამბავი, ცოტად თუ ბევრად ყველას რაღაცა წყენა ახსრვდა ჭალაბასაგან! გაბედვით კი ვერაფერს რას უბედავდა. მე რომ პირველმა გავკარი კბილი, ამით დანარჩენების თვალში უფრო ავმალდი. იმის მერე, ვინც წინამძღოლი გვყავდა, ყველა ცდილობდა პატივით მომპყრობოდა, როცა კვალში მივდედვით ერთურთს, მეორე არა, მაგრამ მესამეს მე მიმიყოლებდა წინამძღოლი, ეტყობა, მაინც შიში ჰქონდათ ფარულად, მთლად ვეღარ მენდობოდნენ, მეორე რომ გავყოლოდი, ვაითუ ისევე დაცემოდი როდისმე თავს, როგორც ჭალაბას დაცეცი. დორაისხეველებისაგან ჩვენ მოჩენილი გვყავდა ერთი მგელი, რომელიც მარტო იმისთვის დაგვგვყაროდა, რომ შემდეგ დორაისხევეში გამართულ სამსჯავროზე დავებუზღებინეთ. ყველაფერი ეს ხდებოდა საიდუმლოდ, მაგრამ ჩვენ მაინც ვხვდებოდით, რომელი იყო ჩვენს შორის ასეთი მგელი.

ერთხელ, რამდენიმე მგელმა, პირი შეკრა და გადაწვიტეს ხელში ჩაგდოთ მთელი ძალაუფლება. ამისათვის საჭირო იყო დორაისხეველი მბრძანებელის შეპყრობა, რაც არც ისე იოლი ჩანდა. ვაფიქვალმა მგლებმა ჩუმ-ჩუმად მოლაპარაკება გააბეს მბრძანებლის ყარაულებთან. არ ვიცი, რა გეგმა შეადგინეს, მაგრამ შედგა თუ არა მორიგი სამსჯავრო, ვაფიქვლები უცებ გათოქის ბალახის აღდახებით და წამებით

ამოხადეს სული. თან ჩვენს დანახვას აწამებდნენ, რომ შემდეგში ჩვენც არ გავგებოდა ასეთი რამე. იყო ჩვენს შორის მგელი წაწილო, გამწლეული, უკარება და მლიქვნელი. როგორც შემდეგ ვაგიგეთ, წამებული მგლებისაგან ჩუმად დანაბარები, თურმე წიწილოც მათ შორის იყო, როცა ფიცი დადეს და ამბობებისათვის ემზადებოდნენ. წიწილო არავის უწამებია, იგი ისევე ჩვენს შორის დაძინებულბდა სამგლო საქმეებზე და თავს ერთგულად გვჩვენებდა. ჩვენი ამბები კი უკლებლივ იცოდნენ ყველა სამსჯავროზე. ცხადი იყო, ადრეც წიწილომ გასცა შეთქმულები და შემდეგშიც ის მოახსენებდა დორაისხეველ მბრძანებლებს ყოველ ჩვენ ნაბიჯს. იმ ამბის მერე, რაც წინამძღოლი ჭალაბა შემოგაკვავდა, წიწილოს ცოცხლად გაშვება აღარ შეიძლებოდა. ერთ წიფლიან ტყეში შევიკრიბეთ და სახელდახელო არჩევნები მოვაწყვეთ. გარეშე წიწილო ავირჩიეთ წინამძღოლად, რომ ეპვი არაფერზე აელო და მთვარიან ღამით არ გავგებარეოდა ჩუმად დორაისხევისაგან. წინამძღოლი რომ იქნებოდა, ყველას ყურადღება მისკენ იქნებოდა მიპყრობილი და ისე ადვილად ვეღარ გაბედავდა გაპარვას, თანაც ამით გავიგებდით, კიდევ ვინ ჰყავდათ ჩვენ ჯოგში დორაისხეველებს ამბის მიმტანი. მომავალ სამსჯავრომდე კიდევ კარგა დრო იყო დარჩენილი და ვუპვირდებოდით, წიწილო ვის გააპარებდა ღამით ამბის მიმტანად დორაისხევისკენ. ეს, ცხადია, იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ჩვენს შორის, წიწილოს გარდა, კიდევ იყო მოთვალთვალე. ასეც მოხდა: ერთ ღამეს, როცა ყარაულები თეოზე გავიდნენ და ჩვენ წავთვლინეთ, ვხედავთ, წიწილომ როგორ წასჩურჩულა ერთ-ერთ მგელს რაღაც. ის ჩუმად გახიზნდა წიფლებში და გაიპარა. ნელა წავეუწყვედი, ისე რომ წიწილოს და გაპარულს არაფერი ეგვძნოთ ამით, ვითომ ძილში ვიყავი, ძილში ყოველთვის წავეუწყველებდით ხოლმე მგლები ასე, ახლა კი ეს ნიშანი იყო იმისა, რომ თეოზე საყარაულოდ

გასულ მგლებს დორაისხევისაქენ გაბარული გამცემი ცოცხალი არ გაეშვათ. იმათ წინასწარ იცოდნენ ეს და ჩაუდგნენ კიდევ კვალში, როგორც თქვეს, უდაბურ კლდეზე გადაუჩეხიათ. ამის მერე წიწილოც მოვაშორეთ წუთისოფელს. დროებით ქორაი ავირჩიეთ წინამძღოლად და ავეყვით გორის ფხას.

სულ მალე კი დორაისხევეში უნდა წარვმდგარიყავით შეკრებაზე.

დადგა ეს დღეც. ვილაცამ მაინც გაგვცა.

დაგვეყენეს ახალი წინამძღოლი, ჯოგში შემოგვირიეს უცხო მგლები და გავვიყენეს უდაბნოს გზას.

ნამდვილი წამება იქ გავიარე. ფეხისგულეები მიხურდა ცხელ ქვიშაზე ძუნძულით, თვალეში ქარისაგან წამოღებული მტვერი გვეყრებოდა და ისე გამეცო ბეწვი უდაბნოს ქვიშით, ახლა წითელი ფერი კი აღარ მქონდა, უდაბნოს ქვიშის ფერი ვიყავი, სხეებსაც ასეთივე ფერი გადაჰკრავდათ. უწყლოობას ველარ ვუძღვებდით და გზადაგზა ვიხილებოდი. რამ გადამარჩინა, დღესაც არ ვიცი. მორიელებს და ჯოჯოებს ხომ სათვალავი ღარ ჰქონდათ. ვერ წასთვლემდი. ასე გვაწამეს სამი თვე და ბოლოს ისევ დორაისხევეში შევიკრიბეთ.

გავვიძლიერეს კანონები და დაგვაფიცეს აღარასოდეს გველატა მოძმისათვის.

ისევ შევემუფვეთ კლდეს და ისევ ჩავვიდგა ახალი წინამძღოლი, ამჯერად ჯაყო.

ისეთი სახით ჰყვებოდა თევდორე, ლუკას შეეშინდა, აქ ისევ მგლად არ იქცეს, ან სამგლო საქმე არ გაახსენდეს და წამომქენოსო.

—კჰ, კჰ,— ჩაახველა ლუკამ.

თევდორემ ლაპარაკი შეწყვიტა, გამოერკვა.

—დაიღალე, ლუკავ? მე კიდევ ვყვები და ვყვები, ლაპარაკს ვარ მონატრებული და... სოფელშიც ვერ ვძლებ, ვიტანჯები ხალხთან ყოფნით, სუ ის ჩემი ჩანადინარი საქმეები მახსენდება და

ბალებს თვალს ველარ ვუსწორებ. თანაც ალლო გამომყვა, სიკვდილის მოახლოებასა ვგრძნობ. წინასწარ ვიცი, თუ სოფელში ვინმე უნდა მოკვდეს, მძორის სუნი მცემს, სასიკვდილოდ გადადებულ კაცში კი ადრევე იგრძნობა ეს სუნი, ზოგი თვითონაც გრძნობს ამას, მე უფრო მეტად, მგლობიდან გამომყვა ეს ალლო. სოფლიდან ხო ამსიშორებზე ვცხოვრობ, ხანდახან აქაც კი ვგრძნობ რომ ახლომახლო სოფელში ვინმე უნდა მოკვდეს. ვიტანჯები, რანაირად ვიტანჯები, ვერ აგიწერ.

თევდორე ადგა, გარეთ გაიხედა და თქვა:

—ისევ თოვს, ასე თუ გაავრძელა, ხვალაც ვერ გაგიშვებ, ლუკავ, საზოგებოები იქნება.

—იქნებ გაიდაროს, — ისე თქვა, ნატვრას უფრო ჰგავდა ლუკას ნათქვამი.

—კარგა დამე წავიდა, დავიძინოთ, ხვალემ იკითხოს ხვალისა, — თქვა თევდორემ, ხონჩა აიღო და მერე, შიგნითა ოთახში შეიტანა. ცოტა ხანში უკანვე გამობრუნდა, ლუკას ლოგინი გაუშალა და უთხრა:

— აბა, მშვიდად დაიძინე, მე შიგნით ოთახში დავწევები, მამაჩემის ნაქონი ლოგინი მიდგას იქ, ერთადერთი იქ ვიძინებ მშვიდად, რალაც მაღლი ტრიალებს შიგ, სხვაგან ვერ ვისვენებ, სუ ავი სიზმრები მტანჯავს, ეტრიალებ, ვბრუნავ.

თევდორემ ღუმელს ერთხელ კიდევ შეაყარა შეშა, ლუკას მშვიდი ძილი უსურვა და თვითონ შიგნითა ოთახში შევიდა დასაძინებლად.

— შუქი თუ არ გინდა, ჩააქრე ლამბა, — შიგნიდან გამოსძახა თევდორემ. ლუკა უკვე დაწოლილი იყო, წამოდგა და ჩააქრო. ჩამოწვა სიბნელე.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ლუკამ საბანი წაიხურა.

უცებ შიშმა აიტანა. „რატომ ჩავაქრე შუქი?“ — გაიფიქრა. „შუქი თუ არ გინდა, ჩააქრე ლამბა“, ისევ ჩაესმოდა თევდორეს ხმა და სხვა მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ხმას. რატომ უთხრა, ჩააქ-

რეო, ნუთუ ისევ მგლად უნდა იქცეს და სიბნელეში დაეცეს თავს? ახლა გაიხსენა და რატომღაც მოეჩვენა, რომ ბოლოხანს თევდორეს სხვანაირად აემღვრა თვალები, თანაც მარტო ცხოვრობს. იქნებ იმიტომ არის აქ მარტო, რომ ლუკასნაირ გზაბნეულ მგზავრებს შემოიტყუებს სახლში, შეიყოლიებს თავლის არაყზე, ლოგინს გაუშლის, ლამპა ჩააქრეო, გამოსძახებს შიგნიდან და თუ დაგეძინა... არა, არა, მაშინ აღარც გადაგარჩენდა. იქნებ იმიტომაც გადაარჩინა, რომ თვითონ მოუღოს ბოლო, მაგრამ ხომ თქვა, კაცის სახით არ მოუსჯიათ ჩემთვის მგლად ყოფნაო. მაშ რა არის, რა უნდა დატრიალდეს ლუკას თავზე ამდამ? კიდეც კარგი, ცეცხლი ანთია და ჭერჭერობით იმის შუქი ანათებს ოთახს. როგორმე უნდა ვაძლოს და არ დაიძინოს. ცეცხლი თუ ჩაქრება, კიდეც აანთებს, ხელმეორედ ლამპის ანთება უხერხულია, იქნებ აღარაფერი სამგლო საქმე არ უღვეს თევდორეს გულში და ეწყინება, ეკვიანობა და შიში რომ შეამჩნიოს. ბოლო-ბოლო, ხომ თევდორემ აჩუქა წელიწადი სიცოცხლე.

ნეტავი, მერე რა მოხდა, როგორ დააღწია თევდორემ თავი ტყვეობას, როგორ მოიქცა ისევ ადამიანად, თუ მართლა მხოლოდ ადამიანი და ისევ მგელი არა ზის მის სულში. თავიდან კი არ გამოუშვეს დორაისხვევლებმა სოფელში კაცის სახით, იმიტომ რომ არ ენდობოდნენ და წითელ მგლად აქციეს. იქნებ შვიდი წლის მანძილზე დაიმსახურა მათი ნდობა და ახლა კაცის სახეში ჩაუსახლეს წითელი მგელი. თუ ასეა, არ დაინდობს არც ლუკას, ავი არც თავის ვაზრდილი ხარი დაუნდვია. იქნებ მაშინ ხარმაც ივრძნო ალლოთი პატრონის სუნთქვა და იმიტომ მოინდობა წითელი მგლის მხარეზე გაერღვია წრე.

ხარის ვაფიქრებზე რატომღაც ისევ წამოიწყებენ ბავშვობისდროინდელი მოვლენები.

უშველბელი შავი ხარი ჰყავდა ლუ-

კას, მოფერებით ბოჩოლას ეძახდა. პატარაობიდანვე თვითონ გაზარდა და ეს სახელიც იქიდან შემორჩა.

დიდი, ჭკვიანი თვალები ჰქონდა ბოჩოლას. ხაოიანი ენით შუბლსა და ქოჩორს ულოკავდა ლუკას და თმა ყოველთვის ისე კონტად ჰქონდა აღმა გადავარცხნილი, სოფელში დასციროდნენ: შენ სავარცხელი რად გინდა, ხარი გყავს სავარცხლადო. ბოჩოლა სკოლის კარამდე მიაცილებდა ლუკას და მერე ახლომახლო სძოვდა, ელოდებოდა, როდის დამთავრდებოდა ვაკვეთილები, რომ სახლშიც ერთად წასულიყვნენ. ხარის შიშით, უფროსკლასელი ბიჭებიც კი ვერაფერს უბედავდნენ. თუ შეამჩნევდა, ვინმე ჩაგრავდა ლუკას, აბუბუნდებოდა, რქებით მიწას ჩხვერავდა და ისე იმუჭრებოდა სკოლის ეზოს იქით ბოჩოლა, ლუკას მოწინააღმდეგე ფარ-ხმალს ჰყრიდა.

დასვენების დღეებში საძოვარ იალაღებზე მიჰყავდა ლუკას ხარი. მთელ ზაფხულს მისთვის ავროვებდა თივას და ზამთარში თავისი ხელით აქმევდა.

კარგად მოვლილ და ნაბატიებ ხარს შავი ბეწვი სასიამოვნოდ უბზინავდა.

სამი წლის რომ გახდა, უღელშიც შეაბეს.

არ იცხამოვნა.

მიწა გამოთხარა წინა ფეხით.

— ნუ გეშინია, ბოჩოლ, მონობის უღელი კი არ დააღვით, მოგნათლეთ, ხარი ხარ, რა ვიცი, როდის დაგვეკირდება შენი ხარობა, — უთხრა ლუკამ.

ბოჩოლამ შუბლი და თმა აულოკა.

ენა უკვე გაუღუხმდა და ჰაპოზარით დაფხოჭნა.

— ნელა, ბოჩოლა, ნელა, შენი ტოლი კი აღარა ვარ, — მოუალერსა ლუკამ. — ხომ ზედაც, რამოდენა გაიზარდე, შენი მომრევი ხარი, მთელ სოფელში არ დიდის.

მართლა ვერც ერთი ხარი ვერ ერეოდა ბოჩოლას. როცა მეგველიანი სახარე ძროხას აედევნებოდნენ, წინ ყოველთვის ბოჩოლა მისდევდა აცუნდრუკებულ ძროხას, რომელიც გარბოდა და

ამით უფრო ახელებდა ისედაც გადა-  
რეულ ხარებს. იყო ისეთი დროც, რო-  
ცა ბოჩოლა სულ პატარა იყო და სახა-  
რე ძროხას ადევნებულ ხარებს კულში  
მისდევდა, ძროხამდე იმას ვინ მიუშვებ-  
და და დორბლებსა ჰყრიდა, თავს მალლა  
სწევდა, ჰაერს სუნავდა, გულისგამაწყა-  
ლებელი ბლავილით იკლავდა ლიღარს.  
მერე თანდათან მოღონიერდა, მეორე  
გაზაფხულის ბალახი რომ მოძოვა თავის  
დაბადებიდან, სახარე ძროხას ადევნე-  
ბულ ხარებში, უშა ადგილი ეკავა და  
ახლა შესაძლებლობაც უფრო მეტი  
ჰქონდა ძროხასთან ყოფნის. მესამე გა-  
ზაფხულის ბალახი რომ მოძოვა, უკვე  
პირველი მისდევდა ძროხას, სიამოვნებ-  
და კიდევ ეს დამათრობელი სრბოლა.  
ძროხა რომ ეკობტავება, თან გაურბის,  
თან იწვევს, ეს კიდევ მისდევს და ეამ-  
ყება, რომ პირველია, მის უკან ათობით  
ბუღაა აბორგებულო, აბობოქრებულო  
და ამძუვნებულო, გადასწრებას კი ვე-  
რავენ ბედავს...

გარბის დეკეული.  
მიჰყვება მეგველიანი და სადღაც  
წყდება მოთმინების ძაფი, ხარის უშ-  
ველებელი შავი მკერდი გადაფარავს  
დეკეულს და ვეღარ გაუძლებს, მიწაზე  
გაჩნახება წინა ფეხებით.

ბოჩოლა ყველგან გრძნობს პირვე-  
ლობას და რქით მიწასა ჩხვერს, საჩ-  
ხუბრად იღესება, გორზე გადამდგარი  
ბუბუნებს, ქშინავს.

გაზაფხულობით, წვიმიან ამინდებში  
სოფლიდან სკოლისაკენ მიმავალი გზა  
ტალახდება და ერთხელაც, აგვიანდე-  
ბოდა ლუკას, ვეღარ მოასწრო ტალახი-  
ანი ჩექმების გაწმენდა. ის-ის იყო  
ეზოს შესასვლელთან გამოემშვიდობა  
ბოჩოლას, რომელიც ეხლაც კიდევ თან  
დაჰყვებოდა და დაირეკა კიდევ დილის  
ზარი. ლუკა გაიქცა და ძლივს შეასწრო  
მასწავლებელს კლასში. სამასწავლებ-  
ლოს ფანჯრიდან დაინახა დირექტორმა  
ლუკა, შევიდა იმის კლასში და უყვარა:

— რატომ შემოხვედი სკოლაში ტა-  
ლახიანი ფეხებით?

— ვეღარ მოვასწარი, პატივცემულო...

— რა ვერ მოასწარი?  
— ფეხების გაწმენდა, გზაზე ტალ-  
და ზარი დაირეკა.

— ძილი ხომ მოასწარი, — უთხრა დი-  
რექტორმა, მივიდა, ცური დაუქირა,  
ასე გამოიყვანა მერხიდან, გაიყვანა კლა-  
სიდან და ეზოში გაატარა-გამოატარა  
ყურაყეული, რომ მთელ სკოლას დაე-  
ნახა და შემდეგში აღარავის გაებედა  
ასეთი საქციელი.

ლუკას უფრო შერცხვა და ტირილი  
დაიწყო. უცებ ეზოს გარეთ აბუბუნდა  
ბოჩოლა, ქვის ყორეს ზემოდან გად-  
მოველო და გაეჭანა დირექტორისკენ,  
რომელმაც უშვა ლუკას ხელი და ძლივს  
მოასწრო სამასწავლებლოში ჩაკეტვა.

იმ დღეს ორი თუ სამი გაცვეთილ  
გაცდა ყველა კლასში. სკოლის დერე-  
ფანში ბლუღა ბოჩოლა და გარეთ აღ-  
რავის უშვებდა.

— წაიყვანე, ბიჭო, სახლში და ხვალ  
სუფთა ფეხებით მოდი, — მოიფიქრა  
გამოსავალი დირექტორმა და სამასწავ-  
ლებლოს ფანჯრიდან გადმოსძახა ლუკას.  
ბიჭმა ძლივს დააწყნარა ბოჩოლა და  
სკოლის ეზოდან გავიდნენ.

იმ დღის მერე კუთხეშიც კი არ დაუ-  
ყენებია მასწავლებელს.

— როგორ არიან, ბიჭო, გერმანელე-  
ბი? — შეხვდებოდა თუ არა, იმ წუთში  
ჰკითხავდა დირექტორი.

— არა უშავს რა პატივცემულო, —  
პასუხობდა ლუკა.

— თივა ხომ არ აკლია, თივა?

— არა, აქვს.

— გული მოუღება ჩემზე?

— იძახის, თუ ოქროს მგელას არ გა-  
მოგაყოლებენ, მოვალ და იმ სკოლას  
სუ ძირიაღმა ვუხამო.

— ჩვენგან გადაეცი, მაგაზე როგორ  
გაწყენინებთ, ლუკას კი არა, რვა კლა-  
სის ატესტატს შენც ბაგაზე მოგართ-  
მევთ-თქო.

თუ ლუკა რამეს დააშავებდა, მასწავ-  
ლებელი იმას კი არ ეტყოდა, წადი,  
მშობელი მოიყვანეო; არა, წადი, ხარი  
მოიყვანეო, ეხუმრებოდა.

ირემიანთ თინას მთხოვნელი მთხოვ-

ნელზე მოსდიოდა. ზოგს რაზე იწყებდნენ, ზოგს რაზე. ერთ მეზობელ სოფელ ბიჭს მზე და მთვარე თინაზე ამოსდიოდა, თინაც არ იყო იმის მიმართ გულცივიდ, მაგრამ ერთ დღეს საიდანაც კოსტიუმში გამოწყობილი მთხოვნელი გამოჩნდა.

ერთხელ მოვიდა.

მეორედ მოვიდა.

მესამედ თანდათან იმ კაცის მხარეს გადაიხარა სასწორი. თინას ჯერ კი შორს ეჭირა, მაგრამ უცხო კაცის ჩაცმულობამ და ქალაქურმა კილომ თანდათან თავისი ქნეს. მშობლებმა კი გაიკიხნ-გამოიკითხეს იმ კაცის ვინაობა და გაიგეს კიდევ, რომ თინამდე სამი ცოლი ჰყავს ვასტუმრებულიო.

— ეგ ხალხის ჭორია, ჩვენი შურთ, — თქვა თინას დედამ.

— რას ამბობ, დედაკაცო, ქალი არ დავლუბოთ, — დაექვდა თინას მამა.

— ჰოდა, მაშინ მიეცი გაღმა სოფლელ ტეტები და ჩემსავით სოფლურ საქმეში ჩამაბერე ეგაც.

— სოფლური საქმე რა შუაშია, ქალაქში ვანა ხეებსა სცვივით ფულები.

— ვერა ხედავ, რა ჩაცმულ-დახურული მოდის, თანაც ის რო უკეთია კიდევ.

— რა ის უკეთია, დედაკაცო!

— რა და, ისა.

— გაგყდი, მე შენი, რა უკეთია?

— რა და, ყელზე რო წითელი ნაჭერი უკეთია, — თქვა ქალმა.

თინას მამაც შეაეჭვა ამან. ჰალსტუხიანი ხალხი ცოტა ენახა და, ვისაც კი იცნობდა, ყველას რაღაც თანამდებობა ეკავა, ამან ძალიან საგონებელში ჩააგდო და გადაწყვიტეს თინასთვისაც ეკითხათ.

— როგორც თქვენ იტყვიან, ისრე ვინაა, — განაზღა თინა. ეჭვი აღარ იყო, იმასაც გულში ჩაჰტრენოდა ის უცხო მთხოვნელი.

გაღმასოფლელი ბიჭი კი ილეოდა, თანაც კარგი, გულიანი ბიჭი იყო.

სასწორი ხო ვიცით, ვსკენაც არის გადახრილი. ჰოდა, ეს კაცაც გამოჩნდა

ერთ დღეს სოფლის ბოლოს თავმოყრილ ნედ მომავალი.

გაზაფხულია.

ის დროა, როცა ორღობეები ტალახითაა საფეკ. კაცს შარვლის ტოტები ამოუქარწყახებია და თანაც მუხლებიდან ხელებით მალდა ეწევა, რომ არ გატალახიანდეს. მთელი სოფელი ელოდება. მაშინ მართლა იშვიათი იყო ჰალსტუხიანი კაცი და რაღაც იღუმალეობას მატებდა მოსულს, რომელსაც თეთრ ხალათზე წითელი ჰალსტუხი ეკეთა.

მოდის, შემოვიდა კიდევ სოფელში.

ლუკა დერეფანში ზის და გაკვეთილს სწავლობს.

იქვე ბოროლა წამოწოლილა და იცოხნება.

ამათი დერეფანი უნდა გაეცლო მოსულს, გზა ესე! ჰქონდა.

გამოჩნდა ყელმოღერებული.

ერთი კი დაიჭმინა იმის წითელი ჰალსტუხის დანახვაზე ხარმა და წამოენთო.

— ხი, ოოო! — აჩერებს ლუკა, მაგრამ რას გააჩერებ, ხარი კი არა, მთა არის, წამოენთო ბუბუნით თინას მთხოვნელს. მოკურცხლა იმან თავქვე და გამოენთო ხარი. ვისღა ახსოვდა ტალახი, დარბიან ორღობეებში აღმა-დაღმა. რო აღარ მოეშვა, ქნა კაცმა ძალი და, საიდანაც მოვიდა, იქეთ დაეშვა თავქუდმოვლევითი.

გაეკიდა ხარიც.

— კაცო, არ მოკლას კია და შარში არ გაეხვიოთ, — დაიჩივლა თინას მამამ. სოფლიდან ძლივსღა ჩანდნენ, ისე გარბოდნენ.

არ ეშვებოდა ხარი.

ვილაცამ მოიფიქრა და ვასძახა:

— ჰალსტუხი გადააგდე, ჰალსტუხი! იმას ეს არ გაუგონია, ან რაღა ამის თავი ჰქონდა, გარბოდა, რაც შეეძლო. მერე თვალს მიეფარნენ.

ცოტა ხნის მერე ხარი გამოჩნდა, ძოვა-ძოვით მოდიოდა აღმა.

ის უცხო მთხოვნელი იმის მერე აღარ გამოჩენილა. თინა გაღმა სოფლელ ბიჭს გაჰყვა და ხუთი ბიჭი გაუჩინა.

— ეს არის ჩემი მაჰანაკალი და მშვე-

ლელიო, — მოდიოდა ხოლმე მოსაკითხით ის ბიჭი ბოჩოლასთან და სათიბში ყოველთვის შველოდა ლუკას, — შენი ხარის ვალში ვარ, მეც უნდა ვუთიბო.

მეზობელი სოფლებიდან მოჰყავდათ ხარები და ლუკას ხარს აჭიდებდნენ. ბოჩოლა ყოველთვის იმარჯვებდა. სანამ დაეჭიდებოდა, მანამდე კარგა ხანს ემზადებოდა, ჰკვლევდა მოწინააღმდეგეს, რჩეობით მიწას თხრიდა და საბერველივით ქშუტუნებდა.

ხალხი სანაძლეოს უდებდა ერთმანეთს და ბოჩოლა და ლუკა გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდნენ.

ერთი კაცი გამოჩნდა ერთხელ და იკითხა:

— ეს არის ის ხარი?

— შენ რომელს კითხულობ? — დაინტერესდა ხალხი.

— ხარი რომ ვერ ერევა, იმას.

— შენ რაში გაინტერესებს?

— ისე, თქვენ სოფელში და მყავს გამოთხოვილი, და.

— ვისი ცოლისძმა ხარ?

— სანდრუაისი.

— მერე, რა შორიდან გვივლი, კაცო, ხარები კი არა ვართ, რო დაგეჭიდნეთ.

— არა, ხარის ამბავი მართლა მანტერესებს, ჩემმა ცოლისძმამ მთხოვა, ამ ზაფხულს ხარი დამჭირდება და მათხოვეო, ერთი წითელი ხარი მყავს; მთელ ოჯახს მირჩევენია.

— მერე ხო არავინ გართმევს.

— არა, წართმევით ვინ წამართმევს, მაგრამ გაგებული მაქვს, ამ ხარის ამბავი და მეშინია ხარი არცა გადაიჩეხოს, ამის სანახავად წამოვე, ვიფიქრე, წავიდე, ვნახო, მოერევა თუ არა ჩემ ხარს-მეთქი, თუ მოერევა, ვათხოვებ, აბა, რას ეზომ, სიძეს ხარის გულისთვის ხო ვერ შემოვიმდურებ.

— მერე როგორ ატყობ, მოერევა? — დაინტერესდნენ სოფლელები. იმ კაცმა ბოჩოლას ახედ-დახედა და თქვა:

— ჰა და ჰა! ვათხოვებ, მა რას ვიქამ.

აი, აქედან კი დაიწყო, რაც მოხდა. ყველა მოუთმენლად მოელოდა, როდის მოიყვანდა სანდრუაი ცოლისძმის ხარს.

ის დღეც დადგა.

სანდრუამ სოფელში მოიყვანა წითელი, გემივით ხარი.

— ოჰოოო!

— აი, ხარო! — იძახდა ხალხი.

საძოვრიდან დაბრუნებულმა ბოჩოლამ უცხო ხარის სუნი იკრა და აბუბუნდა.

სანდრუამ იმ დღეს ბაკში გამოამწყვდია ცოლისძმის ხარი და საბუღროდ არ გამოუშვა.

— დღეს დალილია, თანაც უცხოდ არის, ჯერ მიეჩვიოს, — თქვა მან.

მთელი დამე ბუბუნებდა ბოჩოლა და სანდრუაისი სახლისკენ იწევდა.

მეორე დღესაც არ გამოუშვა ხარი სანდრუამ. მოთმინება დაელიათ კაცებს, პაპიროსს პაპიროსზე სწევდნენ და სანდრუას ეძახდნენ:

— გამოუშვი, კაცო, ლამის არის, გიჟდეს ხარი.

მართლა ველარ ისვენებდა ბოჩოლა. რაკი ერთხელ უცხო ხარის სუნი იყნოსა, სულ გადაირია.

მესამე დღით, ნახირი რომ საძოვარზე გაუშვეს და ბოჩოლა საომრად აყვირდა. სანდრუამ ბაკის კარი გახსნა და გამოუშვა იქიდან წითელი ხარი.

მთელი სოფელი სანახაობის საცქერლად შეგროვდა.

ხარები ჯერ სწრაფად გაქანდნენ ერთუროსისაკენ, რაღაცა მანძილზე შედგნენ, მიწას გაუსვეს წინა ფეხები. მერე საბერველებივით დაიქშინეს, თავდახრილებმა, ერთმანეთს ირგვლივ შემოუარეს, ეტყობა, ორივემ იგრძნო ერთმანეთის ძალა.

ერთი წამით შედგნენ.

და უცებ დაეძგერნენ ერთმეორეს. პირველი შეტევა თითქოს იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ ბოჩოლას უნდა გაეტეხნა, მაგრამ წითელი ხარი უშველებელი იყო და, ეტყობოდა, არ აპირებდა დათმობას.

დაიწყო ბრძოლა უფლებისათვის.

ბოჩოლას არ უნდოდა პირველობის დაკარგვა, წითელი ხარი კი, თავის



მხრივ, გადაწყვეტით ცდილობდა უპირატესობის მოპოვებას.

ხარებმა რომ ჭიდილი დაიწყეს, მაშინ ლუკა სახლში არ იყო, შუადღისას დაბრუნდა და მოადგა ამ შერკინებას. ხარების გარშემო ტრიალებდა ხალხი. ყაყანებდნენ, ხელებს იქნევდნენ, სანამ-ლეოებს უდებდნენ ერთიმეორეს. ხარები კი ოფლად იღვრებოდნენ. იმათ გარშემო დათხრილი იყო დედაშიწა.

— მიდი, ბოჩოლა, მიდი! — ამხნეებდა ლუკა თავის ხარს და იმანაც, ლუკას ხმა რომ გაიგონა, უფრო თამამად შეუტია მოწინააღმდეგეს.

ყაყანებდა ხალხი, ქშინავდნენ დაღლილი ხარები და აცხუნებდა ზაფხულის მწველი მზე. ზემოთ, საძოვარ ფერდობებზე სოფლის ნახირი შეკრებილიყო და ისინიც თვალს ადევნებდნენ ხარების ჩხუბს, რომელნიც დროდადრო ჩერდებოდნენ, ენაგადმოვდებულნი ქშინავდნენ, ძალას იკრებდნენ და მერე ისევ ერთმანეთს ეძგერებოდნენ.

მზე მთაზე დაიწვერა, გაწითლდა, გავარვარდა, მერე სხივები აიკრიბა, ნელ-ნელა დამშვიდდა, აციმციმდა და ჩაქრა.

მთებიდან წამოქროლილმა ნიავმა გამოაცოცხლა ხარები და უმატეს ქშენას. ხალხიც გამოაცოცხლდა.

უფრო აყაყანდნენ.

ფერდობიდან სოფლისაკენ დაიწია ნახირმა.

ქალებმა ძროხები წაასხეს, ბაკებში გამოამწყვდიეს და ახალმოწველილი რძის სასიამოვნო სუნმა გაჟღინთა ჰაერი.

კაცები ისევ ყაყანებდნენ და პაპიროსს ეწეოდნენ.

— მიდი, ბოჩოლა, მიდი! — ამხნეებდა ლუკა თავის ხარს, რომელმაც, ეტყობა, ფეხი იტყინა, უკანა ფეხს ჰაერში სწევდა მალიმალ.

შემომგლისფერდა.

საღამოს ბინდი თანდათან გამუქდა და შორიდან მარტო ერთოვრის შეჭიდებულნი ორი მთა და იმათ გარშემო

მორიალე აჩრდილები ჩანდნენ მკერძულადაა ლად.

მერე სულაც ჩამობნელდა და აღარაფერი ჩანდა. მარტო ხარების ქშენა და კაცების ყაყანი ისმოდა. ცეცხლმოკიდებული სიგარეტები ჩანდნენ კიდევ ციციანათელებივით.

ვილცამ მოიფიქრა და კვარი აანთო, მერე სხვებმაც აანთეს და ზელახლა განათდა საბრძოლო მოედანი.

ციცხლის შუქის დანახვანზე ჯერ კი შედგნენ ხარები, მაგრამ ეს სულ რაღაც ერთი წუთით, უბრალოდ, შეისვენეს და მერე ისევ დატხირნენ ერთუროს. უკანა ფეხებს განზე სდგამდნენ და ცდილობდნენ ერთმანეთს რქებით სცემოდნენ ყელში. ორივეს სისხლი ჩამოსდიოდა ალაგ-ალაგ. ზოგან უკვე შემხმარი ჰქონდათ და ცეცხლის შუქზე ბწყინავდა, ზოგან ჯერაც მოთქრიალებდა, თავპირი ხომ სულ მთლად ტალახითა და სისხლით ჰქონდათ მოთხვრილი. დათხრილ მიწაში ერთუროთში იყო არეული წითელი და შავი ბალანი. რა ფილტვები უძლებდა იმათ ქშენას, ან საიდანღა ჰქონდათ ღონე, ეს თითქოს აღარ აინტერესებდათ გარშემომყოფთ და ბრძოლისა და სანამლეოს აზარტით შეპყრობილი ყვიროდნენ, ყაყანებდნენ, პაპიროსს ეწეოდნენ, ანთებული ჩირაღდნები ხან ჩაიწვებოდა და ამ დროს, ცოტა ხნით, სანამ ახალს აანთებდნენ, მკრთალი ნათელი დასციმციმებდა შავსა და წითელ ხარს, რომელთაც გათენებისას დაიწყეს ბრძოლა და, ღმერთმა იცის, როდის შეწყვეტდნენ, როდის გადაწყვეტდა ერთერთი მათგანი, რომ მან უნდა დათმოს, დათმოს არა მარტო ბრძოლის ველი, არამედ პირველობა, უფლება და შემდეგში წყალზე მიმავალი გზად გამარჯვებულს თუ შემოეყრება, გზის ძირ უნდა ჩადგეს და გზა პირველს დაუთმოს. ანდა საერთოდ შორიდან უნდა შემოუაროს.

გადავიდა შუალამე. ხარები ისევ ჩხუბობენ და კაცებიც ყაყანებენ. მარტო ცნობისმოყვარე ბალები თვლემენ ყა-



მიემ და კაცების შეძახილზე თვალებს აქვებენ, ფხიზლდებიან. ბაკებში გამომწყვდეული საქონელი ზმუის, შფოთავს და დგანდვარებს. მათ არ ასვენებს ცნობისწადილი, დამწყვდეული ხარები დროდადრო კრთებიან და მორკინალ ხარებს გაჰბლავიან.

— მიდი, ბოჩოლ, მიდი! — ყვირის ლუკაც და თან ძილი ერევა, ქუთუთოები უმძიმდება. ასეთ დროს ერთმანეთში ერევა წითელი და შავი ფერი და ველარ არჩევს, რომელია მისი ხარი. მერე რამდენიმე ხარი ერთად დაიბლავლებს და ისიც ფხიზლდება.

გორდავორ ნელ-ნელა ამოხდა მთვარე და ბრძოლის ველი უფრო გაანათა. ახლა ჩირადნები აღარ არის საჭირო. მთვარის შუქზე სხვანაირად ჩანს ყველაფერი, მორკინალნიც და სეირის მაყურებელნიც. მთვარე თითქოს აფერმკრთალებს ყველაფერს, მაგრამ სამაგიეროდ უფრო იღუმალს ხდის. მის სინათლეზე უფრო სხვანაირად ბჭკინავს ხარების რქებსა და ფერდებზე შემხმარი სისხლი. ხარების დაბერილი ნესტობიდან გამოსროლილი ორთქლიც სხვანაირია, მთვარის ფერი დაჰკრავს. მთვარეს თითქოს უხარია ხარების ჩხუბი და უფრო მეტი ძალით ანათებს. ამოდის, მაღლდება ცის შუაგულისაკენ. ახლა მის გავსილ ზურგზე დაჩნეული ლაქაც ორ მორკინალ ხარსა ჰგავს გარსშემორკალური აყაყანებული ხალხით. მთვარე სავსეა და დაუმცხრალი, ამიტომ დაუმცხრალია ხარების ჭიდილიც, ხალხის თინიც და თითქოს მთელი სამყაროც, უთვალავი ვარსკვლავით, რომლებიც კრთიან, ეიჟიკებენ, წკრიალებენ და არა ცხრებიან. თითქოს უსასრულოდ უნდა გაგრძელდეს ხარების ბრძოლა, უსასრულოდ უნდა იბორავს, ითქანთქაროს ბაკებში გამომწყვდეულმა სოფლის ნახიჩმა, ისევე უსასრულოდ, როგორც ეს ცაა, აბორგებული, უკიდვანო და მოყიკიკე. ბუნება კი სულგანაბულია, დედამიწა გატვრენილა და მინც მოელის დასასრულს. ზეცა მიჩვეულია უსასრულობას, მას შეუძლია

მუდმისად უყუროს ამ შერკინებას, ამ წის შეილთათვის კი უცხო არის უსასრულოდღროება. სოფლის თავს წამოშოლტილი წიფლებიც კი ჩუმში შრიალით თითქოს მოუთმენლად ელიან გამარჯვებულს. ახლა ხარებს მთლად სისხლში აქვთ მოთხვრილი თავ-პირი. დასისხლიანებული თვალეები წითლად გადმოუყარკლავთ და ქშინავენ. ხანდახან შუბლებს ერთმანეთს მოაყრდნობენ, უკანა ფეხებით გამაგრდებიან და ასე ერთმანეთზე მიყუდებულები, თრთიან, ირწყვიან, მერე ისევ დაიქშენენ და ისევ ცდილობენ ერთმანეთს რქებით ყელში შეუყარდნენ.

რა ძალა იყო ეს? ან საიდან ჰქონდათ ხარებს ამდენი მოთმინება და სწრაფვა უფლებისათვის, სწრაფვა პირველობისაკენ. იქნებ ეს გარსშემოხვეული კაცებიც იმიტომ ყაყანებდნენ ასე, რომ ყველას გაუღვიდდა მათ არსებაში ჩამალული სწრაფვა უფლებისათვის. ისინი ხომ ვერც კი ვაძნობდნენ ამას, არადა, დიდხინიდან მოსდგამთ ეს. ადრე, თურმე ორი კაცი ერთურთს გზაზე რომ შემოეყრებოდა, ერთ-ერთს უნდა ელიარებინა მეორის პირველობა და გზა დაეთმო. თუ უცხონი იყვნენ, ამ ხარებივით შეერკინებოდნენ ერთმანეთს. განა ახლაც იმიტომ არ დადეს ერთურთში სანაძლეო, რომ მორკინლებში საკუთარ თავს ხედავენ და ყვირიან, ყაყანებენ, მოუთმენლად ელიან თავიანთის გამარჯვებას.

ვინ არის აქ პირველი? — ჯერჯერობით ყველა, ვინც კი ამ ჭიდილს უყუროებს და ამ შერკინებაში აქვს ჩაქსოვილი თავისი სწრაფვა. მაშინ არ უფიქრია ლუკას ამაზე, მაგრამ ახლა ფიქრობს: ნუთუ იმიტომ მომრავლდნენ კაცთა შორის მგლები, რომ მგლებს პირველობისათვის სწრაფვის შეუვალი კანონი ჰქონიათ. არ დაგიდევენ ისინი შებრალებას და მოძმის სისხლისღვრას. ერთი მგელი მეორეს უდგას კვალში, მეორე — მესამეს და დაძრწიან ქვეყანაზე უფლებისათვის. ასეთები ბევრნი არიანო, უთხრა თევდორემ წედან და

ლუკასაც უნახავს. უნახავს თუნდაც პროცესიას ადევნებული მგლები. ერთი წამითაც რომ არ ჩაუფიქრდებიან თავიანთ მგლურ საქმეებს გათხრილი მიწის შემხედვარენი, რომ მოუბრუნდებიან ქვეყანას და ისევ მგლობენ. კაცობევერი შეხვედრია ასეთი და ქალიც. ნუთუ ასეთებმა იმიტომ მიჰყიდეს მგლებს სული, რომ მგლებს ცხოვრებაში პირველობის მეტი უფლება აქვთ. შეუვალია მათი კანონი, იგი მხოლოდ ანადგურებს და არ ქმნის. მგლები თავისუფალნი არიან ადამიანური სიწმინდეებისაგან. მგლობა უფრო ხელსაყრელია და მრავლდებიან. ვინ არის პირველი? — ვინც უფრო მგვლია.

ნუთუ მორკინალ ხარებშიც მგლები ეჭიდებოდნენ ერთურთს. რა იყო ის, რაც ღამეს ატეხინებდა კაცებს და აყაყანებდა.

მთვარე თანდათან მაღლდებოდა.

ხარები ქშინავდნენ, თანაც ახლა უფრო მეტი ძალით.

სხვანაირმა სინათლემ გადაჰკრა გარემოს. ვერავინ შეინშნა დღის დადგომა. მათთვის ახლა სულ ერთი იყო. ღამე კი თანდათან ფერმართალდებოდა და როცა ბრძოლის ადგილი შვით განათდა, ახლა სულ სხვანაირად გამოიკვეთა ერთმანეთს შეჭიდებული ორი ძალა. მზემ უფრო მკვეთრად გააბრწყინა მათ რქებზე და ფერდებზე შემხმარი სისხლი, გამოაბრწყინა მათ ფეხქვეშ მოთელილი ლოართქო ბალახი. ხარები შუბლებით იყვნენ ერთურთს მიყრდნობილნი და ირწეოდნენ. იმათ ვარშემო რამდენიმე კაცი ყვიროდა, ხოლო დანარჩენები იქი-აქი თვლემდნენ, ზვრინავდნენ. მზის ამოსვლამ ფეხზე წამოყარა ყველა. მზემ ახალი ძალა მოიტანა და ხარებიც ეკვეთნენ ერთმანეთს. ისევ აბორგდა ხალხი. ისევ ავარდა სიგარეტის კვამლი.

— მიდი, ბოჩოლ, მიდი! — ახლა უკვე მთელი ძალით უყვიროდა ლუკა თავის ხარს.

ბაკებში გამომწყვდეული საქონელი აზმუვლდა.

ისევ გაიფიქნა დილის ნოტიო ჰაე-

რი ახალმოწყვლილი რძის სუნმა. ზობელი სოფლებიდან იწყო ხალხმა დენა ამ სანახაობის საყურებლად და დაიღო ახალი სანაძლეოები პირველობის გამოსამქვადენებლად. ისინი, ვინც ნახირს მწყემსად ედგა ახლომახლო მთებზე და ახლოს ვერ მოდიოდნენ, ჰეჰეჰეო, გამოჰკიოდნენ. თითქოს მთელი ხეობა დგანდგარებდა, ბორგავდა, ყაყანებდა. საიდანღაც წითელი ხარის პატრონი გამოჩნდა და თქვა:

— ამანდაი, ეგრეც ვიცოდი!

რა იცოდა, არავის უკითხავს, არც არავის შეუძინევია მისი მოსვლა, ესლანს წითელი ხარი მარტო მას აღარ ეკუთვნოდა.

მზე თანდათან მაღლდებოდა ცის კაბადონზე და ხარებმაც უმატეს საბერველისებურ ქშენას.

ილეოდა მოთმინების ძაფი. ღამის იყო, ორად გაყოფილი ხალხი, ერთმანეთს დარეოდა, ანდა ხარებს მიშველებოდნენ.

მზე საშუაღლეოზედაც დაჭდა და სამხრობისკენაც გადაიხარა. თანდათან დარმელდნენ ჩრდილები.

ხარებმა, ახლა უკვე საბოლოოდ, შუბლები ერთმანეთს მიაპყრეს და თითქმის ერთი საათი ქანაობდნენ ადგილზე.

მზე დაიწვერა.

გაკრთა.

გაწითლდა.

აციმციმდა.

მერე დამშვიდდა.

მერე ჩაქრა.

და ნელ-ნელა ჩამოდგა ხეობაში მგლისფერი ბინდი.

ხარები შეკრთნენ.

დაიქშინეს და

უკანასკნელი ძალით ეკვეთნენ ერთმანეთს.

უცებ წითელი ხარი ბოჩოლას ყელში შეუვარდა. აიქნია და მიწაზე დასცა.

— ეეეე! — დაიღრიალა ხალხმა საზარლად.

წითელი ხარი წელში გასწორდა.

ჰაერი დაყნოსა.

გამარჯვება იგრძნო.  
 მოპოვებული თავისუფლება იგრძნო.  
 აღარ წასტანებია საჩურგნელად დაც-  
 ემულ ხარს, რომელიც ერთხანს მიწაზე  
 ცხროვდა, მერე წამოდგა...

ყაყანით დაიშალა ხალხი.  
 წაიყვანეს წითელი ხარი.  
 სულ ბოლოს ლუკა და ბოჩოლადა  
 დარჩნენ ბრძოლის ველზე.  
 ხარი კანკალებდა, თვალებში სევდა  
 ჰქონდა ჩამდვარი.

ლუკა მივიდა და მოეფერა.  
 იმან ერთი კი ალოკა შუბლზე, მერე  
 თვალებიდან ბლუჯისტოლა ცრემლები  
 ვადმოუგორდა, ცას შეჰბღავლა, ად-  
 გილს მოსწყდა და ისედაც შავი, სიბნე-  
 ლეში გაუჩინარდა.

ლუკა ერთხანს ტრიალებდა ხარების-  
 გან დათხრილ მიწაზე, მერე იქით გაიქ-  
 ცა, სადაც ბოჩოლა შეერია ღამის სიბ-  
 ნელეს. ახლომახლო ვერაფერი დალან-  
 და, მხოლოდ სოფლის თავს წამოშლი-  
 ლი წიფლები შრიალებდნენ. იქით საყ-  
 დარი მოჩანდა სიბნელეში თეთრად. ეს  
 ის საყდარი იყო, სამი წლის წინათ იმ-  
 ის გუმბათთან დონატა რომ იყო ჰაერ-  
 ში ხელგაშლილი და გაბრწყინებული.  
 საყდრის იქით მსხლეტი იდგნენ, ხოლო  
 უფრო იქით ხევი იყო, ფრიალო და მი-  
 უღდომელი.

— ბოჩოლაა! — გაჰკივლა სიბნე-  
 ლეში ხარს ლუკამ.  
 ხმა არავინ გასცა, მარტო უდაბურმა  
 ხევმა ამოიხველა მისი ძახილი.  
 — ბოჩოლაა! — ისევ გასძახა ლუ-  
 კამ.  
 ისევ დუმილი.

აქეთ-იქით გარბოდ-გამორბოდა ლუ-  
 კა და ყელში ტირილმობჯენილი გასძა-  
 ხოდა სიბნელეში:  
 — ბოჩოლაა!  
 — ბოჩოლაა!

გაქრა ბოჩოლა, მიწამ ჩაყლაპა, ცამ  
 უყო პირი.  
 სოფელში ხალხი ყაყანებდა და, ეტყ-  
 ობა, უიბიტატურს ეძალებოდნენ ყინმო-  
 კლულნი.  
 მთვარე არ ჩანდა. ალბათ, დღეს უფ-

რო გვიან ამოვიდოდა, ვიდრე გუშინ.  
 ასე იცის გავსილმა მთვარემ, იცის თავ-  
 ისი სისრულის ფასი და იგვიანებს, რაც  
 უფრო მონატრებს შეყვარებულ დე-  
 დამიწას თავს, მით უფრო მეტი ფასი  
 აქვს მომლოდინეთა თვალში.

— ბოჩოლაა! ბოჩოლაა! — გასძა-  
 ხის სიბნელეს ლუკა და თან ეშინია ამ  
 სიბნელის. ახლა იგი სულ მარტოა. აღ-  
 არსადა ჩანს ყოველთვის იმის დამცვე-  
 ლი ბოჩოლა. ახლა ლუკას ყველაზე მე-  
 ტად სჭირდება იმისი თავი, იმისი სის-  
 ხლით მოსვრილი ცხვირ-პირი და შიმ-  
 შილითა და დაქანცულობით გამოლას-  
 ტული ფერდები უდგას თვალწინ. ჯერ  
 კიდევ ხედავს იმის ნატკენ უკანა ფეხს,  
 მალიმალ რომ სწევდა ჰაერში და რო-  
 ცა უკანა ფეხებზე გამაგრება იყო საჭი-  
 რო, მხოლოდ ერთ ფეხს ეყრდნობო-  
 და, ერთი ფეხით იმაგრებდა წითელი  
 ხარის მოწოლას. ჯერ კიდევ თვალებში  
 უელავს ლუკას იმისი დაბერილი ნეს-  
 ტობებიდან გამონასხლეტი ორთქლი,  
 ესმის იმისი დაღლილი ქშენა და ხე-  
 დავს როგორ ჩამოსდის სისხლი.

— ბოჩოლაა! ბოჩოლაა! — ღამის  
 ამოიქვითინოს ლუკამ. პასუხს არავინ  
 სცემს. ორგვლივ მხოლოდ სიბნელეა,  
 უკუნეთი და წყვარამი ღამე.

სადაც ივივლა ბუკიოტმა გამყინავ  
 ხმაზე.

— თევდორეეე! თევდორეეე!  
 — რაო! რაოო! — გამოეძრახა გაღმა  
 ტყიდან იმას მეორე.

— ვერ იპოვეა?  
 — ვერა, ვერაა! — იყო პასუხი.

ორგვლივ ღამეა. ღამე ყველაფრის  
 წამლევავი და დამმონებელი. მაღლა  
 ცაზე ეს-ესაა დასხდნენ საჭარეს კონტა  
 ვარსკვლავნი. სადაცაა უნდა შემობრძა-  
 ნდეს გავსილი მთვარე. ჯერ იგვიანებს.  
 დედამიწაზე მეფობს სიბნელე.

— ბოჩოლა! ბოჩოლა! — გაჰკივის  
 ლუკა.

ნელ-ნელა ამოდის მთვარე. ვადმოა-  
 დგება დედამიწას თავის სისრულით.  
 ახლაც თითქოს ისევ გულზე აჩნია ხა-  
 რების შერკინება, მაგრამ ხალხი აღარ



ყაყანებს, აღარ ისმის ვარსკვლავთ უიკ-  
ტიკი, აღარ ისმის სამყაროში ბრძოლის  
ყიჟინა.

დამცხრალა მთვარე.  
დალუღლა მარჯვენა ფვერდზე.  
დღმილი მეფობს.

მარტო ლუკას ხმა აკროთობს ამ ყოვ-  
ლის წამლუკავ სიმყუდროვეს.

— ბოჩოლაა! ბოჩოლაა! — გაჰკი-  
ვის ლუკა.

ბოჩოლა არ ჩანს.  
ცამ უყო პირი.  
მიწამაც პირი დამუწა.

სოფელში მეფობს წითელი ხარი.  
სადაც ყაყანებს დამთვრალი ხალ-  
ხი.

უდაბურ ხევში მიტანტალებს პატა-  
რა ლუკა.

ისევ გასძახის ბუკიოტი.  
ღრმავდება ღამე.  
— ბოჩოლაა!  
— ბოჩოლაა!

დილით ღვიის ძირ გაედვიძება.

ეტყობა, ღვიის ბურქში შაშვს ჰქონ-  
და ბუდე, შეშფოთებული ჭახჭახებდა  
და შავი ბოლოს ქნევით აქეთ-იქით  
აწყვდებოდა.

შავი შაშვი რაღაცით ბოჩოლას გაახ-  
სენებს ლუკას.

წამოდგება.  
ისევ მოივლის მთებს და ხევხუცებს.  
ნაკვალევსაც ვერსად წააწყდა.

სოფელში დაბრუნებულს ნახირის  
თავში ყელმოღერებული წითელი ხარი  
მოხვდა თვალში.

ნახირი სძოვდა.  
ხარი ნახირს გადმოჰყურებდა.

იმის მერე კიდევ დიდხანს ეძებდა  
ბოჩოლას, თითქმის მთელი ხეობა მოი-  
არა, ვის არ ეკითხებოდა: შავი ხარი  
ხომ არსად ვინახავთ, სისხლიანი შავი  
ხარით.

ზოგს თითქოს ენახა სადაც შავი  
ხარი, მოასწავლიდა, აქა და აქ, ამა და

ამ გზაზე მომავალს ნახირი შეშფოთ-  
და, მე მგონი, შავი ხარიც ერია მთ-  
შიო.

— სადა? სადა? — ეკითხებოდა  
ლუკა.

ის უფრო დაწვრილებით უხსნიდა.  
ლუკა მიდიოდა იმ ადგილისაკენ, შეუს-  
ვენებლად მიდიოდა, პატარა გულის  
ბაგაბუგით გადადიოდა მთებზე, გორ-  
ებზე, ეხეტებოდა ხევ-ხუცებში, მაგრამ  
ამაოდ, შავი ხარი ბევრი ხვდებოდა,  
ბოჩოლა კი არც ერთი არ იყო იმათ  
შორის.

მერე ცოცხალს აღარც ეძებდა. იჭდა  
მთელი დღეების განმავლობაში რომე-  
ლიმე მთის წვერზე და ყორნებს ადევ-  
ნებდა თვალს, ფიქრობდა: თუ სადმე  
გადაჩხილია, ალბათ, ყორნები უფრო  
გაიგებენ და დასტრიალებენ ზემოდან,  
რომ მერე ჩავიდნენ და გაჯიჯნონ, გაი-  
ნაწილონ, აირიგ-ჩამაირიგონო.

ყორნები შეუმცდარნი არიან ასეთ  
დროს და ბევრჯერაც დასტრიალებენ  
თავზე რაღაცას; ლუკაც მაშინვე იქით  
გაიქცეოდა, ჩაიბრუნდა ჩახერგილ ხევ-  
ში და ეძებდა ყორნების სათვალთვა-  
ლო ლეშს. ხან გადავარდნილ ცხვარს  
პოულობდა, ხან — ძროხას, ხანაც  
ფეხმოტეხილ შველს, კლდეებზე გორ-  
ვით ზურგგადაქლეითლს, ბუზებდახვე-  
ულს, ლოდებში ჩაჭედდილი ამაოდ რომ  
ცდილობდა ციცაბო ფერდზე ამოფო-  
ფხებას. მაშინ ლუკა საშველად წაეტა-  
ნებოდა, მაგრამ შველი უფრო დაფრ-  
თხებოდა და უფრო დიდი უფსკრული-  
საკენ გაექანებოდა. მეტი გზა არ იყო,  
შეიძლებოდა, ასეთ დროს, უფრო  
მაღალ კლდეზე გადაჩხილიყო შვე-  
ლი და ლუკაც თავს ანებებდა, ისევ  
ყორნებს უტოვებდა სამოქმედო ასპა-  
რეშს. ყორნები კი ჭერ არ ჩქარობდნენ,  
ცაში ტრიალებდნენ და შავი ფრთების  
ფარფაშით: ყრ-ყრ-ყო! — წამოიყრან-  
ტალებდნენ დროდადრო და შველიც  
კრთოდა ამ ხმაზე, დამფრთხალი ისევ  
აქეთ-იქით აწყვდებოდა.

და ბოლოს დავრჩი ჩემს თავთან მარტო...  
„საძმოდ მოხვედი ჩემთან თუ სამტროდ?“ —  
კაცს შეგვეკითხე ჭაღარათმიანს,  
რომელსაც ჩემი სახელი ჰქვია.

„სამტროდ მოვედი, — მომიგებს იგი. —  
მე წავიკითხე ის შენი წიგნი  
და უნდა გითხრა გულწრფელად, ძმაო,  
საწუხ არს, მაგრამ დაშვრი ამოდ!“

„შენ კი, შენ თვითონ რა გამიკეთე?  
რით დაიკვეხნი კაცი ხნირი?“  
„მე არ ვწმლდერდი, შენებრ, სიკეთეს,  
მე თვითონ ვიყავ გულისხმიერი  
და მუდამ მწამდა მარტოდენ საქმე, —  
ის იყო ჩემი ხსნა და იმედი  
და ყოველ ნათქვამ,

მით უფრო, სათქმელ  
სიტყვას — საქციელს ვამჯობინებდი!..“

„სიტყვაც საქმეა, თუ ხალხი გისმენს,  
ლექსიც ჭრის ზოგჯერ მახვილზე მეტად...“  
„თავს ნუ იმშვიდებ! ნუ ეძებ მიზეზს,  
არ გაგიმართლა რადგანაც ბედმა!  
ამოდ დაშვრი!..“

„ჰო, კარგი, დავშვრი...  
და მაინც კაცად მიცნობენ ხალხში  
და თუ დღეები უაზროდ ვხარჯე,  
ვერ გავიმარჯვე, როგორც პოეტმა,  
დე, შთამომავალს ხსოვნაში დარჩეს  
ნამუსიანი ჩემი ცხოვრება!“

ვიგონებ

მურმან ქოიავას, ოთარ კუპრავას.

(მათი უღმერთო დავიწყების

დამღალა ტვირთმა)...

როგორ ვხუმრობდით?

„არ არსებობს მასზე „უპრავა“!

(ეს ოთარზეა,

ვისაც ახლა დასჭირდა რითმია)

ჩალამებული ჟუკებით, უკმაყოფილო, —  
გამომცემლობის შესასვლელთან

მახსოვს

მურმანი:

„ფულის იმედით თუ მოხვედი,

შეცდი, ძმობილო,

კაპიკს არ მოგცემს ჩვენი მამა-ხელისუფალი!“

„სად არის თვითონ? სანახავი გამიხდა ძნელად...“

კაბინეტშია...

„ლუსტრაზეა“ უკვე გასული

და „ფული არ მაქვს!“ —

გაანჩხლებით უყვირის ყველას,

როგორც

ჯვარცმასთან

მიუვანილი ძალით ავსული!..“

მახსოვს მურმანი ნირწამხდარიც

და საცოდავად

მხრებჩამოყრილიც (უჩიოდა წნევას მურმანი).

ეკითხებოდა თავის კბილას:

„რას სვამ, ნოდარა? —

(არა ღვინოზე, —

სხვაზე ჰქონდათ მათ საუბარი).

მერე მურმანი

შეუმჩინებლად წავიდა,

გაჰქრა,

გაუჩინარდა,

თითქოს „იყო, არა იყო რა...“

ესე ამბავი

გამახსენა თებერვლის გაგრამ,

სადაც ამ ლექსმა

ჩემი დარდიც თან გაიყოლა...

.....

გაუპარსავი,

მაგონდება ოთარ კუპრავა:

ენას უკიდებს და რაღაცას მიმტკიცებს, მაგრამ

არ მესმის მისი ერთი სიტყვაც,

ვდგავარ უძრავად

და ვითომ ვუსმენ,

რადგან ამ დროს

მთვრალი ვარ მაგრამ.

თუმცა, ვინ იცის... იქნებ ისიც ჩემებრ მთვრალია!

ამყამად უკვე სულ ერთია, რადგანაც ფეთქვა

შეწყვიტა გულმა მეგობრისამ და მწყყინს ძალიან,

რომ ვერ გავიგე — რა უნდოდა იმ წუთას ეთქვა!

.....  
ნახვამდის, ძმებო!

არ დავიწყებ წუწუნს და კვნესას, —  
საიქიოში მეგულებით, როგორც მძევლები...  
ცუდია მაინც,

არ ბეჭდავენ კრებულებს თქვენსას, —  
თქვენივე კარგი სტრიქონებით

გადღეგრძელებდით:

„ამ მიწის იქით არსად მეძებო,  
ამ მიწის იქით ვერსად მიპოვნი,  
აქ ხარობს ჩემი სულის ენძელა  
და ჩაკირული ქვაში სტრიქონი!“

### ქველგზური რომანსი

ამ ცრუ სოფელში  
თუ ვინმე გიყვარს,  
თუ ვინმეს გამო თრთი და ღონდები,  
ერთი წუთითაც,  
ერთი წამითაც  
ნუ მიატოვებ, ნუ დაშორდები.

და თუ დაშორდი,  
თუ მიატოვე,  
თუნდაც ცოტა ხნით, თუნდაც  
შემთხვევით,

სასოწარკვეთით  
გამოეთხოვე,  
თითქოს ვერასდროს ველარ შეხვდები.



## ბორენა ჯაჭვლიანი

გაიარეს დღეებმა და გაპყვნენ  
მოგონებებს ტკბილს და მწარეს, ავსაც.  
შენ კი სადღაც მენატრები, აქვე,  
მაგრამ არსად, არსადა ხარ, არსად.

როგორ ჩუმად მეპარება სევდა,  
შინ ებრუნდები. ქარი კარებს ხურავს.  
მთელი ღამე ველარავინ მხედავს,  
მთელი ღამე შენს სევდიან სურათს,  
დადლილ მზერას,

გადაქანცულ ოთახს,  
ლექსის სტრიქონს  
ღარიბსა და ლატაკს  
ვეფერები, ღამეს ვუთევ, ვლოცავ,  
დილით მაინც დავიწყებას ვატან.

გაიარეს დღეებმა და გაპყვნენ  
მოგონებებს, ტკბილს და მწარეს, ავსაც,  
შენ კი სადღაც მენატრები, აქვე,  
მაგრამ არსად, არსადა ხარ, არსად.

მიხვალ მშვიდად სევდიანი  
ღვთისმშობელი გიღებს კარებს...  
დღე თუ თეთრი გედი არი,  
საღამო — ტბის სიანკარე,

ნუ მიდიხარ სევდიანი,  
ნულარც ცაზე ეძებ მთვარეს.  
ღვთისმშობელი ბედი არის,  
დარჩი, ბედს ვინ მიგაკარებს.

დავთმე ეს წუთიც,  
შერიგების სურვილით მთვრალი  
და გავეშურე მწუხარებისკენ,  
რომ მეგრძნო მისი მტკივნეული  
ხელის შეხება,

რომ სამუდამოდ დავმონებოდი  
სიცივეს, ქარებს და მონატრებას.

შენ კი საით ხარ, გაზაფხულო,  
რომელი ზამთრის ზურგს ეფარები?

### სახლიდან წასვლა

თუთუნა ასკილაშვილს

ის გაზაფხულს სარ დაელოდა,  
ჩვეულებრივად გაიხურა სახლის კარები  
და ფიქრებს გაპყვა

ქუჩის გადაღმა განძარცვული ხე ირხეოდა  
და ზამთრის ჩიტებს,  
ფოთლებივით ხეზე მიკრულებს,  
მხოლოდ თვალელები მოუჩანდათ.

მათ დაინახეს,  
როგორ წავიდა.  
ისიც შენიშნეს,  
ხელის მტევანს რომ აიქნევდა,  
იაწვრის ქარი ეხებოდა დადლილ თითებზე.  
ისინი | ერთ დროს სატრფოს ეჭირა,

და იმ სინაზით, ან უფრო მეტად  
დღედა რომ შვილის ხელებს ეხება.

მიცვალებულის სიმშვიდით თრთოდა  
ქუჩა და ბაღი, სალამოს ბინდიც  
ბედისწერის კალმით შეკრული.

აქ იგრძნობოდა განშორების სასოწარკვეთა,  
როცა ბაგეებს ეყინება რბილი ხაზები  
და სიტყვები უბრუნდება ისევ წარმომტყმელს,  
რადგან მათ უკვე დაკარგული აქვთ  
ის სურნელება, გრძნეულ ბგერებით  
რომ გვიზიდავენ. ეს ბაგეები ლოცვისათვის  
დახურულია. განშორების ტკივილია  
მათი მეუფე, და გაღიმებაც ავიწყდებათ  
სიტყვებთან ერთად, რადგან სიმღერა აუკრძალეს.

სახლიდან წასვლა არც უფიქრია;  
რადგან სიმძიმე, რაც იქ რჩებოდა,  
სამარადისოდ მას ეკუთვნოდა.  
აქ მისი იყო საგნების ფერი,  
შებინდებისას კონტურებად რომ ნაწილდება;  
კედლის სურნელი, ანდა უბრალო  
ნათურის შუქი, სავარძლის ზურგი,  
იატაკის ყვითელი თვალი;  
წიგნების სიბრძნე, დამხობილი  
ყოველ საგანზე. აქ მისი იყო  
რასაც ფიქრობდა, რასაც მრავალჯერ გაიხსენებდა,  
რაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა მასთან,  
რომელსაც ისიც კი ახსოვდა,  
როგორ გაჰქონდათ ამ სახლიდან  
მისი ცხედარი. იმდენჯერ ჰქონდა წარმოდგენილი,  
რომ დაიჯერა.

ისიც ახსოვდა — ერთხელ რომ იყო,  
ამქვეყნად ერთხელ გამოუხმეს  
და რომ მოვიდა. მაგრამ ეს მოსვლა  
ძალიან ხშირად მაინც ეგონა  
დავიწყებულის განმეორება,  
ერთ გზაზე ორჯერ რომ ჩავივლით  
და ორივეჯერ დასერილი ფეხისგულებით  
ანდა, უბრალოდ, წყურვილისგან ბაგე დამშრალნი,  
და ცარიელი ფხის სიმარტოვე  
შიშით რომ გვავესებს, და ვნატრობთ  
ნატვრით დავიბრუნოთ ის, სხვა სამყარო,  
საიდანაც წამოგვიყვანეს, აქ დაგვაბრუნეს,  
ამ მარტოსულ ცარიელ გზაზე,  
და მერე თითქოს დაგვივიწყეს,  
რადგან აღარც ჩვენ არ გვახსოვდა  
ა, ვინც დაგვტოვა.

ყოფნის სიმძიმე მაჰადია, რადგან მარადი  
არ ნაწილდება. და უცვლელია.  
ხელიდან ხელში ვერ გადაიტან,  
ვერც ერთი კაცის ცხოვრებიდან მეორისაში.  
მას თუ შეიგრძნობ, უნდა ატარო,  
დდე და ღამეს გაუნაწილო, ძილსა და ღვიძილს,  
წუთებს თუ წამებს. და სანამ ბალახს  
ფეხს დააბიჯებ,  
წარმოიდგინო სიმძიმის ძალა,  
რომლითაც ჩვენზეც დააბიჯებენ.  
ის უჩინარი ტვირთია კაცთა,  
ზღვის ნაპირივით გაწოლილა იმათ თვალებში.

მაგრამ ხომ არის გაზაფხული?  
გამდნარი სევდა,  
დავიწყებული ტკივილები,  
როცა სისხლი  
ყვავილებივით გაგვეშლება მთელ სხეულში;  
როცა სიტყვები იცინიან,  
ცრემლები მღერენ;  
და ერთადერთი ბედნიერება —  
სიყვარულად გადაქცეული, —  
ცეკვავს და ცეკვავს თავდავიწყებით.  
ის მაცდურია ყველა მშვენიერ ქალწულზე მეტად,  
ის — უცვეთელი,  
უთვალავი ბაგეებით ვერძალეული,  
დაუხარჯველი, ცასავით სავსე,  
მარადიული, გრძნეული, ურცხვი  
და მაინც წმინდა, უმანკო კრავი,  
რომლის თვალებშიც  
უსასრულო მოლოდინის კოცონი იწვის.  
ის, სიყვარული,  
მიზეზი ყველა ტკივილის და ყველა იმედის,  
როცა გვიპოვნის —  
კაცთა მოდგმა კვლავ მეორდება.

მაგრამ ჩვენ ვინღა გაგვიმეორებს?  
ჩვენ, ერთხელ ნაშობთ,  
ერთხელ ტანჯვით დაღდასმულებს,  
ერთხელ გარდაცვლილთ,  
ერთხელ დაკარგულთ  
ხელმეორედ გვიპოვნის ვინმე?  
ხელს მოგვკიდებს და შინ მიგვიყვანს?  
და ცოდვის ფურცლებს ჩამოგვაცილებს?  
სახლიდან წასულთ  
ისევ სახლის კარებს გაგვიღებს?  
და აღარასდროს გაგვახსენებს  
ამ ტკივილიან სახლიდან წასვლას?

# რას გვპირდება ნოემბერი?

მოთხრობა

— გოგოებო, ავდგეთ! სწრაფად გაასწორეთ საწოლები, გალამაზდით და საუზმეც მალე იქნება!

ნინო სანიტარ ზინას ხმამ გააღვიძა. იგი თითქმის ერთი თვე იწვა საავადმყოფოში და ძლივს შეეჩვია იქაურ რეჟიმს: ავადმყოფებს დილის შვიდ საათზე აღვიძებდნენ, საღამოს ცხრა საათისთვის საძილე აბებს ასმევდნენ, ათისთვის კი ყველა ლოგინში უნდა წოლილიყო, თუმცა, ეს „წესი“ გუშინ საღამოს ნუნუ ექთანმა დაარღვია: ავადმყოფებს უთხრა, იმღერეთ და იცეკვეთ, ოღონდ სხვები არ შეაწუხოთო, და ისინიც, ასაკის განურჩევლად, გუნდურად მღეროდნენ, ტირილნარევი ხმით და ცრემლიანი თვალებით უიმედო სიყვარულზე; ბათეტიკურად ამბობდნენ ლექსებს სამშობლოზე; შიგადაშიგ შაირებსაც ურევდნენ; რუსთაველმა ქალბიჭა ცისიამ, ფეხებს შორის ჩაიდგა სკამი, რომელიც დოლის მაგივრობას უწევდა და ტაშისა და „დოლის“ თანხლებით ცეკვავდნენ და მღეროდნენ: „შაური შენ, შაური მე, შაური მამაშენს“... ერთი შეხედვით უმიზეზო სევდას, უმიზეზო სიხარული ცვლიდა.

ეს განყოფილების გრძელ დერეფანში ხდებოდა, ხოლო სამ დიდ, თვრამეტადგილიან პალატაში, სადაც მთელი დამე არ ქრებოდა შუქი, ზოგი ავადმყოფი ტიროდა, ზოგი თავისთავს ელაპარაკებოდა, ერთს საბანი ჰქონდა თავზე წაფარებული და რკინის ბადიან საწოლზე რიტმულად ირწეოდა... ნინო სახით კედლისკენ იწვა და ძილს ნატრობდა.

გუშინ განყოფილების გამგესთან შეიყვანეს. კაბინეტში გამგის გარდა, კიდევ სამი ექიმი იყო, მათ შორის, მისი ექიმიც — ქალბატონი ირინა: მაღალი, თხელი, ქერათმიანი და მწვანეთვალე ბარმოცდაათიოდე წლის ქალი, რა ლამაზი ექიმი გყავსო, უთხრა პირველ დღეს თექვსმეტი წლის მარინამ ნინოს. მარინა რომელიღაც მივარდნილი სოფლიდან ჰყავდათ ჩამოყვანილი. მის ტოლ ორ ბიჭს გაუუბედურებია და ექიმები მთელი წელი ცდილობდნენ ცხოვრებისკენ მის შემობრუნებას. ნინო ახალი მისული იყო საავადმყოფოში, როცა მარინამ ხელი ჩასჭიდა, იღუმალი გამომეტყველებით წაიყვანა დერეფნის ბოლოში და მიტკლისფერმა, თვალებგაფართოებულმა, ტუჩებდამსკდარმა მავედრებელი ხმით ჰკითხა: „ხომ გიყვარვარ?“...

ქალბატონმა ირინამ დამამშვიდებლად გაუღიმა ნინოს: განყოფილების გამგემ — ბატონმა ტარიელმა, სხაპასხუპით მიაყარა კითხვები:

— აბა, გვითხარით, როგორ იცხოვრებთ! რა გეგმები გაქვთ!

— წინასწარ არაფერ იცის, როგორ იცხოვრებს. ჩემს გეგმებს რაც შეეხება — უნდა ვიმუშაო და ინსტიტუტი დავამთავრო, რათა არსებობის საშუალება მქონდეს...

— ცუდი ფიქრები ხომ აღარ გაწუხებთ?

ნინოს გაეღიმა.

— ჰოდა, ამას რა სჯობს! ისე იცხოვრეთ, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი ცხოვრობს!

ხებ, მაგრამ ამ დღეებში აუცილებლად  
გნახავ.

— ყველა ასე მპირდება, მერე არა-  
ვინ არ მოდის... — გულდაწყვეტით  
თქვა მარინამ. უეცრად ექვით შეხედა.

— გეყვარები?

ნინომ ფანჯრისკენ გაიხედა. გარეთ  
წვიმდა. მერე ხელი მოხვია მარინას  
მხარზე და ჩაიხუტა:

— მეყვარები. ყველაზე მეტად მეყ-  
ვარები...

— სოფელში ხო ჩამოხვალ ჩემთან?

— მისამართი რომ არა მაქვს?

— რად გინდა მისამართი, გიჟი მარი-  
ნა იკითხე, იქ ყველა მიცნობს.

— შენ არა ხარ გიჟი. გული გატკი-  
ნეს. ნახე, შეგიყვარებს ვინმე და...

— არავინაც არ შემეყვარებს! დედა-  
მაც მიმატოვა...

— მარინა, დედა შორს არის.

— ხო, შორს არის დედა...

ავადმყოფებმა იცოდნენ ნინო რომ  
უნდა გაეწერათ და რატომღაც გაუბო-  
დნენ მის გვერდით ჯდომას, მასთან ლა-  
პარაკს... ზოგი დაფარული, ზოგიც და-  
უფარავი შურით და სიძულვილით უც-  
ქერდა — თითქოს მათი მოლაღატე  
იყო.

— გოგოებო, მაგიდები მიადგიტო  
თმანეთს. ყველა თავის ადგილზე დაჯ-  
დეს. ჩხუბი არ გავიგო! — გასცა სანი-  
ტარმა ზინამ ბრძანება.

ავადმყოფები თავისი სკამებით მიუს-  
ხდნენ ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებს.

ნინო განიავებულ პალატაში შევიდა,  
ტანზე გაიხადა: ჭინსის შარვალი და  
ბოტასები ჩაიცვა და სასადილო ოთახში  
გავიდა.

— შენ ისევ არღვევ წესრიგს? გაპ-  
რანჭვას მოასწრებ... უთხრა სანიტარმა  
ზინამ.

ნინო დაძაბული უყურებდა.

— ხო, კარგი, ხალათი მაინც ჩაიცი-  
ვი...

ნინომ არაფერი არ უპასუხა, თავის

საავადმყოფოში დღეები ისე ჰგავდ-  
ნენ ერთმანეთს, რომ ნინომ არც დღე  
იცოდა, არც რიცხვი. უნდოდა უსას-  
რულოდ წოლილიყო ასე თვალედახუ-  
ჭული, მაგრამ მოულოდნელად სანი-  
ტარმა ზინამ საბანი გადახადა.

— ადგი, გოგო, რეჟიმს რატო არღ-  
ვევ? ყველა ადგა, ეს კი ისევ გორობს  
ლოგინში!

ნინო წამოდგა, ხალათი ჩაიცვა და  
საწოლის დალაგებას შეუდგა. მერე პი-  
რსახოცი, საპონი, კბილის ჯაგრისი და  
სავარცხელი ამოიღო პარკიდან და დე-  
რეფენის ბოლოში, ტუალეტისაკენ წა-  
ვიდა.

იქ, როგორც ყოველთვის, რიგი იყო.  
პირდაპანილები ტუალეტის გვერდით.  
კედელზე დამაგრებულ სარკესთან იდ-  
გნენ: ახალგაზრდები თვალებს იღებ-  
დნენ, შედარებით ხნიერნი პომადას  
რსვამდნენ ტუჩებზე, მაგრამ ამ „გალა-  
მაზებას“ ერთ საათში ეღებოდა ბოლო:  
ვენერა ექთანს ავადმყოფებს ეჩხუბე-  
ბოდა, ახლავე მოიშორეთ მაგ საზიზლ-  
რობები, აქ ბალ-მასკარადი კი არა  
გვაქვს, — ავადმყოფები ავადმყოფებს  
უნდა ჰგავდნენო.

როგორც იქნა, ნინომ დაიბანა ხელ-  
პირი და სარკეში ჩაუხედავად გადაი-  
ვარცხნა თმა. პალატაში შესვლა ველარ  
მოასწრო: კარებში სანიტარი ნატაშა  
იდგა და უსაყვედურა, დროზე ვერ აღ-  
ექი, ახლა პალატებს გვიან და „სკვაზ-  
ნიაკს“ აკეთებენო.

პალატებს სანიტრების მაგიერად, ყო-  
ველ დღით სამი შედარებით დამყოლი  
ავადმყოფი ალაგებდა. ნინო პალატის  
წინ, სკამზე დაჯდა, გვერდით მარინა  
მიუჭდა და ჰკითხა:

— ნამცხვარს ხო მომიტან?

— აუცილებლად. როდის მოგიტანო?

— დღესვე, რაა...

— მარინა, ვერ მოგატყუებ. — ნი-  
ნომ თავზე ხელი გადაუსვა თმაგაჩეჩილ  
გოგოს. — დღეს ალბათ ვერ მოვახერ-

ადგილზე დაჯდა, მარინას გვერდით, ავადმყოფებს გახედა და თქვა:

— თვითონ არიან სამკურნალოები...

სასადილოში სიჩუმე ჩამოვარდა. ავადმყოფები ცარიელ მაგიდებს დასცქეროდნენ... უეცრად მარინამ მუშტი დასცხო მაგიდას და ყვირილი დაიწყო:

— არავისიც არ მეშინია! რასაც მინდა იმას ვიტყვი!.. არავისიც არ მეშინია!..

ზინა გაქვავებული სახით არიგებდა ფაფას. ნინოს რომ მიუახლოვდა, დამცინავად უთხრა:

— სახლში არავინ დაგახვედრებს ფაფას...

— მომავორე ეს თეფში. — ნინომ ფაფიან თეფშს ხელი ჰკრა.

— აი, პროფესორი მოვა, ყველაფერს ვეტყვი და იმასაც ნახავ, როგორ გაგწერს! — დაემუქრა ნინოს სანიტარი და მისი თეფში მარინას დაუღო.

— არ მინდა თქვენი ფაფა! თქვენ თვითონ ჰამეთ!.. — წამოიჭრა მარინა სკამიდან.

— მარინაჯან, წავა მაგ შენი ნინო და მერე ვნახოთ, როგორ იტიკიკიკებ!

ნინომ ძალით დასვა მარინა და უსიტყვოდ ანიშნა, ჩუმად იყავით.

— ესეც ჩაი ქალბატონს, თავისი ჰიქით. არ ეკადრებოდა აქაური ჰიქით ჩაის სმა — ზინამ ემალის ჰიქა დაუღდა ნინოს, კარაქიანი პურის თხელი ნაჭერი პირდაპირ მაგიდაზე დაუღო და სწრაფად გაშორდა.

ავადმყოფები ხარბად და ხმაურით ჰამდნენ. ნინო თავდახრილი იჯდა. მას გულს ურევდა სასადილოს სუნის და ავადმყოფების დაუოკებელი მადა...

— ჩქარა, საცაა, ექიმები მოვლენ! — ისევ ზინას ხმა იყო.

ნინო თავის პალატაში შევიდა და საწოლზე წამოწვა. იგი უცნაურად გულგრილი იყო ყველაფრისადმი — თითქოს არც უხაროდა სახლში რომ უშევედნენ...

პალატაში წამლებიანი ურიკა შეაგორა ვენერა ექთანმა, ნინოს ფეხებთან

ჩამოჯდა და ავადმყოფების გამოძახებულად დაიწყო:

— კარამზინა!

ეს ახალგაზრდა ქალი ციმბირიდან იყო ჩამოსული ორი ჩემოდნით და სამი ციგით. საავადმყოფოში მილიციულებმა მოიყვანეს აღგზნებულ მდგომარეობაში...

ექთანმა სამი სხვადასხვა ფერის აბი მისცა ლენას. მან სამივე აბი ერთად ჩაიყარა პირში და პატარა ჰიქით წყალი დააყოლა.

— ატკროი, როტ! ხარაშო ატკროი! ლენამ პირი გააღო და როგორც საავადმყოფოში ასწავლეს, ენა გამოყო. მერე ზემოთ, სასისკენ ასწია.

ვენერამ კმაყოფილად უთხრა ზურგშექცეულ ნინოს:

— აღარ ყრის. კანფეტებივით ყლაპავს. აჰა, ესეც დალიე, მერე შენი და მოვა და ჰაიდა — სახლში!..

ნინო ექთნისკენ გადაბრუნდა:

— არ მინდა, ვენერა დეიდა... კარგადა ვარ...

— შვილო, მე ხომ არ დამინიშნია ეს წამლები. სანიტრებს ნუ მიაქცევ ყურადღებას, ისინი ცხოვრებამ გააბოროტა...

ნინომ ექთანს მორჩილად გამოართვა პატარა თეთრი აბი და დალია.

ექთანთან ავადმყოფების რიგი გაჩნდა. ისინი ისე მოუთმენლად ელოდნენ თავის რიგს, თითქოს მართლაც კანფეტებს არიგებდნენ.

— კეჭალმაძე! ზაირა!

ზაირა რიგს გამოიყო. თავზე ხელით ნაქსოვი, ნაცრისფერი, წვეტიანი ქული ეხურა, ექთანს მიუახლოვდა და მათხოვარივით გაუშვირა პეშვი.

— ზაირა, მოიხადე ეს ქული... ამერიკას კიდე იტერს? — ღიმილით ჰკითხა ვენერამ.

ზაირამ უხერხულად გაუღიმა ექთანს, რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ რუსთაველმა ცისიამ დაასწრო:

— ვენერა ექთანო, ასე ამბობს, ხმებს მიხშობენო. — და გადაიხარხარა.

— კარგი, გოგო! შენ სულ ასე უნდა ანგლობდე? ამიტომაც არ გაგწერეს.

— არაფერიც... მეზობლების რო მესინია, იმიტო არ მიშვებენ... — უბასუხა უეცრად დასევდიანებულმა ცისიამ.

ნინო ისე ზურგშექცევით იწვა და ექთნის ხმა ესმოდა:

— გააღე, კარგად გააღე პირი! ხომ იციტ, ვერაფერს გამომაპარებთ!

წამლების დარიგება დამთავრდა. ავადმყოფები ტყუილს და მართალს უყვებოდნენ ერთმანეთს. ზოგი ისევ იძინებდა — ძილს აფარებდა თავს, ზოგიც ბოლთას სცემდა დიდი პალატის ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდე.

ნინო საწოლიდან წამოდგა, გისოსა-კრულ ფანჯარასთან მივიდა მონაწყვენ პეიზაჟს უცქერდა... დრო არ გადიოდა — თითქოს ერთ ადგილზე იდგა.

პალატაში სანიტარი ზინას შემცვლელი, მანანა შევიდა, ფანჯარასთან მდგარ ნინოს მიუახლოვდა და უთხრა:

— ირინა ექიმი მოვიდა, გეძახის...

ნინო ქალიშვილს გაჰყვა და კაბინეტში შევიდა.

ექიმი ავადმყოფობის ფურცელს ავსებდა. ნინოს გაუღიმა და უთხრა:

— დაჯექი, ნახევარ საათში შენი და მოვა. ეს მითხარი, როგორ ხარ?

— გმადლობთ, კარგად.

— მე არ მჭირდება ფორმალური პასუხი.

— არა მიშავს.

— ნინო, გენაცვალე, არც ეს პასუხი მომწონს. მე დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ შენ მართლა კარგად ხარ. გუშინ განყოფილების გამგეს გაღიზიანებულად რომ უბასუხე, ვისწავლი და ვიმუშავებ, რათა ვიარსებოთ, მხოლოდ არსებობისათვის ვაკეთებთ ამას?

— დიახ. ალბათ არსებობისათვის. სხვა მიზანი არ გამაჩნია.

— თვით სიცოცხლეა, ნინო, მიზანი. მე ალბათ ყველაზე მეტად შემიძლია შენი გაგება. პატარა ვიყავი, როცა მშობლები გადამისახლეს და დიდდამ გამზარდა. სრულიად მარტომ, უქილუ-

რეს გაჭირვებაში. მესმის, ძალიან მსგავსია ლია, როცა თითქმის ერთ წელიწადში აღარც დედაა, აღარც საყვარელი ადამიანი — ეს საშინელი ტრავმებია, მაგრამ ის, რაც შენ ჩაიღინე, გამოსავალი ხომ არ არის?

ნინო ფანჯრისკენ იცქირებოდა.

— არ მისმენ? — ჰკითხა ექიმმა.

ნინომ ფანჯარას თვალი მოაშორა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მეშინია...

— რისი გეშინია?

— ფანჯრის მიღმა რაც არის... სიცოცხლის მეშინია...

ექიმმა ხალათის გულის ჯიბიდან უცხოური სიგარეტების კოლოფი და სანთებელა ამოიღო. სიგარეტი შესთავაზა ნინოს.

— გმადლობთ. ჩემი „კოსმოსი“ მირჩევნია. — უთხრა ნინომ და სიგარეტს მოუყიდა.

— ნურაფრის გეშინია. შენ უბრალოდ გადაეჩვიე ყოველდღიურ აქტიურ ცხოვრებას. შენმა დამ მითხრა, ოღონდ ისწავლოს, მე მაქსიმალურად შევეუწყობო ხელს.

— მას ქმარი და სამი შვილიც ჰყოფნის...

— შენ ხომ არასოდეს არ გიმუშავია, გაგიჭირდება. დროებით დაგეხმარება, ერთ წელიწადში ინსტიტუტსაც დამთავრებ და შენვე შეინახავ საკუთარ თავს.

— კარგით. ვეცდები ისე ვიცხოვრო, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი ცხოვრობს.

— შენი ირონია უადგილოა...

ნინოს შერცხვა და თქვა:

— მაპატიეთ, ქალბატონო ირინა. პირობას ვაძლევთ, რომ იმ სისულელეს აღარ ჩავიდენ.

ექიმმა სიგარეტი საფერფლეზე დადო, წამოდგა, ნინოს მიუახლოვდა, დაინახრა და ლოყაზე აკოცა:

— აქედან გახვალ და მიხვდები, რა კარგია სიცოცხლე...

კარებზე დააკაკუნეს. ექიმმა სპეციალური კაუჭით გააღო კაბინეტის კა-

რები. დერეფანში ნინოს და იდგა. ქალბატონმა ირინამ ნინოს სთხოვა, ცოტახანს დერეფანში დაგველოდეთ.

კაბინეტის კარებთან, სკამზე დის მოტანილი ჩანთა იდო. ნინომ ქურთუკი და შარფი ამოიღო, მაგრამ ჩაცმა ვადაიფიქრა, თავის პალატაში შევიდა და მარინას საწოლს მიუახლოვდა. საბნიდან მხოლოდ მისი შეშინებული თვალები მოჩანდა. ნინომ სახიდან საბანი გადაუწია და უთხრა:

— მარინა, მივდივარ... არ მოიწყინო, კარგი? ჩემი და კარგ ტორტებს აცხობს. ამ დღეებში მოვალ და მოგიტან.

მარინა ჰირვეული ბავშვივით აბუზღუნდა:

— არ მინდა ტორტი! არ შეეცამ! ყველა მპირდება, გნახავო და... არავის არ ვუყვარვარ.

— არ დაიჭრო!.. ყველას ახსოვხარ. ყველას უყვარხარ...

— ყველა მე მატყუებს... — ჩაილაპარაკა მარინამ და საბანი თავზე გადაიფარა.

პალატაში ცისია შევარდა. ნინოს უთხრა, ჩქარა ჩაიცივი, ექიმი სახლში გიშვებსო. ნინო შუა პალატაში გაჩერდა და თქვა:

— ნახვამდის...

მას არავინ არ დაემშვიდობა. ავადმყოფები შურით და სიძულვილით კი აღარ უტკერდნენ — უიმედობა და მომავლის შიში იდგა მათ თვალებში. მხოლოდ ცისიას ტირილი არღვევდა მძიმე სიჩუმეს...

განყოფილების კარებთან და და ექიმი უცდიდნენ ნინოს. მან სწრაფად ჩაიცვა ქურთუკი, ყელზე შარფი შემოიხვია და ექიმთან დასამშვიდობებელ სიტყვებს ეძებდა.

ქალბატონმა ირინამ პატარა ფურცელი მისცა:

— ეს ჩემი სახლის ტელეფონის ნომერია. მისამართი შენმა დამ იცის. თუ აფორიაქებას იგრძნობ, ან პირიქით, უგუნებოდ იქნები, აუცილებლად დაამირეკე.

ნინო ერთხანს ჩუმად იდგა თავდაბრილი. მერე ექიმს შეხედა და ყრუდ ჩაილაპარაკა:

— გამაღობთ...

გარეთ ისევ წვიმდა.

— ჩქარა, სახლში წამოყვანე, თორემ შეიძლება მართლა გავგიყუდე!... შეევედრა ნინო დას.

მანქანა უცებ დაიჭირეს. სახლს რომ მიუახლოვდნენ, ნინომ დას უთხრა, არ ამომყვე, გუშინ ცუდად მეძინა, ბავშვებს მიხედეთ.

დას მართლაც ეჩქარებოდა. ბავშვები მეზობელთან ჰყავდა დატოვებული, მაგრამ ექიმის რჩევა გაახსენდა, პირველ ხანებში ნინოს დიდი ყურადღება სჭირდებოდა და დაბნეულად უთხრა ნინოს:

— მარტო როგორ იქნები... სადლი მოგიშადა, ყურძენი და მანდარინი აივანზეა, პურიც მოგიტანე, სახლი ოფიკას დავალაგებინე...

— გამაღობ, მაგრამ მაინც მარტო მიჩვევინა ყოფნა...

— კარგი, ნუ ნერვიულობ. ხვალ წახვალ ინსტიტუტში?

ნინომ პასუხი არ გასცა, ჩანთას ხელი დაავლო და სადარბაზოში შევიდა, გაზეთებით გატენილი ფოსტის ყუთი გახსნა, გაზეთები გამოიღო და მეორე სართულზე ავიდა.

შესასვლელში ნაცნობი სუნი იგრძნო, — ლიმონის და ფრანგული სუნამოს სურნელი. გული შეეკუმშა და გაჩერდა ჩანთითა და გაზეთებით ხელში. მერე პალტოების საკიდთან დადო ჩანთა, სახლის კარები ჯაჭვით ჩაკეტა, ტელეფონი გამორთო, ბოლოს მოტანილი გაზეთი აიღო, თავის ოთახში გავიდა ქურთუკგაუხდელად, ბოტასებით წამოწვა დივანზე. ნინომ გაზეთის თარიღს დახედა: 31 ოქტომბერი. ქვემოთ ტელეფონის პროგრამა იყო დაბეჭდილი, გვერდით ამინდის პროგნოზი სათაურით: „რას გვპირდება ნოემბერი?“

ნინომ გაზეთი დაიფარა სახეზე და ატირდა.

## დილარ ივარდავა

1958 წელი, 18 სექტემბერი...

იყო კვირადღე,  
სოხუმის ქუჩებს  
წელა დაუყვა გალაკტიონი;  
სადაც კი შედგა, იქ  
სახლებს უცებ  
ხმა შემოევლო —  
ხმა — ამბიონის...  
იღვნებოდა ცრემლები სანთლის,  
თუ ალტაების ისმოდა ტაში, —  
მივსდევდი ბავშვი და  
ჩქერი ნათლის  
ქრუანტილივით მივლიდა ტანში.  
გრძნობათა ტალღა  
ისევ კინწისკვრივით  
წინ გამიგდებდა —  
ჭრიალით ანძის  
და ანგელოსი ბებერ ყინწვისის  
ელავდა ჩანვით,

ჰანვით და განძით...  
მაგნოლიები თეთრი დეზივით  
იღვნენ და  
ფეხქვეშ უბნევდნენ იებს, —  
მზე — ზღვაში ჩაშლილ ხომალდებივით,  
თითქოს მიმწუხრის ხმობდა რეჟეიმს...  
დასტურ ვიყავი სიმი საცდელი,  
ვთრთოდი მის უკან კვლავინდებურად;  
კი არ მივსდევდი —  
მივბარბაცებდი,  
ის იწეოდა ცისკენ მეფურად...  
ზღვა ჰგავდა ჯეჯილს —  
ტალღებით მოხნულს,  
რომ ესწრაფვოდა ნაპირს ფიორით, —  
არ ავიწყდება, მე მჯერა, სოხუმს  
ის ნაბიჯები —  
გალაკტიონის!

როცა ვიხსენებ იმ ანაკლიას,  
ვგავარ ჰაობზე მიმდღურულ ყანჩას;  
დღეთა კვალი გულს კვლავ არ აკლია, —  
და დავიწყების დაწყება არ ჩანს!  
ხომ გაგიმეტე სხვის კუთვნილებად  
და უშენობით ამდენს ვეწამე;  
ვისმენ ლოცვას და ღმერთმა ინება,  
რომ ახლაც კვნესდეს ჩემი ლერწამი.  
ჩემდა ნუგეშად ყველგან მეგულვი,

მოდის აბრილი ყელადერილი, —  
წარსული — ერთხანს დავიწყებულნი,  
დღეს კი მეორედ გადაწერილი —  
ხსოვნაში ითვლის ბავშვობის სიზმრებს.  
ასე იქნება! —  
ჩვენ ვართ თავდები —  
ხვალის დღე თვალში იმგვარად  
გვიმზერს,  
ამ სიჯიუტით არ გავთავდებით!

არ ვიცი, არა! ახლა რა მინდა,  
მზეს ვნატრობდი და უცბად  
გაწვიმდა, —  
ზოგჯერ ქვეყანა იქცევა ბინდად,  
ზოგჯერ კრიალებს ცვარვივით წმინდა!  
საით მივყავარ ფიქრსა და განსჯას,  
იმედს, რწმენას თუ მომავლის ლოდინს,

როგორც სიკვდილით მიძიება დასჯა,  
ისე მიძიება სიზიფეს ლოდინი,  
მაგრამ თუ გაჩნდი, ატარო უნდა,  
ტვირთი საქვეყნო — ვაჟკაცურ ქედით.  
ეთქვათ: ჟამი ხალისს გიბრუნებს  
ზუნდად?  
მაინც იყავი მღევარი ბედის!

წკრიალა ხმები გულებს ერთვიან,  
ტყემლის ყვავილებს კრიალი გააქვთ,  
ამ წუთზე იტყვი: ცაში ღმერთია,  
მიწვეს კიბედ ზეცისკენ ჰავა!  
დიდი ზეიმის და აღტაცების  
ჟამი სწვევია კვირტების კერტებს,  
ხარ ბედნიერი, თუ ვერ აცდები  
სიხარულს ამგვარს, თუნდაც კი  
ერთხელ!

ბგერა და ფერი აქ მისხალ-მისხალ  
ბუნების ყოველ ჩქამში ერია, —  
დღე გაოცებას ფოთლებად ისხამს  
და... ეს ფოთლები ქარში მღერიან!  
სამყარო ნამით და ოქროს სილით  
აშენებს ფერთა მაღალ ციტადელს, —  
გაჰიმული აქვს ორფეოსს სიმი  
ზეცის და მიწის ყოველ ციდაზე!

ო, ნანა, შენი ხმა მესმის, ნანა,  
ისლი შრიალებს და ქოხი ბოლავს, —  
მთები აწვართულ წეროებს გვანან,  
გარს შემორტყმინ ჩემს კოლხეთს  
ზოლად!  
შენს ხმას, ო, ნანა, ქარი მიაფრენს  
შორს, შორს, მთების და ველების  
მიღმა, —  
მისძალებია სევდა ჭიაფერს

და ცრემლის ცვარი იშორებს ნიღაბს.  
აქ ყოველ ბგერას — ასხლეტილს, ნანა,  
ერთუნტლად უვლის ცა — მსხმოიარე, —  
დღეს გახსენება ჰგავს შიშველ დანას,  
რომელიც მარილს აყრის იარებს!

...ო, ნანა, შენი ხმა მესმის, ნანა,  
ის მიმატოვებს ოდესმე, განა?!

ალაზნის ჭრელ ველს, ორად გაკვეთილს,  
მდინარის ნერვი გაყრია სიმაღ;  
ცივგომბორიდან ჰგავს დღეს კახეთი,  
პირთამდე საღმრთოდ დახუნძლულ  
სინას!

უთვალავ სპარსის ჩალმა თუ თავი,  
თითქოს ალაზნის ცისკარში ყრია, —  
ყანებში სისხლი თქრიალებს მთვარის,  
თუ ღამე ფშვინავს,  
ვერ გაშიგია!  
ან როგორ გეყო ძალა და ღონე,  
მითხარ, ამდენი როგორ იაზრე,

რომ დღესაც მძაფრად კვლავ გამაგონე,  
ირმის ყვირილი ყარაიაზე?!

აქ ხომ ყოველი მტკაველი, ციდა  
მიწის, გარდასულ წარღვნის ტოლია,  
რომელსაც ღმერთი ქმნიდა და ციდან  
ძირს ჩამოჰქონდა ხსნის ისტორიად;  
ესეც ბეღია, რომ უნდა გვევლო  
ერთად და კვლავაც ტრფობა

გვედება, —  
შენ — ხოხბადქმნილო ალაზნის ველო,  
ქართველს სჭირდები მწუდ და  
ლუგენდად!

ვერ მოვსდე გრძნობას  
ლაგამ-აღვირი,  
ვინ მომეგლინოს  
მაშველად, მწუდა?!

დაცხრა მწვერვალზე  
თოვლი დაღლილი  
და ძირს ჩანჩქერთა  
ცრემლებად წვეთავს!

იყოს აწ ღმერთი  
მფარველი ჩვენი,  
თუკი სატანა  
გვთვალავდა უწინ, —  
მოვა, წაგვლეკავს  
სევდის მეწყერი,  
სიცოცხლის ჩვენის  
კენტი და ლუწით!

ნუ, ნუ ეკრძაღვი  
ცეცხლს და ბორეას,  
უნდა დაფერფლო  
დასაფერფლავი,  
იმ დათქმულ დღემდე  
განა შორია? —  
გვფარავდეს ჩვენი  
გზა — საესავი!

წინ ზიმზიმებდა ირმის ნახტომი,  
ავგისტოს ალხის ცხელი ისარი,  
მახსოვს, ნუგეშად გვერდით  
გნატრობდი,  
ოდეს დაგლანდე — ნამაისარი!  
ჰა, გამახსენდა დილა ცინცხალი,  
შენი ცრემლებით შემძივებული,

ათრთოლებული ტრფობის ციკარი  
იყო ჩემეულ სევდის მეგზური!  
მადლობა ღმერთს, რომ აუღერდა  
დროზე,  
მკერდში დაჭრილი ჩემი ლარჭემი, —  
მახსოვს დასიცხულ ცის კაბადონზე  
ჰანგმა დაადნო ღრუბლის ნაჭერი!

ხევში წევს ღამე შავნაბდიანი  
ისმის წყაროსთან ირმების ფშვინვა,  
ალარ გაუდის ზევეებს გრიალი,  
ღრმა ძილით სძინავს ჭალარა მყინვარს  
სევდამ იძალა,  
ჩასახლდა გულში —  
ზოგჯერ სევდასაც დასდის ნათელი, —  
აგერ არ იყო, გუშინწინ, გუშინ

ქარს გავატანეთ ჩვენი სათქმელი?!  
ახლა უთუოდ ხსოვნის უამია,  
გულს ჩავლილ დღეთა ტკივილი  
ახსოვს, —  
რად ეჩვენება, რად ადამიანს  
თითქოს ძვირფასი ზოგჯერ არ  
ფასობს?!





ლადო, მირზა, კოკი

პოემა

„მოგხსენებთ, რა ძნელია პოემის წერა“

მ. შაბაშარიანი

შესავალი

მე უნდა შევეთხზა პოემა ვრცელი,  
(პოემას ჩემგან მკითხველიც ელის),  
რათა აღვწუხებო ტრიალი ბედის:

ის სხვაზე მჩატედ გაწირა ბედმა  
და მოელვარე კავკასის ქედმა  
არ მიიკარა სპეტაკი მწერა.

თორემ ყელს მიჭერს და მახრჩობს  
თოკი,  
სამი ძმა: ლადო, მირზა და კოკი,  
სამი პოეტი და სამი გედი!

ლადოს სენს ახლა სენი არ ეთქმის,  
საყვარელია თუმც მისი ჭლექიც,  
გულსაკლავია ამაზე წერა.

ერთ მათგანს უფრო ვიცნობ მე ახლოს,  
ჯილაგი მისი მეზობლად სახლობს,  
სადაც სახლობდა პოეტი როსმე.

„თავქარიანი“ ყოფილა მირზა.  
ცხრა მთის ვადაღმა სამშობლოს იცავს  
და იწერება წერილზე წერილს.

თუმც არ მინახავს ერთხელაც იგი,  
ერთია ჩვენი წესი და რიგი  
და არ მჭირდება ამაში მოწმე.

მაგრამ დღეს ვამბობთ: რომ სხვა დრო  
იყო,  
და გზას არ ვაძლევთ საკუთარ  
სტრიქონს,  
რომ მოცილოს ყამათა — სვლის  
მტვერი.

რამაჲ ინანიშვილის ჩანახატი

ცრიდა. ჭაბუკი მიდიოდა ქუჩაში მარტო.

იყო ქვეყანა ძალიან ფართო.

ცრიდა. ჭაბუკი მიდიოდა ქუჩაში მარტო.

შედგა. მიიხედ-მოიხედა ჭაბუკმა ირგვლივ.

უცებ გაქვავდა ჭადრების რიგი.

შედგა. მიიხედ-მოიხედა ჭაბუკმა ირგვლივ.

ფხვსაცემლებში შესდიოდა რადგანაც ჭყაპი,

ის დაიხარა და დარჩა აგრე,

ფხვსაცემლებში შესდიოდა რადგანაც ჭყაპი.

ვერა გააწყო, თუმცა დიდხანს აწვალა, — ლანჩა —

როგორც იყო, ისეთი დარჩა,

ვერა გააწყო, თუმცა დიდხანს აწვალა ლანჩა.

ისევ გაუყვა ჭყაპა-ჭყუბით საყვარელ გამზირს.  
არ გაუხედავს ერთხელაც განზე. —  
ისევ გაუყვა ჭყაპა-ჭყუბით საყვარელ გამზირს.

კრიდა. ჭაბუკი მიდიოდა ქუჩაში მარტო,  
რა თქმა უნდა, რომ ეგ იყო ლადო.  
კრიდა. პოეტი მიდიოდა ქუჩაში მარტო.

იყო ქვეყანა ძალიან ფართო.

### ლალო ასათიანი ლექსი

მე არ ვესწრები მწერალთა პლენუმს,  
სად თავმჯდომარეს ირჩევენ ახლა,  
ისევ ვმეგობრობ საკუთარ თემას,  
ისევ ვმეგობრობ კალამს და ქაღალდს.

ვინმე ხომ უნდა იჯდეს ამ ალაგს,  
ამ მაგიდასთან, ამ ფანჯრის ახლოს.  
აქედან ვხედავ მე ზამთრის ჭალაკს,  
უკეთესს თვალი ვერაფერს ნახავს.

დაყურსულია ხეები თოვლით.  
სძინავს ბუნებას ზამთრის ღრმა ძილით,  
რაცხას თავისთვის პუტუნებს ცოლი,  
აქვს საწუხარი თავისი წილი.

გუნდად დაფრენენ ჩიტები, შაშვმა  
გაიჭახჭახა უეცრად მჭახედ,  
თოვლია ირგვლივ, ნეტავი რას ჭამს  
ის დალოცვილი, მე ვფიქრობ ახლა.

ხოლო პლენუმში აზარტში შედის,  
ორატორები ერთმანეთს ცვლიან,  
თუმც არ იცვლება ლექსუმის ხედი,  
შეგუებული მშობლიურ წილს.

არც თავმჯდომარეს შევეცვლიდი, მე რომ  
მეკითხებოდეს საკითხი ესე,  
თუმცა ისევ სჯობს, რომ ლექსი ვწერო  
და მივატანო თვალი ძველ მესერს.

რა თავმჯდომარე სჭირდება მწერალს,  
რომ ვთქვათ და, გულზე დავიდოთ  
ხელი,  
ყველა თავისას ლამბავს და ჰკერავს,  
ყველას თავისი მაგიდა ელის.

ცალ-ცალკე წავა ოჯახში ყველა,  
დაიხურება პლენუმი მალე,  
რა თავმჯდომარე სჭირდება მწერალს,  
თუკი შეგხედავთ გონების თვალით.

არ დაწყნარდება ბრძანებით ღელვა  
და არ შემოვა ბრძანებით დარი,  
რა თავმჯდომარე სჭირდება მწერალს,  
თუკი შეგხედავთ გონების თვალით.

დაყურსულია ხეები თოვლით,  
სძინავს ბუნებას ზამთრის ღრმა ძილით,  
ყველას აქვს ქვეყნად თავისი როლი  
და საფიქრალი თავისი წილი.

### შალვა ამისულაშვილის წერილებიდან

აი, ბარათი კოკის მეგობრის:  
„მე საამაყოდ ისიც მეყოფა,  
რომ ძმას მეძახდა იგი.

მერე მე ომში წავედი მარტო,  
წინ რუსეთია და სივრცე ფართო  
და დამავიწყდა წიგნი.

ჩემი ძმა გახდა შაშვანა ცივი,  
ვუსმენ გაბმული ტყვიების წივილს  
და მებრალევა ყველა. —

ვინც ჩემს ღღეშია და ამ ჯგლეთაში,  
დამალევიან ახლა ზედაშე  
და დამაძინა ველად;

უცებ ატყდება ღამით განგაში,  
გამელვძიება ფეხზე სანგარში  
და დიდხანს ველარ ვარკვევ.

ეს მე ვარ, თუ სხვა, ვილაც მეორე,  
და ჩემს მეზობელს ვუმზერ მეომარს,  
ჩავცქერი, როგორც სარკეს.

ცარიელი გვაქვს ყველას თვალები,  
მაგრამ კვლავ ისმის მტკიცე ბრძანება  
და გზას მივიკვლევთ ბნელში.

იქ, დავეყრებით შეტევის შემდეგ  
და ჩვენი ბედი უწვევრულ ზემდეგს  
მტკიცედ უჭირავს ხელში.

ჩვენ დავიცავით მალღობი, მაგრამ,  
ოცუულიდან თორმეტი გაქრა  
და კვალიც არ ჩანს მათი.

თუ ურევია ამ ომში ღმერთი,  
ეს მაცოდინა ნეტავი, ერთი,  
და კთხვა ღონეს მართმევს.

ღამით მესიზმრა მე საჯაია,  
ვიცოდე, ნეტავ, როგორ არიან  
შინ დარჩენილი ძმები.

კოკის ვეძახდით ჩვენ ალექსანდრეს,  
და დამეისიზმრა რიგით მესამედ  
კავკასიონის მთებში.

მესიზმრა: კოკი მომკვდარა, ძრწოლით  
ვიფიქრე: მანდ ხომ არაა ომი.  
მაგრამ კაცნი ვართ რადგან,

ხომ შეიძლება უჭირდეს რაღაც,  
ხელი დავავლე გაზინთულ ქალაღს  
და რაც სიზმრიდან ამყვა, —

წვრილად მივწერე თბილისში ჩვენებს.  
და ჩამეყლაპა ნეტავი ენა.  
მართლა მომკვდარა კაცი.

ხვალ გველის ომი, ახლა ვისვენებთ,  
მე მაპატიეთ, რაც გავიხსენე  
და ნუ იქნებით მკაცრი.

### კომიის განმ.

სჯის რედაქტორი: „პოემას შენსას  
აქვს სიუჟეტი გაუმართავი.“  
და თუმცა იგი არის მართალი,  
მე ვარ სიტყვების ჩემის სარდალი  
და კვლავ ვწერ, როგორც მესმის.

რა სიუჟეტი, ან კიდევ კვანძი;  
რა აწყობილი ჰქონდათ ცხოვრება.  
არ მსურს გამართვა, არც —  
ჩასწორება,

როგორიც არის, დარჩეს პოემა,  
ნურაფერს შევცვლით აწი.

პოემა არის ცხოვრება თვითონ,  
ავით და კარგით, ესეც ცხადია,  
თავი გგონია ხოლმე დადია,  
ხან არაფერი არ ებაბღია  
და ლუკმა პურზე ფიქრობ.

ამ დროს ნიკალას იგონებს ლაღო,  
და დუქნის კარის ისმის ჭრიალი...  
კი არ გააღეს, ოღონდ, ტიალი.  
უკვე ღამეა ქვეყნად გვიანი  
და კარს ჰკეტავენ ამ დროს.

კოკი სვანეთში მიჰყვება აღმართს  
და დათოვლილი, თეთრი მწვერვალით  
ჩანს საბჭოეთი და თებერვალი.  
რადგან მოვალე არის მწერალი  
ქვეყნის ცხოვრება ნახოს.

მირზა ომშია, მორევი ბრუნავს  
და მოციქულობს ტყვია ტყვიასთან,  
გამაყრუები ისმის გნისი.  
აქ ომი უკვე მიდის ღიაში  
და თუ ენდობი, — გუმანს.

ლალოს სიციხე აქვს, ორმოცი აქვს. ორმოცდაერთი.  
 ყინულს ადებენ გამუდმებით მხურვალე შუბლზე,  
 ჰყვებიან ამბებს, იქნებ კაცი ცოტა გაერთოს,  
 მაგრამ პოეტი ამბის მიღმა სანახებს უმზერს.

გულდათუთქული იწვის ცალკე გაბესკირია,  
 და ჩიქოვანის ფიქრიანი ბზინავს სათვალე,  
 გამსახურდია როგორც მუდამ, ენაძვირია,  
 და ტირის ვარდი, რომ ეფერა ჩიტი ბარდნალის.

მუდამ ფეხზეა მარგიანი. ზის — მირცხულავა,  
 ლამეს ათევენ მეკალმენი სხვა-სხვა თაობის,  
 ზევრია გარეთ, მაგრამ გულით აქ იყურება,  
 მოწყენილია სამეზობლო, როგორც აროდეს.

„თვალეები დარჩა კაცისაგან,“ — თქვა ქიაჩელმა  
 და ყველამ იგრძნო უცნაური რაღაცა შიში,  
 „ხომ უნდა მოკვდე, მამა-ღმერთმა თუ გამაჩინა,  
 და ჩემი წასვლით ერთი კაცის სიკვდილს თუ ვიხსნი.“

პოეტი კვდება ისე, როგორც არ კვდება არვინ,  
 რადგან პოეტი ისე ცხოვრობს, ვით არვინ ქვეყნად,  
 თავისუფალი, ვით ქალაში თებერვლის ქარი,  
 აღნობს რომელსაც გაზაფხულთან სასტიკი შეყრა.

### ბატალიონი ისვენებს გზაზე...

ომს აკვირდება და დღიურს ავსებს,  
 თუმცა მცირე აქვს საომარი გამოცდილება...  
 ბატალიონი ისვენებს გზაზე  
 და ხანდისხანად გემრიელი ისმის გინება.

წერს მირზა... არ წერს ფანქარი უკვე,  
 და გულში მარცვლავს, იზეპირებს ლექსის სტრიქონებს.  
 ხამს იყო დანტე, რომ ომის კუბრი  
 ისე აღწერო, ერთი შტრიხიც არ მოიგონო.

ეულად ჩნდება ზეგანზე ცხენი,  
 და „ილიადას“ ებჯინება ომის ფარგალი,  
 იყო თემური, ტრამალის მგელი,  
 მაგრამ ეს ომი არის ომთა მთავარსარდალი.

მითითრია რაღაცა მასში.  
 ხოლმე, ვით ზევსი, თავს დასცქერის ჭგლეთას ღრუბელი,  
 ბატალიონი დაიძრა მარშით,  
 წინ მიდის რისხვა, საშინელი და დამლუპველი.

მართლა ძნელია პოემის წერა,  
გახდა მრავალი ამ საქმის წერა,  
როგორც მუხრანმა გვითხრა,

მაგრამ რასაც ქმნი, თუ მისი გჯერა,  
ყურს ნუ ათხოვებ ეშმას და ვერაგს,  
ზილე ჩვეულად თიხა.

და გზას მიჰყევი. გაყოფილს სამად.  
და ნუ ეცდები, — ამ მწარე ქამანდს, —  
ვერ მოიცილებ აწი.

მიჰყევი ქვეყნის დღესა და ღამეს,  
უამინდობას მიჰყევი. ამინდს.  
და კვლავ იყავი კაცი.

სამად იყოფა. გზა. მაგრამ ერთი  
არის ცხოვრება. და ვით ზღვის —  
წვეთი,  
გვაგართ ერთმანეთს ყველა.

სასაცილოა, ვინ არის მეტი,  
როდესაც ავი ტრიალებს ბედი,  
რომ მოგვიშალოს კერა.

წარღვნაა იგი, რიგით მეორე.  
თუმცა ბუნება არ იმეორებს  
თავის თავს, როგორც წესი,

ამგვარად საზღვრავს მინდვრებს —  
ხეობა,  
ხეობას — მთები. და მთებს — ზეობა,  
და ყოველს, — ზესთა-ზესი.

### ოცგამოვლილი კოეტიპისადმი

ომი მოუგე შენ თავად ჰიტლერს,  
თავს დაატეხე რისხვა,  
მაგრამ არაფერს რატომ არ იტყვი:  
სადაა მირზა?

ის შენთან ერთად იყოფდა ღამეს,  
ხვდებოდა დილის სისხამს,  
შენ მთელი დარჩი, მოხველ და, ამინ:  
სადაა მირზა?

შენ გაიხარებ ცოლ-შვილში, მუხლზე  
საყვარელ პირმშოს ისვამ,  
და გაქვევლები ხანდახან უცებ:  
სადაა მირზა?

იცი, რომ შენ არ მიგიძღვის ბრალი,  
რომ გადაურჩი რისხვას,  
და მაინც არ გაქვს შეკითხვის თავი:  
სადაა მირზა?

### დასასრული

მოკვდა სამი ძმა. ბევრი გადარჩა.  
გახშირდა ქვეყნად წიგნი და ფარჩა.  
დიდი ხანია მშვიდობა სუფევს.

ყოფნას მიეცა თითქოს საზრისი,  
გადაავიწყდა ერთს დანაკლისი,  
ანდა, რომ გითხრათ უკეთ, —

იგონებს, დრო-დრო წასულ პოეტებს,  
„არც ერთი აღარ იყო გოეთე“,  
ხანდახან იტყვის გულში.

თვისას უდარებს მათ ნახელსაქმარს,  
ხელში აიღებს ხოლმე „შესაქმეს“  
ანდა რუსთაველს ფურცლავს,

მოვალეობა ლექსს აწერინებს,  
და წელზე იხვევს წმინდა მერინოსს,  
უტევს წელსკავე მკაცრობს.

ხელმძღვანელია ის წარმოების,  
ანდა — უწყების, მაგრამ პოეტი  
ის ვერ გახდება აწი.



თუმც გაუვიდათ მიბაძვის ხანა,  
დღეს ლადოს ბაძავს მრავალი,  
განსხვავებული თუმცადა ჩანან,  
მაინც მსგავსია იმათი ყანა  
და მოსავალი.

პატრიოტია ქართველი სისხლით,  
რითაც დაიცვა ქვეყნის სამანი,  
მაგრამ არც უცხოს შეჰყურებს  
რისხვით

და შეეგუენ მეჩეთს და მიზგითს  
წმინდა მამანი.

ეს იმიტომ, რო, მცირე ვართ რიცხვით  
და სხვა არ გვქონდა გამოსავალი,

და როცა ციკქნა კრებულს იგონებს  
ზეპირად ამბობს ლადოს სტრიქონებს,  
უმზერს ქაშუეთს ფანჯრით.

ხან აგონდება თამამი მირზა,  
ვინც ცხრა მთის მიღმა სამშობლოს  
იცავს  
და მარად ნორჩი დარჩა.

ხან კოკის ბედი შეაცანცარებს,  
დღე-დღე მოელის წერას საზარელს  
და წყნეთში ყიდის დაჩას.

თუმც სხვაზე მეტი გვაქვს გულის  
სიცხე,  
თუმც დამატებით დაგვყვა სიფიცხე, —  
და სითამამე.

ჩვენ ფეხზე ვდგავართ მუდამყამს  
მტკიცედ,  
შემოჭერილი გვშვენის ქამარი,  
და ჩანს კორტოხზე შემდგარი ციხე  
როცა თენდება. და ჰყივის რიხით  
ჩვენი მამალი.

ჯალაბი მისი კრიახობს, ეზოს  
შვენის აისის ნაზი კამარი,  
ლილინებს კაცი, აახლებს მესერს  
და ამკობს ეზოს, ვით რითმა ლექსებს,  
ტურფა ყამარი.

# სალომე

მომხრობა

სალომე თორმეტი წლით იყო თავის დაზე — ლოლაზე უფროსი. მალღსა და აწოწილს, რაც თავი ახსოვდა, ძაძები ეცვა. ამან, დროთა მანძილზე, მის სახეზე წარუშლელი დადი დასვა: ზოგჯერ სახლში ღია ფერის კაზას რომ გადაიცვამდა, მაშინაც სხედის განსახიერება იყო.

ლოლა — ტანსრული, ფერ-ზოციით სავსე, საოცრად მიმნდობი და გულლია ბუნების გოგო — დაფთებული დარბოდა ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში, ფათერაკებს დაეძებდა, რამაც არ დააყოვნა და გადაეყარა კიდევ.

თუმცა, ეს ამხავი სალომეს არც დასიზმრებია და, ალბათ, კარგა ხანს ბაიბურში არ იქნებოდა, შემოდგომის ერთ თბილ საღამოს მათ სახლს ვიღაც გამხდარი, გაწლიკული დედაკაცი რომ არ მოსდგომოდა და გარეთ არ გაეხშო.

— რას გაკივია ეს ძაძები, — სახლის აივანზე გარულ ნაპერზე მითითა, რომელიც სალომეს ძმის დალუპვას იუწყებოდა. — ჩემი კაცი ლოლას მიწაზე შიშველს რომ აგორავებს, გაატანე ხოლმე, დასაგებად გამოადგება — მიახალა.

— რას ამბობ, რას? — შესაბა თავზარდაცემულმა სალომემ. წვდა, ერთი მაგრად შეაჯანჯლარა, სილა გააწინა და გაქცეულს ქუჩის ბოლომდე სულმოუთქმელად მისდია.

ეღვიპტონის შუკით განათებულ ქუჩაში ხალხი შეურილიყო, გოცებით მისჩერებოდა სახლისკენ ლასლასით მიმავალ სალომეს და იმ გაწლიკულ დედაკაცს. მან საშიშროებას თავი რომ დააღწია ენა ამოიდგა; ქუჩაში შემდგარ, შეცბუნებულ ხალხს თავის გასაქირს უშვილდა.

სალომეს ბოლო ხანებში და თავის ნებაზე ჰყავდა სიშვებული. მხოლოდ მის ფართოდ გახედილ, მიწებჩამდგარ თვალებს ამჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ მახაც შავები ეცვა, ყოველისწამდეკაც მზიარულებას ვერ უშკლავდებოდა. იცინოდა, უადგილოდ ხუმრობდა და, საერთოდ, თავი გამომწვევად ეპირა. სალომე აფრთხილებდა, წესიერად მოიქეცო, ოღონდ თავს იმის უფლებას ვერ მისცემდა, სიცილი აეკრძალა. ხანდახან სიამოვნებდა კიდევ, მათ უზარმაზარ, ერთიანად ჩამუყდროებულ სახლს ლოლას ხმა რომ აცოცხლებდა. ვერც ეტყოდა, არ იშხიარულო, ჩემსავით ძაძით წაიკარი შუბლი. მაშინ მისთვის სიცოცხლე უნდა აეკრძალა, სახლი

ისე დაეგმანა, შიგ დღის შუქსაც ვერ შემოედევია.

გოგოს, თავისდა უნებურად, ხიმღერაც წამოსდებოდა, მაგრამ მაშინვე გამოერკვეოდა და დაფთებული ისედებოდა აქეთ-იქით.

სალომე ხვდებოდა, ლოლა მწუხარებისთვის არ იყო გაჩენილი. ძმის დალუპვამდე გულახდილ საუბარში გამოუტყდა, ჩემს ირგვლივ მუდმივი დღეხასწაული უნდა იყოსო. ცხოვრება დიდ ზეიმად წარმოუდგებოდა და სალომეც არ ცდილა მისთვის ცივი წყალი გადაეხსა. გამოცდილიებით იცოდა, ისედაც მალე მიხვდებოდა ყველაფერს და სანამ ასაკი ზელს უწყობს, დაეასე ეგონოსო, ფიქრობდა.

ლოლას გამოუღველად აკითხავდნენ ნაცნობ-მეგობრები, რომლებიც მიცვალებულთა სურათებით მოფენილ ოთახებში მოხვდებოდნენ თუ არა, დინჯდებოდნენ, ყოველ სიტყვას წონიდნენ; სურათებს თვალს არიდებდნენ, ლოლას ხმამაღალ სიცილსა და ხუმრობაზე უხერხულად იმშუშნებოდნენ.

ეს გოგო მათგან თითქმის არაფრით გამოირჩეოდა. ბავშვური იყო, მაგრამ როგორც კი ასაკიდან ხალხთან მოხვდებოდა, საოცრად იცვლებოდა. ვინც არ იცნობდა, მისი „მავდილგონიერებით“ მოხიბლული რჩებოდა. სალომე უშლიდა. ყოველი მისი ცდა ამო იყო, რადგან ლოლას სწორედ ეს აკრძალული თამაში იზიდავდა.

გოგო უყურადღებოდ მიმჩრა და, ვინ იცის, შეცდა კიდევო, გაუღმვა სალომეს. რაც თავი ახსოვდა, ჩახიჩინებდა, უცხო კაცებთან ენამახვილოდს მოერიდო, აბერად ნუ დაუდგები წინ, არ გეგონოს, ყველა ერთნაირად დაგინდოსო.

ვაითუ, უადგილო სითამამემ წაატეხინა ფეხიო, გაიფიქრა. ამ აზრს იქვე შეებრძოლა. ღვიძლ დაზე ბჭვი როგორ შემეპარა, ეს ამხავი უფრო მონაპორსა ჰგავს, ვერ დაეაქერებო.

ქუჩაში თავშეურილი მეზობლები დაურიდებლად შესქეროდნენ. ზოგი წუხდა, ახლა ამით ეგლა აქლდათო, მაგრამ მათ წუხილში აშკარა გაკიცხვა იგრძობოდა: ეხეც შენ, საადგომო კვერცხივით თავს რომ იწონებდი, ამ გომბიომ ალიყური ხომ გაქამაო.

თავი არ აუწევია, იცოდა, ნახევარი ქალაქი

ძალდის უხვს გამოიხამდა. მათი სახლი თითო საჩვენებელი გახდებოდა, თუ უკვე არ გამხდარიყო. ადარდებდა, რას ფიქრობდნენ ისინი ან, საერთოდ, რა აზრის იყვნენ მათზე. არ იტყვიან, იმ უცხვირპირო ვაგონს ახლახან დაღუპული ძმის საფლავი ლაფთი ამოავლო, იმის მაგივრად, რომ გლოვობდეს, საყვარელი გაუჩინია. ალბათ, მისი შიში აკავებდა, თორემ ადრეც აწყვეტდაო... ისეც იყო, მაგრამ სალომეს ლოლას ბედიც აწუხებდა, ბედი დაოკაბებული მამაკაცის საყვარლისა, რომელიც იმ დედაკაცის სიტყვებს თუ დაეკერება, მის კოლიანობას შეგუებულია და მხოლოდ ნაპარავი აღერხით უნდა დაემაყოფილდეს. საყვარელს შეუძლია ნებისმიერ დროს მიატოვოს და მარტო, როცა მამაკაცის აღერხს გემოს გაუგებს, მარტო აღმოჩნდება, მერე სხვებს მიიწილავს, ხელიდან-ხელში გადავა, ყველა ეცდება, საკუთარი ნაჭდევი დაამჩნიოს მის ხელს, როგორმე აღიბედოს მის მტხსიერებაში...

„არა, ეს რა აზრები მოგდის, შე უბედურო. რაღა უვლევავარი სიკვამლე უნდა მოიგონო!“ — საკუთარ თავს შეუწყურა ფიქრში და სახლის კიბეს აუყვა.

— არა — ამჯერად ხმამაღლა წამოიძახა, კარი შეაღო, ხმაურით მიხურა და ლოლას ოთახისაკენ წავიდა, მაგრამ დერეფნის ბოლოს რომ მიადგინა, ტანი დაუმშინდა.

— ლოლა! — თავს ძალა დაატანა და დაიძახა.

სახლში სულისშემზუთველი დუმილი იდგა.

— ლოლა, გამოდი და მიჩვენე! — თქვა მან.

სახლმა ისეც დუმილით უპასუხა.

— ლოლა! — წამოიძახა სიჩუმით თავზარდევნილმა, კარი შეაღო და ოთახი ცარიელი რომ დაუხვდა, გაბეჯდა.

გონს რომ მოეგო, კარადან მივარდა. ტანსაცმელი ბელუბლებლად ეცადა. მერე ფანჯარასთან შედგმულ მაგიდას და საწოლს ეცა, იქნებ რამე ნაწერი მაინც დატოვაო. ამისდამაგვარი ვერაფერი იპოვა.

ოთახს დის სხეულის სურნელი კვლავ შემორჩნეოდა და ისეთი წარმოდგენა ბქონდა, აგერ, საცა შემოვლა. ამ მილოდინით რამდენიმე ხანს დაყოვნდა. სახლი სრულ მდუმარებას მოეცვა. მდუმარებამ შეაძრწუნა, ოთახიდან გამოსვრდა, მთელი სახლის კუთხე-კუწუღი ააფორიქა, ხმამაღლი მოთქმითა და ტირილით გავიდა ეწოში, მერე ქუჩას დაუყვა და რკინიგზის სადგურისკენ გაემართა, შევარდა მოსაცდელ დარბაზში და ლოლას ეძებდა.

მისი გარეგნობით დაფიქრებული მგზავრები ერთმანეთს ეკვროდნენ და შევებით ამოისუნთქეს, დარბაზი რომ დატოვა. იქიდან, სანაპიროსკენ გაემართა. მირბოდა და ლოლას სახელს მიიძახოდა. ხალხი გზას უთმობდა. ზოგი თანაუგრძნობდა, ზოგიც შეშლილი იქნებოდა, იცინოდა.

სანაპიროს ძელსკაშე მამაკაცის მკლავებს მინებდა ბებული ვიდაც გოგო ერთი წუთით მოუტრიალდა, ახედ-დახედდა, თვალები ცისკენ აღაპურად დაღმერთა, ავთვალი ქალბნისგან დაგვიფარო, წამოიძახა.

სალომე სანაპიროზე მოხიერნე ხალხს აჩერებდა. ეკითხებოდა, ასეთი და ასეთი გარეგნობის გოგონათვის თვალი ხომ არ მოგიტრავთო: ისინი მხრებს იჩჩავდნენ, გოგოს მტით რა შეგბვდებოდა, მიმოიხილდეთ, მაგის მსგავსი აგერ, რამდენი მიმოიღისო. მერე ზღვის პირას ხეებქვეშ დადგმულ ძელსკაშებს შორის დარბოდა. განმარტებული წყვილები ააფორიქა, ქალებს — ლოლა ხომ არ ხარო, ჩასძახოდა. ზოგი, ლოლა ვარო, ზოგიც, — ლოლას და ვარ, ჩამოგეჭვი, სული მოიქვი, ამდენი ყვირილისგან ხმა ჩაიწყუდებო, მასბრობდა.

უშედეგო ძებნის შემდეგ, სირბილით გაემართა წინისკენ. სახლს რომ მიუახლოვდა, განათებული მა ფანჯრებმა იმედი ჩაუსახა, სულმოუთქმელად შევარდა ეწოში, აირბინა კიბე, მძიმე კარი შეაღო და... არავინ დახვდა.

იმ შემოდგომის თბილ საღამოს სახლის კარზე მოულოდნელად ვიდაცა აბრახუნდა. სალომეს მთელი დღე ცუდს უგრძნობდა გული და გაუთვითცნობიერებელმა შიშმა აიტანა.

კარი რომ შეაღო, ძმის მეგობარს მოჰკრა თვალი. სახეშეშლილს, მიუხედავად იმისა, რომ სალომე იქვე იდგა, კარზე ბრახუნი არ შეუწყვეტია. სალომე მარჯვენაში სწვდა და ძლივს შეაჩერა. კაცს ერთიანად დაძაბული სახე გაუღვდა, ზედ უწეო ღიმილი გამოეხსნა და სალომეს დაბნეული მზერა მიაპყრო.

— არ შეგეშინდეს, ჩინო დაქრეს, საავადმყოფოში მივიყვანეთ! — ძლივს ამოდერდა.

სალომე კიბეზე დაეშვა. „რატომ?“ მიიძახოდა და გულამოვარდნილი მირბოდა ქუჩაში. „რატომ?“ — ეს კითხვა ვერც მაშინ მოიშალა, როცა საოპერაციო ოთახიდან ჩინო გონმისილი გამოიყვანეს და ვიდაცამ უჩურჩულა, მეგობარმა დაქრათო. ეს აკვიატებული კითხვა არც მერე ანებებდა თავს, როცა ძმის ნეტეს უჭდა. ირგვლივ ტიროდნენ, მოთქვამდნენ, მხოლოდ ის იქდა გაშეშებული და გაოგნებული.

ჩინოს ცხედიარ საფლავში რომ ჩაუშვეს, მაშინდა, ერთბაშად გაუნათდა გონება, ქალებს ხელიდან დაუსხლტდა და ძმას თან ჩააყვდა.

კუბოს ვერაფრით ააგლიჯეს. ითხოვდა, გაეხსნათ, რომ უკანასკნელად გამოსთხოვებოდა ძმას. ეწინააღმდეგებოდნენ. ლოლა მკლავებში ჩამფრენოდა და რაღაცას ემუდარებოდა. სალომე გაჩქიდა. გაიძახოდა, გახსნით ან მასთან ერთად დამარბეთო...

მერე ნანობდა, ეს აკვიატებული თხოვნა

მინც რომ შეუსრულეს, რადგან უკანასკნელად ნანახი ძმის ცვილისფერი სახე გაშუღმებით ედგა თვალწინ, თავიდან ვერ იშორებდა. როცა ძმის სახის წარმოდგენა უნდოდა, ის ნიღაბი აეხვეტებოდა და მიმე დაწაშაულის განცდა არ ახვედნებდა, რომ ჩინოს ისეთად ვერ იხსენებდა, როგორც სიკვდილამდე იყო: მოგრო, თეთრი სახით, ოდნავ კეხიანი ცხვირით, შორიშორ ჩამხხდარი, ცისფერი ახლომხედველი თვალებით, რომლებსაც მოსაუბრეს არ აცილებდა ხოლმე და თუ ოდნავ გაუგებრობას ან უხერხულობას იგრძნობდა, მოჭუტავდა, გამჭოლად დაუწყებდა ყურებას, მერე მჯერას მოარიდებდა. ბრაზმორეულს, ენა ეჩლიქებოდა და სიტყვების გამოსაკვთავად, ხელებს იქნევდა. სათქმელს რომ მორჩებოდა, თვალეში ნაღველს ჩაიგუზებდა და რაც უნდა მომხდარიყო, სიტყვა არ დასცდებოდა.

სალომე ყოველთვის გრძნობდა მასში მომხდარ უმცირეს ცვლილებებსაც კი და, მიუხედავად იმისა, რომ ძმა შინაურებს უფროთხილდებოდა, მისი განწყობილება ერთბაშად გადაეღებოდა ხოლმე.

სალომე თავისთვის დედავდა. ჩინოს ნაბიჯების ხმას აყურებდა. კარის გამოღება-მიხურვაზეც კი ხედებოდა, როგორ ხასიათზე იყო.

ერთთავად დაძაბული, როგორღაც დადარაჯებული დაიარებოდა ჩინო. გეგონებოდა, ჭიბრში ედგა ქვეყანას და ამ ჭიბრით სულდგმულობდა. სიტყვას არავის შეარჩენდა და მანამ არ მოისვენებდა, სანამ მტყუანს და მართალს არ გაარკვევდა.

ძნელად შესაგუებელი ხასიათი ჰქონდა. დებს უფროთხილდებოდა, აღერსით არასოდეს მიაღერებდა, მაგრამ ცდილობდა, მათთან ურთიერთობაში არაფერი შეშლოდა.

სალომემ იცოდა, რა პირდაპირობით გამოიჩინებოდა ჩინო ტოლ-მეგობრებს შორის. ერთხელ, მათთან სტუმრად მყოფმა ახლობელმა მოხუცმა საყვედურის კი უთხრა ამაზე, შენს კანში დღებტი, ამ გოგონებს შენი იმედიდა ასულდგმულებით და ესეც არ მოუსპოო.

იმ ახლობლის სიტყვები სისმარშიაც კი ახსოვდა სალომეს. მუდმივად დადარაჯებული იყო. როგორც კი ოდნავ გულდაწყნობას შეამჩნევდა, ცდილობდა, სხვა რამეზე გადაეტანა მისი ყურადღება. ზოგჯერ ახერხებდა კიდევ ამას, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ბორკავდა, მოუსვენრობდა და დები უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩაეყენებინა, მეგობრებთან რჩებოდა. მერე მოვიდოდა გაწონასწორებული განწყობილებით, ერთი ორქერ გამოელაპარაკებოდა დებს წინგნებით გამოტენილ თავის ოთახში თავს შერკავდა და მხოლოდ წასახეხსებლად თუ გამოჩნდებოდა. მაგიაზე დახვავებულ თევზებს დადვრშილი სახით დააჩრდებოდა, რამდენიმე

ლუკმას უგემურად გალოღინდა, ადგებოდა და ისევ ოთახს მიაშურებდა.

მეგობრები ხშირად აკითხვდნენ სახლში. საუბრობდნენ, ცოტ-ცოტაობით ღვინოს შეექცეოდნენ, იცინოდნენ. სალომეს ლანგრიტ შემოპქონდა ხილვებით, ნამცხვრებით, სახლელაბილოდ შემზადებული კერძები, ლოლა ჩინოს სახალღვებს იქდა ფეხმოუცვლელად და სხენად იყო ქცეული. თვითონაც აპყვებოდა სტუმრებს, მაგრამ ისე შორსაც ვერ გაუტევდა, მობრუნება გასწვდებოდა, რადგან ჩინო იქვე ეგულბოდა.

კამათს ყველა ერთდებოდა. სალომე ხედავდა. ლოლას გარდა, ყველა დაძაბული იყო. ლოლა თავის ილაშორულ სამყაროში დაფრთხივდა. ირგვლივ ჩამოვარდნილი ნაძალადები სიმშვიდე მოსვენებას უტარავდა ჩინოს და, როგორც კი უკანასკნელ სტუმარს გააცილებდა, ბოლთის ცემას მოწყვებოდა, მერე სახლიდან გაიქრებოდა. უთავბოლოდ იხეტიალებდა და სადმე, ზღვის სანაპიროზე ძელსკაშზე მიწოლილს ჩაეძინებოდა.

სალომე ამ დროს იქვე, ბუჩქს ან ხეს იყო მოფარებული და დარაჯობდა. სანაპიროს დღის ნათელი რომ მიეძალებოდა, ძმასთან გაჩნდებოდა, უხიგებდა და გამოადვიებდა. ჩინო თავლების ფშვნებით წამოვარდებოდა და ძელსკაშთან აწურულ დას საყვედურებით აიკლებდა. ამ უთენიაზე რამ წამოგავდო, გერჩინვა, სახლში ყოფილიყავიო. მერე მხარზე ხელს გადასდებდა და შეინსკენ მიემართებოდნენ.

ერთხელ, როდესაც სალომე ზღვის პირას მძინარე ძმას დარაჯობდა, შიელი დღის საქმიანობისგან დაქანცულს, თვლებში მოერია. ძილდვიძილში სხეულზე ხელების ფათური იგრძნო. თვალი რომ გაახილა, მისკენ ხელეგამოწვდილი, მთვრალი მამაკაცი დაინახა. შეშინებულმა, მკვლავი მოიქნია და უკან გადახტა. მამაკაცი მხარზე ჩამოცურებულ თავსაფარზე წაატანა ხელი და მიიწიდა.

— მძინარეს დარაჯობე შა, შა, შა, შა — გაციინა ხმამაღლა.

სალომემ უსიტყვოდ გაიბრძოლა. კაცი იოლად უმკლავდებოდა. მისი უმწყო ფართხალი ხასაცვილოდ არ ჰყოფნიდა.

— შა, შა, შა, რა უკარება ყოფილხარ, არ მითხრა ახლა, უხაწო ვარო, თორემ ავიწვივი — წამოიძახა და სალომეს ლოწონა დაუწყო.

მერე საეინძეზე შეველო ხელი. ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა. ამით გათამამებულმა კაცმა სიფრთხილის გრძნობა დაკარგა. ქალის ძნელადმესახსნელ საყინემს ხელი უშვა და რადაციის თქმა დააპირა, მაგრამ უცერად, ძლიერმა დარტყამა მოცუდა.

ქალი გაიქცა. კაცი რამდენიმე ხანს ხმას ვერ იღებდა. პირდაფრინილი გაპურებდა ქალს. როგორც იქნა, სული მოიქვია, ახ, შე კახა, შე უნამუსო მანწაწალო, დაიღრიალა და მიწას გაერთხა.

ჩინო მისმა ხმამ გამოადგინა. წამოჭდა, დაბ-  
ნულად მიმოიხედა, შორიახლოს მიწაზე გართ-  
ნულად კაცი რომ დაინახა, წამოხტა.

— რა იყო, რა მოგივიდა?!

— წადი, ვიღაცა ხარ, თავიდან მომწყდო! —  
შეუღრინა პასუხად კაცმა და ღრიალი გაანგრძო.

— თქვი, რა შეგემთხვა!

— ერთი ქალი დავიხსენებ აქ. გავივარწიე  
და, თი!

სიცილი წახდა ჩინოს.

— რა გაცინებს, მგონი, რაღაცის აწაპვნას გი-  
პაირობდა!

ჩინოს სახეზე სიცილი შეაშრა. მიმოიხედა, მე-  
რე სახლისკენ მიმავალ გზას გახედა.

— როგორ ეცვა იმ ქალს!

— ერთი მაგისი მომგონისა... ბიჭოს, რა  
გამილაწუნა? ქალი კი არა, ნამდვილი აღქაქა  
იყო!

ჩინო მიწაზე დაოხილი კაცს იხევ დააცქერდა,  
ჩაფიქრდა, უცერად ზურგი შეაქცია და სახლის-  
კენ გაეშარა.

ელოში რომ შეაბიჯა, კიბეზე მჯდომი ერთი-  
ნად სახეგაცრეცილი სალომე დაინახა. პირვე-  
ლად ხედავდა დას ასეთ მობუწულსა და უმწე-  
ოს. ამდენ ვაი-ვაიში ეს ერთ დროს თვალტანა-  
დი გოგო ისე შემოპბერებოდათ, წესიერად  
აბლაგაზრდობაც რომ ვერ გაეგო, თითქოს ბავ-  
შვობიდან პირდაპირ სიბერეში გადასულიყო.

მიუახლოვდა. სალომე წამოიჭრა და შრომის-  
გან გაუბეშებული ხელი გაუწოდა რატომღაც.  
ძმა ხელს ყურადღებით დააცქერდა, შემდეგ მის  
გაცრეცილ სახეზე გადაიტანა მზერა. სალომემ  
თვალი ააჩრდა. ჩინო გუმანი მიხვდა, სანაპი-  
როზე შეყოფი ქალი ის იყო, მანამდეც მის დარა-  
ჯობაში ბევრჯერ გაუთვინა ღამე.

საკუთარმა უგულლობამ აღაშფოთა. აღაშფოთა  
იმ უსულგულობაშიც, რაც ცხოვრებას დაეკის-  
რებინა დისთვის. უნდოდა მისთვის რაღაცა ეთქ-  
ვა, ენუგეშებინა როგორმე, მაგრამ როგორც კი  
ხმის აწოდებდა დააპირა, სალომემ ძალით გამოგ-  
ლიქა ხელი და პირზე ააფარა.

ქალი მისანივით ჩასწვდა, ძმა რაღაც მნიშე-  
ნელოვანის თქმას აპირებდა და შეეშინდა. მერე  
ჩინოსაც იგრძნო, რომ სიმაართელი, რაც უნდა  
ეთქვა, დაშვებების მაგივრად, უფრო ააფორი-  
აქებდა და თავმოყვარეობას შეუღლანავდა სალო-  
მეს, ვერაფრით შეეგუებოდა, საკუთარ უსულ-  
ღულოებაზე ედგაპირა ჩინოს, გული გადაეხსნა  
და კატებდა ეთხოვა.

მათი ცხოვრება ოდნავ სხვანაირად რომ წარ-  
მართულიყო, ჩინოც სხვაგვარად გაიკაფავდა  
გზას, უკვლახგან დამოუკიდებელი იქნებოდა.  
სალომემ ერთხელ ყური მოჰკრა, როგორ უთხრა  
ძმამ მეგობარს, მოვალეობა რომ არა, ვიცი, რა-  
საც ვიზამდიო. მოვალეობაში, აღნაბ, ჩვენ  
გვგულსიხსნობს, ხელ-ფეხს ვუბორკავთო, ფიქრო-  
ბდა სალომე, მაგრამ იქნებ ასეც უშკობდის

იყოს, ჩვენ რომ არა, ვინ-იცის, რას  
ბოლოა, იმშვიდებდა თავს.

მეორე მხრივ, დაუსრულებლად ფიქრობდა იმ  
ვალდებულებებზე, რომლებიც, მისი აზრით, ჩი-  
ნოს ახრკოლებდა და ყოველ ღონეს მიმართავ-  
და, მისთვის ეს ტვირთი შეემუსბუქებინა. კოტ-  
კოტად, ოჯახის ყოველდღიურ საზრუნავს ჩა-  
მოაშორა და, შესაძლებელი რომ ყოფილიყო, იმ  
მისთვის საიდუმლო მიწვევებისა და მოვლენე-  
ბისგანაც დაცავდა, მაგრამ ჩინო პირად საქმე-  
ებზე ლაპარაკს მათთან საერთოდ გაურბოდა და  
სალომეც თავს არ აბეჭრებდა.

იგი აღმერთებდა ამ ერთთავად გაღრინებულ,  
სევდილ შეპყრობილ ახალგაზრდა კაცს. უყვარ-  
და ქალი, რომელსაც ჩინო შორიდან ელაცოცე-  
ბოდა. მიუხედავად შეუპოვარი ხასიათისა, იგი  
ქალთან ურთიერთობაში საოცრად გაუბედვი  
აღმოჩნდა.

სანამ ჩინო ქალს ქუჩაში რდილთ მიესალმე-  
ბოდა და ამ წარმატებით თავბრუდახვეულს რა  
მოემოქმედა, არ იცოდა, სალომემ საქმე სანა-  
ხევრად შეაშადა. მხოლოდ ჩინოს ოდნავი  
თავგამორდება იყო საქმისის, მაგრამ იგი ქალს  
შორიდან უვლიდა. სალომემ ძმის მისამართის  
ამის გამო საყვედური არ დასცდენია. თვლიდა,  
რომ ყოველმა სრულქმნილმა მამაკაცმა სანამ  
ქალის გულამდე გზას გაიკაფავდეს, წინააღმდე-  
გობები უნდა გადალახოსო, რადგან მამაკაცს  
რანდს გულისხმობდა.

სალომე საოცრად მოცინებ ბუნების იყო.  
ბავშვობაში დედა საყვედურობდა ხოლმე, მაგ  
ცაში მზიარალი თვალეში, ადრე თუ გვიან, დაგ-  
ლუპავსო, მაგრამ გუმანმა უმტყუნა.

როცა სიმწიფის ხანა დაუდგა და თანატოლი  
გოგონებს დაურბედებულ აღსარებებს ისმენდა,  
გულწრფელად რცხვენოდა. რამდენიმეჯერ  
შურამაც კი დარია ხელი, რომ მათ, ვინც მისგან  
მიანცდამიანც არაფრით გამოირჩეოდნენ, შეეძ-  
ლოთ მიეპყროთ მამაკაცთა ყურადღება, აღეგზ-  
ნოთ, მიეჩიდათ ისინი და მიხვდა, თავად ასეთი  
უნარი საერთოდ არ ჰქონდა მომადლებული.  
ერთხანად თავს იმშვიდებდა, იქნებ ჩემთან საქმე  
სხვანაირადაა, თვით თავდანისმცემელმა უნდა  
მოსაბღინოს ჩემზე ზემოქმედებოა. ხოლო, რაც  
დრო გადოდა, თავდანისმცემლის გამოჩენის  
იმედსაც კარგავდა და მასში ღრმად იკიდებდა  
ფეხს აზრი იმის შესახებ, რომ სავსებით უგრძ-  
ნობილი არსება უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამის  
ხმამალა თქმას ვერ ბედავდა.

მოგვიანებით მიხვდა, ჩვეულებრივი გოგო  
იყო. ოცნებობდა რჩეულ მამაკაცზე, ვინც მოვი-  
დოდა მასთან, გულს გადაუხსნიდა და მის წია-  
ღში მიჩქამდულ უსაზღვრო ქალურ სინაზეს აღ-  
მოაჩენდა.

როცა ქალებს შორის იქდა, გულში ხმამალბ  
იმეორებდა: „მეც ქალი ვარ, შემეყვარებენ, მეც  
დედა გავხდები.“ და უხაროდა, რამე უცნაური



მოვლენა კი არა, უბრალოდ, ქალი რომ იყო, მაღალი, თხელი ტანით, ნაწი მიმოხვრით, ქუჩაში მაშაკაცთა დაყინებულ მწერას გრძნობდა და თავბრუ ეხვეოდა.

„მაგრამ ამ თავბრუხვევამ მაღე გაუარა. საკუთარი თავი დაავიწყა ახლობლების სიკვდილმა. მისი გონება ერთთავად სიკვდილის შიშით იყო გათანაგული, სიკვდილისა, რომელიც მათ ოჯახს უკველგვარნი სიბრალულის გარეშე ღაეროდა. ისინი მიდიოდნენ და ახალ-ახალ დარდს და ვარამს უტოვებდნენ ცხოვრებაშიწყურებულ გოგოს.

ვინ იცის, რამდენ იმედს ამუარებდა ძმაზე, რომლის მიმართ განსაკუთრებული, თითქმის დედობრივი გრძნობით იყო გამსჭვალული, რადგან მისთვის მართლაც მოუხდა დედობის გარეშე. იყო იმისი უშუალო მოწმე, როგორ იზრდებოდა ჩინო, აიყარა ტანი, ხმა დაუბოხდა, როგორი სიმაჟუთი ესათუებოდა ახლად ამოწვერილ წვერ-ულვაშს. ბიჭები მის სასურველ ქალიშვილზე სიტყვას რომ ჩამოაგდებდნენ, ფერ-ფური მისდიოდა...

საკმარისი იყო ძმის ხმისთვის ყური მოეკრა და, გადაუდებელი საქმეც რომ ჰქონოდა, მაშინვე მიატოვებდა, თავს შეავლებდა. როგორც კი დაწმუნდებოდა, თავს კარგად გრძნობსო. სიბარულისგან ადგილს ვერ პოულობდა. ამახ, შიშის გამო, არავის უშხედდა, შიში არაფრით ანებებდა თავს და გამუდმებით სიფრთხილს ჩააგონებდა. ოღონდ არ იცოდა, როგორ დაეცვა ეს სიფრთხილი, საშიშროებას ხაიდან, რომელი მხრიდან დალოდებოდა, რათა დროულად მოეგერიებინა. ზოგჯერ ეს შიში გულიდან გადაუვარდებოდა, მაგრამ როგორც კი ჩინოს მოისაკლიებდა, ისევე დადარაჯდებოდა.

ღამით, ჩანჩენილულ ოთახში მარტოდ მწოლი თავისთვის ლოცულობდა: „ღმერთო, დღე-ღამე და განსაცდელი ამოჩერ ჩემს ძმას, ჩინოს, ღმერთო, უშველი, ნუ მოაკლემ ბედნიერებას და სიხარულს!..“ და მანამ ლოცულობდა ასე, სანამ უაღაგო ალაგას ძილი არ გააწყვეტიებდა, ხოლო ზოგჯერ, აფორიაქებული თუ იყო და აზრები თავს ვერ უყრიადა, დაუსრულებლად ჩურჩულებდა: „ღმერთო, უშველი, ღმერთო, უშველი!“

ამო გამოდგა მისი სიფრთხილი და ლოცვები. რაც დრო გადიოდა, ჩინო მით უფრო აუტანელი ხდებოდა, სრულიად უწინაშენილო რამის გამო აუხირდებოდა მეგობრებს, ხშირად დაობდა. დავა ზოგჯერ გაწვევ-გამოწვევამდეც კი მიდიოდა. სალომე შიშობდა, რომ ისინი ყოველთვის არ მოუშვებდნენ. როგორ უნდოდა, მათ მიმართ ზომიერება გამოეჩინა ჩინოს. ზოგჯერ, თუნდაც თვითონ ცამდე მართალიც ყოფილიყო, დაეთმო, ყოველი წვერილმანის გამო არ წაჰკიდებოდა და მწარე სიტყვებით გული არ დაეწყვიტა, მაგრამ

იგი უკველგვარ სახლვარს გადასცდა და მწიკნულნი ღრმის შიშის გამოართლდა. თავიდან ჩინოს სიკვდილზეც მტკაღ სჯეროდა და ვისთან ურთიერთობასაც ძალზე აფასებდა ისინი ჩამოშორდნენ. მასთან შეხვედრას გაურბოდნენ. თვითონ ნაბიჭი არ გადაუდგია იმისთვის, რომ ურთიერთობები გაერკვია. ამპარტავნულად ფიქრობდა, არა უშავს, თავიანთ შეცდომას, ადრე თუ გვიან, მიხვდებიან და მაინც მოვლენო, ხოლო დანარჩენებთან, რომლებიც ჩვევის თუ თავიანთი რბილი ხასიათის გამო თავს ვერ ანებებდნენ, იტანდნენ მის გაუთავებელ შეგანებებს და ქუჩის სწავლებას, თვითნებ გაწყვიტა კავშირი.

სალომეს არ მოსწონდა, სამსახურის შემდეგ ჩინო შინ რომ იქდა, სწორედაც უნდა გახსარებოდა, მაგრამ ხედავდა, მისი სიშხვიდის მიღმა, მოუსვენრობა იმალებოდა. ცდილობდა, ეს მოუსვენრობა უწყინარი ღმობილითა და უწინაშენილო საქმეებზე ზრუნვით შეენიღა, შუადამენდე მჭადრიყო დებს შორის და. როცა თავის ოთახში შევიდოდა და დაწვებოდა, ერთბაშად მოაწვებოდა და დღეობდა და ღრმა ძილი წაართმევდა თავს, მაგრამ, ცოცა ხანში, თითქოს ცივი წყალი გადაესხათო, დაფიქრებული წამოვარდებოდა, ოთახს მოათვალიერებდა, სახლში ჩამომდგარ სიმუდროვებს ყურს მიუხედებდა და ისევ ჩაწვებოდა.

ძილი არ ეკარებოდა. მეგობრებისა და ნაცნობების სახეები წამოუტიტკიცებდებოდა თავიდან. საკამათოდ იწვევდნენ თითქოს, ბრალს ხდებდნენ, ერთი უხეირო ვინმე ხარ, კვეყნის გამრიგედ კი მოგაქვს თავიო. კამათში ებმებოდა და თავისად უნებურად, ხმას ააწვევდა.

სალომე ფხიზლობდა. ესმოდა, როგორ ედავებოდა ჩინო წარმოსახულ მოპირდაპირეს, შეუხრალბლად თათხავდა ვიღაცას: სხვის ხარჭზე გინდა ცხოვრება, იმისათვის, რომ ცოცხალი მანინც გამოსწორებულიყავი, თითქო კი არ გავინძრებია, ტყუილად მოგაქვს პატროსან კაცად თავიო...

დილაბინდზე მიჩუმიდებოდა. კართან ატუწული, ერთიანად გათოშილი სალომე დერფანს ჩუმად გაივლიდა, თავის ოთახში შევიდოდა და ლოგინში ჩაწვებოდა, რომ გამზარბაიყო და თვალის მოეტყუებინა, მაგრამ ძმის სიტყვები ისევ ედგა ყურში და მოუსვენრად წრიალებდა.

ჩინო მეგობრებისაგან ცხოვრების წესის შეცვლას მოითხოვდა. გაიგეთ, უნდა გამოსწორდეთო, გაძახოდა წარამარა, სალომეს არ ესმოდა, რას პასუხობდნენ ისინი, მაგრამ ცხადი იყო, ჩინო უკმაყოფილო რჩებოდა.

ძმის სიტყვებიდან სალომე თანდათან იგებდა, რომ მის მეგობართაგან, ზოგიერთი სვამდა, ზოგსაც ისეთი სამსახური ჰქონდა, მთელ ძალას და დროს აართმევდა და ოჯახისთვის ვერ იცდიდა ერთს, ცოლშვილიან კაცს, ოჯახი მიუტოვებია და საყვარელს შეჰკედლებია. ვიღაცა კი დავა აზ-



რტული სამაშენის გიფი უოფილა, თანამშრომლები გაუფიცვინა და გაქცეულა...

„ჩემს თავს მოვუარო და, რაც მოგვეტეხებათ, იმას იჯამო, ხომ? არა, ასეთ ხალხთან ურთიერთობა არ შემიძლია. თქვენ, თქვენთვის, მე, ჩემთვის!“ — გაიძახოდა იგი.

სალომე ძმის საქციელს ღრმად უფიქრდებოდა. მწარედ განიცდიდა მის მარტოდ დარჩენას. რა გეწყობა, იმ ხალხს მისი რჩევა-დარჩევები არ სჭირდება, ნეტავი, რა რჩის, შეეშვას, თუნდაც თავში ქვა უხლიათო, ამზობდა ლოლასთან და იქაღწებოდა, საღამოს მოველაპარაკებო, მაგრამ ქაღილი, ქაღილად რჩებოდა, უფრთხილდებოდა ძმას, რომელიც საღამოს სახლში ფეხს რომ შემოგდგამდა, დახვებოდა და მუხუდროვდა სპირდებოდა.

ერთ საღამოს, ჩინო ჩვეულებრივად იჭადაღებს შორის. საქმეებზე მოჰყვა ლაპარაკი. გაკვრით, სამსახური ახსენა, ლოლა გამახვილებული ყურადღებით აკვირდებოდა. ჩინო, რატომღაც, დღის გულის მოგებას ცდლობდა. ალბათ, სამსახურზეც ამიტომ ჩამოაგდო სიტყვაო. გაფიქრა სალომეზე. იცოდა, ძმის როგორც ერთ-ერთ ნიჭიერ მშენებელს ემაღლიერებოდნენ სამსახურში და სულაც არ გაჰკვირვებია, დაწინაურება რომ ახსენა...

ადრე, ხსევებს აბიაბრუებდა, ნიადაგ წინ წაწევავზე გაგირბით თვალიო, თითქოს რიგით მუშაკად აპირებდა დარჩენას, მაგრამ თვითონ არავისზე ნაკლებად არ ვახარებია ეს პატივი. ხაზგასმით თქვა, ბანკეტს მიწყებინო.

სალომეს ეს ამბავი ორი ან სამი თვის წინ რომ შეეტყო, სიხარულისაგან ცას ეწეოდა, ნთელ ქვეყანას მოსდებდა, მაგრამ ძმის მოსალოდნელმა წარმატებამ გული დაუშომა, რადგან ამ სიხარულს, რამდენიმე აზრობლის გარდა, ვერავინ გაიზიარებდა. უწინდებურად ხმაურითა და სიცილ-ხარხარით არ მოცვივდებოდნენ ჩინოს მეგობრები და მათი ძველისძველი სახლის სიმუხუდროვის არ დაარღვევდნენ. სალომე ხვდებოდა, ჩინოს ეს სიმარტოვე რომ გამეშართებინა, საქმეებში აპირებდა ჩაფლვას. ერთი-ორჯერ, ცოლის შერთავაზეც ჩამოაგდო საუბარი. დროა, ოჯახს მოვეციდო, მაგრამ მალე გაიქცა, მოწონებულ ქალზეც გული ასტრუებოდა.

ამირილად, დილაუთენიდან შუა დამემდენ საღადაც იკარგებოდა. სალომეს ვაღდეგებულებებში შედიოდა სუფთა საცვლები, პერანგებიც და წინდების მიწოდება, საუზმის დროზე მომზადება, მისი ოთახის მილაგება. შემოსავლელი კარი შეინიღან არ იქებოდა. ხშირად ვერც იგებდნენ, მიდიოდა თუ არა ღამით. ხოლო, თუ ზოგჯერ ადრე გამოჩნდებოდა, თავს შერგავდა თავის ოთახში, ქაღალდებში იქებებოდა, გვიან ღამით შუქს ჩააქრობდა და სახლი სიჩუმეში იძირებოდა.

ჩინო თვალდათვაფ იცვლებოდა. ფერმკრთა-

ლი სახე გაუსალუქდა, ხმა მბრძანებლურად გაუხუნდა, მიმოხვრა, ზანტი. ჩაცმით, მკაცრად სტრისს ტანსაცმელს ირჩევდა. ერთხელ, სალომეს პერანგები გადმოუყარა და ჰკითხა, რეცხვა ხომ არ დაგვიწყებიაო.

სალომეს ამ შეინჯნამ გული ატკინა. რა მოხდა ისეთი, რომ მთელი შრომა ერთი ხელის მოსმით წყალში ჩამოყარაო, ფიქრობდა.

ერთ საღამოს, მაღალი, წითელ კაზანი გამოწყობილი გამხდარი ქალი მოიყვანა. მას ლურჯი თვალები, ვენიანი ტურჩები და შავი, გაშლილი თმა შეენოდა. სკამზე რომ ჩამოჯდა, კაზა გულდასმით ამოიქცა, ჩინოს გადახედა, გაუღიმა და ოთახის მეორე კუთხეში აწურულ სალომეს დაბალი ხმით რაღაცა ჰკითხა, ხმა ვერ მიავწყდინა და სხვაც ტურჩები უწლოვანი გოგოსავით გახუნდა. სალომემ შორახლოს მჯდომ ლოლას გადახედა, რომელიც მოგონილი უდარდელბობით მისჩერებოდა სტუმარს. ეტყობოდა, რაღაც ხრიკს აშავდებდა ამ ქალის წინააღმდეგ, სალომე დაფაცვებოდა და სტუმარს მივიდა.

— შორიდან უფრო ხანდაზმული ჰგავდით! — ვითომდა ქაინაურით გაუშასხამდდა ხელის ჩამორთმების შემდეგ სტუმარი.

სალომეს შეხვედრის ასეთი დასაწყისი სრულიად არ ეგაშენია, მაგრამ ძმის ხათრით, წყენა არ შეიშინა.

— იმდენია ვარ, როგორადაც გამოვიყურები: — მიუგო შეცბუნებულმა.

— ო, არა. ჩინომ მიიხრა, მთელი ოჯახი კისერზე აწევსო, მაგრამ, ამას გარდა, მე მგონი, აქ სხვა რაღაცაშიცაა საქმე... გადაუარეთ ეს ძაძები. არ გეუყო, რაც იგლოვებ? იცით თუ არა, რომ შავების დიდხანს ჩაცმა არ ვარგა? ნათქვამია, შავი, შავს ითხოვსო. თქვენ, — ყურადღებით შეათვალიერა სალომე, დაფიქრდა, საჩვენებელი თითი დაწვენი მიიღო და მიხნედილი ხმით თქვა: მწვანე ფერის ტანსაცმელი მოგიხდებათ. ჰო, მწვანე, სწორი ქვედაწელით. რატომ არ გინდათ, რომ მომიხილავად გამოიყურებოდეთ?

ქალის ხმით, მიმართვის წესითა და მის გარეგნობაზე ზრუნვით მონუსხული სალომე სარგადასულაპულივით იდგა, ლოლას მოციანარ ხახხს და ამჩნევდა და ხვდებოდა, რომ საქმე მიინცდამინც კარგად ვერ იყო. რამე უნდა ეღონა. ჩინო გაკვირვებით მისჩერებოდა, მაგრამ სალომე დის მოციანარ ხახხს თვალს ვერ აცვილებდა და ძალაუნებურად, თვითონაც გაეცინა.

— აი, ასე, როგორ გიხდებათ თურმე სიცილი. ორიგინალიბაში არ ჩამომართვათ და, ამბობენ, სიცილი ცოტა მკაცრი ხასიათის ხალხს უხდებაო...

— სალომეზეც ეს არ ითქმის! — სიტყვა გააწყვეტინა ჩინომ.

— მე იმისი თქმა როდი მინდოდა.. — სტუმარმა ისევ უქმაყოფილოდ გაბუსხა ტურჩები.



— მშვენიერად გაგიგეთ, — სიტყვა შეაწია სალომემ. — მართალი ბრძანდებით. შავებს, — მან კახაზე დაიხედა, — თავიდან მოვიცილებ თუ თქვენისთანა მომხიზველელი ქალი ამ სახლში ფეხს შემოადგამს.

მის სიტყვებზე ქალი გაიანაზა.  
— ეს ჩვენზეა დამოკიდებული? — სიცილით იეთხა ჩინომ.

— კი, თქვენზე.  
მართლაც დაქანდა ამ შავების განახლებაში, მათმა ღებვამ, რომელთა ქვეშ ღია ფერის საცვლებსაც კი ვერ იცვამდა, ავდილად მტკრიანდებოდა და სწრაფად ზუნდებოდა, ხოლო ზაფხულის თაკარა სიციხეში სხეულზე მდლადარ სალტისავით რომ შემოეკვრებოდა, მის მომგონს წყველიდა...

მათი გადაყრის აუცილებლობა ასე აშკარად არასოდეს უტარძენია. უწინ სხვას რომ ეთქვა, არ დაიჭრებდა. მისი აზრით, სულ ერთი იყო. წითელი ტანსაცმელი შეიმოსებოდა თუ შავით. უოვედგვარი იმედი ჰქონდა განეღებოდა იმ ცხოვრების მიმართ, რომელსაც კოლა ფიფერვერკს ადარებდა. წინქვილის ცხენივით იყო მიჩვეული ერთი და იგივე მოვალეობის შესრულებას: სამსახურში სქელ, გამოხუნებულ დავთრებს რომ უჭდა; სახლში რცხავდა, ალაგებდა, ხარშავდა, აცხობდა. ხელი ისე ჰქონდა გაწაფული, თავს ძალას არ ატანდა და, საქმის კეთების ტანსაცმლის ფერი არც საენიღებლად გამოადგებოდა და არც საქმავად.

უფრო დისა და ძმის ჩაცმა-დახურვაზე ზრუნავდა. თვალური ეჭირა, თავის დროზე ჰქონოდათ ყველაფერი, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. ლოლა უურადღების მოყვარული იყო და განსაკუთრებით განიცდიდა, როცა მასზე უკეთ იცვათ. წუწუნს მორთავდა და სანამ დედ-მამის სახელს ახსენებდა, შენც გემწეხაო, დაამედეხდა სალომე.

უდიდეს სიხარულს ანიჭებდა, როცა ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ლოლა მის წინ დაბზრიალდებოდა, ტანს შემოჰკრავდა და გაიძახოდა, „რა კარგია, სალო, ნახე, რა კარგია!“ — სალომეს ეღიმიებოდა და უკვირდა, თუ რა მცირე რამ ახარებდა უმცროს დას. მისთვის ახალი ჩითის კაბა მთელი მოვლენა იყო. ამ კაბით მეზობლებს შემოიბრუნებდა, მერე სახლში მოვარდებოდა, ერთხელ კიდევ დაბზრიალდებოდა, ყველა გაგიჟდო, შესძახებდა და ცოტა ხნით ჩაცხრებოდა. სალომეს ეღიმიებოდა. მოთხოვნილება, თავი აგერევიდა მოეწონებინა ვინმესთვის, არასოდეს ჰქონია, იქნებ ჰქონდა კიდევ, მხოლოდ ეს იყო, ვერ იხსენებდა, რადგან ამაზე ფიქრისთვისაც არ რჩებოდა დრო. ლოლა თავისი ჭირვეულობით, ხოლო ჩინო ახირებული ხახიათით ართმევდა ყველაფრის ძალას, ირგვლივ მიმოხილვის სურვილსაც...

მათი სიცილი ახულდგმულეხდა, მათი დახვე-

დიანება მოთმინებას უპარგავდა. თითქოს ღოლომზე გრძობდა მათ, მაგრამ იმის შემდეგ რაც ჩინომ ის ახალგაზრდა ქალი გააცნო, რწმუნდა, არამცთუ კარგად, საერთოდ არ იცნობდა და-ძმას.

— რა მონუსხულივით იდექი იმ ქალის წინ. გეგონებოდა, ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი იყო! — თქვა ლოლამ.

— კარგი გოგო კი ჩანდა! — მოწონება არ დაუმალავს სალომეს.

— გოგო, არა! — ცხვირი აიბზუა ლოლამ.

— რას ნიშნავს შენი ნათქვამი? — გაიოცა სალომემ.

— იმას, რომ მაგ ქალს ძალიან უნდოდა შენი გულის მოგება...

— მერე რა, მე შენი მივივრს, ასეთ დვისინიერ აღაშინას გადაეცილები ხოლმე.

— უყურე შენ, ირაკლის საყვარლობა დვისინიერობაა თურმე! — წამოიძახა ლოლამ და დის გაოცებულ სახეს თვალი რომ ჰკიდა, სიცილი აუტყდა.

სალომე მისმა სიცილმა დაანახა.

— რა გაიცინებს, გამაგებინე, ვინ არის!

— უკვი ვთქვი, ირაკლის საყვარელია. ჩვენს ბედოვლათ ძმას კი მისი შერთვა განუწარხავს. ვითომ, ამით მეგობრებს სილა უნდა გააწინს. შემომხედეთ, რა კარგი ვინმე ვარო! — წამოიძახა, ხედები მაღლა ადაპყრო და დააყოლა: — დმერთო, ეს გადაპარანჭული ქალი უნდა დაგვავსავს თავზე?!

და აქ პირველად გაისიგრძედა სალომემ, რომ ლოლა, ეს ერთთავად ბუჭყინა, უფროსებთან ჭერ კიდევ ენამოჩლიქით მოლაპარაკე გოგო ისე გაზრდილიყო, ნამდვილი ქალივით მსჯელობდა, მხოლოდ ეს მსჯელობა კი არა, უფრო დაიცინა იყო.

„საიდან?“ — გაუთვდა სალომეს. „საიდან ან როდის გახდა ასეთი?“ — გააგრძელა ფიქრი, მაგრამ დის ნათქვამმა ისეთპარად შესძრა, ამაზე უურადღება შეტდა არც გაუმახვილებია.

— შენ რა იცი? — ჰკითხა ბოლოს გაგონილით დათრგუნვილმა.

— ყველა ამაზე ლაპარაკობს. ირაკლის და ჩინოს უჩხუბობათ კიდევ. მაგ ქალს ერთი ბეწო ნამუსი რომ ჰქონოდა, ასე თამამად ჩვენსას არ უნდა მოჰყოლოდა. წამოსკუპდა აქ და, როგორ გინდებათო სიცილი, აჰ, ესო, აჰ, ისო და, ისე ინაზებოდა, მეტიჩრობისგან ლამის ხმა ჩაუწყდა... მიხვდა, რომ ვიცანი და ჩემქვენ იმიტომ არ იხედებოდა. ვითომ, ასეთ პაწაწუნებთან არაფერი მესაქმება, მე უფრო დიდი გაქანების ქალი ვარო...

— ჩინო ვისაც იწებებს, იმას მოიყვანს სახლში. ბოლო ბოლო რა მოხდა, გაგაცნო, იქნებ ცოლად არც ირთავს.

— ნუ გეშინია, შეირთავს, ჩვენს თანხმობას კი არ დაელოდება!



— როგორ, შეიშალა?!

— დამშვიდდი, მგონი, ეს საქმე უკვე გადაწყვეტილიცაა!

— არა, არ იჯამს, მე ვამბობ, არ იჯამს-მეთქი — გაიძახოდა სალომე, მაგრამ რაც დრო გადაიდა, მის ხმაში ყოყმანი იგრძნობოდა.

...მაღე ოჯახს ჩინოს სიკვდილი დაატყდა თავს. ერთბაშად ყველა იმედი და ოცნებები, რაც ძმასთან იყო დაკავშირებული, დაემსხვრა. მის ირგვლივ წყვილადი ჩამოწვა და ძალი არ მყოფიდა, მისთვის თავი დაედო...

...სასამართლოზე თავი არ აუწვია. შემოკვეთული ადგილისკენ, სადაც ირაკლი იჭდა, გახედვას ერიდებოდა. მას ყველა სახელით და გვარით ან „ბრალდებულად“ მოიხსენიებდა, მაგრამ სალომესთვის ის მხოლოდ და მხოლოდ მკვლელი იყო, საკუთარი მეგობრის მკვლელი. მისი ჩახლჩიკი ხმის გაკონებაზე, ყურთანმენას იხშობდა და ყელს მოწოლიდ კივილს ძლივს უშკლავდებოდა.

მოსამართლედან დაწყებული, თითქმის ყველა, ჩინოს დამცველითა და მოწმეთა ჩათვლით, მკვლელის გამართლებას ცდილობდა. დანაშაულს უნებლედ ქმედებდა, თავდაცვის დროს შემთხვევით მომხდარ უბედურებად თვლიდნენ და ისე მსჯელობდნენ, თითქმის ჩინოს სიკვდილი რამე კანონზომიერება უოფილიყო.

სახელის გამოტანას არ დალოდებია. ისედაც ცხადი იყო, მკვლელს თუ არ გაამართლებდნენ, ყოველ შემთხვევაში, ბევრს არ მიუხჯიდნენ და მისი ვარაუდი კიდევ გამართლდა.

ლოლამ სასამართლოს განაჩენი რომ შეატყობინა, სიგვიემდე მივიდა. მთელი კვირა სახლიდან მისი მოთქმა და კივილი ისმოდა.



სადამო ფაშს ჭიშკარი ტანსრულმა, ჭრელკაბიანმა ქალმა შემოალო. აივანზე მჯდომი შავკაბიანი ქალი უურადღებით დააკვირდა სტუმარს, მის უკან მომავალ მამაკაცს და შვიდიოდე წლის ბიჭს.

ვერც ერთი ვერ იცნო. წამოიწია, კაბა შეისწორა და სტუმრების შემოპატივება დააიბრა, მაგრამ ჭრელკაბიანი უკვე კიბეზე ამოდიოდა. ბიჭი და კაცი ქალს ჩამორჩნენ და ეწოხ მორიდებით ათვლიერებდნენ.

აივანზე მყოფს ცენაურა სტუმრის სახე და მის შესაგებებლად დაიბრა. ორი ნაბიჯიც არ ეწნებოდა გავლილი, რომ შედგა, მოაჯირს დაეყრდნო და ხმადაბლა, კენხით ამოთქვა: „ლოლა!“

სტუმარი შედგა, ყოყმანით მიაჩერდა შავკაბიანს, მერე დაიბრა, რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, ხელი გაშალა და მოეხვია.

კაცი და ბიჭი კიბესთან შედგნენ. წემოთკენ გაუბედავად იქცირებოდნენ, სადაც ორი ქალი.

ერთი ახალგაზრდა, მომხიბვლელი ვახტანგის, მერე კი ჩუბაშული და ასაკოვანი, ერთბაშად ჩაატყროდა და დუმდა.

მერე შავკაბიანმა უკან დაიხია და ლოლა თავით ფხვამდე შეათვალიერა. ლოლა შავკაბიანს წინ უბერბუღად გაშეშებულიყო, მაგრამ სანამ მის ბაგეზე მოწონების თუ რადაცასთან შერიგების ღიმილმა არ იელვა, არ შერბეულა. შეიშმუნა, უკან მიიხედა და კაცსა და ბიჭს ხელი დაუქნია.

— ეგენი ვინ არიან? — გაბზარული ხმით იეთხა შავკაბიანმა.

— ჩემი ქმარი და ბიჭი, — თქვა ლოლამ, სალომე ერთ ადგილას გახევეებულიყო. რადაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ხმა ვერ დასძრა. ამასობაში კაცი მიუახლოვდა, ხელი გაუწოდა, სახელიც უთხრა. არ გაუგია. მის გვერდით მდგომ ბიჭს თვალს ვერ აცილებდა. ბიჭი ამ კაცს არაფრით არ ჰგავდა. ამას, დედამისივით ნათელი თვალეში, ვნებიანი ტურები, დამაზიციხერი ჰქონდა. ტანზეც ეტყობოდა, მაღალი იქნებოდა.

სალომემ ბიჭი მიიხმო. იგი მიბრუნდა და დედას გუბედა.

— მიდი, სალომე დეიდაა, მიდი! — შეაგულიანა ლოლამ.

ბიჭმა ხელი გაუწოდა, „ჩინო“, თქვა და უკუდგომა დააიბრა, მაგრამ ქალი დაიხარა, მიიზიდა და თვალეში ამოუკოცა.

ყველამ შვებით ამოისუნთქა. ბავშვმაც კი იგრძნო ამ შეხვედრის დაძაბულობა, როგორც კი სალომეს ხელეხს თავი დაადო, დედას მიცტმანსა, გაკვირვებით ათვლიერებდა მაღალსა და გამშდარ, სახედაწოკებულ ქალს, მერე დედას ახედა და დაბნეულად გაუღიმა.

— აქ რას ვუდგევართ, შინ შევიდეთ, — თქვა სალომემ.

ძველი სახლის მძიმე კარი ძლივს დაიძრა ადგილიდან, ზრიალით მიიხურა ახალმოსულთა უკან და ისინი დერეფნის გავლით, გამოხუნებული სურათებით მოვენილ ფართო დარბაზში მოხვედნენ.

ლოლა დარბაზის კართან შედგა, ოთახი გულდასმით მოათვლიერა, შეტრიალდა და დერეფანს გაუყვა.

სალომემ დარბაზი საზეიმოდ გააჩახჩახა, კაცი და ბავშვი მაგიდასთან დასვა და თვითონაც გავიდა.

რამდენიმე ხანში სახელეწილმა ლოლამ შენობაიჭა, ბიჭი კალთაში ჩაისვა და გაიტრუნა.

— ვინაა ის კაცი? — სიჩუმე დაარღვია ბიჭმა.

— ძია ჩინო, — თქვა ლოლამ.

— აკი შენ გავსო! — გაიოცა ბიჭმა. კაცი დარბაზის კედლებზე გაქრულ სურათებს, კარადებზე და თაროებზე დახვავებულ ნივთებს ყურადღებით აკვირდებოდა. აქ ყველა-



ფერი ძველი, ნებსის სუნით გაჟღერებული და სევდიანი ჩანდა.

— გვავს, ოღონდ დიდი რომ გახდები, არ ვიცი, ემგვანები თუ არა, — პაუზის შემდეგ უპასუხა კაცმა.

— მინდა, რომ დავემგვანო — წამოიძახა ბიჭმა.

ამ დროს დარბაზში ხილით სავსე სინით შემოაბიჭა სალომემ.

— ვახშამიც მალე იქნება, — თქვა და სუფრა გაწყო.

ისხდნენ და უხმოდ შეექცეოდნენ. ბიჭმა რამდენიმეჯერ რაღაცა იკითხა. ლოლა უგულისხმროდ პასუხობდა. კაცმა სიგარეტი ამოიღო, მოსუკა და გააშოლა.

— დარჩენას რამდენი ხნით აპირებთ? — სიჩუმე დაარღვია სალომემ.

— შევებულემა გვაქვს და, თუ არ შეგაწუხებთ, თვის ბოლომდე, — თქვა ლოლამ.

— ეს რა ლაპარაკია, სახლი ორივეს ერთნაირად გვეუთვნის. გინდათ, ხერითოდ ნუ წახვალთ, დარჩით აქ.

— არა, ჩვენ იქაც მშვენივრად ვართ, — ორივეს მაგივრად უპასუხა კაცმა უსიამო, უღრიალა ხმით და სალომემ მას ახლავდა მიაქცია უურაოდება.

წვრილი, წყლისფერი თვალები საგნიდან საგანზე მოუსვენრად დაწრიალებდნენ. თხელი ტუჩები, მერხური კბილები და ვიწრო შუბლი ჰქონდა. სალომე მის მიმართ ნდობით ვერ განეწყო, მაგრამ შეეცადა, სახეზე უკმაყოფილება არ დასტყობოდა.

— ამას რა სჯობია, მაგრამ სახლის ნახევარი ლოლას ეკუთვნის. გავუიდი, რამეს მაინც შეიძინო, თუნდაც მანქანას. ამხელა ეწოხს და შენობას პატრონობა უნდა...

— რას ამბობ, სახლის გაყიდვა რამ მოგაფიქრა! — აღელდა ლოლა.

— არ შემიძლია. აგერ, ამ ოთახში რამდენი ხანია ფეხი არ შემომიდგამს. მომბეჭრდა უველადფერი, თანაც აქედან შენც ხომ გვეუთვნის რამე?

— არაფერი არ მინდა. ჩვენ სახლიცა გვაქვს და კარიც.

— ფული არასოდეს არაა ზედმეტი.

— მოვრჩით ამაზე ლაპარაკს. სჯობია, ნიკოს ჭიჭირის გასაღები მისცე, ეწოში მანქანას შემოიყვანს.

სალომემ კაბის ჯიბიდან გასაღებების ახსნულა ამოიღო და წამოდგომა დააპირა, მაგრამ ნიკომ მისი შეწუხება არ ინდომა. ჩინოც წამოდგა და გაეკიდა.

ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ დები. სალომე მისი გაქცევის დღიდან ამ შეხვედრას ნატრობდა, მაგრამ ახლა კრიტა შეიქრა. მდუმარედ მჯდარი შეპყურება დაღის სანდომიან სახეს, რომელსაც წლების უღმობიელი კვალი აშკარად დასტყობოდა. მიხვდა, რომ მისი გარეგნული

უზრუნველობის მიღმა, მძიმე სევდა იმაღლებოდა და დაასკვნა, უხედური თუ არა, ხედით უკმაყოფილო მაინც იქნებაო და პირველი კითხვას იყო. ლოლა შეცბა. თვალები ცრემლით აივსო.

— კინკლაობთ?

— ხშირად. ექვიანობს.

— ასეთ გულამაღლილ კაბებს თუ ხშირად იცვამ და ძუძუებს მაგიდაზე დააწყო, იექვიანებს, ახა რა!

ლოლას გაეღიმა.

— შენ ისევ ისეთი ხარ, — უთხრა და ხელი შეახო.

— უარესი. ანჩხლი და უკარება. სამსახურში ზურგს უკან ყვავს მქაბიან, არ ვბრაზდები.

— რა უფლებით, რას... — აღშფოთდა ლოლა.

— ერთი მოგცლია, იძახონ რამდენიც უნდათ, — ხელი აუქნია სალომემ.

— და შენ ამას ასე ადვილად იცუები?

— ჩინოს სიკვდილიხსა და შენი გაქცევის შემდეგ ჩემთვის ბევრმა რამემ მნიშვნელობა დაკარგა.

ლოლა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ დღის სიტყვებზე ხმა ვერ დასძრა. სალომე გამკოლავად შეპყურებდა. ლოლამ მის მზერას ვერ გაუძლო და თავი ჩაჰკიდა.

— რატომ... რატომ გაიქციე მაშინ? — მოესმა დღის მართოლვარე ხმა.

ლოლა დუმდა. მერე თავი ასწია და თვალი გაუსწორა.

— შემეშინდა, ვიცოდი, არ მპატიებდი...

— გიყვარდა?

— ძალიან!

— ეს კაცა?

— არა. იმან ორ თვეში მიმატოვა... მეორე — ჯერ გავთხოვდი... იმანაც მიმატოვა... მერე ნიკოს გადავეუარე...

სალომე დუმდა. დას თვალს არ აცილებდა.

— თუ ამანაც... მაშინ რას შვრები?

— არა, მაგას პირიქით, თვითონ ეშინია...

— და ლეშე?..

— არა, არ გაგიფედი! გარეგნობით არ ბრწყინავს, მაგრამ კარგი კაცია. ესაა, სიმთვრალეში ჩემს აღრინდელ ქმრებს იხსენებს. იძიებს, რომლისგან შეყვს ჩინო, სიმართლე არ დამიმალავს, მაინც არ სჭერა.

— ბავშვი თუ უყვარს?

— მგონი, კი.

— მგონი, თუ?

— ნამდვილად ვერ გეტყვი. ზოგჯერ დასანახად ვერ იტანს.

— ენე იგი, არ უყვარს. უბრალოდ, შენს გამო ითმენს!

— ნუ ხარ ასეთი უღმობილი...

— სანამდე უნდა მოიტყუო თავი? ბავშვი,

აღბათ, უოცელი თქვენი კინკლაობის მოწმე იქნება.

- ზოგჯერ,
- მერე, რას ამბობს?
- რომ გავიზრდები, მუცელს გამოვფატრავო, იმუქრება.
- ხედავ? დამნაშავეს ზრდი!
- მე რა შუაში ვარ?
- როცა ასეთი რაღაცები დაგწყო, უნდა გაცილებოდი.
- სად წავსულიყავი!
- სახლში.
- რა, მომიშვებდი?
- რას ლაპარაკობს რამდენს გეძებდი... სად მირბოდი, ვის მისდევდი!
- ეს ძველი ამბავია.
- შენ ასე გგონია!
- წარსულს არაფერი ეშველება.
- ვიცი, მაგრამ მინც ვერ გავიგე, რატომ გააქეცი მაშინ.

— ფეხმამიდ ვიყავი.  
— ნეტა ხმა მოგეწვდინა, მოვიდოდი. გელო-  
დი, ახლა მოვა ან თავის შესახებ რამეს შემატ-  
ყობინებს-მეთქი...

— მე აქ ორქვერ ვიყავი. ქუჩაში ვიდექი. შო-  
რიდან თვალი მოგკარი კიდევ, ოღონდ მოსვლა  
ვერ გავხედე.

- ეს როდის იყო?
- პირველად ხუთი წლის, მეორედ კი სამი  
წლის წინ. ორივექვერ გაზაფხულზე, აპრილის  
თვეში, სასაფლაოზეც ვიყავი...

სალომე დაფიქრდა, შემდეგ სახე გაუნათდა.  
— ჩინოს გეფიცები, მე ეს ვიგრძენი, იმ ხა-  
ნებში, აფორაქებული ადგილს ვერ ვპოულობ-  
ბდი. საფლავებზე ყვავილებიც შევაშინე...  
შენს მტეი ახა ვინ ავიდოდა იქ ყვავილების და-  
საწყობად. მითხარი, ასეა თუ არა?

ლოლა მ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.  
— რად არ ამოხვედი, რად, მე ხომ მთელი  
არსებით გელოდი!

ლოლამ თავი დახარა, დიდხანს დუმდნენ. მე-  
რე აივნიდან ბიჭის ხმა შემოესმათ. ლოლა შეი-  
რხა, სკაზე გადაკიდებულ ხელჩანთას დასწვდა,  
სარკე ამოიღო, ჩაიხედა, შეიცხადა, რას დავმს-  
გავხებოვარო, ცხვირსახოცი თვალები ამოი-  
წმინდა და შეეცადა, მხიარული სახე მიეღო.  
სალომეს დის ფერისცვალება არაფერად ეტაშნი-  
კა. თვალს არ აცილებდა მის ნაპატივებ სახეს  
და მიხვდა, რომ ქმრის წინაშე მსახიობობდა.  
მისი კეთილგანწყობის შესანარჩუნებლად, ვინ  
იცის, რა ღონეს არ მიმართავსო, გაიფიქრა.

— ტყუილად იღებ მაგ უზრუნველ გამომეტყ-  
ველებას. ეგ შენი ქმარი რეგვენი იქნება, თუ  
ვერ მიხვდება, რომ ამდენი ხნის დაშორების  
შემდეგ, ერთი-ორი კურცხალი უნდა ჩამოგეგ-  
დოს! — თქვა და წამოიდა.

ლოლა და მისი ქმარი დიდიდანვე სახლიდან  
გაიღოდნენ. მათი უზარმაზარი, ჭყეტელა მანქანა  
ქიშკარში რომ შემოდებოდა, ქუჩას მხალური  
იკლებდა. ნიკო სახლში ყოფნისას, ნახევარ  
დროს მანქანის ქვეშ ატარებდა. მთელი სახლი  
ბენზინის სუნით გაივლინა. ლოლა ვერ ამჩნე-  
ვდა, რომ ნიკოს უცნაური ჩვევები აღიზანებდა  
სალომეს, რადგან სახლში ყოფნისას ერთი წუ-  
თით მოცლა არ ჰქონდა, საქმიანობდა, სტუმ-  
რებს იღებდა და მხიარულობდა.

ბიჭი და სალომე კი ყოველივე ამისგან განწე  
იღვნენ. სალომე გადაჩვეული იყო ხალხში  
ტრაილს, ბიჭს უფროსობთან ყოფნა არ უყ-  
ვარად, სახლის რეფორმის კუთხეში მყოფდნენ  
ადგილს გამოხანავდა და თავისით ერთობოდა.

ბიჭმა თავიდან სალომე ახლოს არ გაიკარა.  
ათვალწუნებით უყურებდა, ცოტათი ეშინოდა  
კიდევ. სალომე ცდილობდა, შეეჩვია. აკვირ-  
დებოდა და, რაც დრო გადიოდა, საოცარი შეგ-  
რძნება უჩნდებოდა: თითქოს ის პატარა ჩინო-  
სი იღა მის წინ, თითქოს ყველაფერი მეორედობ-  
და. ეს იყო, თვითონ ასაკოვანი ქალი იყო  
უკვე. გარეგნობით აფრთხილდა ბიჭს, მაგრამ  
ნემსის ყუნწში ძვრებოდა, რომ მისი ყურადღება  
მიექცყო, მის ნივთები უკლებლივ გადმოუყყო,  
ამ სახლში ყველაფერი შენ გეკუთვნისო, ეუბ-  
ნებოდა. უყვებოდა ზღაპრებს, ართობდა, ეფერე-  
ბოდა, მფარველობას უწევდა.

მისმა ზრუნვამ ბიჭი მოხიბლა, ნაბიჯით არ  
სცილებდებოდა ქალს.

ლოლა მთელი ძალით ეძლეოდა მხიარულებას.  
მისმა ხმამ სახლის ყოველი კუნჭული აავსო.  
მდიდოდნენ სტუმრები, იშლებოდა სუფრა, ის-  
მებოდა სადღეგრძელოები, მღეროდნენ, ცეკ-  
ვავდნენ. ამ დროს ბიჭი და სალომე ჩინოს ოთა-  
ხში ისხდნენ და მორიგე გასართობს იგონებდ-  
ნენ. ბიჭი შვკაბიან ქალს ისე შეეთვისა, დაწო-  
ლის წინ თუ გაახსენდებოდა დედა. ისიც ერთი  
წუთით შემოირბინდა, სახეგაბადრულ შვილს ჩა-  
კოცნიდა, მშვიდ ძილს უსურვებდა და სტუმრე-  
ბისკენ გარბოდა.

სალომე მთელ დამეებს ბიჭის საწოლთან ატა-  
რებდა. ჩინომ შფოთიანი ძილი იცოდა, სახანს  
არ იჩერებდა და ბავშვის გაცივების შიშით,  
ფხიწლოდა. გამოიღვიძებდა თუ არა, ახლა მისი  
ხმით, ბავშვური ტიტინითა და დაუხრულედილი  
კითხვებით ვერ ძლებოდა და უხაროდა, რომ  
დგებოდა ახალი დღე. ნიკო და ლოლა თავიანთ  
გზას გაუდგებოდნენ, თვითონ ისევ მარტონი  
ჯარჩებოდნენ, ისაუბრებდნენ, ილიინებდნენ,  
დიდი ჩინოს წიგნებს, ჭადრებს, საათს, სახაზავს,  
ფანქრებს და სურათებს გადმოაწყობდნენ, და-  
თვალიერებდნენ, ყოველივეს თავის ადგილს მი-



უჩინდნენ, მერე სალომე ბიჭს დაანაყრებდა, საქანელზე დასვა მდა და აქანავებდა...

დრო უღმომბლად მიჰქროდა. მალე დას და სიძის შვევულება დაუშოვრდებოდა, ბიჭსაც წაიყვანდნენ და სალომე იმ დღეზე ფიქრობდა, როცა სახლი ისევ დატარიღდებოდა, ბიჭის უდარდელი სიცილი სახლსა და ეზოს აღარ გაამხიარულებდა...

იმ დღეს კი, როცა გამგზავრება ჰქონდათ გადაწყვეტილი, მოილაპარაკეს, რომ ლოლა და ნიკო ნაცნობებს დაემშვიდობებოდნენ, სალომე და ჩინო კი სურათის გადასაღებად წავიდოდნენ.

მართლაც, ისაუშნეს თუ არა, ლოლა და ნიკო მანქანაში ჩაისხდნენ და თვითნებ ვაჭით გასწიეს. სალომეს და ჩინოსაც არ დაუხანებიათ, წღვის სანაპიროსკენ გაემართნენ.

იმის შეგნება, რომ ბიჭს მთელი წელიწადი, ან ვინ იცის, უფრო დიდი ხნითაც ვერ ნახავდა, თავგზას უზნევდა სალომეს. მის შეკითხვებს ნადვლიანი ღიმილით პასუხობდა. სურათები გადაიღეს, ისეირნეს, მთელი სანაპირო მოიარეს და დადლილ-დაქანულები სახლის გზას დაადგნენ.

სახლს უახლოვდებოდნენ, მაგრამ სალომეს ფეხი უკან რჩებოდა. ფიქრობდა, აი, ახლა მივალთ, ბარგი ჩატვირთული ექნებათ კიდევ, ლოლა საყვდელურებით ამიკლებს, ასე რად შეგაგვიანდართ ან იქნებ, სულაც არაფერი თქვას. ბიჭს მანქანაში ჩაისვამენ, გამომშვიდობებებიან და გამგზავრებიან, მაგრამ დას პირობა უნდა ჩამოართვას, რომ მომავალ ზაფხულს ისევ ჩამოვიდნენ... ან სულაც იქით ინახულებს... ჩინოს ვერავის დაუთმობს! მერე რა, იყოს ლოლა მისი დედა. მასაც რაღაც მცირე უფლება უაჩანა ამ ბავშვზე. იმ კაცს არ მისცემს იმის უფლებას, ხან უყვარდეს, ხან კიდევ, დასანახად ვერ იტანდეს...

ამ ფიქრებში, მიუახლოვდნენ ქუჩას, გაუსწორდნენ ჰოსპარს. ჰუცტიღლა მანქანა ჰოსპართან რომ არ დაუხვდა, სალომემ შვევით ამოიხსნა. მათაც დაუგვიანათ, კიდევ კარგი, დის საყვდელურები რომ ამცდაო, გაიფიქრა. ოდნავ გუნებაგამოკეთებულმა აიარა კიბე, შეაღო მიძიმე კარი და დერეფანში შემაიჭეს.

სახლი იმ დავანებულმა უცნურმა მდუმარებაში მაშინვე მიიქცია მისი ყურადღება.

პირველად, სასტუმრო დარბაზი მოათვალიერა, შემდეგ ლოლას ოთახისკენ გაემართა, ბოლოს, სულმოუთქმელად შევარდა ჩინოს ოთახში და ლამის იყვირა.

წინა დღეს ოთახში მიმოყრილი ბარგი არსად ჩანდა. მაგიდაზე ბიჭის ჩანთა იდო, წედ ბარათი და სახლის გასაღები მოჩანდა.

„მივემგზავრებით. ჩინოს შენთან ვტოვებთ. მიხარია, რომ ძალზე შეგეთვისა. დარწმუნებული ვარ, არაფერს მოაკლებ. მაპატიე, ასე ქურდულად რომ მივდივარ, სხვანაირად არ შემიძლია, გამიმძინდებოდა

მასთან განშორება. ჩემზე ნუ იდარდები. მაშინ მკითხე, ნიკოს მითოვებას ხომ არ აპირებო. გეტყვი, არ ვაპირებ.“

ჰო, იმ მკვლელობის შესახებ. როგორც შეგატყვე, ჩინოს უღანაშაულობაში დღესაც მტკიცედ ხარ დარწმუნებული, მკვლელი ირაკლი გგონია. საქმე კი აი, როგორ იყო: მკვლელობის დღეს ჩინოს მეგობრები ბირაუზე მდგარან. ჩინო ვიღაც კაცთან ერთად მისულა მათთან. ბიჭებს უფიქრით, შერიგება უნდაო და მისაღმებთან. ჩინოს არავისთვის ხმა არ გაუცია. ირაკლი გაუხმინა და კამათს მოჰყოლია. მერე ბიჭებს ჩინოს ხელში დანა დაუხანებიათ. ირაკლი გაქცეულა. ჩინო გამოჰკიდებია. უკან ბიჭები და უცხო ხალხი მისდევდა, არ დაარტყა, არ, დაარტყაო, მისძახოდნენ თურმე. ბოლოს, არაქათამოცულილი ირაკლი შემდგარა. დამარტყაო, უყვირია და დაიმედებულს, მოსაკლავად არ გამიმეტებსო, მკერდი მიუშვერია. ჩინოს მთელი ძალით მოუქნევია დანა. ალბათ, სასიკვდილოდ დაჭრიდა კიდევ, უკანასკნელ წაშს ირაკლი გვერდზე რომ არ გამხტარყო. წაქცეული ჩინო, საკუთარ დანაზე წამოგებულა.

აი, ეს იყო სულ და გჭეროდეს, რასაც ვჭერი, სრული სიმართლეა. შენ ჩემთვის არ გკითხია, რად შემიყვარდა ჩემი ბიჭის მამა უნდა გკითხვა, მაგრამ არ ვიცი, ვერ გახედე, თუ ეს კითხვა საერთოდ არ დაგბადებია. ახლა მე ვსვამ ამ კითხვას და მევე ვპასუხობ: ჩინოს მეგობრებს არაფრით რომ არ ჰგავდა, იმიტომ.

ჩინოს მეგობრები, კარგად მოგხსენება, რანაც იყვნენ, ხოლო ყველა ის მანიკერება, რაც ჩინოს მათში არ მოსწონდა, თვითონვე სჭირდა...

მაპატიე, ასეთი შეუბრალებელი რომ ვარ. შენ ყველაფერი იყავი ჩვენივეს. საკუთარი თავი არასოდეს გახსოვდა. ბედმა, ეტყობა. სხვებზე ზრუნვა დაგაკისრა, მაგრამ ამ ზრუნვაში ამჭარდაც ისე ნუ გადააჭრებ, რომ ბოლოს, თავსატეხი გაგიხდეს. ნახვამდის, გკოცნით, თქვენი ლოლა“.

სალომეს მუხლებში ძალა გამოეცალა. ჩინოს სამუშაო მაგიდასთან მიჭდა, დის ნაწრის უაზრო გამომეტყველებით დაჩაერდა და გაირინდა.

— დედა ნიკოა? — იტობა ბიჭმა.

ქალს არაფერი ესმოდა. ბიჭი მიუახლოვდა, ხელი შეახო და კითხვა გაუმეორა. ქალი შეკრთა, გაოცებული სახით მიჩაერდა ბიჭს.

— წავიდნენ, — ძლივს მოისახრა მოგვიანებით.

— მალე მოვლენ?

— არა.

— რა კარგია! — წამოიძახა ბიჭმა, ტაში შემოჰკრა, ტახტზე აძვრა და ბტუნვას მოჰყვა.

## ნანა ჯაში

ყველაზე დიდი სიკეთე ქვეყნად,  
 სისხლად და ხორცად რომ უნდა იქცეს,  
 მე შემოიძლია სიცოცხლე შეგქმნა,  
 მე შემოიძლია სიცოცხლე მივცე —  
 იქნება თამარს,  
 იქნება ემზარს,  
 იქნება ნანას,  
 იქნება ბორისს...  
 სიცოცხლე მივცე ვილაცას, ჩემსას,  
 ყველაზე ჩემსას ჩემიანს შორის.  
 დაუწერელს და დაწერილს ერთად  
 წესებს,  
 კანონებს,  
 სიზცხვილს,  
 ჭორს ქვეყნის,  
 გადავულოცავ სხვის ომში ბრძენთა...  
 მე ქალი ვარ და სიცოცხლეს შეგქმნი.

კერიაში გაბარვია სითბო ნაცარს,  
 გასწეწვია ჯარგვალს ისლი გარუჯული,  
 უღმობელ და უხვთოვლიან გასულ ზამთარს  
 მოუტეხავს დიდი მსხლის ხე თავრეჯულის.  
 ხეჭუჭური იზაბელით დაბორკილი,  
 ხმება უკვე, ყურძენიც ზედ მეჩხერია,  
 ქიშკარს კლიტე შემოდგომის ფოთოლივით  
 ხავსმოდებულ ალაგესთან შერჩენია.  
 მოსდებია ეზოს ანწლის მყრალი ბუჩქი,  
 დარღვევია გვერდი ერთ დროს ორსულ გიდელს,  
 ობობის ქსელს შეუღობავს კობის დრუნჩი,  
 ტრიფოლიატს აუყრია ტანი კიდევ.  
 აგერ-აგერ შემორჩენილ ღობის სართა  
 საპატიო ყარაული გასუსულა,  
 არ უშვებენ სტუმრებს სახლში, დომენის კართან  
 გაწუწული ბალახები ატუზულან.

ხელი, რომელმაც მე მიპოვა ქაოსში ქვეყნის,  
 ხელი, რომელსაც სითბო ჰქონდა უღევი ჩემთვის,  
 ხელი, — ბედ-იღბლის ტრიალმა რომ მარგუნა წილად,  
 თავით, ძლიერი საყრდენივით, რომ მედო მძინარს,  
 თმების ალერსში რომ ვერ გრძნობდა ვერასდროს დაღლას,  
 საღ არის...

კრემლის მოსაწმენდად მჭირდება ახლა!

მზის გორგალი

(კომემა-ზღაპარი)

მონუსხული სოფელი და მათსა  
ამბავი

იყო სოფელი ქვეყნის პირზე,  
ერთი სოფელი,  
სოფელი ყოვლად განწირული,  
ბედულმობელი.  
სოფელი იყო სოფლებს შორის  
როგორც სოფელი,  
არც მაქებარი, არც მოქიშპე,  
არცა მგმობელი.  
ამბობდნენ, თითქოს ბოროტებამ  
შავი ჭირისამ  
ცას გადააკრა ჯადოსნური სარკე,  
თილისმა.  
იმ დღიდან ყველას დაუბნელდა აზრი,  
გონება,  
იწყეს ყველაფრის შეგუება,  
იქცნენ მონებად.  
დღე დღე მისდევდა  
ულიმლამოდ — გამოფიტული,  
ზარზეიმობდა ქვის უღელი  
და ცხრაკლიტული.  
შავი ჩოხებით —  
თეთრწვერანი,  
ხანჯალოსნები  
იდგნენ და ზეცას გასცქეროდნენ  
როგორც მგოსნები.  
არცა რა ფიქრი,  
ალარც ჯავრი,  
ალარც ოცნება,  
მონუსხულივით იდგნენ ჩუმად,  
ვით საოცრება.  
ცაზე კი, ცაზე  
ალარ ჩანდა ფთილა ნათელი,  
მწუხრი მოსავდა  
მზეწართმეულ დილას —  
გათელილს.  
იწვა სოფელი, —  
ძუქნა ძაღლი...

ყეფა და ღრენა...  
ქარი კლდეებზე იღესავდა  
სარსალა ენას.  
უცებ რა იყო,  
ქალის მოთქმამ  
შესძრა სოფელი:  
„დითაუ, ნანა!.. —  
ხმა გავარდა ღამე მეხივით.  
(კივილის ექო მთებმა  
ზურგზე გადაიმსხვრიეს  
და მერე ხევ-ხევ ჩააპნიეს  
როგორც მძივები...)“  
ხმა, და აღზევდა  
დიდ-პატარა  
ამა სოფლისა,  
ხმა იგი ყველას ეცნაურა, ესმად  
მოყვრისად.  
მიმოფინენ მთებს, ქარაფებს,  
ველ-მინდვრებს სრულად,  
და შეცბნენ წამით,  
როს წააწყდნენ  
საოცარ სურათს:  
კლდეზე ტყაშ მათას ჩამოშლოდა  
ოქროს ნაწნავი,  
მშობიარობდა,  
კლდეს ფხოჭნიდა  
ბედზე გამწყრალი.

ხალხის ვედრება

მაფა, მაფა გაუძელი,  
ხარ სიცოცხლის საფუძველი,  
ხარ სიცოცხლის საფუძველი,  
მახარია-მახარა...  
ძე გვაჩუქე!  
ძე გვაჩუქე!  
ძე გვაჩუქე  
თორემ ჯავრმა,  
თორემ ჯავრმა,  
თორემ ჯავრმა.

ჯავრმა გული დაღალა.  
მაფა იქნებ შვილი შენი  
იქნეს ქვეყნის გადამრჩენი  
და მზესავით მაღალი.  
იქნებ იმან,  
იქნებ იმან.  
იქნებ იმან გაგვიტენოს  
დილა თვალგასახარი.

### ხმა ბოროტებისა

არ მომკვდარვარ,  
ცოცხალი ვარ,  
შიმორელი შიმორე!..  
ბოროტების მოწყალე ვარ,  
შიმორელი შიმორე!..  
სადაცა ვარ — შავი ქვა ვარ,  
სასიკვდილო სამსალა ვარ,  
შავი ვარ და შავად დავალ,  
შიმორელი შიმორე!..  
იყო მაფა,  
გაქრა მაფა,  
წამები აქვს დათვლილი...  
არასოდეს,  
არასოდეს,  
არასოდეს არ ახდება,  
არასოდეს არ ახდება  
თქვენი გულის წადილი.

...კვდება!..  
— არა!  
— კვდება!..  
— არა!  
არა, არა, არ კვდება!  
მაფა თავის შვილის ხილვით  
გახარებს, დატყდება.

### იხვა ნათელი ქე მახასი

ქალმა იკივლა, გადმოკარკლა  
ცივი თვალელები...  
არ ჩანან მთები,  
არც მინდვრები,  
აღარც ჭალები.  
და როცა წამი,  
წამი იგი სტუმრად ეწვია...  
სული გავარდა სხეულიდან,  
სული — მზეწვია.  
— ახავაი მაფა!

ჰაი მაფა,  
ქვის სიმძიმელი!..  
ჩვენს სულში ჩარჩა  
სამუდამოდ შენი ტკივილი!..  
სიცოცხლის სუნთქვამ  
მიმოფანტა მწუხრი ყოველი,  
და იშვა ვაჟი სხივოსანი —  
ნათლის მთოველი.

— მადლობა უფალს!  
— ჯერ ადრეა!..  
— მადლობა უფალს!..  
— მადლობა, მაგრამ  
სად გაზრდილა უდედოდ  
ბავშვი?!  
თქმა და...  
დედებმა მოიღედეს წამსვე  
მკერდები.  
ძუძუ აწოვეს ნათელმოსილს  
ვედრებ-ვედრებით,  
თეთრად უთიეს ღამე ბევრი,  
ღამე ასობით...  
და ჰა, ფეხს იდგამს  
ასი დედის ძუძუნაწოვი.

### მეფაბაბუკმა მშვილდი მოჰიდა

სოფლის გაზრდილმა  
კად აღაპყრო  
მშვილდი ირმის რქა,  
მოზიდა, სტყორცნა და დაიმსხვრა  
სარკე თილისმა.  
წამს გაახსენდათ ყოველივე, —  
ვინ იყვენენ, რანი,  
ხალხის ყიფინამ  
ზეცა შესძრა,  
შეიძრნენ მთანიც:  
— აქ ჭიხვინებდა თეთრი რაში —  
სოფლის სინათლე!  
— ჭიხვინებდა და სოფელს ჰქონდა  
ხმა და სიმართლე!  
— და მერე, როცა ბოროტებამ  
ზეცა მოგარსა,  
რაში გაიქცა...  
დაუბნელდა თვალი მოყვასსა!  
— დრო დაგვიდგა და  
ვხედავ ახლა გამოვიღვიძეთ,  
ბიჭებო, რაში,  
თეთრი რაში...  
აბა, სიმკვირცხლე!

**მღვიპარებმა გადასძახეს  
პრთმანეთს**

— ოი, რაშა!..  
რანაირი რაშიაო, რაში!  
— ძლიერი აქვსო მუხლები,  
რაშოვრერა რამაიდა!  
— ოი, რაშა!..  
კლდეზე მისი ასხლეტილი  
ფლოქვები  
ტყვაციო და გურგინი!..  
— გურგინია!  
გურგინი!  
— კლდიდან კლდეზე დაფრინავსო,  
ამბობენ და,  
კული აქვსო მარმაშა!..  
— გურგინია!  
გურგინი!..  
— მის დევნაში ბევრს დაუღამდებო  
ნათელი!..  
— გურგინია!.. გურგინი...  
რაშა ოი!  
რაშა ოი!  
ვინ იქნება თეთრი რაშის,  
თეთრი რაშის მხედარი?!  
— ვინც იმარჯვებს, ის იქნება,  
ვინც იმარჯვებს, ის იქნება,  
ვინც იმარჯვებს, ის იქნება,  
რაშოვრერა რამაიდა!..

**რაშს ეძებენ რაინდები...**

„ბუკი-ბუკი;  
ბუკი-ბუკი!..“ აბრაგუნდნენ დოლები,  
„ოკე-ოკე,  
ოკე-ოკე?!“ — აღუღუნდნენ ბუკები,  
და როს მთებსაც შეუტეიეს  
მუხლებითა მაგრითა  
საჯიხვედან უცაბედად  
თეთრი რაში აფრინდა.  
აფრინდა და კლდიდან კლდეზე  
იწყო ნავარდ-ნავარდი,  
უკან ვინდა მოუხედავს  
რაინდს ხრამში ჩავარდნილს...  
გორა-გორა,  
ტყე-ტყე,  
მთა-მთა,  
ხევ-ხევ გადიგრიალეს,  
ბოლოს თეთრ რაშს შეაფრინდა

მოყმე თვალებბრიალა.  
ველზე მოსჩანს ასიოდე  
მოგრიგალე მხედარი,  
— სოფლად ჩქარა,  
სოფლად ჩქარა,  
შეაღწიონ ნეტავი!

გუგუნებენ ზარები და  
ზეცას კალთას ახევენ,  
მაცნეები გაჰყვირიან  
რაინდების სახელებს!..

**ინავ ბოროტების მუშარა**

არ მოვმკვდარვარ,  
ცოცხალი ვარ,  
შიმორელი, შიმორე!  
ბოროტების მოწყალე ვარ,  
შიმორელი, შიმორე!  
სადაცა ვარ ცეცხლი,  
ქვა ვარ,  
სასიკვდილო სამსალა ვარ,  
ნუთუ ველარ შეგიტყვიათ,  
შიმორელი, შიმორე!  
ის — რაც იყო არ იქნება,  
არ იქნება!..  
— იქნება!!!  
— არ იქნება, არ იქნება,  
ყველას კარგად ესმოდეს!..  
ვერასოდეს,  
ვერასოდეს,  
ვერასოდეს ვერ იხილავს,  
ვერასოდეს ვერ იხილავს  
თეთრი რაში თქვენს სოფელს.  
აბლაბურდა ნაბურღალა,  
ბალაბურ და ზღვა-კალა!  
ოი, ოი, ზღვა-კალა!  
ოი, ოი, ზღვა-კალა!  
ეს თქვა და უცებ  
მიწა გასკდა,  
გასკდა ფსკერამდე,  
მერე ბუყბუყით  
შავი ლავა ამოანთხია,  
უსაზღვრო ღრმული ამოავსო  
მღვრიე ტალღებმა,  
ო, მახარია!  
ზღვა ბობოქრობდა —  
ავაზას თვალი,  
და ნაპირს ხრავდა  
ბასრი კბილებით,

მიწა ტორტმანით გაურბოდა  
ზღვის მშფოთვარებას!...

სიკვდილს ხელს ვინ ჩამოართმევს,  
შიმორელი, შიმორე!  
გელოდებით შავი კატა,  
შიმორელი, შიმორე!  
ყველაფერი დაიკარგა!  
— ნუთუ მართლა დაიკარგა?!  
— ჰაი, ჰაი, რომ დაიკარგა,  
შიმორელი, შიმორე!..

დაოთხილ ცხენთა თქარათქური  
კვლავ გაისმოდა,  
და მოგელავდნენ რაინდები  
გააფთრებულნი!  
წამი, და ოპო!..  
თეთრი რაში ზღვაში შევარდა,  
ო, საოცრება!  
ზღვა დაიწრიტა,  
დაილია ცხენთა ფლოქვამდე.

**სიმღერა პირველი**

— ჰოუ, ჰოუ, მახარია!..  
იხარე და იცოცხლე!  
მოგრიალე, მოგუგუნებს,  
მახარია-მახარა!  
აჰა, გულზე შეგაფრინდათ  
ეს ახალი სიცოცხლე,  
დასცხეთ,  
დასცხეთ თქვენებურად  
თქვენებური ნალარა!  
— გუგუნებენ ზარები და  
ზეცას კალთას ახევენ,  
მაცნეები გაჰყვირიან  
რაინდების სახელებს.  
ველზე თეთრ რაშს მოაგეღვებს  
ჯილოსანი მხედარი,  
მკლავმაგარი, მუხლმაგარი,  
გულმაგარი, მედგარი.

**ღვარძლი ბორცხებისა**

ვერსად,  
ვერსად ვერ წამიხვალ —

შიმორელი, შიმორე!..  
ცეცხლი ვარ და ლერწამი ხარ —  
შიმორელი, შიმორე!..

აჰა,  
ახლა უნდა იგრძნოთ  
ჩემი ძალა ნამდვილი,  
აწი ველარ იზეიმებთ!  
აწი ველარ იზეიმებთ!!  
აწი ველარ იზეიმებთ!!!  
წამები გაქვთ დათვლილი!  
აბლაბურდა ნაბურღალა,  
ბალაბურ და ქარ-კალა!..  
ოი, ოი, ქარ-კალა!..  
ოი, ოი, ქარ-კალა!..

ეს რა ქარი აბობოქრდა —  
მთაც შეირყა უძვრელი,  
მიწისპირი იფხრიწება  
როგორც ლღვის ფურცელი.  
ქარია და ქარ-ბორია —  
სიკვდილივით ცივია,  
ცხენებიდან რაინდები  
პეპლებივით ცვივან.  
— თუ გაუძღვებს?!  
— ალბათ ვერა!  
— რაშმა უნდა გაუძღოს,  
სწორედ რაშმა,  
სწორედ რაშმა,  
რაშმა უნდა გაუძღოს,  
და მხედარმა გამარჯვება  
მთელ ქვეყანას აუწყოს.

**მათრახი და ცაცხლის ხარი**

აჰა, რაინდმა ვადუქირა  
მათრახი სივრცეს,  
მშფოთვარე ქარი გაილურსა  
ჩაჩუმდა მყისვე,  
მაშინ ბოროტმა გადმოაგდო ცეცხლის  
გორგალი,  
მიგორდ-მოგორდა ეს გორგალი  
ავად მბორგავი,  
და ცად ავარდა,  
ცად ავარდა დიდი ხანძარი,  
დადგა და დადგა  
შავ ზინებად ცხელი ნაცარი!..  
— ოი, ოი, ქვის სიმძიმელი!..

— ოი, ოი, ქვის სიმძიმელი!..  
ავთვალი ცეცხლი ბობოქრობდა,  
ენას იქნევდა...  
და ვითარც ხარი,  
ხარი ხარბი,  
დამშეებული —  
ძოვდა და ნთქავდა ყოველივეს,  
ო, მახარია!..

### ბოროტების ბოლო მუჟარა

გრგვინავს ცეცხლი,  
ელავს ცეცხლი,  
ცეცხლი გასაკვირველი!  
აბა, ჰეი, და!  
ვინ იქნება, ვინ იქნება  
პირველი!  
ხელს ვინ ახლებს  
ცეცხლის ფოთოლს,  
შიმორელი, შიმორე!..  
ქვას დახრავს და ფერფლად მოთოვს,  
შიმორელი, შიმორე!..

### მხედრული უშიშრა

უბელო ცხენებს შეფრენილი  
მკვირცხლი ბიჭები  
მხედრულ ყუიანით მოარღვევდნენ  
დახანძრულ სივრცეს,  
მიწა კენსოდა,  
ცახცახებდა ბავშვის გულივით,  
ო, მახარია!..  
ცეცხლის ენები ზეცას ლოკავდნენ,  
ისევ და ისევ გაისმოდა  
სოფლის ვედრება:  
— ამათ გარეშე!  
ამათ გარეშე!  
ამათ გარეშე  
ნურასოდეს,  
ნურასოდეს ნუ გათენდება!  
წამი და ოჰო!..  
როს მხედრებმა ქენებ-ქენებით,  
ცეცხლში შეაგდეს გავითქული  
ურა ცხენები,  
ჯეჯილად იქცა მობრიალე  
ხანძრის ალები,  
დაშრა, ჩაუქრა, ბოროტებას ცხელი  
თვალეები.

### მზე — სიცოცხლის დიდი გორგალი

ველზე გამოჩნდა თეთრი რაშით  
თეთრი მხედარი,  
შხუილ-შხუილით მოჰყვებთან  
ძმადნაფიცები,  
...წამი და ყალუზე,  
ყალუზე შედგნენ  
ო, მახარია!..  
მიწა აბუქდა ურა ცხენთა  
ხაფი ჭიხვინით.  
დასცეს ყუიანა —  
გამარჯვების ცხელი საყვირი...  
და აზუზუნდა დედამიწა  
თითისტარივით!  
ლაგამწყარილი ულაყებიც  
ფერდობს დაუყუნენ;  
ვით მოლადანე პურის ყანები —  
მზის ათინათზე აშრიალდნენ  
ოქროს ფაფრები.  
მწვანე ველზე კი  
თეთრი რაში  
ბეჭდის თვალივით  
ლილეს ფერხულში აბრღვეიალდა  
ვით თუთარჩელა.  
ჯიხვებმა ჯიქურ გადმისხვრიეს  
ნალესი რქები...  
და მზე — ცის ვენახის  
ქარვის მტევანი  
შიგ ჩაიღვენთა, როგორც ერის  
საგალობელი...  
ო, მახარია!..  
და ასე იშვა დიდი ნათელი,  
იშვა და ციდან ჩამოშლილი  
შუქჩქერალებით  
იწყო ახალი დედამიწის ხალიჩის ქსოვა,  
ზენაარიდან ცის მნათობი —  
დიდი გორგალი  
ცხელი თვალეებით დასცქეროდა  
ახალ სამყაროს,  
ო, მახარია!..  
  
**ბოლო თქმა**  
სიწმინდისა და სინათლის სხივი  
როს შეიკვრება ერთიან ძნად  
სოფლის კალოზე.

იელვებს თვალწინ რაშების რემა:  
ფლოქვების ტკაცანში  
ითელება მინდორი...  
მათრახვივით იკლავნება ტორნაცემი  
შარბები...  
ფაფრებია მოშრიალე დროშები...  
რაშა ჰოი!  
არა ერთი, არა ორი,  
არა სამი,  
თეთრი რაშების რემაა  
რაშოვრერა რამაიდა-  
რამაიდა და რეროშა!  
ერთიანი თქარათქური —  
გამარჯვების სიმღერა!  
რამაიდა და რეროშა! ანთებული  
თვალეები —  
ბარჩხალია მზე!  
ჩემი რაში,  
შენი რაში —  
ჩვენი რაში,  
ერთ შარახე,  
ერთ მზის ქვეშ,  
ერთ თავლაში...

მხოლოდ-მაშინ,  
მხოლოდ მაშინ,  
მხოლოდ მაშინ,  
რაშოვრერად იგრიგალებს  
თეთრი რაში.  
ჰოი, რაშა!  
ერთად უნდა ავიზგიზდეს  
ნაცრემლარი თვალეები...  
როცა ქვეყნად ყველას რაში  
თეთრზე თეთრი, არა შავი,  
ერთად მტყიცედ,  
ერთად ძმურად,  
ერთად მწყობრად  
ფლოქვს რომ დაჰკრავს  
სწორედ მაშინ,  
სწორედ მაშინ ადიდდება,  
სწორედ მაშინ გაბრწყინდება,  
უახლესზე უახლესი,  
უმალლესზე უმალლესი,  
უნათლესზე უნათლესი  
გამარჯვების დღე!

## შენაშრი კაცი

იმ დღეს მეგობრის მშობლის გარდაცვალება შევტყუე, ასეთ დროს ადამიანი ყოველთვის ცხოვრების არარაობაზე და უაზრობაზე ფიქრობს. „ნეტავი რისთვის ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე, რატომ ან რისთვის გავჩნდით, რამ შექმნა ეს სასწაულებრივი სამყარო? როცა ამ საკითხს ჩაუფიქრებდი, ყოველთვის შეგეცოდება შენი თავი, მიხვდები, რომ არაფერს წარმოადგენ, არადა, რამდენი ნერვიულობა, რამდენი თავდადება გქირდება, რომ იცხოვრო ღამაშად, შინაარსიანად, მაგრამ ამის საშუალებას ვინ გაძლევს, ყველგან შურთან და ბოროტ ადამიანს აწყდები. ერთმანეთს ჭამენ, არ ზოგავენ, ერთმანეთს არაფრის გულისხმობის კლავენ, ის კი არ იციან ამ დალოცვილებმა, რომ ერთადერთი ვართ ამ უსასრულობაში და პატივი უნდა ვცეთ ერთმანეთს“, — ვფიქრობდი, თან კი ოთახში დავდიოდნ.

საშინელი გრძნობა დამეუფლა, არ ვიცადი, რა გამეკეთებინა, რითი დამემშვიდებინა თავი, ვიგრძენი, საშინლად ვიგრძენი ადამიანის უმწყობა და უსუსურობა.

ფანჯარას მივუახლოვდი და გარეთ გავიხედე. ეზოში ბავშვები თამაშობდნენ, ჰქონდათ ერთი ყიფინა, მათ დანახვაზე ისევ სიხარულით ამევსო გული, ცხოვრებაც კარგი და სასიამოვნო მეჩვენა. მაგრამ უცერად გამახსენდა სიკვდილი, ეს უსაშინლესი, უმწარესი, დამალუკველი და დამაპტიველი სიკვდილი, რომლისკენაც ცხოვრებისაგან დაქანცული და დაღლილი ადამიანი შეუმჩნეველად მიიღტვის.

ასეთი ფიქრებით გონებაარეულმა ფანჯრის დარბაზები დავხურე, ცოტა დავისვენე და ამხანაგისკენ გავწიე.

მისვლისთანავე შემომემხა ტირილის ხმა, ადამიანები დაფუსფუსებდნენ, ყველას თავიანთი საქმე ჰქონდა მიჩენილი და ნამუსიანად ასრულებდნენ მას. აქ ნახავდით ხალხს, რომლებიც მართლაც განიცდიდნენ ოჯახში მომხდარ უბედურებას, სიმწრითაც ტიროდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ყოველთვის ამას ვითომ რომ განიცდიდნენ,

თვალთმაქცობდნენ. მერედა, საიდან ასეთი არტიზტიზმი? ჩემთვის ეს ამოუხსნელი, გაუგებარია, როგორც ბევრი რამ, მაგრამ ცხოვრების ფასიც იმაშია, რომ ბევრი რამა ამოუხსნელი, საიდუმლოებით მოცული, თორემ ადამიანმა რომ იმთავითვე თავისი ცხოვრების ჭა იცოდენ, უაზრობაც იქნებოდა, იგი ხომ ოცნებით, იმედით ცხოვრობს და ასე იქნება მანამდე, სანამ კაცობრიობა იარსებებს.

ერთმწკრივად მიმავალ მოსამძიმრეთა შორის ერთი კაცი გამოჩნდა, რომელმაც მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება, მან ოთახში შემოიხედა, წამით შეჩერდა და მაშინვე გაქრა, ეს რა თქმა უნდა, არაფრად ჩამიგდია, მან, უბრალოდ, ხალხს შეავლო თვალი, მერე ჩვენ გადმოგვხედა და გავიდა. ჩანდა, რომ არავის იცნობდა, მაგრამ საკვირველი იყო, რა მიზნით მოვიდა, რამ შეაწუხა, თუკი არავის იცნობდა. ძალიან დამაინტერესა ამ კაცმა. მისმა ჩაცმულობამაც გამაკვირვა, შავი კოსტიუმი ეცვა, შარვალი მოკლე ჰქონდა, ფეხსაცმელები კი სრული, ასე რომ ყველაფერი, რაც ტანზე ეცვა, არარაობრივად გამოიყურებოდა. ვარეგნობითაც გამოიჩინოდა, ძალიან გამხდარი იყო, ჩაცვნილი თვალები, სევდიანი, ფერმიხდილი სახე და თბელი ტუჩები ჰქონდა. ვიფიქრე, ალბათ, სულელია-მითქმე, შემდგომში აღარ გამხსენებია.

ოთახში შეგუბებულთ, სულ შემბუთავი სუნის იდგა, მიცვლებულის ირგვლივ დაწყობილ ყვავილთა სურნელით გაზავებული.

ბოლოს და ბოლოს პანაშვიდი დამთავრდა და ყველა გარეთ გამოვედით. ამხანაგები ერთად დავდგეთ. ზოგი დიდი ხანი იყო არ მენახა და გულიც ვიჭერე მათთან საუბრით. შემდეგ კი სახლში წავიდით. მშვენიერი ამინდი იდგა, ცოტა გავისიერნე, მიუყარს მართლ ხეტიალი, სიამოვნებას ვგრძნობ ამ დროს.

მეორე დღესაც ისევ პანაშვიდზე წავიდი. ვეღარ გავუძელი არასასიამოვნო სუნს და აივანზე გავიდი სიგარეტის მოსაწევად.

ავინდან სწორედ ის გუშინდელი უცნობი

შენიშნე, ხალხს ათვლიერებდა, წერვიულობდა, შემდეგ შეტრიალდა და წაიდა. დამეჭვა მისმა საქციელმა, სიგარეტი გადავაღე, ამხანაგებს ბოღში მოვუხადე და უცნობს ავედევინე. რას ვაკეთებდი, არ ვიცი, თუმცა ისე ვიქცეოდი, რომ მას არც შეეუშინებია. უცნობმა დიდხანს იარა. ბოლოს ერთ ადგილას შეჩერდა, ჩიბიდან უბის წიგნაკი ამოიღო და რაღაც ჩაიწინა. ყველაფერი მინახავს ამ ქვეყანაზე, ბევრი საინტერესო და ამაღლებელი, მაგრამ ასეთი საკვირველი პიროვნების მნახველი ჯერ არ ვყოფილვარ. მინახავს ადამიანები, რომელთაც თავისი მიზანი და ვატაცება აქვთ, ზოგს წიგნების კითხვა უყვარს, ზოგს უფრო მუსიკა იტაცებს, მაგრამ ამ კაცის პანაშვილზე სიარული რაღა დაინტერესება იყო, ვერ გამერკია. ვატყობდი, რომ ეს ჩემი რწმენის და შეხედულების საწინააღმდეგო იყო. დიდხანს შეეუფრებდი, ვაკვირდებოდი, ვერ ისვენებდა, ცმუკავდა, შემდეგ წიგნაკი ჩიბიდან ჩაიღო და ამაღლებული გაუჩინარდა.

დაღვა ვასვენების დღეც. ყველაზე საშინელი და მწუხარე, რაც კი ქვეყანაზე არსებობს, ადამიანი სამუდამოდ ეთხოვება იმ ადგილს, სადაც ვინ იცის, რამდენი სიხარული ვაწუცდა, ეხლა კი ახლოობებს ამწუხრებს, ანაღვლიანებს. ძალიან განვიტყობდი ყოველივეს, ვიცი, ყველას საბოლოო ზედიერი ეს იყო, სახარულ ფიქრებს თავი ვანებე და ვცაღე განსვენებულზე მეფიქრა რამე. სახლი შევათვალიერე. აივნებზე და ფანჯრებზე გადმომდგარი ცნობისმოყვარე სახეები შევნიშნე. ისინი პროცესიას უყურებდნენ და წუნარად საუბრობდნენ. უეცრად უცნობი ვამახსენდა. უცნობი არ არის, შენი უახლოესი მეგობრის შობობის დაქობაღაზე იყო და ვილაყ გამოთავანებული გაგონადობდეს? ამ ფიქრებზე ვუკავი გართული, როცა ისიც შევნიშნე: უფრო გამხდარყო, სახე გამოსცვლიდა, თვალები დაპატარავებოდა, ვგრძნობდი, რომ ამ კაცს რაღაც აწუხებდა, მაგრამ რა თავისი მოშავო წიგნაკი ხან ერთ ხელში ეჭირა, ხან მეორეში და ხელები უკანაკლებდა. არ მინდოდა, მაგრამ მაინც მიუუხლოვდი. უეცრად მეგობრის ხმა შემომგმმა. იგი გვერდით ამოშიდგა, გამიციანა, მხარზე ხელი დამაღო და მითხრა:

— უკვე ორი დღეა, გაკვირდები და ვგრძნობ, რომ ამ კაცმა დაგაინტერესა, ჩემდა ვასაკვირად მან უცნობზე მიმოითთა. — ვიცი, ძალიან გინდა მასზე რაიმე გაიგო, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის, მერე ვიამბო ვეველაფერს.

— კი მაგრამ, რა არის, რაშია საქმე, ვერ ამისხსნი?

— მერე აგიხსნი ყველაფერს, — მიპასუხა დამწვიდებით.

რაღა უნდა მეთქვა. დავრჩი გოგნებულში. ამან უფრო გამიღვიძა ინტერესი.

დაღლილი მივდიოდი სახლისკენ. და გაუთავებელი ცხელი შისისგან ისე მოვიქცენე, რომ ფეხზე დგომა აღარ შემეძლო. მივედი თუ არა სახლში, მაშინვე ლოგინში ჩავყვი და ცოტა ხნის მერე დამეძინა კიდევ.

ამ სამწუხარო ამბის შემდეგ დაახლოებით ორი კვირა გავიდა. ვცხოვრობდი ჩვეულებრივად, მაგრამ ხშირად მახსენდებოდა უცნობი კაცი.

ერთხელ წიგნის კითხვით ვუკავი გართული. უეცრად ტელეფონის ზარმა შემეპართო, უფრთხილი ავიღე. სწორედ ის მეგობარი მირეკავდა რომ დამირდა ყველაფერს შემდეგ ვიამბო. მითხვდა, საღამოს მასთან მივსულიყავი. სახლში რაღა გამაჩერებდა. დაუყოვნებლივ გავეპართე. მან კი წამიყვანა, იცით სად — პანაშვილზე... და თანაც მიცვალბული სწორედ ის უცნობი კაცი გამოღდა გამოკვირდა. ყველაფერს ველოდი, ამას კი არა, ახალი გამოცანა ჩემო მეგობარი შეიქნა...

მეგობარი კი ხმას არ იღებდა, დუმისს ამჯობინებდა. ამევსო მოთმინების ფილა, ვთხოვე, ძალიან ვთხოვე, რომ აეხსნა ჩემთვის ყველაფერი, მან ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ხმაც არ გამცა. ბოლოს ამოღერდა, მოითმინე ყველაფერს გაიგებო. რა უნდა მეთქვა, გაკვირდი.

ამინდი შეიცვალა. წვიმა წამოვიდა. ჩვენ კი ხმის ამოუღებლად მივდიოდით, როცა ჩემი მეგობრის სახლს მივუახლოვდით, მან შემაჩერა და დაცივით გადმომხედა. გაკვირვებისგან თვალმუხში ჩავსუტერდი, დიდხანს მიყურა, შემდეგ კი წამოიწყო: — ვიცი, ვიცი, რაც გაწუხებს, რაც გიღრნის გულს, ის მართლაც საინტერესო და განუყოვრებელი პიროვნება იყო, დიდი ხანია ვიცნობდი მის მეუღლეს, ჩემი ამხანაგის მეზობელია და იქიდან ვიცნობ, ძალიან კეთილი და სათნო ქალია. მას ქმრის გარდაკვადამდემდე მდენინე დღით ადრე შევხვდი ქუჩაში, ქალმა მითხრა: ძალიან გამოიცვალა ჩემი მეუღლე. სულ უცნობი ხალხის პანაშვილებზე დადის, სულ იმას ამბობს, ხომ იცი, განუყურებელი ხსენი მჭირს და მალე მოვკვები და მინდა, ძალიან მინდა ჩემს გასვენებაზე ბევრი ხალხი შეიკრიბოსო. თანაც უბის წიგნაკი დააქვს და გარდაცვლილთა გვარებს იწერს, იმასაც, სად რამდენი კაცი მოდისო, ვისთანაც კი ურთიერთობა გაწუხებელი ჰქონდა, ყველა მონახულა და ხელახლა დამეგობრბო. ეს როცა მითხრა, ცრემლები წამოიფიდა და ხმის ამოუღებლად გამცილდა.

დიდხანს დავდიოდი ქუჩაში. წვიმა, მაგრამ ვერაფერს ვამჩნევდი. ვერ წარმომდგინა ასეთი ადამიანების არსებობა, მაგრამ ამ ქვეყანაზე არაფერია ვასაკვირი და დაუჭრებელი.

# ჭკუა ისჯავლა

ქალაქში ცხელია. კაცს ვერ გაუვლია ქუჩაში. ზურა სამსახურში, სამუშაო ოთახში თანჯარათან წის და გარეთ იყურება.

ჩაფიქრებული ჩანს.

„მეცამეტეზე“ ფიქრობს.

წამოიძახა კიდევ, მეცამეტეს რაღა ვუყო. განყოფილების უფროსი გაკვირებული მიაშტერდა. მისი ნათქვამიდან ვერაფერი გაიგო, ვაოცებისაგან თვალები აუციმციმდა, თავი გააქნია და ოთახიდან გავიდა, მაგრამ მალე დაბრუნდა და ისევ ქალაქში ჩარგო თავი.

უკველთვის ხალისიანი, მხიარული იყო ზურა, ახლა კი მოწყენილი, ჩაფიქრებული ჩანდა.

განყოფილების უფროსი თავს ასწევდა, შეხედავდა ზურას და ისევ კითხვას განაგრძობდა, უკვირდა თანამშრომლის ხასიათის უცვარი შეცვლა, მაგრამ ეუბერხუდობდა შეიკისხვების მიცემა, დუმოილს ამჯობინებდა.

გუშინწინ ზურამ ერთი გოგო გაიყნო. ასე ჭრ არავინ მოსწონებია, არავის მიმართ არ უგრძვნია ასეთი სითბო, ვისაც კი იცნობდა და მეგობრობდა, ყველას დამცინავად უყურებდა, შეძლებდა ითქვას, უურადლებასაც არ აქცევდა. იცოდა, ქალებს რომ მოსწონდათ, ამჟამად დაიარებოდა, „ცა ქუდად არ მიჩნდა და დედამიწა ქალაქშია“. ამ გოგომ კი გამოაშტერა, გამოათყუანა, თავის თავს ვეღარ ცნობდა, სულ მასზე ფიქრობდა, ოცნებობდა.

ზურა გოგონებს უკველთვის დაცინვით მიმართავდა, მაგალითად, „როგორა ხარ, მესამეზე“, „როგორ მიღის საქმე, მეთხევე“, თანაც ყველა გოგოს თავისი ნომერი ჰქონდა; ნანა პირველი იყო, მკაა — მეორე, ნინო — მესამე, ზათუნა — მეოთხე და ასე შემდეგ.

ზურა ამ ფიქრებით გამოხატავდა, თუ მერამდენე გოგოს მოსწონდა და ეთაყუანებოდა, მაგრამ არ ვეგონათ, მის ციფრთა აღრიცხვაში ყველა იღებდა მონაწილეობას, არამც და არამც, მხოლოდ და მხოლოდ რჩეული გოგონები, რომლებიც ძალიან ლამაზები იყვნენ.

ასე მეორდებოდა უკველდღე, დღე დღეს მისდევდა, ზურა კი არ იცვლებოდა. კვლავ ამჟამსახით დადიოდა, იცოდა, ლამაზი ბიჭი რომ იყო და რასაც მოინდომებდა, ყველაფერს მიღწევდა. განყოფილების უფროსს თუ რაიმე ჰქონდა მისაკვარებელი სხვა ორგანიზაციაში, სულ მას ავჯავნიდა, სილამაზეს თავისი გაჰქონდა. მთელი სამსახურის გოგონებს ზურაზე ეჭირათ თვალთ, მას ეთაყუანებოდნენ, ეს არც არის გასაკვირი, ქალები ხომ სილამაზეს ეტრფიან, ეტრფიან ბუნებაში არსებულ უკველგვარ სილამაზეს და, რა თქმა უნდა, ლამაზ მამაკაცსაც...

კაბინეტში ხმაური იყო, უფროსი ტელეფონით ხმამაღლა ლაპარაკობდა. ცოტა მოშორებით კი შემანქანე რაღაცას ბეჭდავდა გაცხარებული. ყველაფერი ეს ზურას ნერვებს უშლიდა, აღიზიანებდა.

სულ მარინეზე ფიქრობდა.

მზემ უფრო დააცუნა. ოთახში ყოფნა აუტანელი შეიქნა. ზურა ადგა და სიარულს მოჰყვა. განყოფილების უფროსი თვალს არ აცილებდა, სათვალე აიწია და ისე აკვირდებოდა. ზურა ჭერს მიაშტერდა, რაღაც გაურკვეველად ჩაილაპარაკა და უცერად განყოფილების უფროსთან მიიქრა, გაათვისუფლებდა სთხოვა რამდენიმე საათით. უფროსი, რა თქმა უნდა, დათანხმდა.

ზურა დაღონებული მოდიოდა. ურადლებას არავის აქცევდა. ძირს იყურებოდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

— კი მაგრამ, რატომ მიინცდამაინც მეცამეტე ნომერია მარინე, რა მოხდებოდა, ან მეთორმეტე უყოფილიყო, ან მეთორმეტე. ჩინაზე მეცამეტეა და რაღა მაშინვე მივხალბე; თქვენ მეცამეტე ხართ-მეთქი. არ უნდა მეთქვა ეს. ვისაც ვუყვარდი და პატივს მცემდა, ახუჩად ვიკედებდი, ახლა კი ყველაფერი თავდაყირა დატრიალდა. ამ გოგომ მოსვენება დამიკარგა, გამოაგნა, ამაფორიკა.

— არა! — წამოიძახა უცხად ზურამ. — დღესვე უნდა დაფურცო. უიმიოდ ვერ გავტელებ.

იქვე ახლოს ტელეფონის აპარატს მოჭკრა თვალი და იქითკენ გაემართა, ჭიბიდან ორკაიკიანი ამოიღო, აპარატში ჩაუშვა. მოთმინებით ელოდა. უურმილში ნაცნობი ხმა გაისმა.

— მარინე ხარ?

— დიახ; ვინ ბრძანდებით?

— მე ზურა ვარ, გახსოვარ?

— როგორ არა, ძალიან მესიამოვნა, რომ დარეკე.

— იცი რა, თუ არ შეწუხდები, შევხვდეთ დღეს ერთმანეთს.

— კარგი, შენი ნება იყოს, დღეს თავისუფალი ვარ...

ცოტა ხნის შემდეგ ქუჩაში სეირნობდნენ. აგრილდა. ქუჩაში სიარული სასიამოვნო და სახალისო შეიქნა. იქვე პატარა სკვერი შეინიშნეს და სკამზე დასხდნენ. მართლაც მომზიბლავი იყო მარინე, სახის ყველა ნაკვთი ლამაზი ჰქონდა.

ზურამ გაიფიქრა, რომ სულ ასე უსაქმოდ ხეტიალი არაფერს არგებდა, საჭირო იყო ოჯახს მოჰკიდებოდა. ამ აზრმა ისეთი სიხარული მოჰგვარა, რომ გაცინა და გაღიმებული მიაშტერდა მარინეს.

მარინემ ზურას შეხედა და უთხრა:

— ზურა, ახლა რაზე ფიქრობდი? არ მომატყუო, გირჩევნია, სიმართლე მითხრა, ხომ იცი, ტუუილს მოკლე ფეხი აქვს.

— რატომაც არ გიტყვი, შენთან რა მაქვს დასამალი, — ამოიღუღლუდა ზურამ.

— მეცამეტესთან, არა? — დამციანავად ჰკითხა მარინემ.

სახეზე სიწითლე რომ არ შეემჩნია მარინეს, გვერდზე გადაიხარა ზურა და ამ მოძრაობით დაფარა ის მღელვარება, რაც ამ სიტუვამ განაცდივინა, თან იგრძნო, რომ გაჩუმებაც აღარ ივარგებდა.

— რა მეცამეტი, რის მეცამეტი, რას ლაპარაკობ, შენი ვერაფერი გავიგე, ამიხსნი თუ არა, რაშია საქმე?

— არაფერი, არაფერი, — ეს ისე, უბრალოდ, წამომცდა.

— საინტერესოა, მეტად საინტერესოა, — განაგრძო ზურამ. — ერთ რაღაცას გიტყვი. შენ ხომ მითხარი, სიმართლე თქვიო, ამიტომაც არ ვაპირებ შენთან თვალთმაქცობას. მთელ გულს გადაგიშლი, ახლა რასაც გეუბნები, ალბათ, ძველად რომ სიუვარულს უხსნიდნენ, იმას ჰგავს, მაგრამ შენთან რატომღაც მიჭირს ლაპარაკი, ვატყობ, რაც მინდა, იმას ვერ გამოვთქვამ, ახლანაშნაშნა ვამომდის ყველაფერი, სული მეხუთება, გეხვეწები, ძალიან გეხვეწები, არ დამციანო, — ზურა ცოტა ხანს შეჩერდა და განაგრძო: —

გიტყვი რაც იქნება, იქნება, მიუვარხარ...  
გთხოვ ცოლად გამომყუე...

სათქმელი რომ მოათავა, ზურამ შევება იგრძნო. მეტისმეტი მღელვარებისაგან ოფლმა დაასხა, ცხვირსახოცი ამოიღო და სახე შეიმშრალა. შემდეგ კი პასუხის მოლოდინში მარინეს შეხედა. გოგო გარინდული იქდა. ზურას ეს კარგად ენიშნა, იფიქრა, სიჩუმე დასტურს ნიშნავსო. უცერად მარინემ თავი ასწია და მიასხალა:

— ზურა, არ გეწყენოს, მაგრამ შენ ოცდამეექვსე ხარ, ვინც სიუვარულს მიხსნის, — ეს თქვა თუ არა; წამოდგა, ზურას დაემშვიდობა და გზას გაუყვა.

ზურა გაშტერდა, უნდოდა რაიმე ეთქვა, დაეძახა მისთვის, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, აკანკალდა და მხოლოდ თვალში გააყოლა.

კვლავ ჩამოცხა. ნიავი აღარ უბერავდა. ქუჩაში დაურილი ფოთლებიც აღარ შრიალებდა.

როგორც კი მარინე თვალს მიეფარა, თავის სახლს მიაშურა ზურამ. მივიდა თუ არა შინ, წაიხემა და ტახტზე წამოწვა. იწვა და იხსენებდა განვლილ დღეს... ძალიან განიცადა ყოველივე, მაგრამ გულის სიდრმეში რაღაც ხასიათგონად გააუფოლა, იგრძნო, რომ ცხოვრება თავიდან უნდა დაეწყო, აღარ არგებდა სიამაყე, გულწვიადობა.

მეორე დღეს კვლავ მზიარული სახით მივიდა სამსახურში ზურა, განყოფილების უფროსსაც სიამოვნების ღიმილი დასთამაშებდა ტუჩებზე.





**მულახში**

მთვარე ქარაფზე გადაწვდა ჯიხვებს,  
და მთვარეს ჩემს გულს წვიგნით  
ვუშლი,  
ნეტაე, სიზმარი მალე ამიხდეს,  
სულში აყვავდეს პირველი ნუში.

ნისლის მანდილით მთები შუბლს  
იხვევს,  
ძილმორეული ამტქნარებს ღამე,  
თეთრ ქარაფებზე გადაწვდა ჯიხვებს  
სვანური ქუდის ოდენა მთვარე...

**როცა მიჰირდა...**

როცა მიჰირდა, როცა მიჰირდა,  
მქონდა ღვინოც და მქონდა ჭინჭილაც.  
როცა მიჰირდა, როცა მიჰირდა

შუბიც და ხმალიც მაშინ მიჰირდა.  
გზა გავიკაფე მაშინ ნიჭითა,  
როცა მიჰირდა, როცა მიჰირდა.

**ჯამთრის საღამო სამეგრელოში**

ქარში მოისმის ხმაური აფრის,  
ზღვა ეხეთქება მუქარით ნაპირს,  
ქარმა დაწყვიტა ზღვის თეთრი ძაფი,  
ტალღა იკაწრავს სიმწრისგან თავ-პირს.

მთებში ჩავარდა მზის ოქროს კონა,  
საღდაც გაისმის ოხვრა ჩუმ-ჩუმი  
და მეც ვამთავრებ მოწყენით რომანს,  
გავმირულ დათას ტირის ბეჭენი...

**შორეულ ნაპირებისკენ**

გასისხლული ღრუბელი თორნესავით ბოლავდა,  
როცა ტალღებს მარტოკა შემატოვა ბორანმა,  
კლდეს ღეჭავდა მდინარე და ბლაოდა ხარივით,  
დაჭრილ მკერდზე მეყარა სისხლიანი მარელი —  
სად არ ვიხეტიალე, თავზეც ბეგრჯერ მაწვიმდა,  
მხოლოდ რწმენა-იმედი  
თავის წვრილ ძაფს მაწვდიდა.  
ჩიუტი ვარ. არ ვცხრები, ისევ ბრძოლას ვაკირებ,  
ჰორიზონტზე წერტილად ვამჩნევ იმ შორ ნაპირებს.

**ფილმიდან: „ზავჭუბა თეთრი ბიმი“**

იყავი ძალდი და გერქვა ბიმი,  
რომელიც მხოლოდ სიყვარულს  
იიხზავს,  
მონატრებული პატრონის ღიმილს,  
მონატრებული პატრონის სითბოს.  
ჰქონდა სიკეთით აღსავსე ძარღვი,  
წყნარი თვალეები და მშვიდი მზერა,  
გულს დაგამჩნია ნაღველი. დადი,  
აღამიანმა თუ ბედისწერამ.

ბეგო შიმშილი, სირბილი, ყინვა,  
როგორ იტანდი, ნეტავი, ამდენს,  
შეგყურებ ასე და გული მტკივა.  
ერთგულ ძაღლს ზოგი  
ძაღლად არ გავდებს.  
ნეტავი კაცი თუ აიტანდა  
შენდენ წანწალს და სიცივეს შენდენს,  
გავასწორებენ ზოგჯერ მიწასთან,  
დაგაფასებენ სიკვდილის შემდეგ...

## გაზაფხული

გასისხლულ ცაზე წურბელებივით  
ჰკიდია დაბერილი ღრუბლები,  
მუგუზლებივით აყრია  
თრთვილში გახვეული დედამიწას  
ატმის კვირტები...

### გამომგზავნილობა აშთაისთან

მივდივარ და მიმაცილებს მერცხლის ენა,  
ცაზე ბრწყინავს შვიდი ფერი ცისარტყელის,  
მოსრილებს ლურჯ ფერდობზე წყალწითელა,  
მზე მიცინის მის ტალღებში არეკლილი.  
გშორდები და არ შემხედო თვალში ცერად,  
ჩემო სულო, ჩემო ხორცო, ჩემო სისხლო,  
ცრემლიც მიმაქვს, სინანულიც და სიმღერაც.  
გული ჩემი შენთან რჩება, ქუთაისო...

### ვორკუტის გახსენება

ლევან გოთუას ხსოვნას

ძელური სახლი, სახლი ოთხკუთხა,  
შვიდსიმიანი კენესა გიტარის,  
გამახსენდება ისევ ვორკუტა,  
კაცი სიმღერით ყინვას იტანდი.  
იქ სოლოლაკელ შევხვდი იაშას,  
(შენი ძმაც იყო და მეგობარიც),  
დრომ მასაც შუბლზე ყინვა მიაფშვნა,  
მანც ვთქვით შენი შესანდობარი.

სულს გვინათებდა დილის რიერაჟი,  
თუმცა თოვლივით წლები დნებოდა,  
და ამ ვორკუტის მწარე ყინვაში  
რამხელა სითბო იმალებოდა.  
ძელური სახლი, სახლი ოთხკუთხა,  
შვიდსიმიანი კენესა გიტარის,  
გამახსენდება ისევ ვორკუტა,  
კაცი, რომელიც ყინვას იტანდი...

### ბ ე დ ი

გამომეკიდა ტირილით  
ტალღა,  
ამავსო ფიქრით,  
იდუმალ ღელვით...  
გაშმაგებულმა  
ზღვამ დაიბლავლა,  
უცებ მომესმა,  
სიმღერა გედის.

მღეროდა იგი  
დასჯილი ბედით  
და ეშვებოდა  
ნელ-ნელა დაბლა,  
ზღვაზე ფერმკრთალი  
დაეცა გედი,  
სიცოცხლე მისი  
წაიღო ტალღამ...

### გვინანი სინანული

წვეთი იქცევა თურმე მორევად,  
მერე მორევი იქცევა წვეთად,  
ნეტავ შეგვეძლოს, ჩვენი ცხოვრება  
დავიწყოთ ისევ თავიდან ერთად...

**ამ ერთი ნიშნით**

ამ ერთი ნიშნით — ბედნიერი ხარ,	არ დაგაყოლა ნიჭი ბუნებამ,
ცხოვრება შენი არავის არ შურს,	იყო ლომებზე, ხარზე ძლიერი,
მიჭყვები ბედის ნებას და სურვილს,	ცხოვრება შენი არავის არ შურს,
გზას განათებულს, ნაწამებს, ქართულს;	ამ ერთი ნიშნით ხარ ბედნიერი.

**მარტის ღამე**

წვეთ-წვეთად ისმის თოვლის დნობა სახურავიდან,  
მერე მოყინავს, ქვას გახეთქავს, ალბათ, დილისთვის,  
წარსული თოვლი ვერ გაიგებ საით წავიდა,  
კიდევ რამდენი მარტი მოვა, აბა ვინ იცის;

წვეთ-წვეთად ისმის თოვლის დნობა სახურავიდან,  
მერე მოყინავს, ქვას გახეთქავს დილისთვის ალბათ,  
ეს მეორმოცედ იწყებს ღმერთი ისევ, თავიდან,  
კაცის სიცოცხლის და ცხოვრების მოსაწყენ ამბავს.

**გზა**

დამლღელმა გზამ თუ მძიმე ფიქრის დაღი დაგასვა,  
კარგი იქნება თვალი შენი — წინ, შორ გზას მზირდეს,  
შეკრიბე ძალნი, შეცდომაა ხაზის გადასმა,  
სიცოცხლეს ისეთს უმეგობრე — სიკვდილად ღირდეს;

ფეხი არაფერს დააბიჯო — ისე იარე,  
თუნდ მზის საათი უკანასკნელ წუთებს წურავდეს,  
მართალი სული შეაგებე დროთა სიავს,  
მერე ჩამოჯექ და ნაბიჯებს მიაყურადე

**ნუ გამახსენებ**

ნუ გამახსენებ მოჩვენებას, ღამის ფერიას,  
გარდასულ სიზმარს, აცრემლებულ ტირიფს დაშვებულს,  
ბაღის ხეები მის დანახვას დღესაც ელიან,  
ბრწყინვალე ხილვას, ღვთიურ ნათელს, გაკაშკაშებულს;

სულის ფოლადი დიდ სიმძიმეს ვეღარ გაუძლებს,  
ძველი ხილვები — ფიქრს დღევანდელს სევდით ავსებენ,  
რამე მსუბუქზე გამაცინე, გამესაუბრე,  
თავდახრილ ტირიფს, ატირებულს, ნუ გამახსენებ.



## გურამ გვარდწითელი

# ბ მ ი რ ი   დ ა   დ რ ი

ასევე საინტერესოა „უბრალო ადამიანის“ თვალსაზრისით ედიშერ უფიანის მეორე მოთხრობა „ჰობოი“. მწერალი აქაც დიდი სიუჟარულითა და თანაგრძნობით გვიხატავს შეუმჩნეველი რიგითი ადამიანის, ჰობოიზე დამკვრელ დიმიტრის სახეს, გვიხატავს იმ დრმა რწმენით, რომ უოველ პროფესიას აქვს თავისი სიღამაზე და დანიშნულება, რომ უოველი ადამიანის საქმიანობა, ერთი შეხედვით რაღაც უმნიშვნელოც არ უნდა იყოს იგი. ფაქიზი დამოკიდებულებისა და დაფასების ღირსია.

დიმიტრი ათეული წლების მანძილზე იმით ინუგეშებდა თავს, უოველ ხელობას აქვს თავისი მომამბურებელი ერთფეროვნება. მისი ცხოვრება საკმაოდ მარტივი იყო, უოველ საღამოს ჰობოის ქნევით შეაღებდა ოპერის კარს და თავის ადგილს მიაშურებდა ორკესტრში. მაგრამ ერთ დღეს მას დაუბრუნდა უმარტივლური გატაცება და თავისი ცხოვრებაც სულ სხვა შუქით განათებული წარმოუდგა. დიმიტრი აქაჩარბული მიჰყვებოდა ქუჩის კიდეც ასფალტზე, როდესაც სულ ახლოს ჩაუქროლა ტროლეიბუსმა. შეშინებულიმა გამოვლდებმა აქა-იქ შეკივლეს კიდეც. ქუჩის მთელ ამ ხმაურში დიმიტრიმ უფრო მოჰყრა, უკან ვიღაც ვაჟმა თანამგზავრს რომ ჰკითხა: „იცი ვინ არის ეგ კაცი?“ დიმიტრი განაჩენივით ელოდა პასუხს. ვაჟმა თვითონვე განმარტა უბრალოდ: „უმაგისოდ ოპერის „დაის“ ვერ დაიწყებენ“. დიმიტრიმ ვერც კი მოახერხა გამოეცნო, თუ ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები. მართლაც იგი იწყებდა თავისი ჰობოით დაისის უვერტიურას, სიხარული და მღელვარება დიდხანს გაუვა დიმიტრის, მეტად ადამიანური და ფსიქოლოგიურად გამართლებულია მოთხრობის ბოლო ფრაზა: „ღირიუორის გარდა არავის შეუ-

მჩნევია, რომ ამ საღამოს ჰობოი უაღბოდ უკრავდა“.

ასეთი მოთხრობები კიდეც უფრო გვაუყვარებს ჩვენ უბრალო ადამიანებს, გვიღვიძებს სურვილს რაღაც კეთილი მოვიმოქმედოთ. გავამხნეოთ, წავახალისოთ ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები, თბილი სიტყვითა და უურადლებით ცხოვრების სიხალისე, საკუთარი ღირსების გრძნობა შევმატოთ მათ.

ყველამ ასე როდი გაიგო მოწოდება „უბრალო ადამიანების“ მხატვრული სახეების შექმნისა. ზოგმა ამის საპასუხოდ იწყო გამირის გაუბრალოება. საბჭოთა ლიტერატურაში, კერძოდ, ქართულ პროზაშიც მომძლავრდა ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც თანამედროვეების ცხოვრება დაკლილია უოველივე საინტერესო და ამაღლებულისაგან. მომრავლდნენ ინტერული, ცხოვრების სიხალისეს მოკლებული გამირები, რომელთა უფერული ყოფა ასევე უფერულად არის აღწერილი მწერალთა მიერ. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ მს-იან წლების მეორე ნახევარში, ან მს-იანის დასაწყისში ქართული ლიტერატურული უფრანალებისა და გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ მოთხრობებს. კიდეც უფრო დასაფიქრებელი ის იყო, რომ თანამედროვე ადამიანის გაუბრალოების, მისი აქტიური ბუნების უფულებელყოფის ტენდენცია ზოგჯერ თავს იჩენდა მაღალმხატვრულ ნაწარმოებებში, რომელთა შემოქმედების ძალა მკითხველზე დიდია, ეს კიდეც უფრო გვიმტკიცებს იმის რწმენას, რომ ცალკეულ მწერალთა შეცდომებში კი არ იყო საქმე, არამედ საერთო ტენდენციის მცდარ გაგებაში.

თანამედროვეთა მხატვრული სახეების ასეთ ასპექტში გადაწყვეტა, უბრალო ადამიანების ცხოვრების დაკლა და დაშრეტა მაღალი აზრებისა და გრძნობებისაგან, აქტიური მოქმედებისაგან, რაც თავისთავად გამირის გაუბრალოებას

გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ციცქარი“, № 4, 5, 6, 7, 8.

ნიშნავს მხოლოდ, სულ უფრო და უფრო შეხამ-  
ჩნევი გახდა საბჭოთა ლიტერატურაში. მწერალ-  
თა ერთი ნაწილი უბრალო ადამიანების ძებნაში  
თავისი ნაწარმოებების გმირებად ირჩევდა ისე-  
თებს, რომელთა ცხოვრებაში ნაკლებად იგრძნო-  
ბა ჩვენი თანამედროვე ადამიანის ხასიათი, ფსი-  
ქიკა, შეგნება, ზოლო მეორენი ან ვეღარ ამჩ-  
ნევდნენ ამაღლებულსა და კეთილშობილურს  
უბრალო ადამიანების ყოფაში გამოხატულს, ან  
განზრახ ჩქმალავდნენ მას იმის შიშით, ვითუ  
გმირები უბრალოთა კატეგორიიდან ამოვარდნე-  
ნო ამ მიზეზით. შედეგად მივიღეთ მთელი გაღე-  
რვა მხატვრული სახეებისა, რომელთაც არ შეი-  
ძლება მქონდეთ იმ დროისა და ეპოქის ადამი-  
ანის განწოვადებული და მართალი განსახიფტე-  
ბის პრეტენზია. ასეთი ნაწარმოებების შემდეგ  
სავსებით ბუნებრივია ის კითხვა, რომელიც კრი-  
ტიკოს სკორინოს დაებადა: „განა ასე უბრალოა  
„უბრალო ადამიანი““. სწორედ ასეთი სათაურით  
დაიბეჭდა მისი წერილი 1980 წელს ჟურნალში  
„ვოლკოვი ლიტერატურა“, რითაც დაიწყო ახალი  
დისკუსია საბჭოთა ლიტერატურის გმირის ირ-  
ველივ.

სკორინო სავსებით სწორად სვამს საკითხს.  
მართლაც არ შეიძლება მიქანიკური დაყოფა ამა-  
ღლებულისა და ყოფითისა, გმირულისა და ყო-  
ველდღიურისა. მაგრამ სკორინო ყოველთვის  
როდი პასუხობს სწორად თავისავე სამართლია-  
ნად დასმულ კითხვას. იგი გერ ზედვს მკვეთრ  
მიწანს ყოფითსა და გმირულს შორის. ასეთი მი-  
ჯნის გავლება მართლაც არ შეიძლება და ამისა  
ძიება მხოლოდ გულუბრყვილობა თუ იქნება.  
ამიტომაც იგი საერთოდ უარყოფს გმირულს და  
მას მიიჩნევს ყველა ადამიანისათვის მეტ-ნაკლე-  
ბად დამახასიათებელ თვისებად. მართალია, ჩვე-  
ულდებრე ადამიანების ჩვეულებრივი საქმიანო-  
ბის მოწვევდა საბჭოთა ხალხის მრავალფერო-  
ვანი შემოქმედებითი მოღვაწეობისაგან არ არის  
სწორი და ასეთი შეცდომის შედეგია. „გამეშჩა-  
ნება რიგეთი ადამიანის ხასისა“, რაც ზოგიერთ  
ნაწარმოებში შეიმჩნევა, მაგრამ არც ის იქნება  
სწორი, რომ როგორი წილიც არ უნდა მქონდეს  
ყოველ ცალკეულ ადამიანს საერთო სახალხო  
გმირობაში, ეს უკანასკნელი თითქმის ყველას  
თანაბარ დამსახურებას წარმოადგენდეს. ამ თა-  
ვისა მოსაზრებით, რითაც უბრალო ადამიანების  
დამსახურების აშკარად გამოკვეთა სურს, სკორი-  
ნო უნებლურად ამკირებს გმირობის ფაქტორის  
მნიშვნელობას ცხოვრებაში. თუმცა გმირობა არ  
არის განსაკუთრებულია ზვედრი და უბრალო  
ადამიანების წიაღში იბადება, თავისთავად იგი  
განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, რადგან  
მასებს მოქმედებისა და განვითარების სტიმულს  
აძლევს, აღანთებს მათ.

ახე რომ, ყოფითი სინამდვილის სიდიადის  
აღიარება, მისი შემოქმედებითი ხასიათის დანა-  
ხვა, სულაც არ საპირობებს განსაკუთრებულისა

და გმირულის უარყოფას, რომელიც თუმცა  
რეალურს, მაგრამ ჭერ კიდევ იშვიათ მოვლენებს  
გამოხატავს. მწერლობას ერთის ასახვის უფლე-  
ბაც აქვს და მეორისაც, ამ მხრივ მისი შეზღუ-  
დვა ყოველად გაუმართლებელი იქნება. მაგრამ  
ერთი რამ კი ყოველი მწერლისათვის არის საე-  
რთოდ აუცილებელი. კერძოდ, ის, რომ რასაც  
არ უნდა ასახავდეს იგი, გმირულსა თუ ყოფით  
სურათებს, არ უნდა მოსწყდეს სინამდვილეს.  
ლიტერატურაში გმირულიცა და განსაკუთრებ-  
ლიც მწერლის შიშველი ფანტაზიის ნაყოფს კი  
არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ რეალური  
ცხოვრებიდან უნდა იღებდეს სათავეს, ისევე  
როგორც ყოველდღიურობის მხატვრული სუ-  
რათების შექმნისას მწერალი ყოფითს ცხოვრე-  
ბას ისტორიული განვითარების პირობაში უნდა  
ხედავდეს. მაშინ დაზღვეულნი ვიქნებით იმ გაუ-  
ბრალოებისაგან, ზოლო ზოგჯერ ვულგარისაი-  
საგანაც, რაც ზოგიერთ მწერალს მოსდის თავის  
მხატვრულ პრაქტიკაში.

ის ერთგვარი დაბნეულობა, რომელიც მწერ-  
ლების ერთ ნაწილში შეიმჩნეოდა და რომელიც  
გამოწვეული იყო ნი-იანი წლების საზოგადოებ-  
რივ ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხებით, და-  
ძლეულ იქნა. მთელი რიგი პრობლემატური  
საკითხები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენი-  
ჭებოდათ საბჭოთა ლიტერატურის შემდგომ გან-  
ვითარებაში, ასე თუ ისე გაიკვდა და განიშარტა.

სულ ასეც არ იყო საქმე, რომ საბჭოთა, კერ-  
ძოდ, ქართული პროზა გაუბრალებული „უბ-  
რალო გმირებს“ გადაჰყოლოდა, ამგვარი ნაწარ-  
მოებების გვერდით ისეთი რომანებიცა და  
მოთხრობებიც იწერებოდა, რომლებშიც დროის  
დიდი პრობლემები იყო წამოჭრილი და მათში  
თანამედროვეთა სახეები მწერლის აქტიური პო-  
ზიციებიდან იყო დაბატული. იმ დროის ქარ-  
თულ საბჭოთა პროზას „ტრადიციული“ და მნი-  
შვნელოვანი ნაწარმოებებიც საქმოდ შეემატა.  
მათ შორის უნდა აღინიშნოს კონსტანტინე გამ-  
სახურდიას რომან-ეპოპეა „ვანის უკვილობა“,  
რომლითაც ავტორი, ისტორიული ეპიქით დიდი  
ხნით გატაცების შემდეგ, კვლავ დაუბრუნდა თა-  
ნამედროვეობის თემას. იმ რთული მიკროკოქიკის  
ქართულ მხატვრულ პროზაში „ვანის უკვილო-  
ბის“ გმირები ვახტანგ კორინთელი, გოდერძი  
ელვანიძე, ნუნუ უჭირავლი აშკარად გამოირ-  
ჩევიან თავიანთი მასშტაბურობით.

„ვანის უკვილობაში“ კონსტანტინე გამსა-  
ხურდიას მისთვის დამახასიათებელი ფართო თვა-  
ლთახედვით აკვირდება ცხოვრებას და თუმცა  
ერთი ქართული სოფლის და მის მკვიდრთა ხელ-  
იღბალზეა ეს რომანი დაწერილი, მწერალი არ  
იფარგლება კონკრეტული დროისა და ადგილის  
რიულ ექსპურსებს და რომანში წარმოდგენილი



სიახლეებს), მაგრამ მთავარი მიმართულება იმ მიკროკოპიაში მაინც ეგრეთწოდებული „უბრალო გვირგვინის“ (მხოლოდ ამ ტერმინის ნამდვილი არსით და არა მოდური მოჩვენებითობით) სამუკაროვე ვადიოდა. მთავარი როლი ამ დროის მიერ მოტანილი ამოცანის გადაწყვეტაში ახალგაზრდა მწერლებმა იკისრეს, თუმცა ზოგ შემთხვევაში მათ უფროსებმაც აუბეს მხარი. ამ უკანასკნელთაგან შეუძლებელია არ გავიხსენოთ დემნა შენგელაია და გიორგი შატბერაშვილი.

ამ ორიენტაციათა ცვლის ეპოქაში დემნა შენგელაიას მიერ გამოქვეყნებული ვრცელი, ფსიქოლოგიური პლანის მოთხრობა „განძი“ იმის მოვლენიერი ნიმუშია, თუ ჭეშმარიტ ხელოვანი მრავალა ვრცობს დროის სულიერკეთილეს და თუნდაც ესთეტიკურ მიდრეკილებებსაც. მართალია, დემნა შენგელაიას აღრინდელი ნაწარმოებებიც აშკარად არის აღბეჭდილი ადამიანის სულის სიღრმეების რკვევით, მაგრამ მოთხრობა „განძი“ ამ თვალსაზრისით უთუოდ ახალი ფურცელია მწერლის შემოქმედებაში. თუ მისი აღრინდელი რომანები, „სანავარდო“, „ბათა-ქეჩია“ და სხვები, შეიცვალა საუკუნის ქართული ცხოვრების ეპოქალურ გარემოებს წარმოსახვას და დიდი სოციალური გარდატეხების მოწამედ გვხვდის, „განძი“ უშუალოდ ადამიანის ეთიკური საფუძვლების რკვევას ეძღვნება, ამიტომაც მწერლისათვის ფსიქოლოგიური ანალიზი ამ ნაწარმოებში ერთადერთი საშუალებაა გვირის დრამატული და ტრაგიკული განცდების ასახვად.

შეიძლება თავდაპირველად ერთგვარი დამკვირვება ვაზიონიკოს იმ გარემოებაში, რომ მოთხრობას თითქოს ხელოვნური, ან უფრო სწორად, იშვიათი, არატაბიური შემოსვლა თუ ამბავი უდევს საფუძვლად, კერძოდ ის, რომ საულია, ერთი უბრალო, ახალგაზრდა ქართველი გამრჩე კოლმურენე დღები უდიდეს სიმდიდრეს, ოქროს განძს იპოვნის ყანაში მუშაობის დროს, მაგრამ მთავარი ასეთი ხასიათის ნაწარმოებში განცდის სიმართლეა და არა ფაქტის. ამ თვალსაზრისით კი „განძი“ ჭეშმარიტად მართალი ნაწარმოებია.

დემნა შენგელაიას „განძი“ უთუოდ ვახსენებს მკითხველს ჭონ სტიენბეკის ცნობილ მოთხრობას „მარგალიტი“ და ამ ორი ნაწარმოების შედარება კი თვალნათლივსა ხდის ორი სამყაროს სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესს, ორი სამყაროს ადამიანთა სრულიად განსხვავებულ ფსიქიკას, განცდებს, ეთიკურ საფუძვლებს.

სტიენბეკის მოთხრობაში მარგალიტის ღარიბ-ღატაკი მაძიებლისათვის, ვისაც ავადმყოფი ბავშვის წამლისა და ექიმის ფულიც არა აქვს, ძვირფასი განძის პოვნა ტრაგიკული შეიქმნება, რადგან იგი მონის მდგომარეობაშია ჩაყენებული და თავისი უჩვეულოდ დიდი და ძვირფასი მარგალიტი უნდა დაუთმოს მბრძანებლებს, მარგალიტით მოვაჭრე ბნელ საქმონებს. გვირის პროტესტი აქ სახედისწერო აღმოჩნდება და მა-

რგალიტთან ერთად იღუპება მისი ოჯახიც. სტიენბეკის მოთხრობა მკვეთრი პროტესტითა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

დემნა შენგელაიას მოთხრობის „განძის“ გვირის სულ სხვა სოციალურ გარემოში ცხოვრობს, სადაც ოქროს ფეტიში არ არსებობს და, ამდენად, მისთვის განძის პოვნა მხოლოდ საკუთარი ეთიკური საფუძვლების რღვევის გამო ხდება ტრაგიკული.

საულია და ფუნდუ, ჯანდონითა და ახალგაზრდული ენერჯით სავსე ორი ადამიანი, რომელთაც სულ ახლა დაიწყეს ოჯახის შენება, სიყვარულითა და იმედით არიან აღსავსენი. მათი ცხოვრება უბრალო, უპრეტენზიო, თუმცა ნათელი პერსპექტივითაა სავსე, როდესაც მოულოდნელი უბედურება დაატყდებათ თავს — საულია ოქროს განძს იპოვის ყანაში მუშაობის დროს და უზრუნველი, უშრომელი ცხოვრების ცდუნება მას კალაპოტიდან ამოადგებს. საულია დღეობს თავის არსს, ბუნებას, ცხოვრების წესს, იგი მშრომელი ადამიანია და არა სიცოცხლის ფუჭსავატი მფლანგველი. ეს შინაგანი გაორება მისთვის მიძიდა და სახედისწერო. იგი კარგავს კონტაქტს — მიწასთან, მეზობლებთან, ახლობლებთან, საკუთარი ცილთანაც კი, ვინც გაკეთებით უყვარს. ნაპოვნი ოქროს განძი ფაქტიურად მისთვის ყალიბდებოდა და დააკარგვინებს ჭეშმარიტ განძს, რომელიც გააჩნდა პატიოსანი შრომითა და სიხარულით სავსე ცხოვრების სახით. სწორედ ეს არის მისი ტრაგიკული საფუძველი.

დემნა შენგელაია ძირითადად თავისი გვირის საულიას განცდების მოწმედ გვხვდის, რომელთა დრამატული ხასიათი ჩვენთვის უფრო გასაგები ხდება იმ ნათელი გარემოს ფონზე, რომელიც სოფლის მუდღერო და შრომის სუფივით სავსე ცხოვრების სახით მწერალს ჭეშმარიტი მხატვრის თვლით აქვს დანახული და დახატული. მწერალი მხოლოდ იმ სულიერი უოყმანის ხანმოკლე მომენტს გვიხსნის, როდესაც უნდა გადაწყდეს, თუ რომელი საწყისი გაიმარჯვებს საულიაში. ამიტომ მოთხრობა უფრო ფსიქოლოგიური ანალიზით არის აღბეჭდილი, ვიდრე ამბავის უბრალო თანმიმდევრული თხრობით. საულიაში იმარჯვებს უშუალოდ და სიწრფელი, მისი სულიერი წონისწორება ბოლოს აღსდება, მშრომელი კაცის ბუნება უკუადგებს მოძალებულ ცდუნებებს, მაგრამ საულიას მტად ძვირად უქდება ყოველივე ეს — იღუპება მისი მუდღერი, ნაწი და ფაქიზი სულის მქონე ფუნდუ, ვისთვისაც ერთადერთი განძს ქმრის სიყვარული და პატიოსანი მშრომელი კაცის ცხოვრება წარმოადგენს. ამგვარი ტრაგიკული ფინალი კიდევ უფრო მძაფრად განგვაცდევინებს იმას, თუ რამდენად მიუ-

გვარამ გემარდქიმთალი  
ღარი და სახელმძი



ტყვებელია ადამიანისთვის წნეობრივი საფუძველების დალატა.

გმირის განცდების სიმძაფრით და ფსიქოლოგიური ანალიზის სიღრმით იმ წლების ქართული პროზიდან გამოირჩევა გიორგი შატბერაშვილის ვრცელი მოთხრობა „მკვდრის მზე“. მოთხრობის მთავარი გმირის გიორგის განცდებს აქ ღრმა სოციალური საფუძველიც აქვს, თუმცა „მკვდრის მზე“ უმთავრესად მაინც ფსიქოლოგიური პლანის ნაწარმოებია. გიორგისა და მის შვილს თენგივს შორის კონფლიქტს სწორედ ის განსაზღვრავს, რომ თუ მამა სექტიკურად არის განწყობილი ახალი სოციალისტური ცხოვრების წესის მიმართ, შვილი ერთი უბრალო, მაგრამ აქტიური წევრი და შემოქმედი ამ ცხოვრებაშია. ეს ღრმა სულიერი წინააღმდეგობა და ჭიბრი მამა-შვილს შორის აქ უფრო სიმბოლურ გამოხატულებას პოულობს და ოსტატურად არის დაკავშირებული ხალხურ ლეგენდასთან ხიზამბარელის ლოდის შესახებ. გიორგი წააქოვებს თავის შვილს, რომ ახლანდელი ახალგაზრდობა ვერ შეედრება წარსული დროის ვეჟაცებს, რომ მხოლოდ უწინ შეეძლო ხიზამბარელს ამ უზარმაზარი ლოდის აწევა, რამაც მისი სახელი ლეგენდარულად აქცია. ხალხური სპორტის ეს სახეობა მოთხრობაში ცხოვრების დიდი სიძნეულების დაძლევის სიმბოლოდ იქცევა და თენგივმაც უნდა დაუმტკიცოს მამას ახალი თაობის სიძლიერე, თენგივ ასწევს ხიზამბარელის ლოდს, მაგრამ შეეწირება კიდევ ამას. მოთხრობა ძირითადად ამ ამბით გამოწვეული გიორგის მძიმე განცდების მხატვრული გამოხატულებაა. მწერალი თავის გმირში უბრალოდ გაორებულ ადამიანს კი არ ხედავს, არამედ ორ განსხვავებულ საწყობს, ბორბოტისა და კეთილის განსაზღვრებას გიორგისა და ავ-გიორგის სახით. ვრცელი შინაგანი მონოლოგების მეშვეობით ჯენთვის ნათელი ხდება, რომ გიორგი შვილის მკვლელად თვლის თავის თავს, რადგან ავი თვალთ შეხედა თენგივს, როცა მან ლოდი დასძრა და ნელ-ნელა წვეთი ასწია. მაგრამ არა მარტო გიორგი დამარცხდა, რაკილა შვილი დეარგა, არამედ ავ-გიორგიც, რადგან თენგივ მაინც გაიმარჯვა და მისი სახელი ისეთივე შარავანდედიოაა მოსილი, როგორც ხიზამბარელისა. თენგივ ახალი თაობის შეუდრეკელი ნებისყოფის და გმირული სულის განსაზღვრებად რჩება მოთხრობაშიც და მკითხველთა თვალშიც.

ორიენტაციათა ცვლის დრო და მისი ნაყოფი

II

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ თავად დრომ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა განაპირობებს სიახლეები მწერლობაში და, ამდენად, იგი უკველი

შემოქმედისთვის თანახმად დამახასიათებელია შეიძლება უფრო და უფრო და უფრო ახალგაზრდობა აშუვა ამ განახლების განცდას. ეს არც არის გასაკვირი, ახალგაზრდობა და კონსერვატიზმი შეუთავსებელი ცნებებია, ახალგაზრდობა თავად არის ახალი გზების მაძიებელი, მით უფრო — ხალხით მიმდები და ამყალი-

სებ მოხდა საბჭოთა მწერლობაშიც, როცა 50-იანი და 60-იანი წლების მიჯნაზე ახალი გზების კონტურები გამოჩნდა. სწორედ ახალგაზრდობამ გაკვალა ეს გზა და მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. იმ წლების ახალგაზრდულ საბჭოთა მწერლობას, ეტრძოდ კი, ქართულს. აშუარად დაეტყო ეთიკური პრობლემატიკით გატაცება. მისთვის მთავარ კითხვად იქცა ის, თუ როგორია თანამედროვე ადამიანი, რა რწმენისა და რა მიზნის, რა წნეობრივ საფუძველებს ეყრდნობა იგი თავის უკველდელი უფროსი. ცოტა ადრე კი მწერლობის უკრადლება ძირითადად იქით იყო მიპყრობილი, თუ რას საქმიანობდა საბჭოთა ადამიანი, როგორ ცხოვრობდა, რა კონკრეტული მიზანდასახულებისათვის იღვწოდა. ამ ორიენტიციათა გადასაცვლებამ გამოიწვია ის, რომ მწერლობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდულში, არა მარტო წნეობრივი ასპექტი მომძლავრდა, არამედ მომრავალდა, საკუთრივ მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკაზე აღმოცენებული ნაწარმოებები.

თანამედროვე ადამიანის მორალურ-ეთიკური საფუძველების მხატვრული რკვევა მწერლისაგან შეტ ფსიქოლოგიურ დეკორაციებს და ანალიზს მოითხოვს. ამიტომაც შეტრიალდა ამ წლებში მწერლობის ხედვის ფოკუსი, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ არავენ ფიქრობს, თითქოს ფსიქოლოგიაში იმ კონკრეტული დროის ლიტერატურის აღმოჩენა იყოს. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ მაშინ მწერლობამ უფრო აქტივთ გამოახილვა ინტერესი, ვიდრე ცოტა ადრე ცხოვრების ემპირიული წარმოსახვისაკენ მქონდა გამახილებული.

ახალგაზრდული პროზისათვის ცდილობდნენ ფორმისეული სიახლეები მიეწერათ და ამით შემოეფარებლათ მისი ნოვატორული ხასიათი. ცხადია, ამგვარი ხასიათის სიახლეებიც თვალში საცემი იყო (ზოგიერთთა შემოქმედებაში კი სულაც განსწავლველი), მაგრამ ქართული პროზის ნოვატიციები მარტო, ან თუნდაც უფრო ფორმისეული რადი იყო, რომლის ამპლიტუდაც აბსტრაგირებიდან ნატურალიზმამდე ახლებოდა, არც კიდევ მხოლოდ სიუჟეტის აგებაში, ფრაზის ლაკონიზმში, დიალოგებში, ქვეტექსტებში, სიმბოლიკაში, მითოსურ მოდელებში და სხვა ამგვარებში იჩენდა თავს. რაც მთავარია, სიახლეები მწერლის ინტერესების სფეროში, მისი პრობლემემატიკის წიაღში, მხატვრული აზროვნების სიღრმეებსა და ორიგინალობაში მდებარეობდა.

მთავარი თავისებურება, სიახლე, რომლითაც 60-იანი წლების ახალგაზრდა პროზაიკოსთა

შემოქმედება იყო აღბეჭდილი, ეს ის გახლდათ, რომ ისინი ცდილობდნენ უპირატესად შიგნიდან გაეხსნათ და ეჩვენებინათ ადამიანის სულის სიღამაზე და სიმბინჯე. ცოტა ადრე კი ამავე მიზნისათვის მწერლობა ძირითადად ადამიანის გარე სამყაროსთან დაყოფილებულუბას, ჯვოვრებისეული მოვლენების განვითარებაში მის მონაწილეობას მინარათავდა და იწველებდა. ამიტომაც მოხდა, რომ 80-იან წლებში მწერლობაში აქცენტმა სოციალიზმიდან ფსიქოლოგიურზე გადაინაცვლა. იმ დროისათვის ეს ტენდენცია შეიმჩნეოდა საერთოდ საბჭოთა მწერლობაში, ნიშანდობლივი იყო მისი საუკეთესო, მაძიებელი, ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის.

გავიხსენოთ 80-იანი წლების ერთ-ერთი უნიჭიერესი რუსი ახალგაზრდა პროზაიკოსი იური კაზაკოვი და მისი მოთხრობები, რომლებიც აშკარად ატარებდნენ რეზომთინიზმებულ თავისებურებათა და საიხლეთა ღრმა და მშვენიერ კვალს ერთი მოთხრობა — „მოხუცები“ — პირდაპირ ამის ნიმუშად გამოდგება. აქ მწერალი მოგვითხრობს ძველი ქალაქის მუდრო ცხოვრებაზე. ქალაქის ახლოს ერთ მხარეს დიდი მშენებლობაა გაშლილი, მეორე მხარეს კი მოწინავე კოლმურენობაა. მწერალი არც მშენებლობას იჩივებს და არც საკოლმურენო ცხოვრებას, იგი თითქოს განჯრახს რჩება ამ მუდრო, პროვინციულ ქალაქში, რომ იქაურ ერთფეროვან ყოფას ადევნოს თავი. მაგრამ აქაც მწერლის მახვილი თვალი ბევრს ამჩნევს. იგი მოწამებს ხდის მკითხველს, თუ რა დიდი, ადამიანური გული აქვთ ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო, ცხოვრების შარავისაგან განვლავარი, გარკვეული ქალაქის ცხოვრებლებს. გავჩვენებს ამ ქალაქში დასახლებული უბრალო, „პატარა“ ადამიანების დიდ გრძობებსა და განცდებს, სიბარუსსაც და სევდასაც.

მერბე ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეებიც“ ხომ სწორედ ავგარი ღრმა და მშვენიერი, სულის ამხვები მუშაინიშით არის განმსკვალული. ასეთი მიდგომა სინამდვილისადმი, — როდესაც ყოფით ამბებში დიდი ადამიანური ვანცდები ამოიკითხება, უბრალო ადამიანების ერთი შეხედვით“ ძნელად გამოსარჩევია, მაგრამ სინამდვილეში დიდი და ქემპარტი სულიერი სიღამაზე იხსნება. — 80-იანი წლების პროზამ პოეტთან. მაღალი ჩინის და წარჩინებული გმირების ადგილი მწერლობაში დაიკავეს „უბრალო“, „რკოთმა“, „პატარა“ გმირებმა, რომლებიც თავის მდგომარეობით და საქმიანობის მასშტაბებით კი არა, არამედ ქემპარტი მუშაინიშით, კეთილი გულით, ღამაში სულია გამოირჩევიან და გვხიბლავენ.

არჩილ სულაიაურის შემოქმედებაში თავიდანვე შეიმჩნეოდა ევრეთოვადებული „უბრალო

გმირების“ განსხიერებისაკენ სწრაფვა. მოთხრობების გმირები არიან ახალგაზრდები, სტუდენტები, ჯარისკაცები, კალატოვები, მეწილეები; შეისრებენ, ემეაწქანები, მტოეაწქები და ამდგავარი ხალხი, რომლებიც კი გამოირჩევიან თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით თუ მოქმედების მასშტაბურობით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ადამიანები არიან თავიანთი კეთილი წინაა და გულის წყალობით. მოთხრობებსა და რომანებში თვალათლივ შეიმჩნევა მწერლის ფართო ინტერესი, მისი მისწრაფება, ღრმად ჩასწვდეს ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებს, სადაც ყველაზე გამოკეთილად შეიძლება იხატებოდეს ადამიანის სულის სიღამაზე თუ სიმბინჯე, მისი ნასიათის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. სულაიაურისათვის ცხოვრებისეული მოვლენა ადამიანის სულის შესაცნობი საშუალებაა. რასაც არ უნდა ეტეოდეს მწერალი, სამამულო ომი ეჩენება ეს თუ ომის წინააღ ტრაგიკით სავსე წლები, ან კიდევ თანამედროვე ცხოვრება, მწერალს, იმდენად თვით მოვლენების განვითარება არ აინტერესებს, რამდენადაც ადამიანის სულის მძობაა. მისი ხასიათის მონალოთურობა თუ მერყეობა, მისი მთლიანი წნეობრივი სახე.

არჩილ სულაიაურის პირველი მოთხრობის „ტალღები ნაპირისაკენ მიისწავლიან“ (1957 წ.) — თემა სამამულო ომი. ამ თემაზე კართულ პროზაში მანამდეც არაერთი ნაწარმოები დაიწერა. თავად ომის და მის მომდევნო წლებში მწერლები თავიანთ მოთხრობებსა და რომანებში უპირატესად წარმოვსავსავენ ბძობლის ეპიზოდებს, სადაც თავისათვე ჩანდა საბჭოთა მეომრის თავანწირვაც და გმირობაც. მაგრამ ეს, თუ ყოველთვის არა, მეტწილად მინც, ამბის მარტივი თხრობის ხასიათს ატარებდა. ემპირიული ასახვის იქით ვერ მიდიოდა. შემდეგ, როცა დრომ შესაძლებელი გახადა ამ უდიდესი მოვლენის უფრო დაღინებელი გააზრება, უფრო ღრმად დანახვა, მწერლებს ფრონტული ცხოვრება უბრალოდ გმირების მოქმედების გამოსახატავად კი არ იზიდავდა. არამედ მათი ხასიათის, სულიერი სამყაროს გასახსნელად. მართლაც, შეიქმნა რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები, სადაც საბჭოთა ადამიანის მაღალი პატრიოტული სული, ნებისყოფის სიმტკიცე, ხასიათის სიძლიერე მხატვრულად დამაჯერებლად გადმოცემული. თუმცა, ესეც ძირითადად ისევ ძველ, უყვე ნაყოფს ყალიბის იყო ჩამოსხმული: ცოტა მეტი სიღრმით, ცოტა მეტი ფსიქოლოგიკით, ცოტა მეტი უშუალობით იქცევა ყურადღებას, დიდად კი არ განირჩეოდა.

მოთხრობაში „ტალღები ნაპირისაკენ მიისწავლიან“ სულ განსხვავებული ინტერესია წინა პლანზე წამოწეული, ამიტომაც გამოჩნდა თა

ვის დროზე სრულიად ახალ და უჩვეულო ნაწარმოებად, ზოგიერთთათვის კი მიუღებელი სიტყვადაც. მწერალი აქ ნაკლებ ყურადღებას აქცევს, შეიძლება ითქვას, სულაც გვერდს უვლის საბრძოლო ეპიზოდებს და ძირითადად გმირების სულიერი მდგომარეობის გარკვევას და ანალიზს უნდობა. იგი იმას კი არ გვიჩვენებს, თუ გმირი როგორ მოქმედებს ბრძოლის ველზე, სადაც უშუალოდ შეიძლება გამოჩნდეს ვაჟაკობა, არამედ კმაყოფილება მისი სულის ნათელის გამოხატვით, მისი განცდების, ომთან დამოკიდებულების გადმოცემით და სწორედ ამ თითქოს არცთუ მთავარი გზით გვარწმუნებს ჩარისკაცის გმირულ ბუნებაში. ამიტომ, მნიშვნელობა აღარ აქვს იმას, გავხდებით თუ არა მოწამენი ჩარისკაცის თავგანწირვისა, ჩვენთვის ნათელია მისი სულის ზიდაიდე და მთავარიც სწორედ ეს არის.

აქ არც გმირული თავგანწირვაა, არც აქტიური შურისგება, ან თუნდაც რაიმე ისეთი ეპიზოდი, სადაც ჩარისკაცის მაღალი პატრიოტული გრძნობა და სულის სიმტკიცე უშუალოდ, პირდაპირ შეიძლება დინახოს მკითხველმა. მაგრამ, სამაგიეროდ, ყოველივე ამას მკითხველი აშკარად განრთხობს და ზედმეტ სულაკაურის მოთხოვნაში იმ განცდების მეშვეობით, ღრმა სულიერი ტკივილებისა და აფეთქებული მამაკაცური სინდისის წყალობით, რომელთაც ასე ოსტატურად, ძლიერად, მღელვარედ გადმოგვცემს მწერალი.

მწერალი ამ მოთხოვნაში დიდ განზოგადებებამდე მიდის. თითქოს პატარა, კერძო ამბავში საერთოდ ბოროტისა და კეთილი საწყისების დაპირისპირებას იძლევა და ღრმად აფიქრებს მკითხველს ამ მარადიულ პრობლემაზე. მხატვრული ხერხი, როცა ავტორი თავის გმირებს სახელმძვავს კი არ არქმევს და ასე წარმოგვიდგენს — ჩარისკაცი, ზემდეგი, ქალიშვილი, — საერთოდ ახალი არ გახლავთ. არჩილ სულაკაურმა იგი პირველმა გამოიყენა ქართულ საბჭოთა მწერლობაში დიდი ხნის მთავრების შემდეგ. ამ ხერხის მოხმობა თავად მოთხოვნის სპეციფიკობით, მისი მიზანდასახულობის შესაბამისად, ავტორისეული ჩანაფიქრით იყო აუცილებელი და ამდენად არა მარტო ოსტატურად, სავსებით მართებულიადაც იქნა გამოყენებული. ამით მწერალმა კიდევ ერთხელ და საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მისი ჩარისკაცი, ზემდეგი და ქალიშვილი მარტო კერძო პიროვნებები არ არიან, არც მხოლოდ ტიპური სახეების წარმომადგენენ, ისინი უფრო დიდი და ზოგადი ადამიანური ბუნების მხატვრულ სიმბოლოებად გვევლინებიან. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მოთხოვნის გმირები მეტისმეტად აბსტრაგირებულნი იყვნენ. ამ ზოგადი იდეის გამოხატვის დროს ისინი სწორედ რეალურ დროსა და სივრცეში იმოქმედიან,

ფორტული ყოფის გარემოში მოქმედებენ. ღრმად კონკრეტობრივულნი არიან თავიანთი საქციელის, გრძნობის, განცდის უბრალოდობის და ცხოვრებისეული სიმართლის წყალობით. მაგრამ, ამასთანავე, ყოველი მათგანი ზოგადი ადამიანური ბუნების და საწყისის სიმბოლოური მინიშნებაცაა.

მოთხოვნაში ერთმანეთს უპირისპირდება, ერთის მხრივ, ის ბოროტი ძალა, რამაც ომის მთელი საშინელება დაატრიალა და სიკვდილის სიცოცხლეზე გამარჯვება მოიწადინა, მეორე მხრივ კი, ქალიშვილის ნაზი, სუფთა, სიცოცხლის სიყვარულით და წყურვილით სავსე ბუნება, ჩარისკაცის კეთილი საწყისის სიმბოლოა ანთია.

ღიად დარჩენილი საფლავი ომის საშინელების ყველაზე მეტყველი, შემადარწუნებელი სურათია, ერთდროულად რეალური და სიმბოლოური განსახიერებაა ბოროტების უსაზღვრობისა. ამიტომ წარმოიქმნება მძიმედ დაჭრილი ჩარისკაცი ხრიალით ფიცხ: „მე თუ გადავრჩი, ვიბრძოლებ, მარტო შურისძიება არ მომსვენებს, სხვა რომ არა იყოს რა, ღიად დარჩენილი საფლავებისათვის ვიძიებ შურს“...

მოთხოვნაში „ტალღები ნაპირისაკენ მისწრაფიან“ ერთმანეთს უპირისპირდება არა მარტო ბოროტება და სიკეთე, სიკვდილი და სიცოცხლე, არამედ ადამიანური სისასტიკე და ლმობიერებაც, სიუხეშეც და სიფაქიშეც. მწერალი უბრალოდ კი არ გვიჩვენებს ამ ორი განსხვავებულ, დაპირისპირებულ, მაგრამ თანაბრად ადამიანური ბუნების, ხასიათების გამოვლენას, არამედ იმასაც აკვირდება და ეძიებს, თუ რომელი მათგანი უფრო ძლიერია, რომელს უწერია გამარჯვება, რომელს ძალუძს წინააღმდეგ ბოროტებას.

„ერთი შეხედვით თქვენ ყველანი ის მკვხართ ერთმანეთს...“ — სინანულით ეტყვის ქალი ჩარისკაცს სიკვდილის წინ... ამან მოატყუა იგი მწარედ, სახედისწერო შეცდომამდე მიიყვანა. ზემდეგი უკან მობრუნებული ჩარისკაცი ეგონა. მალე მიხვდა, რომ შეცდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. იმასაც მალე მიხვდა, რაშიც გულწრფელად გამოუტყდა ჩარისკაცს: „შენ შეგეძლო ჩემი სიყვარული, მას — არა“.

ჩარისკაცები მკვანან ერთმანეთს, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად, მხოლოდ ერთი შეხედვით. ეს ამ მოთხოვნაშიც შესანიშნავად ჩანს, ეს აქაც ღრმადაა გახსნილი. მწერალს ხომ სწორედ ჩარისკაცის და ზემდეგის დაპირისპირებით მიეკვარათ მთავარი სათქმელისაკენ.

ჩარისკაცი, სუფთა, შეურყენელი ახალგაზრდაა. იგი მეოცნება და მიმდებლობა, ალღოა და გულანობა, მასათვის სუფთაა მისი ერთგობა სიყვარული ქალიშვილისადმი. ვისაც სულ ორჯერ ნახავს იმ სახედისწერო შეხვედრამდე, როცა



ქალიშვიდი სულ დაღვს მის მკლავებზე. ზემდეგი თავს არ იწყობს ადამიანის სულში ჩახედვით. მხოლოდ წაგლებასა და მიტაცებაზე ფიქრობს. მას არც არაფრად ენადვლება ეს ქალი, მისი ბედი, მით უფრო განცდები. ზემდეგის ბუნება, ეს უბეში ძალა ამ შემთხვევაში გადასწონის, დახმლებს ჭარისკაცის ამით, ფაქი, შუურყველი ბუნებას. მაგრამ სუთ მხოლოდ იწყება, არკი თავდება ეს დიდად საგულისხმო ქილილი.

თანდათან და სულ უფრო თვალსაჩინოდ მულავენება მთელი სიძლიერე ჭარისკაცისა, ვინც ჩვენ ერთ შეხედვით ზემდეგზე სუსტი ვგეგვინა. ბოროტების დაორგუნვა უბეში ძალას კი არ შეუძლია, არამედ მხოლოდ დიდსა და ნათელ გრძნობას, ყოვლისმომცველ სიყვარულს, რომელიც უძლიერეს ხდის ადამიანს. სწორედ ამის განსახიერებაა, ერთდროულად კონკრეტული გამოხატულებაა და სიმბოლოცაა ამ მოთხრობაში ჭარისკაცი.

ასე იმარჩევებს ჭარისკაცი სიკვდილზე და მისი ნათელი სული სხვასაც ახსივარსებს. ცხოვრებაში ძლიერი იმორჩილებს სუსტს, შუქი ავსებს ჩრდილს, სიკეთის ზეიმი გარდუვალა. ამიტომაცაა, რომ ადრე გულცივი ზემდეგი ახლა თავაღზე ცრემლმომდგარი, ამღვრეული მწერით დაჰყურებს ჭარისკაცს, რომელიც მოკვდა, მაგრამ დატოვა დიდი, ნათელი აზრი და მიზანი ცხოვრებისა.

არჩილ სულაკაურის ამ მოთხრობაზე იმიტომაც შევაჩერე ასე ხანგრძლივად ყურადღება, რომ იგი ერთ-ერთი პირველი იყო ქართულ პროზაში, სადაც სულ ახლებურ მსოფლშეგრძნობასთან და მხატვრულ აზროვნებასთან მოგვიხდა შეხება. მაშინ გაკვირვება და აღტაცება გამოიწვია მან, ზოგიერთმა კი — გაკვირვება და აღშფოთება. დრომაც ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, მტყუან-მართალიც გაარჩია, ამ მოთხრობის მნიშვნელობაც ცხადი გახდა.

„ტალღები ნაპირისაკენ მისწრაფიან“ არის მშვენიერი, ღრმად ემოციური ბალადა ჭარისკაცზე, ისევე როგორც ჭაუხრაის მიერ იმავე წლებში გადაღებული ფილმი პირდაპირი მინიშნების მქონე სათაურით — „ბალადა ჭარისკაცზე“. ეს ორი ნაწარმოები არამტოვ განსხვავებული მხატვრული მანერით არის შესრულებული, არამედ სულ სხვადასხვა ხელოვნების კეთილშეცდვაცაა, მაგრამ მაინც ახლობელია, მსგავსია, ნათესაურია იმით, რომ ორთავე პოეტური ბალადაა.

არჩილ სულაკაურის მეორე მოთხრობა „წყალიდიობა“ საესეა ყოფითი დეტალებით, ცოცხლად გვიხატავს მტკვრის სანაპიროსა და მის ბინადართა ცხოვრებას. ამასთანავე, მძაფრდაა მასში დასმული ადამიანის ზნეობრივი სიწმინდის პრობლემა. ერთი შეხედვით, ძველი თბილისის სანაპირო თავისი ტივებით, პატარ-პატარა წისკვილებითა და ნავეებით, მერწისკვილეებით,

მედუქნებით, მრეცხავებით, ხელოსნებით, მეთევზეებით, რომელთა ცხოვრება მეტწილად პატარა ევოებსა და უსწორმასწორო ქუჩებში, ან ღია ფართო აივნებზე, ერთმანეთის თვალწინ მიედინება — ყველაფერი ეს, რასაც მწერალი მართლაც კოლორიტის მახვილი გრძნობით, მსუყვე ფერებით გვიხატავს, თითქოს ყოფითი ნაწარმოების შექმნისთვისაა გამოწვლილი. მაგრამ არჩილ სულაკაურს აქ, პირველ რიგში, ადამიანის ქცევისა და საერთოდ ცხოვრების ზნეობრივი პრინციპების გარკვევა და გამოხატვა სურს.

ბალადა ზნეობა აუცილებლად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენასთან კავშირში როდი ჩანს. იგი ერთნაირად ძლიერად და ლამაზად სუკვიის დიდსა თუ პატარა, იქნებ სულ უმნიშვნელო ფაქტსა და მოქმედებაში. მეთევზე ლაღოც ამ მოთხრობიდან სწორედ ასეთი პატარა და უბრალო ადამიანია, ვისაც არც უფიქრია დიდ საქმეებზე. მისი ცხოვრების დღენი ერთგვაროვნად, მოსაწყენად, თითქოს ფუჭადაც მიედინებოდნენ, მაგრამ მკითხველისათვის თვალნათლივ ხდინან ამ გულმართალი და სინდისიანი კაცის პრინციპებს.

საზოგადოების ყველაფერში არიან ზნეკეთილი და ზნედაცემული ადამიანები. აქ განათლება ან პროფესია გადაწყვეტს როდის არ თამაშობს. მეთევზე ლაღოც გამოირჩევა ამ წრეში, სადაც იგი ტრიალებს და რომლის კანონმდებელიც, სამწუხაროდ, მეწისქვილე ანტონაა — ეს წამლეტი, გარყვნილი, მეთავისე კაცი. ლაღოს თანაბრად გულმზურვალედ შეუძლია უთანაგრძნოს ყველას, თვით უცნობ ნატოსაც კი, ახალგაზრდა ქალს, ვისაც ავბედითად უტრიალებს ანტონა. მას არა მარტო ნატოზე, უბრალოდ ყოველ ცოცხალ არსებაზეც შესტკივა გული და ამიტომაც შეებმის ადიდებულ მტკვარს ნაგავის გადასარჩენად.

ლაღოც, ეს უბრალო მეთევზე, ერთი ჩუმი და უტყვი კაცი, თავისი ცხოვრებითა და ქცევით ირველივ სიკეთისა და სიყვარულს თესავს მხოლოდ. ადამიანს ყველა ვალი გახტუმრებული უნდა ჰქონდეს, ეს ღრმად სწამს ლაღოს და ამ პრინციპს მისდევს კიდევ ცხოვრებაში. რა ვუყოთ, თუ ლაღოს ასპარეზო ან მასტაბები აქლია, მისი ყოველდღიური ყოფა თუ უთლიერი სამყარო ამით ნაკლებ საინტერესო ან მნიშვნელოვანი სულაც არ ხდება.

მხატვრულ სამყაროში ზნეობრივისადმი გამაზვიებლებული ყურადღება სულაც არ გულისხმობს სოციალურისაგან მის დაცლას. ლიტერატურაში მათი გამოქვანა, განცალკევება, შეუძლებელი თუ არა, დიდად სახიფათო მანცაა. ისინი ზომ ცხოვრებაში ერთმანეთთან ორგანულად არიან დაკავშირებული, გადაჭაჭვულნი, ერთიერთის განაპირობებენ და განსაზღვრავენ. ამ არასასურველი ცალმხრივობით არა სცოდავს არჩილ სულაკაურის შემოქმედება. მეტც.

მწერალმა უკვე ახალგაზრდობის წლებშივე, პირველსავე მოთხრობებში მოგვცა ეთიუპისა და სოციალურის სინთეზის მაღალმახტარული და მაღალმოქალაქეობრივი ნიშნები, რაც შემდეგ გაშლავდა უფრო მასშტაბურად რომანების „ოქროს თევზი“, „ლუკა“ და რამაც ბევრწილად განაპირობა მათი იდილი მწიფელობა ქართული მწერლობისათვის.

არჩილ სულაქაურის ადრინდელი მოთხრობების ლოგიკურ გაგრძელებად, მეტიც, მისი შემოქმედების ამ ეტაპის მთავარი პრობლემატიკის, სათქმელის, საფიქრალის და საწიუხარის შემაჯამებელ, დამაგვირგვინებელ ნაწარმოებად ჩანს მისი პირველი რომანი „ოქროს თევზი“, რომელიც 1908 წელს გამოქვეყნდა. აქ აშკარად არის გამჟღავნებული ავტორის უკომპრომიზო და მოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოეზიის, საიდანაც აკვირდება და აფასებს თანამედროვეობას და იმ ახალგაზრდობასაც, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოდის და მკვიდრდება.

მწერალი აქ „დაუნდობელ“ რეალისტად წარმოგვადგა. იგი „ოქროს თევზში“, მიუხედავად ჭარბად მოზომილი სიმბოლიკისა, გვაძლავს პარდაპირ ვუყუროთ თვალში ცხოვრების სინდრელებს თუ ბოროტებასაც კი, ღრმად ჩაიხედლოთ ადამიანების გულგებში, სადაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სათნოება და სიყვითე არ არის დასადგურებული. მწერლის აზრით, რაც უფრო მძიმე იქნება მკითხველისათვის ყოველივე ამის განცდა, მით უფრო მეტად არგებს ეს მის სულს.

„ოქროს თევზი“ ქართულ ლიტერატურაში ახალი ტიპის რომანების რიგს მიეკუთვნება, რომელიც სათავეს სწორედ არჩილ სულაქაურის და მისი თაობის მწერლების შემოქმედებაში იღებს. ამ რომანებს მათთვის დამახასიათებელი ნიშანდები გამოარჩევს კლასიკური ქართული პროზისაგან: სოციალური და ზნეობრივი პრობლემატიკის ორგანული დაკავშირება, მითების, სიმბოლიკის, პირობითობის ფართოდ მოშველიება და ამით მრავალპლანაინაობის მინიჭება; რეალიზმის ფარგლებში მხატვრული ნაქვარის შექმნა; ლირიკული ნაკადის სიმშლადე; ორიგინალური კომპოზიცია რეალურის, პირობითის, რეტროსპექციის ხშირი მონაცვლეობით; დიალოგებისათვის განსაკუთრებული ფუნქციის მინიჭება და ავტორისიული ტექსტის, მით უფრო კომენტარების მინიმალური დაყვანა. გამოირჩევიან ისინი თავისი მოცულობითაც და მასშტაბებითაც. აქ დროცა და გარემოც შედარებით ლოკალიზებულია. მაგრამ ეს არ უშლის ხელს ავტორებს ფართოდ და, რაც მთავარია, მძაფრად დაუყონ მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების არსებითი და მტკივნეული პრობლემები. ეს ყველაფერი „ოქროს თევზში“ ითქმის.

აქ უროადლების ცენტრში ახალგაზრდა გმირი დგას. მის საზოგადოებრივ ყოფაზე, შინაგან განცდებზე, ეჭვებსა და იმედებზე, ცხოვრებასთან დამოკიდებულებაზე, ზნეობრივ პრინციპებზე და მათ ჩამოყალიბებაზე, ერთი სიტყვით, მის მთლიან სახეზე მოგვიტორობს არჩილ სულაქაური. არც მას და არც მის გმირს არ აწინებთ ცხოვრების მძაფრი და მკაცრი ხილვა, ისინი გულწრფელად გვიმხედონ თავიანთ დაკვირვებებს, დასკვნებს, რაც ხან სიხარულსა და იმედებს, ხანაც მძიმე განცდებს აღძრავს მათში.

მწერალი ღრმად გვაჭერებს იმაში, რომ ბრძოლა მაღალი ზნეობისათვის ღირსია ისეთი მსხვერპლისაც კი, რასაც ოჯახური კეთილდღეობა ჰქვია. დათოს არა რტყენია წინ აღუდგეს ოჯახს, ანგარიში არ გაუწიოს დედის მუდარას, მამის რტყვას. იგი ყოველივე ამის გამო კარგავს ოჯახსაც, სატრფოსაც, ახლობლებსაც, სამსახურსაც, სიმშვიდესაც, რის საფასურადაც იძენს სიმატობის რტყმენას, რაც მისთვის ღირსეული საზღაურია. გარეგნულ კეთილსინდისიერებაში შენიღბულ მახინჯ სულს იგი უპირისპირდება შინაგანი გულწრფელობითა და პატიოსნებით. ბოროტებისადმი შეურიგებლობით და იმას უკვე ნაკლებად დაეძებს, თუ როგორ ფორმაში იქნება ყოველივე ეს გამოხატება. მისი ახალგაზრდული უკომპრომიზო სული ამას არად აგდებს. „უცნაურ“ კაცად მონათლული დათა სწორედ ამ რომანში ქანასლი, მართალი სულის პატრონი და თუმცა მას ძალიანაც უჭირს, მაინც ცხადია, რომ მისი გზა არამეტოე სწორია, არამედ ერთადერთიცაა.

არჩილ სულაქაურის რომანი „ოქროს თევზი“ საინტერესო და ორიგინალური აგებულების ნაწარმოებია. ეს არ არის მხოლოდ ჩვეულებრივი თხრობა ამბისა, რასაც თან ახლავს გმირების სულიერი ცხოვრების ფსიქოლოგიური ანალიზი. მწერალი ძალზე ხშირად ამჩარბავს პირობითობას, სიმბოლიკას, მოულოდნელ ჩვენებებს თუ გახსენებებს, შინაგან დიალოგებს, რეფერენს, რაც ერთდროულად რომანის სტრუქტურას, მაგრამ არ აბუნდოვანებს სათქმელს. ყველაფერი ეს ავტორს ერთი მთავარი მიზნისათვის აქვს დაქვემდებარებული — უფრო ძლიერ გავგრძნობინოს და განგვაცდევინოს მისი გმირების შინაგანი ეჭვები და წუხილი, უფრო შთაბეჭდვად გავჩვენოს და აგვიხსნას, თუ რამ და რატომ დაუარტა ამ გმირებს სულიერი წონასწორობა.

აქვარიუმში გამომწყვედული ოქროს თევზიც, რომელიც მთელი ამ რომანის მანძილზე არ ეკარგება მკითხველს მხედველობის თუ ფიქრის არედან, სწორედ ამ მარტობის მტანჯველი გრძობის სიმბოლიკური გამოხატულებაა. და როგორც ოქროს თევზს სურს ჰყავდეს ბმის გამცემი, ასევე ეძებენ სულიერ მეგობრებს მირიანი და დათო. ხსნა გაქცევაშია, ამ კედლების

დამსხვრევანია, ანე თავგანწირვით რომ ასკდებ-  
 ბა ოქროს თევზი. ჭერ მირიანი გარბის ოჯახი-  
 დან, მერე დათო. და თუმცა ოქროს თევზი  
 სულს დაფავს ასფალტზე, მაინც ბედნიერია,  
 რომ ეს მიწის კედლები დაიმსხვრა, რომ მისი  
 ამაყი და მშფოთვარე სული თითქოს გადაეცათ  
 ადამიანებს, მირიანსა და დათოს, რომლებსაც  
 ასე დიდხანს და დაბეჭთებით უწერჯავდა მარ-  
 ტოობის, უნაყოფობის, მისი დაძლევის იდეას.

„უბრალო“ გვირგვინის ლიტერატურის ერთ-  
 ერთი პირველი გამოხატულებაა ქართულ პრო-  
 ზაში რევან ჭაფარიძის კინომოთხრობა „სხვისი  
 შვილები“, რომლის მიხედვითაც შეიძლება რეჟი-  
 სორმა თუნგის აბულაძემ ამავე სახელწოდების  
 მშვენიერი ფილმი გადაიღო. იგი მრავალმხრივ  
 საინტერესო ნაწარმოებში გამოდგა. კინემატოგ-  
 რაფიულმა ხედვამ მას სხვა რიტმი და ექსპრე-  
 სია მისცა. მოულოდნელი იყო მისი ძუნწი  
 თხრობა. ხასიათები აქ, როგორც წესი, დიალო-  
 გებში და მოქმედებაში იკვეთება, რადგან  
 ავტორისეული ტექსტი თითქმის არ არსებობს.  
 ეს უვლადური არც ნაწარმოებს და არც მის  
 გვირგვინს არაფერს ვენებს, რომელთა სახეებიც  
 რელიეფურად არის გამოკვეთილი, ხასიათები  
 მთელი სიღრმითაა გახსნილი და, ამდენად, ის  
 დიდი დრამა, რომელიც ჩვენს თვალწინ იშლე-  
 ბა, სახეებით ნათელი და მოტივირებულია.

ამ ყოფითი დეტალებით სავსე კინომოთხრო-  
 ბაში, რომელშიც არც ერთი არამცთუ პათეტი-  
 კური ფრაზა, უბრალოდ საუბარს კი არ არის  
 ადამიანის მორალურ ვალზე ბავშვების, მითუმე-  
 ტეს, შვილების მიმართ, მეტად ძლიერად, შთაშ-  
 ბეგდავად არის გამოკვეთილი, ნაჩვენები (და  
 არა განმარტებული ან თუნდაც ახსნილი) ორი  
 დამოკიდებულება, დათასი და ნატოსი. ერთი  
 ძნელად გასაგები, რთული, მერყევი, რომელსაც  
 საბოლოოდ სძლევეს რაღაც იდუმალი ხმა, და-  
 უმორჩილებელი ვნების კარნახი, მეორე კი უბ-  
 რალო, ნათელი, სპეტაკი, რომელსაც სრული-  
 ად აშკარა და დაუმსახურებელი, მეტიც, უპი-  
 დურესად უსამართლო შეურაცხყოფაც, საკუ-  
 თარი ადამიანური ღირსების გათელვაც კი ვერ  
 აღებინებს ხელს თავის ვალზე ბავშვების მი-  
 მართ, თუნდაც სხვისი შვილები, შეურაცხყოფ-  
 ედისი შვილები იყვნენ ისინი. ჩვენ ამას მხოლო-  
 დ ვხედავთ და განვიცდებით, გულწრფელი მივ-  
 სდეთი სიუჟეტის ამ დამაბულ და დინამიურ გა-  
 ნვითარებას, დასკვნები კი მერე თავისთავად  
 კეთდება. ავტორი სულაც არ ცდილობს ამ  
 მხრივ მკითხველის მეთურვობას. ცხოვრების ამ  
 მართალ ნაგლეგში, რომელიც აქ მხატვრულ  
 ფაქტად ქცეულა, ციური მნათობივით ანათებს  
 უბრალო, ჩვეულებრივი ქალის, ნატოს დიდი  
 ადამიანური სული. იგი მკითხველსაც გადასცემს

თავისი გულის სიბოხს, ავსებს მას მაღალი  
 ობითა და ადამიანის კეთილშობილური ბუნე-  
 ბის რწმენით.

ნატოს სულის სიბოხსა და სიცივის გამობო-  
 წყინებას მეტი ელვარებისათვის არა სჭირდება  
 დათას ზნობრივი დაცემის ხაზგასმა. ასე მარ-  
 ტივად არ უპირისპირდება ისინი ერთმანეთს.  
 ამიტომაც არის, რომ ნატოსადმი თანაგრძობა,  
 მისი მომხიბლაობის ძალა არ გვიადმულებს მკა-  
 ცრი და ერთმნიშვნელოვანი განაჩენი გამოსუ-  
 ტანოთ შინაგანი ჭიდილით გათანაგულ დათას,  
 ვისაც ბედისწერასავით აკიდებია სხვა, რაღაც  
 დემონური ძალის მქონე ქალის სიყვარული.

რევან ჭაფარიძემ იმავე წლებში სხვა არანაეტლებ  
 საინტერესო მოთხრობაც გამოაქვეყნა, რომელ-  
 საც პირდაპირ ასევე უწოდა „ხმა იდუმალი“.  
 მართალია, ამ ორი მოთხრობის განსხვავებული  
 მიზანდასახულება აქვთ, მაგრამ მათი გვირგვინი  
 ქვეცნობიერი, იდუმალი ხმის კარნახით მოქმე-  
 დებენ და ამ თვალსაზრისით დაოაჯა და ლე-  
 ვან ბერიშვილიც თავიანთი ხვედრით ერთმანეთს  
 ენათესავებიან. ლევან ბერიშვილი ამ იდუმალ-  
 ლი ხმის ძალით, ჭარისკაცის ვალსაც კი ივიწ-  
 ყებს. იგი, სამაგალითო ჭარისკაცი, პატრონობიერ-  
 ბის დროს მოატოვებს სადარაჯოს, ანგარიშიში-  
 უცემლად მოახტება მატარებელს და საყმოდ  
 გრძელ გზას ადგება საყვარელ ადამიანზე ფიქ-  
 რებით აფორიაქებული. მიუხედავად იმისა, რომ  
 ლევან ბერიშვილი მიუტყვევებლ დაანაშაუდს  
 ჩადის, ბედისწერის იდუმალ ხმას აყოლილი  
 ომის დროს სადარაჯოს ტოვებს, გვიჭრის ეს  
 აშკარა ბოროტებად ჩვეუთვალთ, რადგან მო-  
 წამინე ვართ მისი შინაგანი ადამიანური მდლე-  
 ვარებისა და განცდისა. ადამიანები, სადაც არ  
 უნდა იყვნენ ან რა პირობებშიც არ უნდა იყ-  
 ნენ, არ ცხოვრობენ ისეთი მარტვი ცხოვრ-  
 ბით, რომ თავიანთი მოვალეობის შესრულებაში  
 ათასი რამ არ ეღობებოდეთ წინ. ბავშვების.  
 აღწრდაცა და სამშობლოს დაცვაც, თვით ეს  
 ორი წმიდათა წმიდა ვალია ადამიანისა, მთლი-  
 ანად არ ავსებს მას ისე, რომ აღარ დაუტოვოს  
 სხვა რამ მწუხარებისა თუ სინარულისათვის,  
 დიდი და მძაფრი განცდებისათვის. ამ იდუმალ  
 ხმის ძალით ანგარიშიში უცემლად ამატობენ  
 დათა საკუთარ ბავშვებს და ლევანი ჭარისკა-  
 ცის ვალს. ამავე დროს, არცერთი მათგანი არ  
 არის ზნობრივად დაცემული, ან მოვალეობის  
 გრძნობისაგან დაკლილი. და აი, აქ გვაფიქრე-  
 ბინებს შერაალი თავის დათათი და ლევანი,  
 რომ ადამიანის ბევრი განსაკლები ელის თავა-  
 სი პატიოსანი ცხოვრების გზაზე და მისი სიძ-  
 ლიერე, სიდიადე იმამია, რომ ვფაცყურად გა-  
 უძლოს ყოველ ცდუნებას, იდუმალი იქნება იგი,  
 ქვეცნობიერი თუ შეცნობილი. ეს სათქმელი  
 მეტად მნიშვნელოვანიც იყო, და უფრო ახალიც  
 ქართული მწერლობისათვის, ვიდრე აშკარა  
 ბოროტების მხატვრული მხილება.

ცოტა ზემოთ „უბრალო გმირებზე“ საუბარი ედიშერ უიფიანის შვირე მოთხრობებით დავიწყებ. იმით არ ამოწურულა მწერლის დავალი ამგვარი გმირის სახის შექმნაში. ედიშერ უიფიანს მისი უაქიზი სული და სიკეთის დაუმტკბარალი წყურვილი მხოლოდ ისეთი თემატისაკენ და ხასიათებისაკენ უხმობდა, რომელიც ადამიანის მშვენიერების, მისი სულის სილამაზის, გულის სითბოს წარმოჩენის საშუალებას იძლევა. ეს იყო მისი მწერლური მოწოდება და კიდევ განხორციელდა თავის შემოქმედებაში. მისმა „უბრალო გმირებმა“ მოთხრობებიდან რომანებშიც გადაინაცვლეს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძობამ, საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს სიწმინდეზე ზრუნვამ მას სინამდვილის სხვა მხარეებზეც მიაქცევინა ყურადღება და ასე შეეკაზა ედიშერ უიფიანის რომანებში ორი დაპირისპირებული სამუარო.

რომანი „წითელი ღრუბლები“ სწორედ ისეთი ხასიათის ნაწარმოებია, სადაც ავტორმა პირველმა აღიმაღლა ხმა იმ უკეთურების წინააღმდეგ, რაც ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანდათან და ჭიუტად იკადრებდა ფეხს. ბენედიქტ ზიზიზაძის, ამ საქმისნისა და სულით ხორცამდე გარყვნილი კაცის სახე, ერთ-ერთი ყველაზე ღრმად დანახული და გახსნილი ტიპური სახეა მშ-იანი წლების ქართულ პროზაში. რომანში ბოროტისა და კეთილის ბრძოლა საოცრად მწვეველ არის წარმოდგენილი. და თუკია სიკეთის ქომაგად აქ ახალგაზრდა უფრონალიტი ჭაბა ალავექე გამოდის, ვისაც უჭირს ბრძოლა ბოროტებაში ისეთ დახელოვნებულ ცაცთან, როგორცაა ზიზიზაძე, მიიწე წითელი ღრუბლების ნათელი, იმედიანი სიბოლოო ამ ბრძოლის გარდუვალ შედეგს მიგვიანიშნებს. ამ შემთხვევაში, მთავარი მიანიც ის არის, რომ სიკეთისათვის მებრძოლად ისევ და ისევ „პატარა ადამიანი“, „უბრალო გმირი“ ახალგაზრდა ჭაბა გვევლინება.

მამილტეხელი პათოსი არც იმავე წლებში დაწერილ მომდევნო რომანს „ცაში ასროლილ ქულებს“ დააკლო ედიშერ უიფიანმა, თუმცა აქ მისთვის ორგანული, რომანტიკული და ლირიკული ნაკადი უფრო ძლიერად შემოიტანა მწერალმა და ამით ნაწარმოებს სინათლე შემატა. პატარა უბედურება და მისი გამოძიების ისტორია მხოლოდ საშუალებაა იმისათვის, რომ მწერალმა თავისი მთავარი სათქმელი გვითხრას ადამიანის ვალსა და დანიშნულებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე. ამ გამოძიების დროს გვაცნობს იგი რომანის მთავარ გმირებსაც და ეპიზოდურ პერსონაჟებსაც, რომლებიც ორი დამატარალურად საწინააღმდეგო მრწამსის მიმდევარნი და მატარებელნი არიან თავიანთ კერძო ცხოვრებაში. მოზარდი პატარა ფსიქიკის, შეგნებას, სულს

ორი სრულიად განსხვავებული გარემოებებში ბენედიქტ უიფიანს თავი პატარა ბუნებასა და გონებაზე და მოკიდებული, თუ რომელ გარემოს იგუნიებს იგი, ვისი ზეგავლენის ქვეშ მოექცევა, რომელ საზრდოს ირჩევს. ეს ორი გარემო კი რომანში ასეთნაირადაა წარმოდგენილი: ერთი მხრივ, პატარა მამინაცვლი იროდიონ მენაბდე და მისი ამფსონები, მეორე მხრივ, სკოლა, მეგობრები, მასწავლებლები, სადაც მთავარ ფიგურად კლასის დამრგებელი გვანცა შელიავე წარმოგვიდგება.

ჩვენდა საბედნიეროდ, იროდიონ მენაბდეები, მხოლოდ ერთი ნაწილია ჩვენი საზოგადოებისა. ჭაბუკი პატარა სულიერი ფორმირება მხოლოდ მამინაცვლის ზეგავლენით როდი ხდება. მას ჭყავს სხვა, სრულიად განსხვავებული მაგალითის მიმცემნიც: ესაა სკოლის გარემო, მისი მეგობრები, მასწავლებლები, ესენი არიან მისი კლასის დამრგებლები, რომელთაგან ყველაზე გამოკეთილად, ცოცხლად, თბილად, გვანცა შელიავეს სახე დაგვიხატა მწერალმა.

სწორედ სიკეთემ და სათნოებამ დაისადგურა ჭაბუკი პატარა სულსა და გულში. იგი გვანცა შელიავეს გზას დაადაც ცხოვრებაში და მას არამცთო იროდიონი, ვეღარავინ გადააყენებდა ამ გზიდან, რომ უბედური შემთხვევის მსხვერპლი არ გამხდარიყო. მას უკვე ღრმად ჰქონდა გამჭდარი ის უბრალო და დიადი ცნება, რომ მხოლოდ სიკეთის ჩადენის სურვილი ასულდგულებს ადამიანს. მხოლოდ ის ამაღლებს მას.

ამ რომანს კიდევ ერთ უბრალო, მაგრამ მინიშნულივან დასკვნამდე მიჰყავს მკითხველი: სხვისი სიკეთის დანახვა და განცდა უკვე კარგია, მაგრამ ეს სულაც არ არის საქმარისი, შენც უნდა ეცადო ამაღლდე ადამიანურ ღირსებადე იმ ორმა გარემომ, რომელშიც პატარა ერტუკა, მარტო მას როდი აუხილა თვალი, მარტო მას როდი აარჩევინა სწორი გზა. იმ ორმა გარემომ თვით ახალგაზრდა გამოძიებელიც ღრმად ჩააფიქრა, ერთმა მათგანმა შეაძრწუნა, მეორემ კი საკუთარი სულის უკუფლტეში ჩაახებდა და აღმოაჩინა ის მძიმე შეცდომა, რაც მას ნაისთან ურთიერთობაში ადრე დაეშვა. სწორედ სიკეთის ამ ჩუმ და უხმარო გავლენაზეცაა ამ რომანში აქცენტი გადატანილი და მისი მეორე ნაწილიც ზალიანა და ნაის ახალ ურთიერთობა ადამიანურ ბედნიერების მიგნებაზეა დაწერილი.

ქართველ მწერალთაგან იშვიათად თუ რეგობია ვინმეს ისეთი პოპულარობა, როგორც ნ. ვ. დარ დუმბაძეს ხვდა წილად.

ამ სულით ხორცამდე ქართველი მწერლის შემოქმედების წარმატების მიზეზი მშობლიურ ქვეყანაში იოლი გახატება მისი აწკრად და მშვენივრად გამოხატული ეროვნული ხასიათის გამო. სხვათა არანაკლებ ცხოველი ინტერესი, შესაძ-



დოა, ვინმემ უცხო სამყაროს უფლისა და ბასი-  
თის მიმწოდველობის ძალით ახსნას აღბათ. არც  
უამისობაა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ  
ამ უცხო გარემოში და უცხო გმირებით დასა-  
ბლებულ მხატვრულ სამყაროში ყოველი ეროვ-  
ნების მკითხველი ნაცნობი, ახლობელი განცდ-  
ებისა და ფიქრების თანაზიარი ხდება, რადგან  
ეს სამყარო უარესად ადამიანური და ნათე-  
ლია. სწორედ ამ განზოგადების, ეროვნულიდან  
ზოგადსაკაცობრიომდე ამაღლების ძალაში, ღრმა  
ოპტიმიზმისა და ჰუმანისტური სულიკვებების  
უპირატესად ემოციურ, ლირიკულ გამვლავებე-  
შია მწერლის გამარჯვების ვასალები.

ეს მშვენიერი თვისება ნოდარ დუმბაძის პრო-  
ზას თავიდანვე დაჰყვა. როდესაც 1938 წელს ახ-  
ლადდაარსებულ ახალგაზრდულ უფროსელ „ციკი-  
რის“ ფურცლებზე მწერლის პირველი რომანი  
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ დაიბეჭდა,  
თითქოს ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჰუმ-  
ანიზმი მთელი თავისი უმღერველი ძალით ასეთ  
ყოფით და ლირიკული ტრანალობის ნაწარმოებე-  
ბში შეიძლებაო გამეუღებებულყოფი, რომ  
მისი გამომხატველები ისეთი უბრალო გმირები  
შეიძლებაო უფილიყვენენ, როგორც ეს უც-  
ნაური და მშვენიერი ოთხეულია.

მართლაც ბედნიერი ლიტერატურული დები-  
უტი შედეგა მაშინ, მაგრამ არც ისე უშფოთვე-  
ლი და ოლი, როგორც ეს შორიდანა ჩანს, დღეს  
შეიძლება ბევრს აღარ ახსოვდეს, ან კიდევ უფ-  
რო ბევრმა სულაც არ იცოდეს, რომ ნოდარ  
დუმბაძის დიდი შემოქმედებითი გზის დასა-  
წყისი საკმაოდ საპოეტო მანო და ძნელი იყო. „ციკი-  
რის“ ფურცლებზე „მე, ბებია, ილიკო და ილ-  
არიონი“, ეს დიდი დრამატიზმით სავსე რომანი,  
პეტტიტო აწყობილი ბოლოში, იუმორის განყო-  
ფილებაში დაიბეჭდა, ვითომ ბევრს ნურაფერს  
მოსთხოვთ, სერიალურად ნუ მიიღებთ, გასარ-  
თობი რამააო.

მაგრამ ძველის ინერცია ჯერ კიდევ ძლიერი  
იყო, ამიტომაც შეხვდა „ციკირკლთა“ თაობას  
დიდი წინააღმდეგობა. ნოდარ დუმბაძის პირველი  
რომანი კი, მიუხედავად მკითხველთა ერთსულ-  
ვანი აღიარებისა, ზოგი იმ მწერლისა და კრიტიკ-  
ოსის მიერ, ვისაც ძველსა და რბილში ჰქონდა  
გამგებარი პოპულერობა და მაღალფარდვება  
(ზხირად სიყალბეში რომ იზრდებოდა), ქართუ-  
ლი რომანის დეგრადირების სიმპტომადაც კი  
იქნა გამოცხადებული თავისი ვითომცდა არასე-  
რიოზულობის გამო. მკითხველმა, ჯანსაღმა აზ-  
რმა, მერე კი დრომ ყველაფერი გაარკვია და  
დააფასა. დღეს ნოდარ დუმბაძის მხატვრული  
სამყარო ღრმად არის დამკვიდრებული ქართუ-  
ლი ეროვნული კულტურის განვითარების ის-  
ტორიულ პროცესშიც და მის საერთო საგანძუ-  
რშიც, უფრო დიდი მანსტაბითაც, საბჭოთა მრ-  
ვალტროვნული მწერლობის მანსტაბითაც.

ნოდარ დუმბაძე თავის რომანებში ძირითა-

დად ახალგაზრდა კაცის წინეობრივი ფორმი-  
რების პრობლემებს დახტრიალებს თავს. მწერლის  
სხრობის მანერას ცვლის — ცრემლიანი იუმო-  
რით მოაქვს მკითხველამდე თავისი დიდი და მ-  
რთალი სიტუციები. ზოგადად მან ერთფერო-  
ვნების იერი შეიძინა და უოველ ახალ რომანთან  
დაკავშირებით აშკარა „საშეშროვის“ გამო აქა-  
რკ ვაისმოდ კიდევ კანტიკუნტი საყვედურები.  
ინასაც გაიგონებენ, მებისმტად ავტობიო-  
გრაფიულია მისი რომანები. ეს მხოლოდ ფაქ-  
ტობრივად თუა მართალი, არსებითად კი არა.

მწერალთა დიდი ნაწილი თავისი თაობისა და  
დროის ცხოვრებას აღწერს. არა ერთი დიდი ნა-  
წარმოები დაწერილა ავტობიოგრაფიულ მას-  
ლაზე, ამის ნიმუშები იმდენად ბევრია და ად-  
ვილად ვასახსენებელი, რომ აღარც მოვლას.  
მთავარია, რა მხატვრულ განზოგადებას იძენს  
ეს მასალა. ნოდარ დუმბაძის შემოქმედებისად-  
მი საყვედურთა ინტერესმა ძალდაუტანებლად  
გასცა ამ კითხვას პასუხი.

ნოდარ დუმბაძის რომანებიცა და მოთხრობე-  
ბიც დიდი სინათლით არის სავსე, მაგრამ იმი-  
ტომ კი არა, რომ მწერალი იდილიურ სამყაროს  
შეჭურვებს, უბრალოდ ეს მისი სულის ნათელის  
წყალობაა, მისი რწმენისა და იმედის გამოა,  
თორემ დიდი მიხვდრე არ სჭირდება იმას, რომ  
ნოდარ დუმბაძეს, უპირატესად, ჩვენი ცხოვრ-  
ების დრამატიზმით დამომებული გარემოებები  
ინტერესებს. ეს ინტერესი ცხოვრების მართლად  
და ღრმად, განვითარების მთავარი ტენდენციე-  
ბით წარმოსახვის წადილითა ნაკარნახევი, აგ-  
რეთვე იმის რწმენითაც, რომ ამგვარი გარემოე-  
ბები უკეთ წარმოაჩენენ მაღალი წინეობის ადა-  
მიანებში მოქალაქობრივი გრძნობებისა და სუ-  
ლიერი სიმტკიცის წრთობას.

წუთისოფელი ტკობისა და ნებიგრობისათვის  
არ არის მოგონილი. იგი სიკეთის დასამკვიდრე-  
ბლად გარჯითა და ბრძოლით განსაკვეთილი გზაა.  
მხოლოდ ამ გზაზე მოუღლები სელა აფამაზებს  
ადამიანს, ამ გზაზე დაძლიებული წინააღმდეგო-  
ბები ამაღლებს მას. ამ განსაწმენდელ გზაზე  
მიანიჭებენ ნოდარ დუმბაძის გმირებიც და იუ-  
მორი, რომლითაც სავსეა და ასე მომხიზლავია  
ეს სამყარო, უმიწნო მხიარულებისათვის კი არ  
არის მომხიზლი, არამედ განცდითა შესამსუ-  
ბუქებლად.

ნოდარ დუმბაძის იუმორს კიდევ სხვა დანი-  
შნულდაც აკეთილშობილებს. იგი ცრემლიანი  
ლიზილით მარტო თანაგრძნობას კი არ იწვევს,  
არამედ სიკეთის გამარჯვების ღრმა რწმენასაც  
გამოხატავს. აქ წარმოსახულ სამყაროში ტრაგი-  
ზმის გარდუვალი სოციალური საფუძველი ნა-  
ვლებდ არსებობს და გმირებს უფრო წინეობრივი  
სიმანინჯის გამო ადტრიალებულ დრამატულ  
სიტუაციებში უხდებათ საკუთარი სულის  
წრთობაც და სხვათა ვუკაცური თანადგომაც.

ნოდარ დუმბაძის რომანების ახალგაზრდა



გმირმა ზვიერი გასაჭირი და განსაცდელი გამოიარა: ომისდროინდელი უმაპაკო სოფლის სიმამივე დააწვა ძვალგაუმარტიებელ მხრებზე ტვირთად („მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“, „მე ვხედავ შუეს“), ბორცების ხანმოკლე ზვიმის გამო ოხლთობის სიმწარეს არ ასცდა („შვიანი დამე“), არც ქაბუკობის ხანაში დააკლდა მძიმე სულიერი ტრავმების გადატანა („ნუ გეშინია, დედა“), უდანაშაულო დანაშაუვის ზვიდრიც ერგო წილად („თეთრი ბაირაღები“), მერე საერცელს მიჭაჭვული ებრძოდა სიკვდილს („მარადისობის კანონი“).

რომანებში მხოლოდ დრო და ადგილი კი არ იცვლება, არამედ, რაც მთავარია, კონფლიქტები და კომპლექსები, რომლებსაც სულ განსხვავებულად მწერე განცდები მოაქვთ ადამიანებისათვის და გმირების გამოხატებული სულის ახალ-ახალ კრილობებზე მიგვაქცევიანებენ უურაღმდეგებს.

ამ განსხვავებულ, დამოუკიდებელ რომანებს ზოგადად, და ძალიან მნიშვნელოვანი რამ, საერთოდ აქვთ. ვთქვით, იმ გარემოებაში, რომ უყვლა რომანი ახალგაზრდებზე დაწერილი და მათი ბიოგრაფიები პრინციპულად არ გამოირიცხავენ ერთმანეთს, შეიძლება გვაფიქრებინოს, თითქმის, ეს ერთი გმირის შესახებ შექმნილი ვრცელი ეპოპეის ნაწილებია, ამ შთაბეჭდილებას იხილავს მკითხველი, რომ გმირები თუმცა განსხვავდებიან თავისი ხასიათით, ერთმანეთისაგან, მაინც ზვიერი რაშით ჰგვანან კიდევაც ურთიერთს, რაც მთავარია, სიკეთისადმი გააზრებული და ქვეცნობიერი ლტოლვილი ერთნაირად ნათელდადგმულები არიან.

მწერლის უოველ რომანსა თუ მოთხრობას, რაოდენ მძიმე განცდებსაც უნდა გვაზარებდეს იტო, მუდამ იმედია იწინაა აქვს, რადგან ავტორის ღრმა რწმენით, ადამიანი, მზე, სიკაცხელე მარადიულია.

ცხოვრების ეს იმედია ხილვია ნოდარ დუმბაძის შემოქმედების ძალა და მშვენიერება. მისი სიკეთილშობილი სავსე გულის ფეთქვა ძლიერად ისინი უოველი მოთხრობიდან თუ რომანიდან, საოცარი გადამდები თრთოლით ავსებს მათ და ადამიანებს ტკივლითა დაძლიერებაც, თანაგრძობისა და თანადგომისაკენ მოუწოდებს. მწერლისათვის სიკაცხელე მთელი მისი ავტორით დიდებულია, აღტაცების ღრსია და ამ ბედნიერი განცდის თანაზრდის გვხვდის ჩვენც, მის მკითხველებს.

ძნელია იმის თქმა, ნოდარ დუმბაძის რომელი რომანი უფროა დამძიმებული დრამატული. თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის ძალით შევეყვებით ამ კითხვას პასუხის გაცემას, თუ მათში წარმოსახული ბორცისა და კეთილის ბრძოლის მასშტაბებით გავზომავთ, ცხადია, სამამულო ომის დროინდელ ცხრებზე დაწერილი რომანები: „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“ და

„მე ვხედავ შუეს“ გადასწონიან სხვებს, რომლებშიც მძიმე განცდები არც სხვა, მომდევნო რომანების გმირებს დააკლო ავტორმა, დააკლო კი არა, ვგონებ, მათ უფრო მეტადაც კი დაატეხა თავს ტრაგიკული თუ დრამატული განსაცდელი, რაკილა უფრო გვიანდელი რომანების მოწოდებულ და დავუყავებულ გმირებს მეტად აქვთ გაცნობიერებული ამ განსაცდელის წარმომშობი მიზეზები.

სწორედ დიდი სამამულო ომის წლებში იზრდებიან და ვეცაცდებიან ნოდარ დუმბაძის პირველი რომანების „მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი“ და „მე ვხედავ შუეს“ გმირები ზურიკელა ვაშლომიძე და სოსოია მამალაძე, სწორედ ამ ომით არის დაღდაძმული მათი ბავშვობის ხანა და მათ სულში ღრმად დამწეული ის ტკივილიანი დღეი ცხოვრების მთელ მანძილზე გაჰყვებათ. თუმცა ტკივილიან დაღთან ერთად გამაჰყვებათ ის საოცარი ადამიანური სიყვარულის, თანაგრძობის გაცეთილებიც, რომელთა ასეთი ძალით და მშვენიერით გაუმდებია, ალბათ, მხოლოდ საერთო-სახალხო განსაცდელის ეამს თუ შეიძლება.

ერთი პატარა ქართული სოფლის ომისდროინდელი ცხოვრება ამ ორ რომანში წარმოსახული, სოფლისა, რომელსაც არ მისწვდომია ქვემეხების გრიალი და საკუთარი თვალით არ უნახავს არც საბჭოთა მეომრების დამკრთობი და სისხლი და არც მომბედურთა გვამები, მაგრამ მწერალმა ომის მთელი საშინელება და საბჭოთა ხალხის უმაგალითო პატრიოტიზმიც დიდი შთაბეჭდებით გავისნა, გვაგრძობინა, ვანგვაუადვირა. ერთი შეხედვით, არაფერს განსაკუთრებულს არ აკეთებენ ამ რომანების გმირები თუ პერსონაჟები, მაგრამ მათი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, თავდადებისათვის შინაგანი მზადყოფნა ნათელია მკითხველისათვის.

რომანში — „მე ვხედავ შუეს“ მარტო ხატია, ეს უსინათლო გოგონა კი არ ხედავს შუეს, რაც მისი გაკუთრების იმედს გვინერგავს, არამედ უყვლია, მთელი მოსახლეობა სოფლისა, მათი სახით კი მთელი საბჭოთა ხალხი ხედავს შუეს, როგორც გადარჩენის, გამარჯვების, სიკაცხელის და სიკეთის ზვიმის რწმენის სიმბოლოა.

ნოდარ დუმბაძის რომანებში საერთოდაც და, ეტრძოდ, „შინა დაშეშვიც“ დროცა და გარემოც ლოკალიზებულია, მაგრამ ეს ავტორს ხელს არ უშლის ფართოდ და მძაფრად დააყენოს მკითხველის წინაშე თანამედროვე ცხოვრების პრობლემები. ეს რომანები, რაკინდ განსხვავებულიც არ უნდა იყვნენ, შეიძლება ითქვას, ერთი დიდი პრობლემის, თანამედროვე ახალგაზრდობის წინაშე-მოკალაქებრივი სახის გარკვევის იხანავენ მიზნად. აქ უურაღმდეგის ცენტრში ჩვენი დროის ახალგაზრდები არიან და მათი საზოგადოებრივი უოფის, შინაგანი განცდების, ცვე-



ბის, იმედების, ცხოვრებასთან დამოკიდებულების, უკმაყოფილებისა თუ უშემაყოფილების გრძნობის და ამ გრძნობების ახსნის შესახებ გვესაუბრება მწერალი. ავტორი არ ერიდება ცხოვრების მძაფრ ხედვას, გულწრფელად და უშუალოდ გავიშვებს საკუთარ დაკვირვებებს, რომლებიც ხან ხალისიანია და მხიარული, ხანაც მძიმე და ტკივილიანი. მაგრამ ყველა შემთხვევაში ჩანს მწერლის უკომპრომისო დამოკიდებულება ცხოვრებასთან და ის მაღალი პოზიცია, საიდანაც აკვირდება და აფასებს ახალგაზრდობას, რომელიც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოდის და მკვიდრდება.

„შინაი ღამე“ მწერალს მისთვის ორგანული ხერხით აქვს აგებული. ამ რომანშიც ავტორი ცრემლიანი სიცილით მოგვითხრობს ახალგაზრდა გმირის თემურაზ ბარამიძის ღრმა დრამატული განცდებით სავსე ცხოვრებაზე და ეს ლალი, თბილი იუმორი აქაც მკითხველის მძიმე ემოციების შესაშვებუქებლად არის მოხმობილი. თემურაზ ბარამიძეს, ისევე, როგორც დუშაბაძის სხვა ახალგაზრდა გმირებს, ცხოვრების დანაწესებულებით ერთი ადამიანისათვის სამყოფზე ბევრად მეტი განსაცდელი გადახდენია თავს და თუ შინც გაუძლია, ეს იმიტომ, რომ მასაც სჭამს ამ ქვეყანაზე სიკეთისა და სინათლის უძლეველობა.

მიუხედავად ყველაფრისა, თავს დაშტუდარი და გადატანილი ათასგვარი განსაცდელისა, თემოს გული შინც მხოლოდ სიყვარულითა და სიკეთით არის სავსე. ამიტომაც ეპატიება რომანის ფინალში თავისი დაბადების დღეს ყველას და ყველაფერს, თბილისს მისი ქუჩების, მეგობრებს, უცნობს თუ ნაცნობს. თემოს სხვა არაფერი უნდა, ოღონდაც მისმა გულმა სიყვარული იცოდეს. მაგრამ საქმარისია კი ეს? სიძულვილი?

„... ან დავიწყე, დედა, ყველაფერი, ან მითხარი, რა ვქნა...“

— მაგის დავიწყება არ შეიძლება“.

აი, ორი კონტრადიქცია, ორი დამოკიდებულება ბოროტისადმი ამ რომანშიც და თავად ცხოვრებაშიც, რომელია მართალი?

დედა და შვილი ამ საკითხში ვერ თანხმდებიან და თუმცა უფრო ჭეშნარიტი ჩანს შვილის პოზიცია, ეს შინც მოჩვენებითი ჭეშნარიტობაა იმ შემთხვევაშიც კი, როცა თემოსთანაა გულწრფელი კაცის მიერ არის გაცხადებული. დედა მართალია, კაცს სიკეთეც უნდა ახსოვდეს და ბოროტებაც. მით უმეტეს, იმის დავიწყება, რაც თემოსა და მის ოჯახს გადახდა, მართლაც არ შეიძლება. მაგრამ თემო შინც ივიწყებს და მკაცრადაც ისტება. ის შინც ენდობა იმ კაცს, ვინც ერთხელ უკვე დალუპა მისი ოჯახი და ახლაც იწვევს გამყიდველის ვერაგობას, რადგან ბოროტი ბოლომდე ერთგულია თავისი ბუნების და პოზიციის. მართალი იყო დედა, არ შეიძლებოდა

დავიწყება და შინც დავიწყა. ღმერთს, მეტ სიერება ამიტომ მოუცია ადამიანისათვის, მას ყველაფერი ახსოვდეს, კეთილიცა და ბოროტიც. მაშინ მეტი სიკეთე იქნება ქვეყანაზე. მაშინადაც, მეტად ჭეშნარიტი იქნება ეს ქვეყანა.

„ნუ გეშინია, დედა!“ ერთგვარად აგრძელებს „შინაი ღამეში“ დაწყებულ თხრობის დუშაბაძის ახალგაზრდა გმირის თავგადასავალზე. ისევ ის თბილისური სტუდენტური გარემო, ახალგაზრდობის ცხოვრება, გარჯა, დროსტარება, კამათი მნიშვნელოვან თუ სულაც უმნიშვნელო საკითხებზე, ფუქსავატობა, ყველაფერი, რაც კი ამ ასაკს ახასიათებს, ამ რომანში კიდევ ერთხელ გადაიშლება მკითხველის თვალწინ ოღონდ ამას აქ ემატება ახალგაზრდობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვალეობა — სამხედრო სამსახური. რომანის გმირი ავთო ჩაყელი ამ საუკვეთო ვალდებულებას შესაზღვრებთან იხდის, იხდის იმავე პასუხისმგებლობითა და ხალისით, რაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში აკრებულ გაუმეღვანებიათ ზურგიკლა ვაშლომიძეს, სოსოია მამალაძეს და თემო ბარამიძეს.

ახალგაზრდა გმირი მწერლის ნებისმიერი ნაწარმოებისა თავისი უშუალოდ, სიწრფელით, წინორბივი სისპეტაკით, კაცობოყვარებით, გულბრწყინობითა და ხალისიანობით ერთბაშად ხიბლავს მკითხველს, მისი კეთილშობილური ბუნება მრავალმხრივ იხსენება ჩვენს თვალწინ. ერთ-ერთი თავგარი ღირსება, რაც მას გააჩნია, ის გახლავთ, რომ მისი გული თანაბრად ღიაა ყველა კეთილი კაცისათვის, ვინც არ უნდა იყოს იგი, რა პროფესიისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისაც, რა ასაკისაც და ეროვნებისაც. ამიტომაც მეგობრობენ ნოდარ დუშაბაძის ახალგაზრდა გმირები ხანდაშულ ნაშინ დარაჩენიან, მწყემსებანი, ხელოსნებთან, ნებისმიერი ეროვნების ხალხთან, ყველასთან, ვინც თავისი სულით არის დიდი და მდიდარი. ასეთია ავთო ჩაყელიც რომანში „ნუ გეშინია, დედა!“. მას ოღნავადაც არ აქვს მოდუნებული ეროვნული გრძნობა, არამცთუ თავისი ქვეყნის თანამემამულეები უუკარს თავდავიწყებით, საზღვარს გადაღმა მცხოვრებ ქართველებსაც გულაჩუყებული შეკუთრებს და თანაუგრძნობს. მაგრამ ეს გრძნობა ეროვნულ შეწულდუღობაში და ამპარტავობაში კი არ იზრდება, პირიქით, ხელს უწყობს, უფრო უღვივებს ინტერნაციონალურ სულს. ავთო ჩაყელის მეგობრობა მესაზღვრე უჩერბიანსთან ამის საუკეთესო ნიმუშია. მათი ურთიერთობა საბჭოთა ახალგაზრდობის მდიდარი ბუნების და ინტერნაციონალური სულის ბრწყინვალე მხატვრული გამოხატულებაა არა მარტო ნოდარ დუშაბაძის შემოქმედების მასშტაბით, საერთოდაც, მრავალეროვან საბჭოთა მწერლობაშიც.



ეს პროცესი, ახალგაზრდა ადამიანის წინგობრივი საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი, იმ დროს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად იტაცება ქართულ მწერლობას. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა პროზაიკოსთა შემოქმედებაში იგი ერთი წამყვანი თემა იყო. ამაში, სხვებთან ერთად, თამაზ ჭილაძეც გვარწმუნებს თავისი პროზით. მის პირველსავე მოთხრობებში სწორედ ეს პრობლემა იდგა ყურადღების ცენტრში და ბოლომდე ასევე დარჩა, მუდამ მძაფრად ისმოდა კითხვა: როგორია, ან როგორი უნდა იყოს თანამედროვე ახალგაზრდის წინგობრივი საფუძვლები? როგორც ჩანს, ჰენრი საოგადლოების განვითარების ერთ ეტაპზე თითქოს საკმარისი ჩანდა, ან მიჩნეული იყო საკმარისად ის, რომ ადამიანი თვითონ უფილიყო სუფთა და სანეტაკი. 80-იანი წლების ახალ თაობას ეს აღარ აკმაყოფილებს. პირადი პატიოსნება ჭერ კიდევ არ არის მაღალი წინგობის გამობატულება. ამასთან ერთად კიდევ აქტიური ბრძოლა ყოველივე უპატიოსნოსა და ანტისაზოგადოებრივის წინააღმდეგ — აი, ეს ასპარეზი, რომელიც გამოაჩენს თანამედროვე ადამიანს მორალურ და მოქალაქეობრივ სიძლიერეს. ამიტომაც მოხდა, რომ 80-იანი წლების ქართული ლიტერატურის გმირები უპირატესად ამ პათოსით არიან გამსჭვალულნი. თამაზ ჭილაძის პროზაში აშკარად შემართება საინტერესოდ გამომქვადნა მოთხრობაში „შუადღი“. მოთხრობის გმირი, ტაქსის მძღოლი გოგი, ვინც თავისი ცხოვრების შუადღეს მიახლოებია, თანდათან რწმუნდება აქტიური მოქმედების აუცილებლობაში და უბრალოდ პატიოსანი ადამიანად მაღალი წინგობისათვის, სამართლიანობისათვის მებრძოლ ადამიანად იქცევა. „შუადღი“ თამაზ ჭილაძის ერთ-ერთი პირველი მოთხრობათაგანია, მრავალმხრივ არის საინტერესო — თანამედროვე ცხოვრების მტიკინეული პრობლემების თამაში დაყენებით, ორიგინალური არქიტექტონიით, თხრობის მანერით თუ ბევრი სხვა რამით, მაგრამ მთავარი აქ სწორედაც გოგის წინგობრივი მომწიფების საკითხია და მწერალი გვიჩვენებს, გვარწმუნებს, რომ მის გმირს შუადღის შემდგომ უფრო დამაბული, სისხლსავსე, შეუპოვარი ცხოვრება ელის, ვიდრე შუადღემდე.

როცა 80-80-იანი წლების მწერლობის სიახლეებზე ვლაპარაკობთ, ერთ-ერთ ამოსავალ საფუძვლად სწორედ თამაზ ჭილაძის შემოქმედებაც გვესახება: აქ გამოჩნდა ნათლად, ხელშესახებად ურბანისტული სული და მისი ერთი მთავარი ტენდენცია, ადამიანის გაუცხოების ტრამინით ცნობილი, ფსიქოლოგიური ანალიზის მოკაბრება, მორალურ-ეთიკური პრობლემატკით გატაცება, „პატარა ადამიანის“ ბედ-იღბლით დაინტერესება და ბევრი სხვა რამ, რაც ასე

შესამჩნევად მოეძალა თანამედროვე მწერალულ პროგრესულ მწერლობას ამ საკითხსა და სულილობის წყალობით.

თამაზ ჭილაძის მნიშვნელოვანი ამბის მოყოლა არ უყვარს, როცა სიუჟეტის განვითარება თავისთავად იპურებს მკითხველის ყურადღებას. მისთვის ძირითადი და მთავარი ადამიანის სულიერი მდგომარეობის მხატვრული ფიქსაციაა, მისი შინაგანი, უხილავი გაცდების რკვევა. ამასთანავე, მწერალი სწორედ ისეთ გმირს ირჩევს დაკვირვების ობიექტად, რომელიც ჩვეულებრივ თავისი ბოგარაფიით არაფრით გამოირჩევა და შეიძლება მისი პრობლემები, თავისი გადაგნული უფერულობისა და უეფექტობის წყალობით, საერთოდაც შეუმჩნეველი დარჩენს საზოგადოებისათვის. ეს ტიპები მხოლოდ თამაზ ჭილაძის მხატვრული ინტერპრეტაციის წყალობით არიან საინტერესო, რადგან მწერალი უფრო მეტს ხედავს ჩვენთან, მკითხველებთან შედარებით, ბევრად უფრო ღრმად იხედება თავისი გმირების სულში და მრავალ საინტერესო თვისებას, ავსა თუ კეთილ თვისებას ამჩნევს მათში. მწერალს ბევრი რამ მოეთხოვება და ბევრი რამაც ეპატება. პირველ რიგში მოეთხოვება სხვებზე უკეთ ხედავდეს, სწვდებოდეს მისი თანამედროვე ადამიანის სულიერ მდგომარეობას, მის წინგობრივ სახეს, ფიქრსა და გაცდას, წუხილსა და სიხარულს, სიტყვასა და საქმეს. და ეპატება მხატვრული გავიადება, გამაფრება, გაშიშვლება ტკივილისაც და სიხარულისაც. უფრო კი ტკივილისა, რადგან მწერლობის ამოცანა პირველ რიგში ერის სატიკარის მოშუშებაა და არა კმაყოფილების მათობელა მანგის დაფრქვევა. ეს უგჯერე გავიწყლება ხოლმე და ლიტერატურისაგან უფრო ცხოვრებით, ჩვენი ადამიანებით აღტაცებას მოვითხოვთ (რისი საკმარ საფუძველიც გვაქვს), ვიდრე იმავე ცხოვრების ცუდი მხარეების მხილებას, ან ადამიანის წინგობრივი ხიჩჩის წინააღმდეგ ბრძოლას.

მთავარი პათოსი მისი ნაწარმოებებისა ადამიანის სულიერი სიუხუმის წინააღმდეგ ბრძოლაა. და კიდევ, თამაზ ჭილაძე დაბეჭდითით გვარწმუნებს, რომ ადამიანის ერთ-ერთ ყველაზე დიდი სატიკარი მისი სულიერი სიმარტოკია. ეს ორივე უხედღურება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, რადგან ხშირად სწორედ სიუხუმე იწვევს საკუთარ თავთან დარჩენის სურვილს და სიმარტოვის გრძნობას. შეიძლება წოგეერთებმა პათეტურად ანტიკონ, რომ ჩვენს სინამდვილეში, ასეთი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში სულიერი სიმარტოვის პრობლემის წამოჭრა უცხო გარემოდან და ლიტერატურრიდან ადამიანის გაუცხოების ტენდენციის ხელოვნური გადმონერგვააო მხოლოდ. მაგრამ განა მართლა ასე უცხო ხილია იგი ჩვენთვის?



### ზურაბ ნარმანია

## „შემოქმედება ნიშნავს სიკვდილის მოკვლას“

ეურნალ „ციხკართან“ არსებულ, დამატება — „ნობათში“ შემოვიღეთ „ნობათის“ ანკეტა, სადაც ახალგაზრდა მწერლები პერიოდულად გაგვიზიარებენ თავიანთ შეხედულებებს ლიტერატურის ისეთ მაგისტრალურ საკითხებზე, როგორცაა: მწერლისა და მწერლობის დანიშნულება; მწერლის პიროვნული ღირსებების როლი მისი შემოქმედების მიზანდასახულობაში; ახალგაზრდობის მწერლური თავისებურებები; ახალგაზრდული მწერლობისადმი კრიტიკის დამოკიდებულება; პირადი შემოქმედებითი გეგმები...

ამ წამოწყების აუცილებლობა ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობამ გვიარჩინა. მათი დიდი უმრავლესობა კალამს იღებს და მწერლის საპატიო სახელისთვის იწყებს ბრძოლას ისე, რომ არასოდეს დაფიქრებულა მწერლობის ჭეშმარიტ მიზანსა და დანიშნულებაზე, მის როლზე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. ვერ ერკვევა კონკრეტული დროისა და ვითარების იმ თავისებურებებში, რომელთა გათვალისწინებითაც უნდა იმოქმედოს მწერლობამ. არ იცნობს პრობლემებს, რომელთა წინაშეც დგას მხატვრული ლიტერატურა. არ იცის, რა სურს, რისკენ ისწრაფვის, როგორც შემოქმედი. ასეთებისთვის პუბლიკაცია თვითმიზანია, რაშიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი სახელისა და გვარის ხაზგასმის საშუალებას ხედავენ და რასაც, მწერლობის ავტორიტეტის, მკითხველის გემოვნებისა და აზროვნების საზიანოდ, ზშირად აღწევენ კიდევ.

და აი, ქვეყნდება და იყიდება წიგნები, რომლებიც, არაეინ იცის, რისთვის დაიწერა და, რომლებიც ცუდად ახასიათებენ ავტორებს. მწერლობისადმი ნდობით განმსჭვალული მკითხველი კი, რომელსაც სჭერა, რომ წიგნი სერიოზული განაცხადია და იგი ამ საქმეში კომპეტენტური ადამიანების თანხმობით იცემა, დაბნეულია...

ნიჭიერება ღვთის წყალობაა და, როგორც ბრძანა და კოქლს ვერ უსაყვედურებ ნაკლის

გამო, ისე, უნიკობაზე უვირილს იქნებ მოერიდოს წესიერი კაცი, მაგრამ მწერალს მწერლობის დანიშნულების თუნდაც თეორიული ცოდნა, თავისი შემოქმედების ბალნისთვის სასარგებლო გზით წარმართვა, ერისა და ადამიანის საკიბოროტო საკითხებზე ფიქრი და გულისტივილი ნამდვილად უნდა მოეთხოვოს. თუმცა, აქ უნიკობაზე იმდენად არა გვაქვს ლაპარაკი, რამდენადაც ამ ნიჭის სწორად, მწერლობის დანიშნულებისამებრ, ადამიანის ჭეშმარიტ სამსახურში ჩაუყენებაზე.

მითუმეტეს დღეს, როცა ჩვენი ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, სულიერი, ეროვნული თუ სოციალური პრობლემებისადმი ობიექტური მიდგომისა და აქტიური მოქმედების დიდი ხნის განმავლობაში წართმეულ უფლებებს გვიბრუნებენ, მწერლობის მსოფლმხედველობრივი პოზიციები, ლიტერატურის მამოძრავებელი ორიენტირები, თემები და ამ თემებისადმი დამოკიდებულება საკმაოდ მკაცრ გადახიჩქვას საჭიროებს, რათა კვლავ გამოფხიზლდეს წლების მანძილზე უინიციატივობით მიძინებული და დაუანგული გონება, რათა აღსდგეს ცხოვრების მძიმე გამოცდაში დამარცხებული და შეღახული სინდისი, რათა კვლავ განათდეს, რწმენის დაკარგვით დაჩრდილული სული, ერთმანეთისთვის გაუცხოვებულმა ადამიანებმა კვლავ ვიპოვოთ გამაერთიანებელი ცენტრი და გავიხვენოთ, ვისი წილხვდომილებაა, რა ციური ჩინის მატარებელია ჩვენი სამშობლო...

1. მწერლის, მწერლობისა თუ საერთოდ ხელოვნების დანიშნულება ადამიანის გლობალურ დანიშნულებასა და უმაღლეს მიზანთან მიმართებაში ირკვევა. და თუ ვეთანხმებით უხსოვარი დროიდან თითქმის დაკანონებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საქმე გონის მოსვლასა და თავისივე შეცდომებზე აღმოცენებული ბოროტების აღმოფხვრაში, უზენაესი სიმართლის ძიებაში, საკუთარი ზნეობის ამაღლებაში და სულის საბოლოო სრულქმნაში



მდგომარეობს. მაშინ მწერლობის ფუნქცია და სარგებლობაც ამ სარალური ორიენტორისკენ საყოველთაო სწრაფვაში მიღებული მონაწილეობისა და ინიციატივის მასშტაბით იზომება.

ბრძენთაგან თქმულა: მთელი სამყარო რომ გაუიღო, ერთი ადამიანის სულს ვერ იუდიოს. — ვისაც სწორად ეცნის ამ სიტყვების შენაარსი, ვერც მათ კემშარტებში შეიტანს ექვს და ვერც მწერლობას დაუსხავს უფრო დიდ ამოცანას, ვიდრე ადამიანთა სულიანთის ზრუნვაა. ეს უკანასკნელი კი, ზოგადად რომ ვთქვათ, მრწამსის დაწესებაში, ცხოვრების წესისა და სააზროვნო პრინციპების მოწესრიგებაში, ზნეობრივი აღმასვლის სტიმულირებასა და სულიერ ფასილებლობათა შექმნა-შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მდგომარეობს.

მ. გორკის სიტყვებით: „ლიტერატურამ კემშარტებისაგან მისწრაფების სურვილი უნდა განავითაროს.“ და რადგან კემშარტების წვდომის უმძიმესი გზა მაღალი ზნეობისა და სულიერების მწვერვალებზე გადის, მწერლობას სწორედ ამ თვალსაზრისით მართებს ადამიანის სულისა და გულის ურთულესი და უფაქიზესი მოძრაობის რეგულირება.

პოეზია განსხვავებაა ცხოვრებისა და კემშარტებისა, — აღნიშნა ილია ჭავჭავაძემ. და მართლაც, ვისაც სულ მცირედი წარმატებით მიიწ უჩნტრკია გენიალურ ქმნილებათა საიდუმლო, შეამჩნევდა, რომ მათი მარადგანახლებადი ბუნება არ არის მხოლოდ ორიგინალური აზროვნებით, მაღალმხატვრულობით ან განსაკუთრებული ლიტერატურული ხერხებით მიღწეული შედეგი. — ეს უკვლავური დროის შესაბამისად ცვალებადი წარმოდგენებისა თუ ჩვევების კვალდაკვალ მოძრაავა აქსესუარება. ხელოვნების ნაწარმოების ნამდვილი ღირებულება კი საგნებისა და მოვლენების უძრავ არსთან, მარად უცვლელ ობიექტურ სინამდვილესთან — კემშარტებისათან შეხებისა და, ამ თვალსაზრისით, მკითხველში გამოწვეული კათარზისის ინტენსივობით განისაზღვრება.

მწერლობა, მწერლის ინიციადუალური თვალთახედვით, რეალურისა და ილუზიის ერთმანეთისაგან გამოქვანა და უმარლებისა და უმქობების, რაგორც ინტერპრეტაცია, ასევე მისაღმი მოთხოვნილების ფორმირებაა, რაც, ჩემი აზრით, სამყაროთი გაოცებისა და აღტაცების, მაღლიერების, თანაგრძნობისა და სიყვარულის უნარის გავლიძებაში უფრო მდგომარეობს, ვიდრე კემშარტი მრწამსის, გულისა და ქანსალი გრძნობების გარეშე, თუნდაც, მომხიბლავი სუბიექტური წარმოდგენებისა და გონებაშევილური სქემებისა და კროსვორდების დემონსტრირებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მწერლობის ფუნქცია, წუხილისა და ზრუნვის საგანი ადამიანის შელახული გულია და არა სერკიცის ჩრკვლები...

მწერლობის როლზე საუბრისას, არ შეიძლება სუბსიგებლობას, აფექტიბითა და ექსპრესიბით მკითხველის განწყობილბათა უფაქიზეს ნიუანსებზე ზემოქმედებისას მწერალს რომ მოთხოვება.

ნიკეირი მწერალი ექიშია ცხოვრებისა, — წერდა ვუა-ფშაველა. ექიშის უმთავრესი ვალდებულება კი იმ ფიცის ერთგულებაა, რომელიც ამბობს: უპირველეს უკვლისა, ნუ ავნებს — აი, ის უმნიშვნელვიანესი და ურთულესი ამოცანა, რომლის წინაშეც კაცთა ზნეობისა და სულის გასაუმჯობესებლად მოღვაწეობის მსურველი დგას. თეირისა და შავის ერთმანეთისაგან განსხვავების სიტყვის მსახურს ღრმა ცოდნა, უცოდურესი სიწესებდა და გულახდილობა მართებს, რადგან არავის აქვს უფლება, კემშარტების სახელით სიცრუე თესოს ადამიანის — ამ უნიკალური არსების გულში, რომელიც ნებისმიერ ინფორმაციავ უმცირესი იმპულსებით რეაგრებს და თავის უშინავანეს სიღრმეებში შთაბეჭდილების შესაბამის ცვლილებას განიცდის.

და თუ მწერალს, ადამიანური ვნებების სხედაც ამღვრულ ზღვაში, მორალური სიწმინდის, სულიერი სინათლისა და წონასწორობის ნაცვლად, სუბიექტური და უსაფუძვლო აზღაუბლებით კიდევ მეტი არეულობა შეაქვს... კომენტარი ზედმეტია. ან რაღა უნდა ითქვას კემშარტი ნათელთან აბსოლუტურ უკონტაქტობაზე, თუკი „რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნეობა“.

მწერლობაზე საუბარი უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ ამჟერად ასე დავამთავრებ: ხელოვანი რჩეულია და მან უნდა იცოდეს ეშარიულ სინამდვილეზე მეტი, რაღაც სხვა... ის ცხადად უნდა ხედავდეს კაცობრობის დადუქნებულ მტერს და ამ სიკეთის მოძულე დრაკონს კალმითა და გულბით სიცოცხლის ბლომადე თავგანწირულად ებრძოდეს.

„შემოქმედება ნიშნავს სიკვდილის მოკვლას“. — თუქვამს რ. როლანს. და მე თუ მკითხავთ, კემშარტი პოეტი და შემოქმედია ის, ვინც იცნობს, ადამიანთა ამ ზღაპრული ოცნების რეალურ საფუძველს და სიყვარულის უსაზღვრო შესაძლებლობებზე თვლის ახელაში გვშველის.

მ. ადამიანის სწორედ პიროვნებაში ფუნქციონირებს ის განუმეორებელი „მე“, რომლითაც სხვისისაგან განსხვავებულად აღიქმება გარე სამყარო და რომელიც საგნებსა და მოვლენებს თავისებურ, ორიგინალურ ინტერპრეტაციას აძლევს. რაც შეეება შემოქმედს, მის უკანას, უპირველეს უკვლისა, ზოგად კანონებზე დამოკიდებული ადამიანი დგას და იგი ვერც მწერლის სახელსა და საქმიანობაში გაექცევა საკუთარ ბუნებას. და რადგან უკველი ადამიანის

შეხედულებებს, სურვილს, საქმეს, როგორც წესი, მისი პიროვნებისთვის დამახასიათებელი ნაქლისა თუ ღირსების უტყუარი ბუქვიე აზის, სწორედ პიროვნება ის პირველწყარო, რომლითაც შრწამსის, ფორმის, მიზანდასახულობის, თუ, რომელიც გნებავთ, თვალსაზრისით საზრდოობს მწერლის შემოქმედება.

თუ კაცის, ასე განსაჯეთ, სახის გამომეტყველებაში, სიარულში, ხმაში და უზარალო ხელმოწერაშიც კი მისი პიროვნება, ფსიქოლოგიური თავისებურებები, სულიერი მდგომარეობა იკითხება, ადვილი წარმოსადგენია, ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც ადამიანის უღრმესი შრეებიდან მომდინარეობს, რა სიუსტაი იმეორებს თავისი ავტორის ხასიათს, თვისებებს, მიდრეკილებებს. ლიტერატურული კმნილების არა მარტო შემეცნებით ან ემოციურ მხარეს გააჩნია მკითხველის სულიერ წყობაზე ზემოქმედების უნარი, მისი ენა, სინტაქსი, სურათები, მუსიკა, ეპოთეტი, შედარება და უამრავი სხვა. უმცირესი დეტალიც კი, მწერლის შესახებ უზილავი ინფორმაციის მატარებელია, რომელიც მკითხველის ცნობიერსა თუ ქვეცნობიერში მხატვრული სიტყვის საშუალებით აღიბეჭდვება. სიტყვის საიდუმლოს ღრმად ზაირებულ მწერალი გვარწმუნებს, ვატყვევებს და რამდენადმე ვგომსავსებს კიდევ, ამის მორალური უფლება კი მხოლოდ იმას შეიძლება ჰქონდეს, ვინც საკუთარ არსებამი სულიერ ფსიქელობათა შექმნის პირადი გამოცდილება გააჩნია, ვის პიროვნებაშიც უარყოფით დადებითი სკარბობს და ვინც თავად ფლობს სიკეთის იმ მარცვალს, რომლის დათესვაც, მწერლობის დანიშნულებისათვის, სხვებში განუზრახავს.

მწერალი შეიძლება, სიყვარულსა და სიკეთეზე ღირადებს, მაგრამ სიტყვებში გატარებულ ზრწზე მეტი ძალა აქვს ნაწარმოების ერთიან სულს, რომელიც გამოსახვის საშუალებებში, სათქმელის ხასიათსა თუ ფორმაში ცხოვრობს. ეს მწერლის ინდივიდუალური სულია და იგი მკითხველის ემოციურ სამყაროზე პიროვნული გერბით ზემოქმედებს, მკითხველის ცნობიერებაში საკუთარი ავტონომიის დამკვიდრებას ცდილობს. და თუ მწერალს თავის შინაგან არცელობაში არახოდეს განუცდია მაღალადამიანური გრწმონების საოცარი, ტრანსცენდენტალური ბრწყინვალეობა, იგი ვერც სხვებში აღძრავს სიბრძნულისა და სინანულის ცრემლს, რომელსაც ადამიანის განწმენდა შეუძლია. უფრო მეტიც, ზნეობრივად მოუწერისგებელი ხელოვანი, თუნდაც უნებლიეთ, ცუდ სამსახურს გაუწევს მკითხველისა თუ მსმენელის მგრწმონიარე სულს. ამეთი მტკიცების დასტურად, მენსიერება ბასილი დიდის სიტყვების მკარანაობს: „უწმინდური ა უკლოფერი, რიხი დასაწყისი უწმინდურია“. ცუდი კაცის შემოქმედება დანაშაულის სუბიმიაციას, ბოროტების დახვეწა და უფრო

მაღალ რეგისტრში გადატანა. ადამიანის ხელოვნებასა და სულში შეტანილი შხამის უვნებელიდან ტლახის ჩამოხანა ან მოწამლული კუჭის ამორცხვა. ამიტომ ემოციებისა და გრწმონების მიმართ უპასუხისმგებლობა, უცოდინარობითა თუ უგულობით ადამიანის სულში არაგანსაღი ვნებობის აღძვრა დანაშაულია და უფრო დიდი ბოროტებაა, ვიდრე ნებისმიერი ფიზიკური ძალმომრეობა.

შეიძლება, ვინმე არ დამეთანხმოს და მითხრას, რომ ლიტერატურის ისტორიამ იცის არაერთი და ორი მაგალითი, როცა ზნეობრივად არც თუ მთლად ბრწყინვალე ადამიანები გენიალურ კმნილებათა ავტორები იუვნენ. ვინც ფიქრობს, რომ მწერლის პიროვნული ღირსებისგან დამოუკიდებელია მისი შემოქმედების ხარისხი თუ მიზანი, არ ითვალისწინებენ ერთ, მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: — რაც მაღალია, უკლებიერ არ არის წმინდა. დარწმუნებული ვარ, რომ ხელოვნებაში თუ მეცნიერებაში ასეთ გენიათა ცუდმა სულიერმა თვისებებმა, არც თუ პატარა, ან იქნებ სულაც გადაწყვეტი რომლი ითამაშეს კაცობრიობის დღევანდელ ფიზიკურ თუ მორალურ მდგომარეობაზე.

იუვნენ და არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც იტანჯებიან თავიანთი ზნეობრივი არასრულფასოვნების გამო და უაღრესი გულახდილობით ააშკარავენ და დასცინიან თავისივე მანკიერებებს. ისინი არ ერიდებიან სახელისა და ავტორიტეტის შეღახვას და პირად მაგალითზე აჩვენებენ, როგორი არ უნდა იყოს კაცი. ასეთი მწერლები თავგანწირვის მაღალი უნარით არიან დაჩილდოვებული. ისინი საკუთარი პრესტიჟის საზიანოდ საჭაროდ შიშვლდებიან და მხახველის გამოსაფხივლებლად დღის სინათლეზე გამოაქვთ სულიერი სიმახინჯის მთელი საშინელება.

სხვაინარად ძნელი დასაჩერებელია ცუდი კაცის კარგი საქმე.

მ. ვგონებ, ამ თვალსაზრისით ახალგაზრდობის შემოქმედება ჩერკრობით სერიოზული მსჯელობის საგანად არავის უქცევია. თვით ახალგაზრდა მწერლებმაც კი, რომლებმაც ჩვენი უფრონადის ერთ ნომერში ამ საკითგებზე თავიანთი მოსაზრებები გაგვიზიარეს, ახალი თაობის მწერლობისათვის დამახასიათებელ რაიმე თავისებურებაზე კონკრეტული ვერაფერი თქვის. უფრო მეტიც, საკითხის ასე დასმის სისწორეზეც კი გამოითქვა ეჭვი. არადა, სწორედ თავისებურება, სინამდვილის აღქმის, სამყაროსთან დამოკიდებულების თუ ჩანაფიქრის მხატვრულად გადაწყვეტის სწორედ თავისებურება განსხვავების, როგორც მწერლის შემოქმედებისაგან, ისე თაობას თაობისგან. მართალია, ლიტერატურისა თუ, საერთოდ, ხელოვნების დანიშნულებ



ბა, მიზანი და იქნებ თემაც თავის საფუძველში არასოდეს იცვლება, მაგრამ დროისა და ეპოქის შესაბამისად იცვლება ხედვის კუთხე, მეთოდი, ფორმა... და თუ მწერლობაში საერთოდ არსებობს თაობის ცნება, იგი მის, სხვა თაობისაგან განმასხვავებელ ნიშან-თვისებაში, აღქმისა და გამომცემის თავისებურებაში უნდა მდგომარეობდეს.

რადგან ახალგაზრდობის მწერლობას ქრონონად არავინ ჩავდრმავეებივართ, მის სასარგებლოდ, ჭრჭერობით, ელემენტარულ ლოგიკას მოვუსმინოთ: — წარმოუდგენელია, ქართული მწერლობის უზარმაზარი გამოცდილების წიაღში იზადებოდეს, ნებისმიერი კულტურული ერისთვის შესაშურ ტრადიციებზე იზრდებოდეს, უნიკიერესი ხალხის გენეტიკური მემკვიდრე იყოს თაობა და მისი მწერლური სიტყვის თქმის მოთხოვნილებას, თუნდაც ჭრ დაუსრულებელი, საბოლოოდ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ თავისებურად განუმეორებელი და საყურადღებო არაფერი მოჰქონდეს. და თუ რაღაც მანქანებით დარღვეულია კანონზომიერება, ანომალიასთან გვერძინა საქმე და განავიან გვამრთებს... საბედნიეროდ, ეს ახე არ არის, — მოდის ნიკიერი, ისტორიის წყალობით უფრო თავისუფალი, უფრო თამამი თაობა, რომელსაც საკუთარი ხმა, საკუთარი პოეზია, თავისი სიხარული და ციკიელი, თავისი ნაკლი და ღირსება გააჩნია.

მკერა, რომ ამ თემაზე უფრო კომპეტენტური და ვრცელი საუბრისთვის მოიცლის ვინმე, მე კი ორიოდ სიტყვით მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში რამდენიმე მომენტისადმი ჩემს სექტატურ დამოკიდებულებას გაგიზიარებთ.

ფსევდოპრობლემა — აი, რა მიჩვენება თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთ მიუტევებელ შეცდომად, რომელიც, როგორც ახალგაზრდა მწერალთა დიდ ნაწილს, ისე ბევრ სერიოზულსა და ავტორიტეტულ ოსტატსაც შეიძლება ვუსაყვედუროთ. ჩემი ფანტაზიის ნაყოფი არ არის მოსაზრება, რომელიც მწერალს თავისი ეპოქის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას ავადლებს. მწერალი, ისტორიული განვითარების პროცესში, მთელი არსებით უნდა გრძნობდეს თავისი დროისა და ხალხის თავისებურებებს, უნდა იცოდეს მათი სუსტი და ძლიერი მხარეები და სიტყვის მახვილით იდგეს იქ, სადაც ერის თუ, საერთოდ. აღმინის მომავალს უკვლავ დიდი საერთო ემუქრება. „დავადგეთ იქ, სადაც ქარიშხალია...“

სხვათადად, მე არ ვიცი, რა გამართლება და სარგებლობა შეიძლება ჰქონდეს ლიტერატურას, თუ ის არანაირად არ ეხმარება და არ ცდილობს იმ სულიერი, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა აქტუალური პრობლემების

გადაჭრას, რომლის წინაშეც ცხოვრებისეული ვდგავართ ადამიანები.

მიუთმეტეს დღეს, აჩქარებული ტემპებისა და კბილებამდის შეიარაღებული უგუნურების საუკუნეში, როცა დავიწყებულია სიცოცხლის ჭეშმარიტი აზრი; როცა აღამიანი ტექნიკის ზედნაწილი გახდა და დაკარგა ბუნებაზე ფიქტიური ზემოქმედების უნარი; როცა ძალიან ცოტამ იცის სიმართლისა და კეთილსინდისიერების ფასი და მნიშვნელობა; როცა სიყვარულს ვეღარ არჩევენ სიძვისა და მრუშობისაგან, პათოსანი კაცი კი არასრულფასოვან აღამიანად ითვლება; როცა აღამიანის — მარადიული ბედნიერებისთვის განკუთვნილი სული — ეგოიზმის ტყვეობაში იხრწნება და იხრჩობა; როცა უფულობითა და წინდაუხედაობით იწამლება წყალი და ჰაერი; როცა ტექნიკურმა რევოლუციამ გაარღვია ატმოსფერული გარსი და ბიოსფერო რადიაციით ივსება; როცა ბუნებასთან ურთიერთობაში გაჩენილი ბზარი დღითიდღე იზრდება და ირღვევა ეკოლოგიური წონასწორობა... როცა, როგორც მოცოქული პავლე ამბობს: „თავი ბრძენი ჭკონითა და მთლად გამოსულიდღენენ“. ვინ? სხვა ვინ გასწვდება, თუ არა სიტყვა, აღამიანთა სულიერი თუ ფიზიკური პრობლემების ზღვას, რომელიც ავისმომასწავებლად მოქუფრულა და მისი მოსაღვინელი მრისხანების წინაშე რვაღურად ვდგავართ. ჩვენ კი... აი, დაახლოებით, ჩვენი მდგომარეობის სიმბოლური სურათი: — კაცი ბედისწერას თუ თავისივე წინდაუხედაობას თვალუწვდენელი ოკეანით ვარშემოტყვულ უკაცრიელ კუნძულზე გამოურთიყავს. ხეღრით შეწუხებულსა და შეშინებულს უცებ რაღაც სასწაულით ციდან ხმა მოესმა, რომელიც ერთი, ნებისმიერი ნატურის შესრულებას აღუთქვამდა და, როგორ გგონიათ? — ამ უხედურს სიხარულისაგან დაავიწყდა თავისი მდგომარეობის მთელი სიმძიმე და... ჩვეულებისამებრ — ოქროთი სავსე ქისა ინატრა.

ერთი სიტყვით, აღამიანთა უძვირფასესი სულებით სავსე ხომალდი საფრთხეშია. ჩვენ კი არა მარტო ფსევდოპრობლემებს ვაზმართ ნიჭსა და ენერჯიას, საზოგადოების გულწრფელ ყურადღებასაც ეგემერულ თემებზე ვამახვილებთ, რისი მორალური უფლებაც არა აქვს მწერალს.

აქვე, სულ რამდენიმე სიტყვით, თუმცა მეორეხარისხოვან, მაგრამ მინც ვასათვალისწინებელ მომენტს შევვებთ: არა მარტო ლიტერატურაში, მთელ ქართულ ხელოვნებაში უცხოური ელემენტის შემოტანის მცდელობა შეინჩნევა. რა თქმა უნდა, სხვათა გამოცდილების გაზიარებაში, თავისთავად ცუდი არაფერია, მაგრამ ამგვარ დასესხებას მხოლოდ მაშინ ექნება გამართლება და სარგებლობა, თუ იგი შემოქმედებითად იქნება ათვისებული. რაც შე-

ენება მწერლობას, აქ კიდევ მეტი სიფრთხილვა საჭირო, რადგან ქართულ ენასთან გვაქვს საქმე. ენის ბუნებისა და თავისებურებების გაუთვალისწინებლად, სხვა ენიდან შვა აზრობრივი თუ მხატვრული კონსტრუქციების შექანიკური შემოტანა ნაწარმოებს უსულოსა და ხელოვნურს ხდის და ამახინჩებს არა მარტო ენას, არამედ ამ ენაზე აზროვნების თავისთავად განუმეორებელ ფორმასაც. ამდენად, ახეთი მცდელობისას დიდი ლიტერატურული ალღო და ეროვნული სულის წიაღებში ღრმა წვდომის უნარი გვმართებს.

უბიწლად უნდა მოვეციდოთ ექსპერიმენტებისადმი გაზრდილ მოთხოვნილებასაც, რაც, თუ ობიექტური ვიქნებით, უფრო მრავალფეროვანს ხდის მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს და ადამიანის სრულიად ბუნებრივი მოთხოვნილების — ახლის ძიების სულით საზრდოობს. მაგრამ ახეთი მაძიებლობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ის მაშინ გამოიღებს სასარგებლო ნაყოფს, თუ კარგად ვფლობთ უკვე დამკვიდრებულ და დიდი წარსულის მქონე ტრადიციულ ფორმებს, რის საფუძველზეც შეიძლება ვეძებოთ და ძველთან შევჯეროთ რაღაც ახალი. სხვა შემთხვევაში ექსპერიმენტის უკან ხშირად უნიჰობა, მწერლური ტვირთის გაიოლების მცდელობა იმალება. აქ კი კრიტიკის ობიექტურობაა საჭირო, რათა მართლაც საინტერესო მიგნებები არ დარჩეს სტიმულირების გარეშე და, პირიქით, ფსევდოლიტერატურა არ ამოეფაროს კუშმარტი ლიტერატურის სახელს.

4. ახალგაზრდულ მწერლობას (თუკი ამგვარ დახარისხებას საერთოდ გააჩნია რაიმე საფუძველი) კრიტიკა ჭეროვან ყურადღებას რომ ვერ აქცევს, ის უკვე ითქვა. ამ მდგომარეობის გამოსწორება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. მაგრამ საკითხავი ჭერ ის არის, ქართული კრიტიკა, იმ სააზროვნო პოზიციებიდან, რომელზეც დღეს დგას, ყურადღებითაც რომ მოკიდებოდა მწერლობის ახალ ცვლას, შეძლებდა თუ არა თავისი ფუნქციის ოდინდელი მნიშვნელობით კუშმარტი სარგებლობა მოეტანა მხატვრული აზროვნების დანიშნულებისამებრ განვითარებასა და ფორმირებაში? — საეჭვოა! და, აი, რატომ:

ჩვენდა საბედნიეროდ, ყოფით-ცხოვრებისეულ თუ ლიტერატურულ პრობლემებზე მძაფრი და ხმაყალი წერილები არ აკლია ბოლო დროის პერიოდებს. კრიტიკის მისამართით, ახეთ გამოსვლებში, თვით კრიტიკოსთაგან გვემის არჩეულ კრიტიკოსებებსა და ტენდენციურობაზე, ეპითეტებისა თუ მორალურ ფასეულობათა დეკლავაციაზე ჩივილი, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მანიკერების გამოშვებების მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება მჭონდეს აზრი და სარგებლობა, თუ მათ გამო-

წვევ მიზნებსა და მათგან თავის დაღწევის შუალელებზეც შევქმნით რაიმე წარმოდგენას. სავსებით სამართლიანია მოთხოვნა, — ბოლოს და ბოლოს აღსდგეს ობიექტური კრიტიკა, მაგრამ მოთხოვნა და უარყოფითი მოვლენათა ჩამოთვლა არ არის საკმარისი. მან, ვინც ხედავს ახეთ აუცილებლობას, ცოცხალ მაგალითზე უნდა გვაჩვენოს, თუ რას გულისხმობს ობიექტური კრიტიკა და როგორი უნდა იყოს ის. თორემ რა გამოდის; კოვალობ მსგავსი ხასიათის წერილებს და თითქოს უკვლავი რიგზეა — ფრწა გამართულია, შენიშვნები სამართლიანი... მაგრამ ისინი იგივე ნაკლით არიან დაღდაპულნი, რა ნაკლისთვისაც სხვებს საყვედურობენ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ არც მათ იციან ის საყრდენი, ის ამოსავალი წერტილი, რომლის დავიწყებამაც კრიტიკიზმების აღრევა გამოიწვია, — ასე რომ არ იყოს, მაშინ ისიც გვეცოდინებოდა, რომ დაკარგულა და გაუფუჭებულზე ყვიროლთან ერთად, ამ კრიტიკიზმების მოძიებისა და აღდგენის მცდელობაა საჭირო, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაეარკიოთ სულიერ ფასეულობათა კუშმარტი საზომები და ის ორიენტირი, რომელთა ერთგულებაც უპირისპირდება, ტენდენციურობისა და შეცდომებისგან დაგვაზღვევდა.

ყოველივე ზემოთ თქმულის პასუხად, ვერაფერს ვიკონებ, უფრო სწორად, უბრალოდ და ამომწურავად თქმულს: „ყოველგვარი კონკრეტული მოღვაწეობა დაიბადა და ნაყოფიერი მხოლოდ მაინად, სანამ განუწყურებლად არის დაკავშირებული ღრმა, გულწრფელ და მტკიცე მრწამსთან“. რაღა თქმა უნდა, ერთი სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი პირობის გათვალისწინებით: — „მრწამსი ძვირფასი უნდა იყოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის კუშმარტი ია და არა იმიტომ, რომ ის ჩვენია.“

კუშმარტი მრწამსი — აი, როგორც კრიტიკის და, საერთოდ, მწერლობის, ისე ნებისმიერი ადამიანის აზროვნებისა და მოქმედების აქვამად დაიწყებული და უუურადღებოდ მიტოვებული კრიტიკიზმი. და თუ არ გავაჩნია კანონისა და სინდისის დონეზე ანგარიშგასაწევი მრწამსი, გაუგებარია, რის საფუძველზე შეიძლება ვარკიოთ მტყუანი და მართალი, სწორი და მცდარი. ნუთუ მხოლოდ პიროვნებათა ინტუიციაზე დაყრდნობით შეიძლება უარყოფითი და დაამკვიდროთ ისეთი რამ, რასაც ერის სულიერი საზრდო ჰქვია?

კუშმარტიზე კანონიერი წარმოდგენა და უმადულესი სიმართლის წვდომის საშუალებებისა და პირობების ცოდნა თანაბრად მოეთხოვება როგორც მხატვარს, ისე კრიტიკოსს, პირ-

უარსებ ნარმანძი  
„შემოქმედებამ ნიშნავს სიკვდილის მოკვლას“

ველს — რათა ჭეშმარიტებისაკენ მწერლობის დანიშნულებისამებრ სწორად წარმართოს ადამიანის გული და გონება. მეორეს — რათა იცოდეს, რას დაეყრდნოს მსჯელობისას, რის საფუძველზე გააკეთოს დასკვნები.

ნაწარმოების ის გარეგანი ფაქტორები, რომელთა ანალიზითაც ამოიწურება დღევანდელი კრიტიკული სიტყვის არეალი, მხოლოდ და მხოლოდ ჩანაფაქრის განსახორციელებლად შერჩეული საშუალებებია და, ამდენად, აუცილებელი, მაგრამ მაინც მეორადი მნიშვნელობისაა, მთავარი კი ის იმანენტური საფუძველი, ის მრწამსია, რასაც ხელოვანი მხატვრული სახეების, სურათებისა და კომპოზიციური ქსოვილის მიღმა ეყრდნობა.

ჭეშმარიტი მრწამსი — აი, ჩემი ღრმა რწმენით, რისი მოძიება, აღდგენა და დაცვა დაგვაზღვევდა სუბიექტივიზმისა და შედღაობისაგან. აი, რისი მეშვეობით შეიძლება განვსაზღვროთ მხატვრული ნაწარმოების ჭეშმარიტებასთან შეხების მისაღებები თუ მორალური და სულიერი ღირებულება.

ჭეშმარიტი მრწამსი — აი, ის სარკე, რაშიც ცხადად ჩანს მარად უცვლელი ორიენტირიდან გაუმართლებელი გადახვევები და ის მავნე ბაცილები, რომლებიც ლიტერატურის საშუალებით ადამიანის სულში შედღწევას და ჩაბუდებას ცდილობენ.

„წიგნების შორისაც შეიძლება მოხდეს კარგ და ცუდ საზოგადოებაში, როგორც ადამიანთა შორის“. ასეთი წიგნები, თავიანთ შინაგან რეალიტეში ამოიცნოს და საზოგადოება მათი თვალთი უხილავი მავნებლობისგან დააღვოს, — აი, კრიტიკული ხელოვნების — გარჩევისა და შეფასების — უმთავრესი აზრი და მისია, რომელიც მას ლიტერატურაში უზენაესი კანონის დაცვაზე ზედამხედველობის უფლებას აძლევს და რომელიც მისგან სიფხილესა და უანგარობას მოითხოვს. ცუდი წიგნი კი, არ გადავაპარებთ თუ ვიტყვი, დამახინჯებული მრწამსის გამოა ცუდი.

ჭეშმარიტი მრწამსის გარეშე უსაფუძვლო და უნაყოფოა ყოველგვარი აზრი, მტკიცება, საქმე. აღარაფერს ვამბობ მრწამსის საერთოდ უქონლობაზე, როცა სიმძიმის ცენტრის გარეშე აგებული, ლამაზი სიტყვების ბუხლად ხლების ერთა შეხებრვით ინგრევა და მართლაც საკუთლისხმო და გასათვალისწინებელი აღარაფერი რჩება.

ასეთი კატეგორიულობის დასაცავად, ვიტყვი: ჭეშმარიტი მრწამსი! — ეს ხომ არ არის ის ღირებულებათა ღირებულება, რასაც თვით ადამიანსა და მის ეროვნებასაზე მაღლა აყენებდა, რასაც საუკუნეების მანძილზე საკუთარი სისხლის ფასად ინარჩუნებდა და თაობიდან თაობას შერუყვენებდა გადასცემდა ჩვენი წმინდა და მართალი წინაპარი?.. ეს ხომ არ არის ის, რისთვისაც დაიწერა „ვეფხისტყაოსანი“ და რამაც რუსთაველისა და გურამიშვილის უკვდავება უზრუნველყო?.. ეს ხომ არ არის ის, რისმა

დაკარგვამ და დამახინჯებამაც განაპირობა უკეთესი უბედურება, რომელიც გვიკრის... მთ შორის სტიქიური?..

წ. ჩემი ყველაზე დიდი საფიქრალი, უმთავრესი საქმე და, თუ გნებავთ, შემოქმედებითი გეგმაც კეთილშობილების, სიყვარულის, პატიოსნების, იმ სულიერი დონის მიღწევა, იმ განსაზღვრებაში გადახვალა, რომელიც მწერლობის ჭეშმარიტ უფლებას იძლევა და საიდანაც ხელისგულივით მოჩანს მარადისობა, მისი ერთ აუწერელი მშვენიერება.

და, აი, ამ თვალსაზრისით, თუ ჩემი პოეზია ერთ კაცს მაინც აუხელს თვალს, — რომ დედა-მეწაფე არ არსებობს არც ერთი ნივთი, არც ერთი თანამედრობა, არც ერთი სახელი, რომელიც ადამიანის უკვდავ სულში შურისა და ღვარძლის აღძვრად ან სინდისის შეზღავდად ღირდეს. რომ არც ერთი ჩვენთაგანი არ არის სხვაზე უკეთესი, და თუ მაინც არის, მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენს გულში უპირატესობის შეგრძნება თავდაბლობას ჩაუკლავს და სხვების დანაშაულზე გულწრფელად და მტკივნეულად ვგრძნობთ ჩვენს პასუხისმგებლობას; რომ სიცოცხლე მშვენიერების უზარუნლობაში დასამკვიდრებლად მოცემული შესაძლებლობაა; რომ სიკვდილი ჩვენზე შეცდომების ნაყოფია; რომ სიმართლისა და სიყვარულის საოცარი ბრწყინვალეობა არასოდეს ქრება და რომ მისი კანონებით ცხოვრება უკვდავების უტყუარი გარანტიაა; რომ არ არსებობს აუსრულებელი მიზანი, თუ გვიჭერა სამყაროს დიადი შემქმნელის შემეცნა, რომლის წყალობა და შესაძლებლობებიც უსაზღვროდ აღმატება ადამიანის ნებისმიერ ჩანაფიქრს.. თუ ჩემი პოეზიით ერთ კაცს მაინც დავარწმუნებ, რომ შესაძლებელია მიზანი, თუ გვიჭერა მის ატოლ საქმეებს, რომ ქვეყნად სიკეთის გამარჯვება უკვე გადაწყვეტილია ცაში, — ვიტყვი, რომ ამაოდ არ მიტხოვრია.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩემს თანამოკალმეებს გაეფიქროს ერთი ღრმად რწმენისმიერი და დიდხანს ნალოლიავეთი ფიქრი: ისტორია სწორედ XX საუკუნისთვის წვრთნიდა, ამზადებდა და ინახავდა საქართველოს მრავალტანჯულ სულს... დღეს კი მწერლობის ტაძარში ჭეშმარიტი სიწმინდის წინაშე დაღვრილი ცრემლის ყოველი წვეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის აუწონავი საუნჯეა, — და არა მგონია, ეს სიტყვები უფრო ხმამაღალი იყოს, ვიდრე ისინი, რომელთა დროც დგება, და რომლებიც ჩვენ ყველაზე ერთად უნდა ვთქვათ.

დასასრულ, მინდა კიდევ ერთხელ გავიხსენო ქრისტესთვის წამებული შუშანიკის სიტყვები და მწერლობისა და ადამიანის ურთიერთმიმართებაში წამოჭრილი ყველა შესაძლებელი ამოცანის, წინასწარ ცნობილი პასუხის მნიშვნელობა მივანიჭო მათ: „უკეთეს სულთა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკეთეს სულთა მომკლადარ ხართ...“



# ვალერიან ითონიშვილი

## კოსტა ხეთაგუროვი და ხალხური ტრადიციები

კოსტა ხეთაგუროვი იმ დროს მოუხდა მოღვაწეობა, როცა მის სამშობლოსა და კავკასიის სხვა რეგიონებში აქტიური ბრძოლა მიმდინარეობდა ხალხის ყოფაში შემორჩენილი დროშოქმული ჩვეულებების მოსაპოვის ან ვარდაქმნის მიზნით. ამ ბრძოლას რომ დადებითი შედეგი მოჰყოლოდა, პირველ რიგში, საჭირო იყო არსებული ჩვეულებების წარმოშობა-განვითარებისა და გამძლეობის ფაქტორების შესწავლა, რაც, თავისთავად, ეთნოგრაფიული კვლევების საგანს შეადგენდა. ასეც მოხდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებში ეთნოგრაფია უკვე დამოუკიდებელ სამეცნიერო დარგად იყო ჩამოყალიბებული, კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიულ შესწავლასაც საკმაოდ სერიოზული ხასიათი მიეცა. კავკასიის ხალხთა ყოფასა და კულტურას უმთავრესად იკვლევდნენ რუსი ან უცხოელი სპეციალისტები, მაგრამ ამ საქმიანობაში თანდათანობით ადგილობრივი ძალებიც ჩაებნენ.

XIX საუკუნეში ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება და მასზე დამყარებული კვლევა-ძიება მთელ მსოფლიოში ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა. იმ ქვეყნებში, რომლებიც კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდნენ, ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მიზანს შეადგენდა დამორჩილებულ ხალხთა ჩამორჩენილობის ჩვენება, მათ ცხოვრებაში ცივილიზაციის შეტანის საჭიროების დამტკიცება და, საბოლოო ანგარიშით, იმის დასაბუთება, რომ ჩამორჩენილ ხალხებს განვითარებული ერები უნდა მართავდნენ. ეთნოგრაფია სულ სხვა როს ასრულებდა იმ ხალხთა ცხოვრებაში, რომელნიც ნაციონალურ ჩაგვრას განიცდიდნენ. ამ შემთხვევაში ეთნოგრაფიას წილად ხვდა ეროვნული კულტურისა და ყოფის შესწავლა, მისი თვითმყოფადობის დანახვა, რაც უშუალოდ დაუკავშირდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს.

რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების, მათ შორის, ოსების ყოფისა და კულტურის ამ

მიმართულებით შესწავლის საქმეს მესვეურობდნენ ხალხის რჩეული წარმომადგენლები — მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ვინაიდან მაშინ არამცხოველ ოსეთში, არამედ მთელ საქართველოშიც, სადაც გაცილებით განვითარებული იყო კულტურა, განათლება და მეცნიერება, სამეცნიერო კადრების დიდი ნაკლებობის პირობებში ეთნოგრაფიის მისიასაც მწერალი, მასწავლებელი ან რომელიმე სხვა საზოგადო მოღვაწე ასრულებდა. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება და პუბლიკაცია | მოწინავე საზოგადოების სისხლხორციულ საქმედ და მწერლობის განუყოფელ ნაწილად იქცა. მოღვაწეებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ემსახურებოდნენ ეროვნულ საქმეს, ვინაიდან ენისა და ტრადიციების დავიწყება საფრთხეს შეუქმნიდა ეროვნული კულტურის არსებობას. იმის დრმა რწმენით, რომ ეროვნული კულტურის შენარჩუნების აუცილებელ პირობას შეადგენდა ენასთან ერთად ტრადიციების ფუნქციონირება, ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებში განსაკუთრებულ ყურადღება ექცეოდა ხალხური წეს-ჩვეულებების კვალიფიკაციის მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. როგორც წესი, მოთხოვნიდნენ სახარგებლო ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას, გამოდნენ დროშოქმულსა და ეპოქისათვის შეუფერებელ ჩვეულებებს.

ოს საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც ხალხურ წეს-ჩვეულებებს ამ თვალსაზრისით განიხილავდნენ, კოსტა ხეთაგუროვიც უველად კარგად ესმოდა როგორც ჭანსალი ტრადიციის დიდი ეროვნული მნიშვნელობა, ისე დროშოქმული წესის მანკიერება. მისი მხატვრული ნაწარმოებები და ეთნოგრაფიული ნარკვევები ნათლად გვიჩვენებენ, თუ როგორი სიუყარულითა და გატაცებით აღწერდა კოსტა ხეთაგუროვი დადებით ტრადიციებს და როგორ გმობდა ის ცხოვრებისათვის საზიანო ჩვეულებებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყუთო პოეტის თუნდაც ორი სტატია, რომელ-

თავან ერთში იგი ეხება დრომოქმულ ადათს, ხოლო მეორეში ყოველმხრივ სასარგებლო წესს.

ფაქტობრივი მონაცემები, რომლებიც კ. ხეთაგუროვმა თავისი მიმოხილვის წყაროდ გამოიყენა, ქვეყნდებოდა კავკასიის რუსულ პერიოდიკაში. სტატიებში, კორესპონდენციებსა და დადგენილებებში სათანადოდ არის კვალიფიცირებული აღწერილი მოვლენები და ფაქტები. პუბლიკაციების დიდ ნაწილში განხილულია ისეთი უფრო შემორჩენილი არქაული ჩვეულებები, რომელთა მოსაზრების ან გარდაქმნის საკითხი ანაერთხელ დასმულა. პირველ რიგში ეს ეხებოდა ცხოვრების პრაქტიკაში საყოველთაოდ მოქმედ ისეთ ჩვეულებებს, როგორც იყო ქალის მოტაცება და სხვიდვითი ქორწინება. პრესაში გამოქვეყნებული თითქმის ყველა მასალა ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ საზოგადოების მიერ მავნელ მიჩნეული ეს ჩვეულებები ერთიმეორესთან მჭიდროდ დაკავშირებული იყვნენ. რამდენადაც ერთი წესი მეორედან გამომდინარეობდა, ერთის სრულყოფილი შენარჩუნებასაც განაპირობებდა. ექვსი შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ მოტაცებით ქორწინება კანონიერი ქორწინების სახეობა არ იყო, ოსეთში თუ კავკასიის სხვა რეგიონებში მოტაცება ნორმირებულ და მხარეთა შეთანხმებაზე დამყარებული საქორწინო ურთიერთობის საწინააღმდეგო აქტი იყო. პრესაში ასახული ფაქტების მიხედვით, ვფიქრობ ამ გზას ირჩევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას არ გააჩნდა ძვირად ღირებული საქორწინო საურავის გადახდის შესაძლებლობა. მოტაცების მიზნად ზოგჯერ ქალის ოჯახის წევრთა წინააღმდეგობაც ხდებოდა, მაგრამ უმთავრეს ბარიერად მაინც სუიციდითი ქორწინების წესი ითვლებოდა.

ყველა სტატიის, კორესპონდენციისა და დადგენილების მიხედვით, რაც XIX საუკუნის მაქსიმალურად გამოქვეყნდა, საზოგადოების უკომპრომიზო მსჯელობის საგანს შეადგენდა ცხოვრებისათვის შეუთავსებელი მოვლენების გარდაქმნა ან მოსაზრება. ასეთი ვითარება შეინიშნებოდა არა მარტო ოსეთის მთიანეთში, სედაც უფრო ხანგრძლივად და მტკიცედ შემორჩა არქაული წეს-ჩვეულებები ან მათი გადმონაშთები, არამედ ოსეთის ბარის სოფლებში, დაბებში და თვით ქალაქებშიაც კი. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ოსი ხალხის წარმოყვადგენელთა ყრილობაზე ქ. ალაგირში (გაზ. „კაზბი“, 1902. № 1274). აქ გამართული ფართო სება-ბასილან გამოჩნდა, რომ ცხოვრების საჭირობების საკითხებზე აბრტე მრავალქერ უმსჯელიათ. ისიც გარკვევით ითქვა, რომ არსებული წესების დრომოქმულობის პრობლემა არა მარტო მთის, არამედ ბარის მოსახლეობაშიც გადაუჭრელი იყო, მაგრამ ვერც აქ ურილობას მიუყვას სასურველი შედეგი.

ყოველივე ეს შესანიშნავად იცოდა კ. ხეთა-

გუროვმა, რომელმაც „ვლადიკავკასურის წერილების“ სერიიდან (გაზ. „სევერნიი კავკასი“ ერთ-ერთში (დასახ. გაზეთი, 1890, № 86) საგანგებოდ მიმოიხილა გამოქვეყნებული მასალები მოსახლეობაში დაგმოიბილი და სტატიების ავტორთა მიერ კრიტიკულად შეფასებული წეს-ჩვეულებების შესახებ. მწერალი იწონებს ხალხური ტრადიციების შესწავლათ ადგილობრივი ინტელიგენციის დაინტერესებას და საგანგებოდ მნიშვნელობას ანიჭებს დრომოქმულ წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლას, საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას და მოსალოდნელ სასიკეთო შედეგებს.

მწერლის შეხედულებით, ისეთი ცხოვრებაში ამ მხრივ ერთი-ერთი მძიმე სოციალური მოვლენა იყო საქორწინო საურავის გადახდის წესი, რაც ოსეთში „ირად“-ის სახელწოდებით იყო ცნობილი. რუსულ პერიოდიკაში მის აღსანიშნავად მხარდებულია აგრეთვე „უალიში“. მაგრამ ორივე ტერმინი ერთი და იგივე შინაარსის მქონე ჩვეულების გამომხატველი იყო. ქართულში მისი შესატყვისია „ურვადი“, რაც ასევე სუიციდითი ქორწინების ფორმას შეესაბამებოდა.

სუიციდითი ქორწინების ჩვეულება, რაც გადმონაშთის სახით ოსეთში XIX საუკუნის მთელ სიგრძეზე იყო შემორჩენილი და რომლის ლიკვიდაცაც ცხოვრების პრაგმატის შეესაბამებოდა, თავისი ფესვებით უკავშირდება გვაროვნული წყობილების გარდასვალ პერიოდს. საქმე ეხება მატრიარქატის შემდეგ პატრიარქალური გვარის ფორმირების ხანას, როდესაც მამაკაცის უფლებამოსილების ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა მისი ინიციატივით ქორწინება. მაგრამ იმის გამო, რომ ქალის გადასვლა ქმრის სახლში ნიშნავდა ქალის გვარისა და ოჯახისათვის მუშახელის დაკლებას, კომპენსაციის აუცილებლობა მამაკაცს საურავის გადახდას ავალდებულებდა. ამ არქაული წესის განმტკიცებას რამდენადმე ხელი შეუწყო მამამაიანობის გავრცელებამაც, რაც ოსეთის მოსახლეობას ნაწილობრივად შეეხო, მაგრამ ირადის გადახდას წესი აქ მაინც უძველესი ტრადიციის შენარჩუნებით იყო შესპირობებული, რამდენადაც მისი გადახდა, რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ერთნაირად ევალდებოდა როგორც ქრისტიანს, ისე გამაჰმადიანებულ მოსახლეობას. ამაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ცნობილი ოსი ლინგვისტის პროფ. ვ. ახაევის განმარტებით სიტყვა „ირად“ ძველი ირანული წარმოშობისაა, რაც ოსეთში შორეული ისტორიული წარსულიდან დამკვიდრებული ჩანს.

შორეული წარსულიდან ირადის მომდინარეობის აზრი ფიგურირებს ყველა იმ დოკუმენტში, რომელიც მის დრომოქმულობას შეეხება. იმავე შეხედულებას ავითარებს კ. ხეთაგუროვი, რომელიც სუიციდითი ქორწინების წესს უძველესი დროიდან გადმონაშთის სახით შემორ-



ჩენილ მავნე ჩვეულებათა კატეგორიას მიაკუთვნიება.

კ. ხეთაგუროვის ინტერპრეტაციის თანახმად საქორწინო საურავის ღირებულება, ქალის გარჩამომავლობის, სოციალური მდგომარეობისა და ღირსება-ავტორიტეტის შესაბამისად, 25-100 ძროხის ფარგლებში მერყეობდა. XIX საუკუნის 30-იან წლებში, ზოგიერთი დამკვირვებლის (მაგალითად, 1836 წ. ა. იანოვსკის) ცნობით, ყველაზე გამოჩენილი გვარის ქალზე ქორწინებისათვის სავალდებულო იყო 140 ძროხა და 7 ცხენი, ხოლო ირადის უმცირესი ღირებულება 12 ძროხას შეადგენდა. 1910 წლის მონაცემების თანახმად ირადის უმაღლესი კატეგორია 1000-1200 მანეთით განისაზღვრებოდა. ესაგადასახადო საშუალებად მიღებული იყო როგორც ფულადი, ისე ნატურალური ანაზღაურება. ისოდენ დიდი ვალდებულება უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა სასიძოს და მის ოჯახს. ვაჟის ოჯახი ზოგჯერ გაპარტახებული რჩებოდა, ხოლო ზოგი მრავალი წლის მუშაობით თუ შესძლებდა საკირო თანხის მოგროვებას. შექმნილი მდგომარეობა ხელს უწყობდა საქორწინო ასაკის გახანგრძლივებასაც. ფიქსირებულია შემთხვევები, როცა ქმარი დიდი ხნით უფროსი იყო ცოლზე. ირადის გადაბრის ჩვეულებამ კიდევ უფრო დაამახინჯა ცხოვრების წესი სოციალურად აღზეშვულ ფენებში. პრივილეგიური პირები თავის სასარგებლოდ იყენებდნენ სუიციდითი ქორწინების აღას და ღარიბთა ოჯახებიდან ცოლებად ყიდულო ბრუნვ ქალებს, რომლებსაც იყენებდნენ თავიანთ შინამონებად. შინამოსამსახურებდად (ოსურად — ნომილუს). მათი შვილებიც სოციალურად შინამონების რიგებს ავსებდნენ და მდგომარეობის შესაბამის სახელწოდებას ატარებდნენ (ოსურად — კუმიაგ, ქავდასარად). როგორც წესი, ნომილუსისაგან დახადებულ ქალიშვილს მისი აღზევებული მამა ან გლეხზე ათხოვებდა ანდა რომელიმე ფეოდალს ნომილუსად აძლევდა ირადის (უალიმის) აღების პირობით.

XIX საუკუნის მიწურულში, როდესაც პროგრესულმა საზოგადოებრივმა აზრმა თანდათანობით საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. სხვა რიგის დროშობულ ჩვეულებებთან ერთად ბრძოლა გამოცხადა ირადის გადახდის წესსაც. კ. ხეთაგუროვის შეხედულებით, აღნიშნული ჩვეულების უარყოფას საფუძვლად უნდა დასდებოდა ბრძოლა, ერთი მხრივ, სოციალური უთანასწორობის, ხოლო, მეორეს მხრივ, ქალსა და მამაკაც შორის არსებული უფლებრივი განსხვავების აღსაქვითად.

ხშირად იმართებოდა მსჯელობა ხალხის გამალატაკებელი ისეთი ჩვეულებების მოსპობის ან შეზღუდვის მიზნით, როგორც იყო საქორწინლო თუ სამშობლივარი ხარკები, კრება ან ყრილობა შესაბამის დადგენილებასაც დღეულობდა, მაგრამ დადგენილების რეალიზაცია

მინც ვერ ხორციელდებოდა. თუ ყველაწაწილი ისევ მამა-პაპურ წესს მიჰყვებოდა, ხოლო თემ-საზოგადოების გადაწყვეტილების დაცვის მიზნით ასეთ პირებს მძიმე გარიმას აწერდნენ. კ. ხეთაგუროვის შეხედულებით, ამგვარი ღონისძიება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, ვინაიდან მკაცრი აღმინისტრირების გზით შეუძლებელი იყო საყოველთაო მანძილზე მოქმედი ჩვეულების აღკვეთა.

მწერალი ყოველი მოღვაწის მოვალეობად თვლიდა ტრადიციების საფუძვლიან ცოდნას და დიფერენცირებულ მიდგომას მათ შეფასებაში, იგი მკაცრად ამართახებდა ყველა იმ პირს, ვინც ყოფითი ხასიათის მოვლენებს ერთნაირი საზომით უდგებოდა, ყოველგვარ სიძველეს ბელადებით უარყოფდა და, ძალუწებურად, დროშობულ ჩვეულებებთან ერთად, დადებით ეროვნულ ტრადიციებსაც ბრძოლას უცხადებდა. მწერალი სამაგალითოდ ასახელებს მთელ კავკასიაში უძველესი დროიდან ისე ფართოდ გავრცელებულსა და მდგრად ჩვეულებას, როგორცაა სტუმარმასპინძლობა. პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციებისა და პირადი დოკუმენტების მეშვეობით მისთვის ცნობილი იყო დაუპატიებლად მისულთა უკან გამობრუნების სამარცხენო შემთხვევები. სხვებთან ერთად თვითონაც გამოდა ესოდენ თვალმისაცემ დეფექტებს, ამის საფუძველს ხელავდა ხალხმრავალ ქორწილებსა და ქილებებში, სადაც თავმოყვარეობადაქარსული აღამიანები ახერხებდნენ მოკალათებას, მაგრამ მიარჩნდა. რომ ასეთი გამონაკლისი შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა გადასერიდოყო საზოგადოებრივად საწინაო ბრძოლაში სტუმარმასპინძლობის უკეთესობიდან ტრადიციის წინააღმდეგ

მწერლის სამართლიანი შეხედულებით, დროშობულ ჩვეულებებს შენარჩუნებას აპირობებდა საზოგადოებრივი განვითარების დაბალი დონე. ამიტომ, ვითარება შეცვლის რეალურ გზად მას ესახებოდა ხალხის გათვითცნობიერება, იმ რწმენის განმტკიცება, რომ მავნე ჩვეულების ფუნქციონირება ეწინააღმდეგება ცხოვრების დინამიკას, ზიანს აყენებს აწმყოს და სასიკეთოს არაფერს უქადის მომავალს. ნეგატიური ყოფითი მოვლენების წინააღმდეგ უკიდურესი ბრძოლის მომხრე მოღვაწეების საყოველთაოდ კ. ხეთაგუროვი გამოსავალს ხელავდა განათლების გავრცელებასა და ხალხის შეგნების ამაღლებაში იმ დონეზე, რომ ხალხს თავად დანახა არსებული ჩვეულების არსი მისი პოზიტიური თუ ნეგატიური თვისებებით, მანამდე კი, ვიდრე არსებობდა ცრუმორწმუნეობა და ოდიოგან მომდინარე ჩვეულებისაღმი ბრმა თაყვანისცემა, გარიმებით თუ სხვა მსგავსი ღონისძიებით მავნე რწმენისაგან გათავისუფლება მიუღწეველი რჩებოდა. საზოგადოებისა და მის რჩეულ წარმომადგენელთა ბრძო-

ღას მავნე წესჩვეულებათა წინააღმდეგ მწერალი აქტიურად ეხმარებოდა, ამ ბრძოლაში ის ხალხისათვის სასიკეთო ღვაწლს ხედავდა, მაგრამ დიდ სიფრთხილესაც მოითხოვდა, ვინაიდან ხალხურ ტრადიციებზე აღზრდილ მწერალს შესანიშნავად ესმოდა ტრადიციის მნიშვნელობა, იგი ითვალისწინებდა მის გამძლეობას და მისი ტყვეობისაგან ხალხის შეგნების გათავისუფლების სიძნელეებს.

მწერალი, რამდენადაც კრიტიკულად განიხილავდა უოფაში დაკონსერვებულ მავნე მოყვლებს და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმედ მაიჩნევდა მათი ლიკვიდაციისათვის ბრძოლას, იმდენად დიდი გულმოდგინებით აღწერდა სასიკეთო ტრადიციებს და ხალხს მათ შენარჩუნებას შთააგონებდა. ხანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ მისი ერთ-ერთი წერილი, რომელიც 1900 წელს გაზეთ „კაზბეკ“-ში გამოაქვეყნა. როგორც თვით სტატიის სახელწოდება („წიუ“) გვიჩვენებს, კ. ხეთაგუროვი ეხება ურთიერთდახმარების ძველ ოსურ ტრადიციას და მისი შენარჩუნების საჭიროებას ამტკიცებს. ამ ტრადიციის თანახმად, მიღებული იყო გაკვირვებული მეზობლისადმი ერთობლივი შრომითი დახმარება ანაზღაურების გარეშე. როგორც წესი, ნათესავები, მეზობლები თუ მეტემეები მუშაობდნენ ისეთი ოჯახის უანასათობაში ან მშენებლობაში, რომელიც მუშახელის ნაკლებობის ან ხელმოკლეობის გამო აღნიშნულ საქმიანობას ვერ გაუძღვებოდა. ამავე პრინციპით ხდებოდა ღარიბი მეზობლისადმი, ავადმყოფის, ქვრივისა და ობლისადმი მატერიალური შემწეობაც. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი, რასაც შეიძლება სამაგიეროს გადახდა ვუწოდოთ, იყო ის, რომ დღეს გაკვირვება-

ში მყოფი კაცი, ხვალ თვითონაც დახმარებაში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა არც ნათესაობას და არც პირად დაინტერესებას. კ. ხეთაგუროვის შეხედულებით, ეს ჩვეულება კოლექტიური ერთობის მაღალი იდეალები იყო განმტკიცებელი.

განხილული კონკრეტული მოსაცემების მიხედვით ნათლად გამოჩნდა, რომ კ. ხეთაგუროვი ტრადიციას ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად თვლიდა და მას საზოგადოებრივ უოფასთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ტრადიციის არსისა და აღვლის განსაზღვრა საზოგადოების განვითარების სფეროში. ამაში გვარწმუნებს დღევანდელი მდგომარეობაც, როდესაც ეხლაც კი ჩვენი საზოგადოების ზრუნვის საგანია როგორც დრომოქმული წეს-ჩვეულებების, ისე ზოგიერთი ახლად დანერგული ნეგატიური მოვლენის მიმართ ოპტიმალურ ღონისძიებათა 'განხორციელება. აღნიშნულის დამადასტურებელია ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წელს 24 ნოემბრის დადგენილების საფუძველზე მავნე წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გზებისა და მეთოდების შესახებ. გეგმაზომიერი ბრძოლა თანამედროვეობისათვის შეუფერებელი ყოფილი მოვლენების ლიკვიდაციის მიზნით და ზრუნვა ეროვნულ ნიადაგზე დაფუძნებული დადებითი ტრადიციების შენარჩუნებისათვის, რისთვისაც იღვწოდა დიდი ოსი მწერალი, ჩვენს დაადეპოზიციონირებულ სახელმწიფოსა და საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს.





აშული ანუ მიქნური თავისთავად გულისხმობს სიყვარულს ყოველგვარი კონკრეტული პირის, აღერსატის გარეშე, ისიც ცნობილია, რომ აშულთა სიმღერის ტექსტებში ავტობიოგრაფიულ მონაცემების ჩართვა არ შეიძლება. ერთადერთი, რაც დასაშვებია და კანონიერებულია, ტექსტში გახსენებული უნდა იყოს აშულის ვინაობა — აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში — ფსევდონიმი, თუმცა, როგორც წესი, აშულს საზოგადოებაც ამ ფსევდონიმით იცნობს.

აღნიშნული გარემოება არ იქნა გათვალისწინებული, როცა საიათნოვას ტრფიალების ობიექტად კონკრეტული პიროვნება — ერეკლე მეორის და — ანა ბატონიშვილი (დიმიტრი ორბელიანის მეუღლე) დასახეს და მგოსნის სახელიდან გაძევების მიზეზადაც ეს ფაქტი მიიჩნეს.

ეს ლეგენდა პირველად პოეტმა ვ. ბრიუსოვმა გაავრცელა. მან 1916 წელს გამოსცა „პოეზია არმენი“. წიგნში შევიდა საიათნოვას რამდენიმე სიმღერის თარგმანიც. ვ. ბრიუსოვის აზრით, საიათნოვას სიყვარულის საგანი უნდა ყოფილიყო ქართველი მეფის ასული (გრუზინისკია ცარენა).

რა თქმა უნდა, იგულისხმება, რომ ბრიუსოვს ვიღაც დაინტერესებულმა პირმა მოუთხრო ეს „ლაშაში ისტორია“.

პირველმა ი. გრიშაშვილმა შეიტანა ექვი ამ „სენსაციური თეორიის“ (როგორც მას ლ. მელიქსეთ-ბეგმა უწოდა) სისწორეში. გრიშაშვილი მიუთითებდა, რომ ასეთი რგოვანი ჰქონდა ბესიკს და არა საიათნოვას. (I - 48).

გრიშაშვილის მოწმობით, საიათნოვას მართლა ჰყოლია საყვარელი, მაგრამ არა ბატონიშვილი, არამედ ვინმე „კურჭისი“ ცოლი, სახელად ტალითა. ლ. მელიქსეთ-ბეგის ცნობით, საიათნოვას საყვარელი სონა რქმევია.

ქართულ, არც ზემოთ და მით უფრო, არც წერილობით წყაროებში არავითარი ცნობა არ არის იმას მიმხვედრულიც კი, თითქოს საიათნოვას რამე რომანული ისტორიები ჰქონოდა ერეკლე II-ის კარზე. ამის გამო არც ერთი ქართველი მკვლევარი არ იზიარებს ამ ლეგენდას.

მიუხედავად ამისა, ჩვენი კოლეგა სომეხი მკვლევარები: გ. ახოვი, ნ. გახსარიანი, მ. ავაიანი, მ. ასრათიანი, პ. სევაკი, ვ. ნალბანდიანი და სხვები დაბეჭითებით ამტკიცებენ, რომ საიათნოვას სამეფო კარიდან გაძევების მიზეზი სწორედ ის სისიყვარულო ისტორია იყო, რომელიც მას ერეკლე II დასთან ჰქონდა.

სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ „თეორიამ“ მეტად საინტერესო გზა გაიარა, ვიდრე იგი ვ. ნალბანდიანის თქმით: მიაღწევდა იმას, რომ: ჩვენს დროში მკვლევარებმა (მ. ავაიანი, მ. ასრათიანი, პ. სევაკი) საინტერესო და სერუბულოზური მუშაობის შედეგად მოახერხეს, გაეფიქრათ კრიპტოგრაფები რამდენი-

მე სიმღერისა, აგრეთვე ცალკეული ტექსტებისა რომლებიც იდუმალებით მეთოდით იყო შედგენილი და სხვებში დამაჩერებლად და არგუმენტირებულად გამოაჩინეს ნამდვილი მიზეზი პოეტის დრამატული განცხადებისა... აშკარა გახადეს მისი სიყვარულის ისტორია“.

მართლაც, თუ მით გაშიფრეს კრიპტოგრაფები, ეს იცავა, რაც თეორიული ფიზიკის მონაცემები დაამტკიცონ ცდების საშუალებებით, ლაბორატორიულად.

ასეთ მტკიცებას მართლაც ვერსად გაემტკიცო, თუმცა გაქცევასაც ვინ აპირებს. ვის რა აქვს იმის საწინააღმდეგო, რომ საიათნოვას ჰყვარებოდა ერეკლის და — ანა ბატონიშვილი — და ამ სიყვარულის ნიადაგზე მომხდარიყო კონფლიქტი მასა და ერეკლეს შორის? კაცმა რომ თქვას, გაუგონარი ამ ამბავში არაფერი იქნებოდა, მაგრამ მეცნიერება მოითხოვს საბუთიან მტკიცებას და განსაკუთრებით ზუსტ მეთოდებს, ფიზიკელ თაღსა და უტყუარ ლოგიკას, როცა საქმე ლაბორატორიულ ცდებს თუ (რაც ფილოლოგიაში იგივეა) კრიპტოგრაფების გაშიფვრას ეხება.

ჩვენ არას ვამბობთ „მეცნიერული“ კვლევის იმ მეთოდზე, როცა კრიპტოგრაფების გაშიფვრის შემდეგ პ. სევაკს საიათნოვას სიმღერებში ოსკარ უაილდისა და შარლ ბოდლერის შემოქმედების პარალელები უპოვია (2. 17) ბოლოს და ბოლოს მკვლევარაც ადამიანია და ყოველგვარი ფანტაზიის უფლება აქვს.

რაც შეეხება მას, როგორც საიათნოვას ქართული სიმღერების იდუმალებით ტექსტების გამშიფრავს და იმას, თუ როგორი მეთოდებით „კითხულობს“ იგი ანა ბატონიშვილის სახელს ამ ტექსტებში, მშვენივრად გვიჩვენებს მკვლევარი ბონო არველაძე და ამავე საკითხს, მართლაც, შედარებით მოკლედ, მაგრამ მეტად დამაჩერებლად იხილავს გ. შაყულიშვილი თავის გამოკვლევაში.

პ. სევაკს გამოუთვლია, რომ თეიმურაზისა და ერეკლე მეფის კარზე იმ დროს მცხოვრებ და ანას შორის საიათნოვას სიყვარულის ობიექტად ყველაზე უფრო საფუძვლებელია ერეკლეს და — ანა ბატონიშვილი — დიმიტრი ორბელიანის მეუღლე, თურმე იმტომ, რომ საიათნოვას ერთ-ერთ სომხურ ლექსში ამბობს: „მე და ჩემი მიქნური ერთ წელს გავჩნდითო“. სევაკის მტკიცებით, საიათნოვა დაიბადა 1722 წელს (თუმცა, როგორც ცნობილია, საიათნოვას დაბადების თარიღად მკვლევართა აბსოლუტურ უმრავლესობა ახსენებს 1712 წელს. ამიტომაც იყო, რომ მგოსნის დაბადებიდან 250 წლის იუბილე 1968 წელს ჩატარდა), ანა ბატონიშვილიც თურმე 1722 წელს დაიბადებულა.

ამასთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად შენიშნავს პ. არველაძე, რომ „აღნიშნული სტრიქონის პ. სევაკისთვის ინტერპრეტაცია არასწორი და მცდარია. აღმოსავლურ პო-

ენიაში. კერძოდ აშუღურში ამგვარი მხატვრული თქმები ჩვეულებრივია და მათში რაიმე ავტობიოგრაფიულ ამბავს არავინ ეძებს, რადგან აშუღური პოეზია ტრაფარეტზეა შექმნილი. სადაც თითქმის შეუძლებელია გაარკვიო ადრესატის არამც თუ ვინაობა, არამედ, სქეცის კი" (2. 159).

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ პ. სევაკი მართლ ამ სახუთის იმედზე არაა. მას მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი სახუთიც აქვს თავისი „თეორიის“ დასამტკიცებლად. სიმღერაში „სოფელსა და სოფელს შუა“ ასეთი სტრიქონი გვხვდება: „ჩინ-მაჩინის ხელმწიფისა დას ამბობენ მართალია“ „პ. სევაკის აზრით, ეს არის თავისებური კრიპტოგრამა ანა შესახებ. ნამდვილად მეფის დის, მაგრამ არა ჩინეთის, არამედ ქართული მეფის" (2. 159).

მიერძობებაში რომ არ ჩამოგვაროვან პ. სევაკის ამ მოსაზრების მეცნიერული შეფასება მივანდოთ აზერბაიჯანელ მეცნიერს აშუღური ლიტერატურის სპეციალისტს პ. არსლის. აი, რას წერს იგი: „როგორც აშუღმა ახასმა გაუმართა პექრობა თავის წარმოდგენაში შექმნილ სატრფიალო არსებას გიულდევს და შექმნა ეპოსი „ბახის და გიულდევის“, როგორც მანვე შექმნა საშუალო ლექსები თავის სატრფო შეხსენთან შაირობაში და მოგვცა შესანიშნავი ეპოსი „აშუღი და ყარაბი“ და სხვა ნაწარმოებები, ისე საიათნოვაც ეშაირებდა თავის საუყვარულ არსებას ლექსში „ვუთხარი და მიპასუხა“.

ამ ლექსში საიათნოვა მდლევარებით გაღმორგებული მისი ფანტაზიით შექმნილ საუყვარულ ქალთან განხეთქილების მიზეზს და ამით თანაგრძნობას პოულობს მსმენელთა შორის. ასეთი სიმღერები იყო სადამ-შაირების რეპერტუარი აშუღურ პოეზიაში. ასეთი თავისებურება დღესაც გრძელდება" (მოგვყავს ბონდო არველძის სტატიის მიხედვით (2. 159-160).

ერთი სიტყვით, „ჩინ-მაჩინის მეფის და“ აშუღი საიათნოვას ჩვეულებრივი მგოსნური ფანტაზიის ნაყოფია და არავითარი ქართული მეფის დაი აქ არ იგულისხმება.

მაგრამ უფრო საინტერესოა პ. სევაკის მეცნიერულ-კრიპტოგრაფიული ძიება ქართულად დაწერილი სიმღერის — „შენთან მისთვის ვლპარაკობ“ — ტექსტის მიმართ, რომელშიაც ბატონიშვილ ანას სახელი ექვსჯერ ყოფილა შეფარვით ნახსენები.

„შენთან მიტომ ვლპარაკობ  
დღეს ტორფა ტანი ვნახე!

შიგ იწვა მზეთუნახავი  
ოკროს აკვანი ვნახე!

წიგნი დავწერე შენს მეგრდას  
რატომ არ მომხედამ ერთსა?

დიდება და მაღლი ღმერთსა,  
მოველ, ეს უბანი ვნახე.

გითხარ თუ ხარ ცეცხლის ნაშობ,  
ნუ დამწვევს და ნურც დამაშრობ  
დილით მზესავით ვაჟკაცობ —  
მოგხედე — მბრკუინიანი ვნახე!  
თუ მართლა ხარ ჩემი ტოლი,  
ვითამაშოთ ვალი-გოლი,  
გავშალოთ ვარდის ფოთოლი.  
ფერადფერად სუსანი ვნახე

საიათნოვა ყმაა შენი,  
სახითა ხარ მთავარე — შენის!  
სახლი მაქვს „სანი“, „თენი“  
„ვინის“ ბოლოს „ანი“ ვნახე!"

„პ. სევაკი ასვენის, რომ „აქ ერთი რამ უძველესია“, „ანი“ აქ 6-ჯერ მეორდება — (ტანი, აკვანი, უბანი, ბრკუინიანი, სუსანი, ანი). ეს იგივე „ანია“, რომელიც 28-ჯერ მეორდება სომხურ ლექსში (№ 11) და ეს საიათნოვას მიჯნურის სახელია უძველესად.

ამგვარი მეთოდით ეძებს პ. სევაკი ანა ბატონიშვილის სახელს საიათნოვას ქართულ-აზერბაიჯანულ და სომხურ ლექსებში. ამ „მეთოდის“ არსი კი გამოიხატება იმაში, რომ რადაც არ უნდა დაუძღვდეს, საიათნოვას ლექსებში მოიტეზნოს ისეთი სიტყვები, რომლებიც „ანი“ იქნება დაბოლოებული. „იპოვის თუ არა ასეთ სიტყვას, აღმოჩენით გახარებული, მკითხველს აუწყებს — აი, საიათნოვას მიჯნურის სახელი (ანი) ამა და ამ ლექსში ამდენჯერ მეორდება შეფარვით“ — შენიშნავს ბ. არველძე (1.90).

ჩვენ კი გვიანდა წამოვეშველოთ პატ. სევაკს და შევხსენოთ, რომ ამავდ ლექსში მას გამოჩნდა ერთი „ანი“ განა ს-„ანი“-ც „ანი“-თ არ მთავრდება?

ერთი სიტყვით, სახუთი უფრო მტიცია. 6-ჯერ კი არა „ანი“ მეორდება 7-ჯერ.

ამთ ვარდა ავტოროს, როგორც ჩანს, ვერ შეუმჩნევია კრიპტოგრამა ლექსში „მე აშენთან სეყვარული მაქვს“, რომლის პირველი ტაქის სარიტმო სიტყვებში და აგრეთვე სამივე სტროფის ბოლო ტაქშიც „ანი“ იკითხება: „ს-ანი-ა“, „დაგბ-ანი-ა“, „ზარნიშ-ანი-ა“, „წაგვიყ-ანი-ა“ „აუყ-ანი-ა“, „ანი“ იკითხება ლექსის — „გაღობს თუთი, ყაზაღბი“ — პირველი სტროფის რედიფურ რითმებშიც: „ს-ანი“, „ნახ-ანი“. ეფექტობთ, ამავდ „ანი“-ს წოდებით ბრუნვის ფორმებით უნდა ვიგულისხმოთ ლექსებში „შავო მავუაღებით თვალებიანო“ და „ხარ ტურფა“. მხედველობაში მაქვს სარიტმო სიტყვები: საზები-ანო“, „საზები-ანო“, „ვაზები-ანო“, „ბაზები-ანო“, „ჰეირ-ანო“, „ჰარგ-ანო“, „შამადანო“, „ირეკელ ხანო“ და მისთანანი — სულ 26-ჯერ. ასე რომ „ფაქტები“ სახზეა და, მოგხსენებთ, ფაქტები ჭიუტნი არიან.

მართალია, შეიძლება ვინმე შემოგვედაოს და გვითხრას, რომ: „თქვენ ამბობთ, საიათნო-

ვას უყვარდა ანა. რა შუაშია აქ ან „ანი“ ან „ანო“-ო? ხმოვანზე გათავებული ქართული საკუთარი სახელი რომლის მაგალითსაც ანა წარმოადგენს ხომ არ იცვლის ფუძეს და არ მოგვეცემა არც „ანი“-ს და არც „ანო“-ს? (ეს უკანასკნელი უფრო მოსალოდნელი იყო). ჩვენ ასეთ არამკითხვებზე მუშაობის ვუპასუხებთ: ქართული ენის კანონები რა მოსატანია, საკითხია ასე და მთავარიც ესაა.

ღიამ, მთავარი ისაა, რომ ჭერ შეთხზა ლეგენდა ანა ბატონიშვილთან საიათნოვას რომანისა და მერე დავიწყეთ ამ ლეგენდისათვის არგუმენტების ძებნა და, რადგან არავითარი წერილობითი წყარო არ არსებობს, უნდა რამენაირად ვიპოვოთ მეთოდი ე. წ. კრიტიკოგრაფების გაშიფვრისა, რომელიც სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არ ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი მეთოდი „ზმურად“ ნათქვამის გაშიფვრას რომ გულისხმობს და გამოყენებული იქნა ბესიკის ლექსის — „დედოფალს ანაზე“ — საერთო სიტყვებში „ანა“-ს ამოსაცნობად.

მაგრამ საქმარისია, შევუდაროთ ბესიკის ქმნილება საიათნოვას ზემოთმოტანილ სიმღერას და აუკარად დავინახავთ მეცნიერების სამოსელში გამოწყობილ უხეშ ძალადობას ფაქტების მიმართ.

უპირველესად, ბესიკის ლექსის სათაურიდანვე ვგებულობთ, რომ იგი დედოფალ ანასდამია მიძღვნილი. ამასვე ადასტურებს პირველი ტაქტის საერთო სიტყვა, სადაც „ანა“ პირდაპირაა მითითებული:

„ვფუტავ, მე არეინ მიხილავს, რომ არს შეენებით ანაო“

და, რაც მთავარია, ყოველ თხუთმეტსავე შემთხვევაში ზმური რითმა მხოლოდ „ანა“-ს იმეორებს, რადგან ბესიკმა კარგად იცის (რაც არ იცის, ან რისი ცოდნაც არ სურს სევაკს), „ანა“-მ არ შეიძლება მოგვეცეს არც „ანი“ და არც „ანო“.

კიდევ უფრო უსუსურია სევაკის მცდელობა მოტანილი სიმღერის ბოლო ტაქტში — „ეინის“ ბოლოს „ანი“ ვნახე — ანა ბატონიშვილის სახელი აღმოაჩინოს.

აბა მოვიგონოთ, რა ამბობს მგოსანი:  
„სახელი მაქვს „სანი“, „თენი“,  
„ეინის“ ბოლოს „ანი“ ვნახე“.

რას უნდა ნიშნავდეს „სანი“, „თენი“ (ასეთი ფორმა რითმას დასკირდა, იგულისხმება „თანე“), „ეინი“ და „ანი“, რომლებიც გამოცემულს წინწკლებში ჩაუსვამს? — მხოლოდ და მხოლოდ ქართული ანბანის შესაბამისი ასოების დასახელებას.

ახლა ეს ასოები, რომელთა სახელები აქაა ჩამოთვლილი, გავაწყუთ იმავე რიგის მიხედვით და ვნახოთ რას მივიღებთ: „ს...თ...ვა“. რას შეიძლება გულისხმობდეს ეს კრიტიკოგრაფა, მით უფრო, თუ ავტორი გვეუბნება, სახელი მაქვს ამ ასოებისგან შედგენილიო, თანაც საგანგებოდ მიუთითებს, რომ „ეინის“ შემდეგ — ბოლოს „ანი“ ვნახე, ე. ი. მით შორის ასო არ არისო?

„ს...თ...ვა“ — ამ კრიტიკოგრაფას მხოლოდ ერთადერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს, რაც მგოსნის ფსევდონიმს — „საიათნოვა“-ს მოგვეცემს.

ერთი სიტყვით, მიუეკრძებელმა მკვლევარმა თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით „ანა“-ს კრიტიკოგრაფა თვით საწანდარის ფსევდონიმში ამოიკითხა!

ამასთან დაკავშირებით გ. შაყულაშვილი შენიშნავს: „ჩვენ არ ვიცით, პატრიცემულ მკვლევარს გათვალისწინებული აქვს თუ არა ამ დებულების ფანტასტიკობა, ერთი კი ცხადია, საიათნოვას, დაბალი წრის წარმომადგენელს, მართლაც რომ შეჰყვარებოდა სასახლის კარის წარჩინებულთაგანი, ასეთ, აღმოსავლურ-მსუყე ლექსთა წერას ვერ გაბედავდა. ესეც არ იცის პ. სევაკს (როგორც მისი ავტორიფერატიდან ჩანს) აბსოლუტურად არ აქვს მხედველობაში მიღებული აღმოსავლური სატრფიალო პოეზიის კანონიკურ-ტრადიციული ბუნება, რომელიც მკვეთრად იყო გაბატონებული აშუღურ პოეზიაშიც. ამ ფაქტის გვერდის ავლა საიათნოვას ბიოგრაფიულ ცნობების დადგენისა და სატრფიალო მოტივის განხილვისას შეუძლებლად მიგვაჩინა“ (მ. 180).

მასხადამე, საიათნოვას არავითარი რომანული ისტორია ერეკლეს კარზე, მით უფრო ერეკლეს დასთან არა ჰქონია. ამ ლეგენდას მხარს არ უჭერს არც მგოსნის სიმღერების ანალიზი, არც — ლიტერატურული თუ ზეპირი გადმოცემები.

# პალერმის გუნია — მსახიობი

(დაბადების 125 წლისთავისათვის)

„ბობოქარი“ — ამ ეპითეტით ახსიათებენ მისი თანამედროვენი დიდ მსახიობს, ვალერიან გუნიას.

1888 წლის 9 იანვარს (ძვ. სტ.) დაიბადა, თუმცა ორი საუკუნის მიჯნაზე იდგა, მაგრამ თავისი მამულიწვილობით და დაუმცხრალი ენერჯით, ორსავე ეპოქას შეუმდარი აღლოთი და ერთნაირი გულიწურით ემართებოდა. მას შეეძლო წლების განმავლობაში თანაბარის ძალით ეზიდა თეატრის წინამძღოლის, ამხანაგობის მეთაურის უშიშესი, მაგრამ სანუკვარი უღელი, რედაქციის აუარებელი საქმეებით მოღვაწის, თავის საყვარელ „ვოლტერის“ საჯარო-ლემი მჭდარს, გათენებამდე შეუსვენებლად ემუშავა თეატრისათვის, მოემზადებინა მსახიობები გაზეთისა თუ ურნალებისათვის, ეწერა, ეთარგმნა, გადმოეკეთებინა პიესები, თუ საქირო იყო, როდეს მუშაობის, სცენაზე გამოსვლის მაგივრად „კასირად“ ყოფილიყო თეატრში, გათენებისთანავე წერილი ეახლებინა ამხანაგობის რომელიმე წევრისათვის საჩქაროდ მოსაგვარებელი საქმის თაობაზე...

„ბატონო ჩემო მაკო — ეს არის გავისტუმრე სოსო ივანიძე გორში აფიშებით, — წერს ვ. გუნია მაკა საფაროვა-ახაშიძეს ერთ-ერთ წერილში, — როგორც იყო საქმე მოვარიგე... მე შენთან ვერ მოვალ, რადგან ეხლა ტანსაცმლის და პარიკების საქმეში ვარ, თუ ამოხვალ თეატრში 11 ან 12 საათედ, ძლიერ კარგი იქნება, ბარემ ის ტანისამოსებიც წვაილოთ, რაც დაგპირდნენ. საქმე ბევრია გასაკეთებელი და დრო კი ცოტა დარჩა. სულ იმის ბრალია, რომ ყველა საერთო საქმეს ისე უყურებს, თითქოს ის სათლელი ღუმა იყოს... საქმე თითქმის მოსწრებაზეა... მას, მოდი და ფულებიც მოგვაშველეთ: სტამბისა და გაზეთებისათვის გვიწავნა მანეთი. ცაცასაც უნდა მიაშველო ცოტა, ხუთიოდე მანეთი ახდუმელიწვილსაც უნდა მივცეთ და მერე გზის ხარჯი... მაგრამ ფოთის შემოსავლიდან შეგროვდება და მერე ყველა ჩადება თავის დროსა და კალაპოტში. 7-8მ, 2მ აპრილს, შენი პატივისცემული ვალერიან გუნია“.

ნიდაც მოუცლილობა, ხელმოკლეობა ხომ იმ დროების უკეთეს შვილთა არცთუ იშვიათი ხვედრი იყო, და აი, ერთ დღეს, გარკვეულ გარემოებათა გამო, მსახიობი ასეთ ბარათს სწერს მაკა საფაროვა-ახაშიძისას:

...„ენდები ყოვლად შემძლებელ ღმერთსა,

რომ ამჟამად ისეთ უკიდურეს მდგომარეობაში ვარ, რომ სააღდგომოდ ღორისა და ერთი ბოთლი არაყის მეტი არა მაქვს-რა“.

ვალერიან გუნიას არქივში ყურადღებას იქცევს მისი ხელნაწერი — „ბიოგრაფიული ცნობები, სხვადასხვა თარიღები“... მრავალთა შორის საინტერესოა ერთი თარიღი — „1888 წელი. მცხეთაში პირველად წიგნების წაღება გასასყიდად — მაგალითის ჩვენება“.

როგორც რედაქტორ-გამომცემელმა, ვალერიან გუნია ბევრი ამაგი დასდო ქართული წიგნის გამოცემა-აღორძინების საქმეს, მაგრამ იმხანად, როგორც ცნობილია, არათუ წიგნის გამოცემა, ახვევ საპატოო და ძნელ საქმედ ითვლებოდა მისი გავრცელება. დრამატურგი და მსახიობი ათას თავსატეხ საჭრუნავთან ერთად, დიდი გულიწურით ეკიდებოდა ამ ფრიად საშურ საქმესაც.

თუ ღრმად ჩაიხედავთ ხელოვანის ყოველდღიურ ცხოვრებაში და გავითვალისწინებთ იმ უამრავ წვრილმან საქმეს, რაც ხელისშემზღველ გარემოებას სხსცენო თუ საწოვადო მოღვაწეობის სარბიელზე, რომელიც მკაფიოდ ჩანს თვით სარქივო მასალებიდან, იმჟამინდელი პრესის ფურცლებიდან, მწერლის დღიურებიდან, ადვილად წარმოსადგენია, მსახიობის რაოდენ დიდ და ძვირფას დროს, ფიზიკურ და სულიერ ძალებს იწირავდა ყოველი მათგანის მოგვარება და მისუწვნილად წაიჭერ აფერხებდა კოდეც მის შემოქმედებით წინსვლას. ცხადია, ამას თანამედროვენიც ნათლად გრძნობდნენ და ხედავდნენ, რასაც მკაფიოდ ადასტურებს ის სახალწლო სახუმარო სტიქიონებიც, რომლითაც მიესალმებოდნენ მსახიობს ურნალ „საქართველოს კალენდარში“ 1889 წელს:

კაცი უნდა ემსახუროს  
ან ღმერთს და ანუ „მამონას“,  
შენ ერთ დროს ეტრფიალები  
ბანკის ჩოთქს და მელპომენას“.

ნათქვამის ნათესაყოფად ისევ მსახიობის დღიურს მივმართოთ:

„1889 წელი. ახალი წელიწადი დადგა. ვნახო რას მოგვიტანს ახალს. ჩემთვის კი სულ ძველებური დროა. ისევ ის ბანკი... ისევ ის თეატრი...“

ვალერიან გუნიას მრავალმხრივ მოღვაწეობას, მის უანგარო სამსახურს, უმაგალითო გარჯას, შეუწინებელ წრუნვას და თავდადებას საკვებუნო საქმისათვის, ცხადია, ერის ტიკივლები,



მისდამი უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება, ქართული კულტურის სასიცოცხლო ინტერესები, მისი წინსვლის დაუოკებელი წყურვილი განსაზღვრავდა. ზედმა მას შემთხვევით არ დააკისრა ერის ჭირისუფლობა. სანდო და გამტანი მეგობარი, იგი ერის მოამაგეთა გულწრფელი დამტრებელიც იყო. განა თაბათა ხსოვნაში ოდესმე წაიშლება თეთრ ჩოხაში, თეთრ ცხენზე ამხედრებულ ამ დაუფიქრარი ერისკაცის სახე — მეფისნაცვლის სასახლის წინ დაუდრეკელი სიმტკიცითა და შეუვალობით რომ მიუძღვოდა ქვეყნისათვის თავდადებული რაინდის დიმიტრი უიფიანის სამგლოვიარო პროცესიას?

ვალერიან გუნიანზე, როგორც მგზნებარე სულის ადამიანზე, სრულ წარმოდგენას იძლევა მისი სიცოცხლის უკანასკნელი წლების მოგონებებიც, რომელზედაც ასე სიანტერესოდ მოგვითხრობენ დავით კასრაძის „ჩემი ბლოკნოტის წიხელი და შავი ფურცლები“:

„დიმიტრი უიფიანის ისტორია, რა თქმა უნდა, მეც ვიცოდი, — იგონებს მწერალი ვალერიან გუნიას ნაამბობის შესახებ, — მაგრამ თეატრალმა კაცმა უფრო თეატრალური სახე მისცა დიმიტრის დრამას. ამიტომ იყო, რომ იქვე დასძინა, ნეტავ როდის გამოჩნდება ღირსეული დრამატურგი, რომ მეორე დიმიტრი თავდადებულის შესახებ ერთი კარგი პატრიოტული პიესა დაგვიწეროს. მასაღები არ ექნება თუ? — შესაძაზა წყენით. მართლ სატეროპოლიდან მისი ჩამოსვენების ამბავი რად ჰღირს აქ კინოც უნდა მოისმაროს რეჟისორმა მარჯანიშვილისებურად, რომ თბილისის კარში ნეტარ თავდადებულის კუბოს შემოსვენება სრულყოფილად წარმოგვიდგინოს, მთლიანი ილუზია მოგვეცეს ნორცშესხმული... როგორ მენატრებოდა, რომ ეს სცენა თეატრში მენახა და მე ალ. ებისკოპოსის როლში ვენახე ჩვენს ახალგაზრდობას. ახალი თაობა ღირსია, რომ ერისთვის თავდადებული რაინდების სახე იცოდნენ...“

რადღენ მრავლისმეტყველია ის ერთი მოგონებაც, გალაკტიონ ტაბიძეს რომ ჩაუწერია ნატო გაბუნია-ცაგარლის დისშივილისაგან:

„ნატოს იუბილე რომ იყო, შემდეგ ბანკეტზე ცერემონიებისტრად გუნია იყო. ნატომ ხუმრობითი უთხრა გუნიას:

— შენ ისეთი ვინმე ხარ, რომ, ალბათ, ჩემს დასაფლავებაზედაც ცერემონიებისტერი იქნებიო.

— ეგ მართლა ავტე იქნებაო.

არ გასულა ერთი წელიწადი და ნატო გარდაიცვალა. ცერემონიებისტერის მოვალეობა გუნიას დაეკისრა. მან იუარა:

„არას გზით, არა და არა! სულ ერთი წლის წინათ ხუმრობით დაჰპირდი ნატოს ცერემონიებისტრობას მის დასაფლავებაზე და აკი...“

ძალით დაითანხმეს“.

ვალერიან გუნიას, როგორც თეატრალური და სასოგადო მოღვაწის დასახანსიათებლად, მსა-

ხიობის არქივში დაცულ მრავალ მასალაში, მორის საინტერესოა მისი მეუღლის ნინო ივანეს ასული გომელაურის მოგონება:

„...თეატრის ძაღლების ზრდისა და კულტურული წინსვლის მიზნით ვალერიანმა ჩემ მშობის ფულს მოაქლო ორი ათასი მანეთი და მსახიობი კოტე მესხი გაგზავნა საფრანგეთში ფრანგული კომედიების შესასწავლად... და აი, კოტე მესხი ჩამოვიდა საფრანგეთიდან უაღრესად განსწავლული და საქმარისად დახელოვნებულ“.

„პირადად მე, — იგონებს ნინო გომელაური, — მატრიალურად ვალერიანს არაფრით მემზარებოდა, ჩემს განკარგულებაში იყო სახლი და წიქვლი, ხოლო ვალერიან გუნია განაგებდა რა თეატრს, აძლედა მსახიობებს ქამარს და, რადგან ქართულ თეატრს ესპირობოდა სულ ახალი და ახალი პიესები, თეატრიდან დაბრუნებული მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა, თარგმნიდა უცხო პიესებს... ვალერიანი ვერც კი ასწრებდა პიესის გადაწერას, მაშინვე მიმქონდით სოფელში ან ქალაქში, სადაც იდგებოდა. ზოგჯერ, რომ ვერ ასწრებდა გადაწერას, შავს პირდაპირ აძლედა და ამის გამო ბევრი პიესა დაიკარგა...“

თავის მოგონებებში მარიამ გარიყული ასე იხსენებს შალვა დადიანის სიტყვებს:

„...მან (ვ. გუნიამ, — ც. ხ.) ბევრი სახარგებლო საქმე მოუტანა ქართულ დრამატურგიას. მრავალი პიესა თარგმნა, ბევრი გადმოაკეთა, გადმოაქართულა, რითაც გააუხვა და გაამდიდრა ქართული რეპერტუარი... თუ ვალიკო არა, იქნებ ქართულ თეატრს ათეული წლებით უკან დაეხია“. ცნობილი კრიტიკოსი და სასოგადო მოღვაწე ივანე გომართელი 1916 წელს წერდა:

„ვალიკომ შესძლო და თავისი ცოლი, თავისა შვილები, რომლებსაც დღეს ყველაფერი აქლიათ, თავისი საკუთარი თავი მსხვერპლად შესწირა სამშობლოს სახელს და დიდებს.“

შესძლო იმიტომ, რომ დიდ ნიჭთან ერთად ის არის დიდი გმირი და აქვს დიდი გული შეუპოვარი მოქალაქისა... დიდი მსხვერპლის გამოღებას რომ შეეშინებია ვალიკო და მორიდებოდა, ვანსორებოდა სამშობლო კერას, თავისი ნიჭით, თავისი ნენერგიით გამოაფავდა გზას და სხვაგან მოიპოვებდა იმ პირობებს, იმ კომფორტს, რომელიც ფრიად საჭიროა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ეკრძოდ მისთვის, მისი ნიჭისათვისაც გაცლა იყო საჭირო, ხოლო მისი სამშობლოსათვის კი დარჩენა.

ვალიკოც დარჩა... დინჯი, დავირეხებული, ნიჭიერი მსახიობი, მსახიობი ინტელიგენტი, აი, ვალიკო სცენაზედ“.

ვალერიან გუნიას თავის ნარკვევში „სასცენო ხელოვნება“, წერდა: „აქტიორს უნდა ჰქონდეს მეტად ნაზი და ამავე დროს ძლიერი და ღრმა შთაბეჭდილება, რომლის წყალობით მას შეეძ-

დოს უკიდურეს მდგომარეობათა, დრამატულ და ტრაგიკულ გრძნობათა გამოსახვა, რათა მისი თამაშობა ღვიძლი და ბუნებრივი იყოს“, რადგან, ვალერიან გუნიას სიტყვებით ამ ძალით აღჭურვილი თეატრი სწის ყოველივე მრულს და უწყნარს და იმავე დროს სიბოროტის და სისამაგლის გვერდით გვიჩვენებს სიეთეს, სრულ წინაშე და ჭეშმარიტებას...

„ყოველ ხელოვნებას — წერს იგი, — საგანდად ადამიანის სულიერი და გონებითი ესთეტიკურ გრძნობათა დაკმაყოფილება აქვს, მშვენიერის და წინეობრივის თესლის ჩანერგვა ადამიანის ბუნებაში, ამიტომაც აქტიურად ყოველთვის მარტო ამაზე უნდა ფიქრობდეს.“

ყოველი გრძნობა აქტიორმა ისეთი თამაშობით უნდა გამოხატოს, რომელიც ერთსა და იმავე დროს ვახაგებიც უნდა იყოს, აღმტაცებელიც და მშვენიერ-ხელოვნურიც.“

თუ თვალს გადავავლებთ თეატრალურ კრიტიკაში გამოთქმულ მოსაზრებებს ვალერიან გუნიას მიერ განსახიერებული როლების შესახებ — იმეამინდელი პრესის ფურცლებზე მოთავსებულ რეცენზიებს, ადვილად დავრწმუნდებით თუ როდენად მიესადაგება მისეულ სასცენო ხელოვნების განსაზღვრას თავად მსახიობის ხელოვნება. საგულისხმოა ამ მხრივ ვაკისნეოთრეცენზენტთა შთაბეჭდილებანი გაჯეთ „ცნობის ფურცელში“:

„ვ. გუნია მთავარსარდლის ღვეან გურიელის როლს მშვენივრად ასრულებდა. ჭალარამორეული გმირი, მტერთან მედგრად მებრძოლი, პატვიმოყვარე, ფიცხია და მქუხარე, როგორც ეს ნამდვილ გურულს შეეფერება.“

„საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ კვირის წარმოდგენის (ნვეფიანი — „მეორედ გაყმაწვილება“ — ც. ხ.) როლები ძალიან კარგად იყო განაწილებული და ამიტომაც წარმოდგენა მწყობრი იყო. ვ. გუნიას ამ საღამოს სავსებით ემორჩილებოდა მისი მიდირი ხმა და, რადგანაც მას როლი ყოველთვის შეგნებული აქვს, იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე, — დამლუკველ გულისთქმას ჩათრეული და გაბოროტებული, ერთ დროს კი ოჯახისათვის თავდადებული ადამიანი, — აი რა იყო ვ. გუნია კვირის წარმოდგენაში, და ასეთივე უნდა ყოფილიყო. საუკუნოდ ჩაატარა გუნიათ უკანასკნელი სცენა, როცა ეს გაბოროტებული ადამიანი მოტყუდა და შეიგნო ის უფსკრული, რომელშიც მან ჩააგდო თავისი საყვარელი შვილი და მთელი ოჯახი. მისმა მგრძნობიარედ და მისუსტებულმა ხმამ მისმა ნახევრად დავრდომილმა მოძროხამ ბევრს ცრემლები მოჰგვარა...“

„გუნია შეგნებულად ასრულებდა სერგეი ვოლინცევის როლს (ა. სუშბათაშვილი-იუფინი — „ბორკილება“ — ც. ხ.). ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა იგი თავის დამლუკველ და შეურაცხყოფელ კოლთან დილოვგის დროს.

ხმა ემორჩილებოდა სავსებით და ამადღებულად გრძნობასაც სინამდვილით ხატავდა...“

„...მას (ვ. გუნიას — ც. ხ.) აქვს თავის როლებში, რომლებიც შეუძლია შეითვისოს, სისხლით და ხორციით შემოსოს და წარმოგვიდგინოს ცოცხალ არსებად. ასეთი როლი იყო მისთვის ევგენი — ვინბერგის პიესაში („მუც მთავრებულნი“ — ც. ხ.). ვ. გუნია იყო რეალი, უნაკლო მაშინ, როდესაც წარმოგვიდგენდა წყნარს, მშვიდს და კეთილს ქმარს და შვილს, და მაშინაც, როდესაც ნერვები აეშალა და ნახევრად გაგიებული იყო.“

„საღამოს უმთავრესი დამამშვენიებელი იყო ვ. გუნია: მის თამაშში იმდენი სიმტკიცე, ძალა და მასთან დაკოდილ გულის უშრეტელი სინაზე იხატებოდა, რომ მსმენელი გულწრფელად განიცდიდა მსახიობთან ერთად მის ღრმა უხედურებას. უკანასკნელ მოქმედებაში მისი თამაში აღლევებულმა საზოგადოებამ კვითინიც კი დაიწყო. ერთ-ერთი შეფიდან ატირებული ახალგაზრდა ქალი ხელით გაიყვანეს გარეთ.“

ეს ბუნებით მომადლებული მსახიობი ჩინებული იყო ყოველ სპექტაკლში, მაგრამ თავის ხმის და ვაჟაკური გარეგნობის წყალობით განსაკუთრებით უხედვლობა გენერლობა, რომელსაც ასრულებდა „აღლუმში“, „პირველი ბუნი“, „პარიზელი ბიჭი“ — სიამოვნებით იგონებდა 1988 წელს დ. ჩხიძე, ვ. გუნიას დახადების 100 წლისთავთან დაკავშირებით.

აი რა დიდი ხიბლით გვიზიარებს იოსებ გრიშაშვილი მსახიობისგან მიღებულ დიდ შთაბეჭდილებას:

„კარგად მახსოვს ჩვენი გამოჩენილი მსახიობის გაფრთხილება, როცა სუფლიორის სკამს მივუვარდობი და ღამის შექვე ვიწყებდი სიტყვის მიწოდებას:

— სოსო, არ დაგავიწყდეს, პირველი სიტყვა თქვე გარკვევით, დანარჩენს თვითონ ვიტყვი.

და სწორედ ასე იყო. გუნია მთელი განცდით წარმოთქვამდა ამა თუ იმ მონოლოგს და დაუვიწყარ სცენურ სახიერებას მისცემდა. სულს ჩაუდგამდა ყოველ სიტყვას. ყოფილა შემთხვევა, თუ ჩემს ნათქვამ სიტყვას ვერ გაიგონებდა, თვითონ ქმნიდა ახალს, როლის შესაფერის და ისე მოხდენილად იტყუარა, რომ ზოგჯერ ეს ახალი ტექსტში ნათქვამსაც სჭოხნიდა.“ „პართული სცენის ქურუმი“ — ასე უწოდებს პოეტი ვალერიან გუნიას და მგოსნის ეს სიტყვები უთუოდ დიდად ანგარიშგასაწევია, რადგან იგი წელთა მანძილზე იღვრება თეატრში ამ დიდი ხელოვნანის გვერდით.

ვალერიან გუნიას მიერ განსახიერებული ოთარ-ბეგის როლის შესახებ, რომელიც შედეგად არის აღიარებული ქართულ თეატრალურ კრიტიკაში, ჩვენი სცენის კორიფე აკაკი ვახაძე შენიშნავდა:

„ჩვენ ვიცით, რომ თეატრალური ხელოვნება

მეურნეობებს არ აინტერესებს ამ მხრივ, თუ თქვენ რამდენ ოფლსა და ენერჯიას დახარჯავთ ამა თუ იმ სახის შექმნაში, ეს მისთვის სულერთია. მან ის მსუბუქად უნდა მიიღოს და ესთეტიკური სიამოვნება განიცადოს, და სწორედ ვალ. გუნიას ოთარ-ნევი აი ამ განაღების პირველი მძებრალი იყო“.

მსახიობი ტახო აბაშიძე ეხება რა ვალერიან გუნიას როგორც დრამატურგის, რეჟისორის, და სის ხელმძღვანელის მოღვაწეობას, წერს:

„როგორც მსახიობი, იგი წარმოადგენდა მეტად სვეტორად ჩამოძვრული ფიგურას. როდესაც მე 1889 წ. ქართულ სცენაზე შევდგი ფეხი, ვალ. გუნიას უკვე იყო თავდასაჩინო, პირველი რიგში მდგარი წევრი იმ სახანო კართული დრამატული დასისა, რომელსაც ამშვენებდნენ დიდა ბუმბერაზები: მამაჩემი — ვასო აბაშიძე, დედა მ. საფაროვა-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი...“

ვალ. გუნიას, უნდა პირდაპირ ითქვას, თავისი სახსიობო ნიჭით, ამ წემით დასახლებულ ბუმბერაზებს შეიძლება სავსებით ვერ ედარებოდა, მაგრამ გონების გამჭვირახობით, მისი ორგანიზებული უნარით, მისი ხელმძღვანელობით, დასის საქმიანობით მუდამ ამ ბუმბერაზებზე მაღლა იდგა.

და განა როგორც მსახიობი იყო მდარე? არა, მის მიერ შესრულებული ზოგიერთი როლები კლასიკური რეპერტუარიდანაც კი — მეფე ლირი, პეტრონიუსი, ოტელო, უთოოდ შესანიშნავი და საუცხოო ნიმუშები იყო, რაშიც მას ეხმარებოდა მისი დიდი კულტურა და გამჭვირახობა.

მე მასთან შემისრულებია რამდენიმე ათეული როლი... ვალიკო, როგორც ჩემი პარტნიორი, ჩემი სცენაზე განცდების გამოარბეული დაუფიწყარი დარჩება ჩემს გულში.

... ვალიკო პიესებში ხშირად ასრულებდა მამების როლს, და თუ ვასო აბაშიძე იყო ჩემი მშობელი მამა, ვალ. გუნიას სცენაზე განსახიერებულ როლებში ნამდვილ მამობას მიწევდა, თავისი ოსტატური, ბუნებრივი, დაკვირვებულ თამაშით...“

მაგრამ მსახიობის ამ მოგონებაში თითქმის ნება უნდა იწვევდეს მოსაზრება, რომ „თავის სახსიობო ნიჭით ვალერიან გუნიას სავსებით ვერ ედარებოდა ამ წემით დასახლებულ ბუმბერაზებს“. ამას გვაფიქრებინებს თვით დიდი ილიას, აკაკის, ა. სუშიათაშვილი-იუენის და სხვათა აღტაცებული გამოათქვამები ამ დიდა მსახიობის სასცენო ნიჭსა და ხელოვნებაზე. საგულსხმია ამ მხრივ შალვა დადიანის მოგონება: „გუნიამ პირდაპირ დამატყვევა და მეც აღძრა სცენაზე საშუაოდ. ჩემს სხონებას არახიროს არ წაიშლება გუნიას მსახიობი.“

ის სულით ევროპელი მსახიობი იყო. მან ზედნიწვევით იცოდა ახასრულებელი პიესის სასცენო ფაქტები. ეს, ვინც სცენას იცნობს, უშთა-

რესია. ამის შემდეგ როლი უკვე დაძლიებულია. განსახიერებაში ის უახლოვდებოდა იმ ტიპს, რომელთაც უბრალოება გააბატონეს სცენაზე. ამ მხრივ შეიძლება გუნიას პიონერიც იყოს ჩვენში. და ამიტომ მისი როლი ჩვენს სცენაზედ მაღლებდა.

ახალგაზრდობას შეუძლია ბევრში არ დაეთანხმოს კირანაულ სასცენო მოღვაწეს, მაგრამ მისი პრინციპი ევროპულ შრომისმოყვარეობისა, სცენაზე ინტელიგენტურ სულის გაბატონებისა, როლების აღსრულებაზე უბრალოებისა და ბუნებრივობის დაცვისა კი მუდამ მისხაბი და სამაგალითო იქნება.

სხვაგან ვალერიან გუნიასთანა მსახიობზე მთელ გამოკვლევას დასწორდნენ, ჩვენში კი, სამწუხაროდ, არაფერი ამის გვარი არ არსებობს — გულსტიკივლით აღნიშნავდა შ. დადიანი აღმანახში „მადლობის დღე“, რომელიც ვ. გუნიას მოღვაწეობის მან წლისთავის აღსანიშნავ იუბილეს მიეძღვნა, — მსახიობი გუნიას არამც თუ გამოკვლევით, არამედ ღირსეულად დაფასებულად არ არის.

სამწუხარო, არ არის? კაცმა მან წელიწადი იმოღვაწა სცენაზე და დღესაც კარგად არ ვიცით როგორი მსახიობი იყო.

ჩემის ფიქრით უნებლიე დანაშაული ამ დაუფასებლობაში თვით საუვარედ ვალიკოსაც მიუძღვის. ბედმა მას მრავალმხრივი მოღვაწეობა არგუნა ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში და ამ მრავალფეროვნებამ შეიძლება დამფასებლის თვალში გუნიას მსახიობი დაჩრდილა.

ხელოვნება დიდი ეგოისტი მოტრფილია. სულ მთლად უნდა ადამიანის არსება შეიწიროს, და ვინც ამას ვერ მოახერხებს, საქმე საუკუჰმანო ხდება.

გულახდით და პირდაპირ უნდა ითქვას, როდესაც ჩვენი სცენის მაღალ ნიჭიერ წარმომებზე საუბრობენ, მწერლობაში და ისე კერძოდ, გუნიას არც თუ ისე ხშირად მოიხსენიებენ ხოლმე.

— ოო, გუნიას დიდი პიროვნებაა და სხვ. მსახიობი? სპეციალურად მსახიობი დაჩრდილულია...“

ვალერიან გუნიას დებიუტს სცენაზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ილია ჭავჭავაძეზე. რომლის გამოც უთქვამს მწერალს — „მისი (ვ. გუნიას — ც. ხ.) ხმის ტემბრი ახლავდა ამტიციებს მის დიდ ტალანტს“.

„ი. ჭავჭავაძეს აწყურებულზე მეტად ვალ. გუნიას თამაში მოეწონა, — იგონებს ნინო გომელაური, — რის გამოც მის გვერდით მჭადრმა ერთმა საზოგადოებრივმა მოღვაწემ სურვილიც კი გამოთქვა იგი თავისი ნიჭის გასაღრმავებლად რუსეთში, ან საწვდარგარეთ გაეგზავნათ, მაგრამ ამის გამოგონე ილიამ უპასუხა: „რუსეთში ბევრი გავაყვს გაგზავნილი, მაგრამ ვინც წავიდა,

აღარ დაბრუნდა, თუ ნიჭი აქვს სჯობს აქ დარჩეს და აქ გამოადგეს საშობლო სახლი“.

ნარკვევში „სასცენო ხელოვნება“ ვაღერიან გუნია ხაჭავასმით აღნიშნავს:

„აქტიორის ხელოვნება ემორჩილება ადამიანის ორ უმთავრეს თვისებას: კომედიასი ტრეპე-რამენტს, ე. ი. შინაგან აგებულებას და ტრაგე-დიაში ვნებას და შთაბეჭდილებას. კომედიასი აქტიორის ტემპერამენტი ჰქმნის ტიპს და ხა-სიათს, ტრაგედიასი კი საჭიროა ვნებათა ძლიერება და შთაბეჭდილება“.

უბეჭველია, თვით ვაღერიან გუნიას მიერ გან-სახიერებული როლები ოტელიოს, მეფე ლირისა, თუ ვენერალი ჭანჩიხაძისა, რომელთაც აღბაძე-ზული შთაბეჭდილებებით სოტბას ასამეფნ მსა-ხიობის თანამედროვენი, ხელოვანის ამ მოსაზ-რებათა პრინციპებზე იყო აგებული.

„ნამდვილ არტისტს, — შენიშნავს ვ. გუნია აქვე, — ხელოვნური თამაშობისთვის ეჭირვე-ბა: მას ისეთი ბუნებრივი აგებულება ჰქონდეს, რომ უოკელი მოქმედი პირის სულსა და ტყავში ჩაძვრეს, ისე მალე იგრძნობდეს მწერლის აზრს და განახორციელებდეს მას, როგორც კარგი ჩონგურის სიმები დამჭერელის თითის მიკარე-ბით სასიამოვნო ხმით უღერას“.

მაგრამ ამ დიდ ხელოვნებას მსახიობის აზ-რით ესაპირება მაყურებლის მახვილი თვალი, ნატიფი გემოვნება.

„ნამდვილი თეატრალი, — რომელსაც შეგ-ნებლი აქვს სასცენო ხელოვნების დედააზრი, მისი მრწამსი, საყურებლად კი არ წავა თეატრ-ში, არამედ აქტიორის დასანახავად. ავიღოთ მაგალითად „მამლიტი“ სომხის არტისტის ადა-მიანისა, „მამლიტი“ ქართველ არტისტის მისხი-შვილისა და „მამლიტი“ იტალიელი როსისა. ნა-მდვილი თეატრალისათვის ეს სამეფნ მსახიობი სულ სხვადასხვა სანახაობაა, სამი წყაროა სულ სხვადასხვა მხატვრული განცდისა და ემპაოფი-ლებისა. უნდა ისეთი მძლავრი მსახიობი იყო, როგორც როსი, რომ ერთი და სამი წლის შემ-დეგ კიდევ მოგვენატროს მისი ნახვა როლებში, რადგან დიდ მსახიობს განმეორებულ როლებში აქვს ახალი დეტალი, ახალი აღმაფერენა, ახალი ინტონაცია, ახალი სტიქია და ახალი ქადო, რომელიც წინათ არ უჩვენებია, ან წინათ შენ თვი-თონ არ შეგიმჩნევია“ — იგონებს მსახიობი მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის ამ სიტყვებს და ამით თავის თვალსაზ-რისსაც გამოხატავს.

ვაღერიან გუნია უაღრესად ფაქიზი განცდე-ბის, ლოკიური განსჯის, უწინარეს კი მოაზროვ-ნე მსახიობია.

როგორც მოაზროვნე მსახიობი, ვაღერიან გუ-ნია აქტიორის დიდ ღირსებად როლის თავისე-ბურად გააზრებას მიიჩნევდა. სწორედ ამ მხრივ იტყვება მის უწარდლებას ცნობილი სომეხი ტრაგეიკოსის კეტროს ადამიანის „მამლიტი“.

„როდესაც მამლიტი წარმოადგენს მეფის წინაშე და ნელნელა მიცოცავს თავის მა-მინაცვალ ბიძასთან, საშინელია. მაყურებელი მოუთმინლად თრთის. მამლიტის მრისხანე თვა-ლები კარგს არას მოსწავებენ, იმის ანაქელე-ბული ხმა ქუხილს გვიქადის, და მართლაც, წა-მობტება თუ არა მეფე თავის ადგილიდან და გა-ვა, მამლიტი — ადამიანი დაქრილს ვეფხვსავით წამოვარდება ზეზედ. თქვენ ელთი ჩვეულებრივი სიცოცხ, ჩოგოხეთურს ხარხარს, როგორც ბევ-რჯერ გვიანხავს, მაგრამ, არა, მამლიტი — ადა-მიანი მწარედ სტირის. ეს სცენა ნათლად გვიხა-ტავს, რომ ბ-ნ ადამიანს მამლიტი გაუგია, გაუ-გია მისი უმთავრესი ხასიათი — გულ-ჩვილობა, გრძნობიერება, და თუ გნებავთ, სისუსტეც, სწორედ ისე, როგორც თვითონ მამლიტი ეუბნე-ბა მესამე მოქმედებაში მამის აჩრდილს — „ნუ მიუურებ ასე, თორემ სისხლის მაკიერ ცრემლებს დავეღვრით!“

საინტერესოა თვით ვაღერიან გუნიას დამო-კიდებულება მამლიტისადმი, როლის მისებური გაგება, როლის ეთიკური, ემოციურ-ფსიქოლო-გიური გააზრება, გმირის სულში ღრმად ჩაწე-დომის უნარი. როგორია მისი აზრით მამლიტის სულიერი საწყარო?

„...მამლიტში განხორციელებულია „კაცობური კაცია“, რომლისთვის სვე-ბედსა მძიმე ტვირთი ურგუნებია — ეგ არის შურისძიება, სისხლის ზღვევიება. სახასიათო აზრი მამლიტისა ის უნდა იყოს, რომ დიდს გრძნობასა და გულჩვილობას-თან მამლიტს დიდი შორსმხედველი, ღრმა, მუ-დამ მოძრავი-გამკითხავი კეკა აქვს, მამლიტი აღმერთებს და თაყვანს სცემს მხოლოდ კეკას, კეკას ჰბღის უოკელის ფერის მსაქულად და თითონაც მას ემორჩილება — ამის-და-გვარად მამლიტს მხოლოდ ის კაცი უყვარს, ვინც კეკას-თან მწყურალად არ არის. მამლიტი ფეხს არ გას-ძრავს, თითს არ გაიქნევს, თვალს არ დაახამხა-მებს ისე, რომ თავდაპირველად კეკას არ და-ეკითხოს და მხოლოდ შემდეგ იმისა, როცა კეკა და გონება გაუჭრის, იგი საქმის საუვარშიც ჩა-ეხმის ხოლმე, მაგრამ, ამასთან, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მამლიტის კეკა ისეთის ნა-ზის თვისებისაა, ისე მწარაფლმომძრავი და ცხო-ველ-ნათელია, რომ წუთიც არ გაივილის, ამოქ-შენასაც ვერ ასწრებს, რომ მაშინათვე ხელახ-ლად ახალი კითხვა, ახალი განსახტელი საგანი არ აღქმრას გონებაში“ — წერს მსახიობი.

შალვა დადიანი სხვა შემსრულებელთაგან გან-საკუთრებით გამოარჩევადა ვაღერიან გუნიას მიერ განსახიერებულ მეფე ლირს არა მხოლოდ „გარეგნობით, ხმით და როლის ღრმა მოფიქრე-ბით“, არამედ „სულიერი ახოვანებით“... რო-გორიღაც „დიდებულების იერიო“. — მსახიობის სცენური სიცოცხლის ამგვარ დახასიათებას გან-საკუთრებული სიღაღით ამკობს ეპითეტი — „სულიერი ახოვანება“.

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ ვალერიან გუნიას ერთი მოგონება ივანე მაჩაბელთან შეხვედრისას:

„...რატი ასეთი ძნელად სათარგმნი ტრაგედია „ჰამლეტი“ ასე სწრაფად და კარგად გადათარგმნე... ახლა უნდა შეუდგე მეორე მისი პიესის თარგმნას, შედარებით „ჰამლეტთან“ გაცილებით სათამაშოდ ადვილს, — „ოტელოს“, რომელსაც ჩემი უხეირო თარგმანით ახლა ქუთაისში კოტე მესხი თამაშობს-მეთქი...

შევატყვე, რომ ჩემმა ლაპარაკმა შექპირის შესახებ ვანო კარგ გუნებაზე დააყენა და ახალი თარგმანის საღერდელი აუშალა...“

მსახიობის სულიერი ახოვანება, „შიგნით“, თავის ადამიანურ ბუნებაში არსებული გზგზავა ცეცხლი უკარნახებდა ვალერიან გუნიას ივანე მაჩაბლის თარგმანით პირველს განესახიერებინა „ოტელი“ ქართულ სცენაზე, უფრო მოგვიანებით, 1912 წელს, 50 წლის ასაკში საბუნებისო სპექტაკლში „მეფე ლირის“ ასევე ცეცხლიანი თამაშით დაეტყვევებინა მკურთხეველი.

„როგორც რეცენზიებიდან ჩანს, — წერს პროფესორი დ. ჭანელიძე თავის მონოგრაფიაში, — ვ. გუნიას დიდი წარმატება ხვდა. მას გამარჯვებას ულოცავდნენ. განსაკუთრებით უწონებდნენ და ჭებით იხსენიებდნენ ლირის მიერ კრდელოას დატირებისა და თვით ლირის სიკვდილის სცენებს. ვა. „საკავკასიის“ რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ ვალერიან გუნია მკველა მოლოდინს გადააჭარბა ლირის როლის მგრძობიარე და აზრიანი განსახიერებით და სრულიად ზღვრულად დაიმსახურა მკურთხეველთა ხანგრძლივი ტაშისცემა“. საინტერესოა აქ გავიხსენოთ ვ. გუნიას ჩანაწერი დილორში, რადგან მთავარი და პირუთენელი შემფასებელი თავისივე როლისა თავადვე იყო მსახიობი. ამას მოწმობს მისი არაერთი ჩანაწერი ამა თუ იმ როლზე: „იესე ასე, ეს მეორე კლასიკური როლია, რომელშიც არა მგონია კონკურენტი მაღე გამომჩინდეს... ოტელი, მეფე ლირი — ეს ხომ დიდი მონაპოვარია“.

სულიერი ახოვანება და ცეცხლოვანება განსაზღვრავდა პირველ ყოვლისა ვალერიან გუნიას პიროვნების „როგორიდაც დიდებულების იერს“ არამარტო სცენაზე, თეატრალურ მოღვაწეობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე, — როგორც მოქალაქის, გულითადი მეგობრის, ლიტერატორის, სატირიკოსის, რედაქტორ-გამომცემლის ნათელ სახეს, რასაც თან ერთვისდა მისი დიდი განსწავლულობა, უდრეკი ნებისყოფა, საგნებისა და მოვლენების ღრმად შეცნობის უნარი, შრომისმოყვარეობა, მამულისადმი უანგარო სიყვარული, სიმართლისმოყვარეობა, ადამიანისადმი ღრმა პატივისცემა, უარდესად კეთილშობილი ბუნება.

ეს მაღალი ადამიანური თვისებები მასში ჭერ კიდევ ბავშვში გამუდვანდა: „პატარაობიდანვე გატირებდასა და უშწილობას მძლავრად ჰქონდა ჩაჭიდული ხელი ვალიკოს დღაზი ქოჩორი-

სათვის, — წერს თავის მოგონების ფურცელში ელენე ანტონოვსკაია, — არ დავმალავ და ვიტყვი, რომ მე მრავალჯერს მინახავს ვალიკო გუნია უქმელ-უსმელი, ბნელსა და ცივ თოხბში, ჩაუცმელი და დაუხურავი, მაგრამ არა ადამიანისათვის არ გაუშვებელი თავისი სიმწარე“.

ვალერიან გუნიას პირად არქივში საყურადღებოა ერთ-ერთი ხელნაწერი, რომელშიც მსახიობს გულისხმედუარებით გამოუხატავს ი. ჭავჭავაძისადმი თავისი უკიდევანო სიყვარული და თაყვანისცემა, მასში თავისი სიკიცხლის დედაარსი, მამულებიშვილური გულისთქმა, ხელოვანის სულის აღსარებაცააა გაცხადებული:

„ძვირფასო ილია!  
თვით არ ვიცი, რისთვის მიყვარხარ ასე უწონოდ, ასე ძლიერად, რად მიყვარხარ ასე თავდავიწყებით? ჩემი შენდამი სიყვარული და პატივისცემა ერთგვარი კულტია თაყვანისცემისა, გაღმერთებისა.

უქვევლია, როგორც ყოველ ქართველს, მეც მიყვარხარ უფრო იმიტომ, რომ სიყრმიდანვე შენის მისწრაფებითა და იდეალებით ვიკვებებოდი, ვიწრდებოდი. ვიწრდებოდი შენის მადლიანის სიტყვა-პასუხის გავლენის ქვეშ. ვეჭვოლოდ შენებურად მგაზრა, მემწუხრა, მენადვლა ჩვენ უბედობაზე, და შენებურის კაცური-კაცობით... მეტირნახულა ჩვენს ბედზე მომავალზე...

და მერე, მერე, როცა შემთხვევა მომეცა, პირადად გაგიცანი და დაგიაზლოვდი, და შემეძლო მრავალ წელთა განმავლობაში ხარბად მედევნა თვალური შენის ზღაპრულის კერძო და საზოგადო ცხოვრების და მოღვაწეობისათვის, უფრო ღრმა, დაუშრეტელის სიყვარულით, შეგნებული თაყვანისცემით ივსებოდა და იქლითებოდა შენდამი ჩემი გრძობა-ოცნება“.

როდესაც ამ სტრიქონებს ეცნობით, კიდევ უფრო სინათლითა და სიღრმით გამოსჩანს ვ. გუნიას დიდი დეწული როგორც მსახიობისა, თეატრის მოამაგისა, სახესებით ვასაგები ხდება თუ რატომ მიესადაგებოდა ასეთი სიწუსტით მსახიობის ხელთი გამოკვეთილი სცენური ნიღბები „სატირული ხასიათის, პატრიოტული, ფეოდალური ჩავერის, მემამულეთა მამხილებელ, მებრძოლ გლებთა თუ ყვეტი ჩინოსანთა გამომსახველ სახეებს...“

როგორც დიდმა თანამედროვემ, ვ. გუნია მსახიობთა თეატრის ისტორიაშიც დაუვიწყარი ფურცელი ჩანსწერა ისეთი საინტერესო როლით, როგორც იყო „რდევვაში“ ბერსენიევის წარმტაკი სახე. „მა როლისათვის, — აღნიშნავს ერემა ქაჩელიშვილი თავის ნარკვევში „ვალერიან გუნია“, — მას ყველაფერი უწყობდა ხელს, გარეგნობაც, ხმაც, განცდის ბუნებრიობაც, სიღარბისილცე და რომანტიკული აღმადურენის უნარიც. გუნიას ბერსენიევი მისივე ოთარბეგითა ქეშმარიტი აქტიორული ხელოვნების ნიშუვად დარჩა“.

# პარტიული საბჭოთა პოეტები უსსრ-ის პიკეტი

უკანასკნელ წლებში გახშირდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის თარგმანები უცხოურ ენებზე.

1977 წლის იანვარში ქ. საარბრიუენში (დასავლეთ გერმანია) ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა საბჭოთა საქართველოს მწერალთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში და აწ განსვენებული გერმანისტი, მთარგმნელი ნოდარ რუხაძე. დელეგაციამ დიდი მუშაობა გასწია თავის დასავლელ კოლეგებთან ერთად ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსების თარგმანების მომზადების საქმეში.

1978 წელს საარბრიუენის გამომცემლობამ დასტავა ქართველი საბჭოთა პოეტების ლექსების კრებული „ახალი პოეზია საქართველოდან“, რომელშიც შევიდა ი. აბაშიძის, გრ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, მ. ფოცხიშვილის, შ. ნიშნიანიძის, თ. ჭილაძისა და სხვათა ლექსები (გამომცემლობის რედაქტორები: მარტინ ბუხზორნი, ფელიციტას ფრიშმუტი, ლუდვიგ ჰარიგი). წიგნი მიძღვნილია საარბრიუენის ოლქისა და თბილისის მცხოვრებლებსადმი. თარგმანები, რომლებსაც საფუძვლად დაედო ნელი ამაშუკელისა და ლ. ნანუაშვილის მომზადებული პუცარედები, შესარულს გამოჩენილმა გერმანელმა პოეტებმა: მ. ბუხზორნი, ფ. ფრიშმუტი, ლ. ჰარიგი, ს. კოტეხია, ვ. რაინერმა, მ. გ. შიფმა, გ. შტიბერტმა, ა. ენდლერმა და რ. კირშიმა.

ამ ორი უკანასკნელი პოეტის მიერ შესრულებული თარგმანები ამოღებულია კრებულიდან „რევასაუკუნოვანი ქართული პოეზია“, რომელიც გამოსცა ბერლინის გამომცემლობამ „ფოლკ უნდ ველტმა“.

ლექსების კრებულს წამყვარებული აქვს ქართველი ხალხის დიდი მგაობრის, პოეტისა და დრამატურგის-მარტინ ბუხზორნის ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც ავტორი მკითხველს უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს საქართველოში შეიდგვის მოგზაურობის შესახებ. მარტინ ბუხზორნი საქართველოში პირველად 1978 წელს ქ. საარბრიუენის თეატრის რეჟისორ ჰერმან ვედეინდთან ერთად ჩამოვიდა „საქართველოსა და მის აღმოსავლეთში რომ დავტრო, — აღნიშნავს გერმანელი პოეტი, — საჭიროა იქ იცხოვრო, მე კი მხოლოდ დღესასწაულებზე ვიუავი მცირე ხნით“.

შესავალი წერილის ავტორი უპირველეს ყოვ-

ლისა ებება ჰერმან ვედეინდის დამსახურებას, რომელმაც ქართველები დაამგობრა საარბრიუენის მცხოვრებლებთან, თბილისში დადგა ლესინგის პიესა „ნათან ბარქნი“, ხოლო საარბრიუენში გიჟო უორდანიამ — ქართული ოპერა. ავტორი იქვე დიდი გულსტიკვილით მოიხსენიებს აწ განსვენებულ გერმანისტ ნოდარ რუხაძეს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა გერმანელ მწერლებთან მგობრული, კულტურული, ლიტერატურული ურთიერთობის დამყარების საქმეში. ცალკე თავი ეთმობა ქართულ გერმანისტიკას. აღნიშნულია, რომ გერმანული ლიტერატურის შესწავლას და მცენიერულ კვლევას საქართველოში დასაბამი დაედო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. წიგნში მოხსენიებულია თბილისის უნივერსიტეტის მცენიერები: გრ. ხვთასი, მ. კვესელავა, შ. რევიშვილი, ნ. კარხალიაშვილი, ნ. კაკაბაძე, დ. ლაშქარაძე, რ. ყარალაშვილი, რომლებიც დაუღალავ მუშაობას აწარმოებენ ქართულ გერმანისტიკაში. ამავე დროს, მოხსენიებულია გარდაცვლილი მცენიერები: შ. ნუსუბიძე, ვ. ქოჩორაძე, ა. ბიბიჩაძე და ო. ჩინორია. ამავე წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა გერმანული ლიტერატურის ქართული თარგმანების მოკლე ანალიზს, აღნიშნულია გამოჩენილი მთარგმნელების ა. გელოვანის, ვ. ბეჟუღელის, ნ. რუხაძის, დ. ფანჯიქიძე-ოკაიას, ძმანი ჯორჯანიელების და სხვათა დიდი დეწლი. როგორც თარგმანების ორიგინალთან შეჭერებამ გვიჩვენა, მთარგმნელებს ტექსტებზე დიდი სიუყარულითა და პასუხისმგებლობით უმუშავიათ: სწორად აარის გაგებული ქართველი პოეტების ნორები, შესაძლებლობის ფარგლებში შენარჩუნებულია ორიგინალის რითმა, რიტმი და მუსიკალური ჟღერება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უზუსტობას, რომელიც არ ამცირებს თარგმანების საერთო ღირებულებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. ფოცხიშვილის ლექსების მთარგმნელს მან ბერნარდ შიფს დიდი მუშაობა გაუწვია, მას უთარგმნია ქართველი პოეტის 18 ლექსი, რომელიც შენაწინაშე ვადა უფროს გერმანულ ენაზე. ასევე დიდი მუშაობა გაუწვიათ გრ. აბაშიძის, ტ. ჭანტურიას, შ. ნიშნიანიძისა და სხვათა ლექსების მთარგმნელებს.

ქართველი მწერლების დელეგაციის ჩასვლას ქ. საარბრიუენში გულმოდითად გამოეგმარა

დასკრედიტაციის გარეშე, მათ გამოკვეყნეს სტატიები და ქართველი პოეტების ფოტოები. გაზეთი „დუდუაღლი“ იმ შვიგელში 1977 წლის 28 იანვრის ნომერში წერდა: „სამი ქართველი მწერალი: მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჭილაძე და ფრიდონ ხალვაში მიიწვიეს ქ. საარბრიუნიანის მწერალთა კავშირში. ისინი თავიანთ სამშობლოში გამოჩენილი პოეტები არიან, როგორც არტიტებმა, ზეპირად იცავენ ლექსები, მათ მხოლოდ ერთი გერმანული სიტყვა „დანკე შონი“ იცოდნენ. მაგრამ თან ახლდათ გამოჩენილი ქართველი გერმანისტი და მთარგმნელი ნოდარ რუხაძე.

ნოდარ რუხაძე შეხვდა თავის გერმანელ კოლეგებს, ესაუბრა გერმანული ლიტერატურის პროფესორებს, ურნალისტებს, რედაქტორებს, ბიბლიოთეკარებს და საარის ოლქის მწერლებს“. გაზეთი „საარბრიუნიანის კაიტუნგი“ 1977 წლის 18 იანვრის ნომერში წერს, რომ ქართველი მწერლები საზეიმო ვითარებაში მიიღეს ამავე გაზეთის რედაქციაში და, აგრეთვე, მწერალთა კავშირში მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კლაუს შარია პაინემანი ესაუბრა ქართველ პოეტებს ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხებზე, მიესალმა გერმანელი და ქართველი პოეტების ურთიერთთანამშრომლობას და უსურვა წარმატებები. ბოლოს თავმჯდომარემ ქართველ პოეტებს საჩუქრად მიართვა წიგნები, რომლებშიც ასახულია სარის ოლქის ისტორია. გერმანელმა მწერალმა ჰანს ბერნარდ შიფმა მაღლიერების გრძნობით გაიხსენა მისი მოგზაურობა თბილისში, შეხვედრა ქართველ თანამოაკლმებთან და ქართული სტუმართმოყვარობა. საუბრის შემდეგ ერთად გადაიღეს ჭგუფური ფოტო, რომელიც გამოკვეყნდა გაზეთში.

ნოდარ რუხაძის უშუალო ხელმძღვანელობით ბერლინის გამოცემილობა „ფოლკ უნდველტმა“ 1970 წელს გამოსცა სიმონ ჩიქოვანის ლექსების 87 გვერდიანი წიგნი „ქადრების ორნამენტში“. წიგნი გერმანელ პოეტ ელკე ერბისთან ერთად შეადგინა ნოდარ რუხაძემ (რედაქტორი ილზე კრეტციგი). გერმანულ თარგმანს საფუძვლად დაედო გიორგი წულუყიძის მიერ ქართულიდან და იგორ ვერნერის მიერ რუსულიდან გაკეთებული ნაკარები. შენიშვნები ეკუთვნის მ. ი. ჰაბაშვილს, ბოლოსიტყვაობა ელკე ერბის.

წიგნში შევიდა სიმონ ჩიქოვანის 41 ლექსი. ლექსები თარგმნეს გამოჩენილმა გერმანელმა პოეტებმა: ილზე კრეტციგმა, იურგენ რენერტმა, ჰელმუტ პრაისლირმა, რაინერ კირშიმა, ფრიდმან დირგერმა, გიულთერ დიეკემ, ადოლფ ენდლერმა და პაულ ვიენსმა.

მკითხველის უურადლებას იქცევს ელკე ერბის ბოლოსიტყვაობა. რომელიც უცხოელ მკითხვე

ლებს მოკლედ მოუთხრობს ქართველი ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ბოლოსიტყვაობის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის სრულიად უცნობი ენიდან გერმანულ ენაზე ითარგმნა ქართველი საბჭოთა პოეტის სიმონ ჩიქოვანის ლექსები, რომლებშიც პოეტი აგრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს.

ბოლოსიტყვაობის ავტორი მსჯელობს საქართველოში პეიზაჟების სილამაზეზე, უძველეს ქართულ კულტურაზე, ქვეყანაზე, სადაც დაიბადა ქართველი ხალხის გენია — რუსთაველი.

შოთა რუსთაველი არის ეროვნული, თვითმყოფადი კულტურის უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც შეარქა შუა საუკუნეებში სპარსული ლიტერატურის გავლენა ქართულ ლიტერატურაში. პოემა გერმანულ ენაზე ითარგმნა ჰუგო ჰუპერტმა.

ავტორი მოიხსენიებს სიმონ ჩიქოვანის პოემას, რომელიც მიძღვნილია დავით გურამიშვილისადმი.

ავტორს გამოუყენებია გიორგი მარგველაშვილის ნარკვევი „სიმონ ჩიქოვანი“, რომელიც წამძღვარებული აქვს პოეტის 1975 წლის გამოცემის პირველ ტომს. გერმანელი კრიტიკოსი იზიარებს გ. მარგველაშვილის დებულებებს იმის შესახებ, რომ სიმონ ჩიქოვანის გზა პოეზიაში იყო რთული, პოეტმა თავის დროზე შეიცნო მისი შემოქმედების პირველი პერიოდის შეცდომები, თავისი შემოქმედების მთავარ თემად საბჭოთა ხალხის ცხოვრება გაიხადა და მოწინავე საბჭოთა პოეტი გახდა. წერილი დაწერილია საქმის ცოდნით.

ქართველი პოეტის ლექსების გერმანული თარგმანის გამოსვლასთან დაკავშირებით ნოდარ რუხაძე 1971 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებათა აკადემიის მიწვევით ჩავიდა ბერლინში. იგი ეწვია გამოცემილობა „ფოლკ უნდველტის“ მთავარ რედაქტორს ლეონჰარდ კოშუტს და ესაუბრა ქართული პოეზიის და პროზის ანთოლოგიების შესახებ. მთავარმა რედაქტორმა თავის ქართველ კოლეგას უამბო იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც მასზე მოახდინა საქართველოში მოგზაურობამ. „1968 წელს, — თქვა მან, — საქართველო ჩემთვის უცნობი არ იყო. ვიდრე პირველად გეტყვობოდიო, უკვე წაქოთხლი მქონდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარტენი“ და სხვა ქართველი მწერლების მოთხრობები და ლექსები. ვიყავი მცურეთაში, ვნახე სეპტიცხოველი, დღევანდელ საქართველოზე უკვე მქონდა გარკვეული წარმოდგენა. მე სწორედ იმანაც გამაკვირვა, საუკეთესო ტრადიციების რა ურდვევი კავშირი არსებობს რუსთაველის ეპოქის გმირებსა და დღევანდელ ქართველებს შორის. უკვე სამკერ ვიყავი სა-



ქართველოში და თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ ბევრი მეგობარი შევიძინე, მუდამ თვალწინ მიდგას თბილისი, საქართველოს სამხედრო ჯა, ყვარელი, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროები. საქართველოს უძველეს კულტურას, ხელოვნებას და ლიტერატურას აქვს იმის პრეტენზიები, რომ საქართველოდან დაშორებულ კაცზეც კეთილისმყოფელი გავლენა იქონიოს, მიხარია, რომ საქართველოს ახლა უკეთ ვიცნობ, ხოლო კიდევ ახლო გაცნობისათვის უფრო დიდ პერსპექტივებს ვხედავ... „ქართული პოეზიის ანთოლოგია რვა საუკუნის მანძილზე“ უკვე დაკაბადონდა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მკითხველთა შას მალე მიიღებენ. მსურს ვისარგებლო შემთხვევით და ჩემი გულითადად მადლობა გადავუხადო საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს მწერალთა კავშირს, საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის, საქართველოს საზოგადოებას და ყველა ქართველ მეგობარს, რომელთა დაუხმარებლად ასე მნიშვნელოვან მშენებარე წიგნს ვერ მოვაზაადებდით. ჩვენი მხრივ, ყველაფერი გავაკეთებ, რათა ანთოლოგია მოსაწონი ყოფილიყო. ამიტომ ძალიან დაძაბული ვივლოდებოდი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის გამომხატურებას, კრიტიკოსებს, იმედაი, საქართველოშიც ვიპოვიო“.

ნოდარ რუხაძე დაინტერესდა გაცეკო, თუ რა შემოქმედებით სიძინელებთან იყო დაკავშირებული სიმონ ჩიქოვანის ლექსების გერმანული თარგმანის გამოცემა.

რა თქმა უნდა, ქართველი გერმანისტი დაინტერესებული იყო მთარგმნელების ვინაობით. უნდოდა გაეცნო ისინი ქართველი მკითხველისათვის. „სიმონ ჩიქოვანის ლექსები — თქვა მთავარმა რედაქტორმა, — რვა პოეტმა თარგმნა: პაულ ვიენსი კინო-სცენარების ავტორიცაა და მრავალი უნიდან უთარგმნა ლექსები. გაუნთერ დიეკო ჩვენთანაც მუშაობს და სხვა გამომცემლობაშიც, ადოლფ ენდლერი და მისი მეუღლე ელკე ერბი ჩვენში ქართული პოეზიის სპეციალისტებად არიან ცნობილი. ჰელმუტ პრაისლერი ცნობილი პოეტია, რაინერ კირში ხომ კარგა ხანს იყო საქართველოში. ფრანკმან დერტონს ს. ჩიქოვანის ლექსების წიგნმა ჩვენი მუდმივი თანამშრომელი გახადა, ილზე კრეტცივა „მოწოდებით“ პოეტი არ არის, მაგრამ როგორც ჩვენი გამომცემლობის რედაქტორმა, ს. ჩიქოვანის ლექსების წიგნის გამოცემაზე ბევრი იწურუნა და თან საქართველოსადმი ინტერესი იმდენად გაუცხოველდა, რომ გადაწყვიტა ქართული ენის შესწავლა. სიმონ ჩიქოვანისათვის სარეკლამო ტექსტი შეადგინა იუზგენ რენერტმა, მანვე თარგმნა რამდენიმე ლექსი“.

ბოლოს მთავარმა რედაქტორმა დასძინა: „მე ვისურვებდი, რომ საქართველოსა და გერმანიის

ნიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის უფრო და უფრო მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებულყო, რათა კიდევ უკეთ გავიცნო ერთმანეთი“; (ნოდარ რუხაძის საუბარი ლენინარდ კოშუტთან)“ „ლიტერატურული საქართველო“, (X: 25, 1971 წ. 18 ივნისი, გვ. 2).

სომონ ჩიქოვანმა 1950 წელს იმოგზაურა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც გაეცნო გერმანელი ხალხის ცხოვრებას. მოგზაურობის შედეგად თავის შთაბეჭდილებების საფუძველზე პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების ციკლი სათაურით „გოეთის ცაცხველები“. გერმანულმა გაცემთა „ნაციონალ ცენტრმა“ 1958 წელს გამოაქვეყნა სიმონ ჩიქოვანის ლექსის „მშვიდობის კარნავალი ვაიმარში“ გერმანული თარგმანი, რომელიც შესარულა გერმანელმა მწერალმა ფრანკ ლიუნციერმა. გერმანულ თარგმანში ლექსის სათაური შეცვლილია და ეწოდება „ახალ ვაიმარში“.

საერთოდ ლექსი კარგადაა თარგმნილი და ზუსტად გამოხატავს ღედნის შინაარს. გარდა ამისა, სიმონ ჩიქოვანის ლექსების გერმანული თარგმანით დაიბეჭდა კრებულში „ქართული პოეზია რვა საუკუნის მანძილზე“, რომელიც გამოიცა ქ. ბერლინში 1971 წელს.

ლექსმებურგში მოღვაწე იტალიელმა პოეტმა მიმო მორინამ 1971 წელს უურნად „ვენტო ნუოვოს“ „Vento Nuovo“ XIX-XX ნომერში გამოაქვეყნა სატატია „შეხვედრა ქართულ პოეზიასთან“. ამავე ნომერში გამოაქვეყნდა სიმონ ჩიქოვანის ორი ლექსი: „თბილისელი მეთევზე“ და „მთების გალობა“, რომლებიც იტალიურ ენაზე თარგმნა გრაციელა ლემან-განდოლფმა.

თარგმანს წამძღვარებული აქვს სიმონ ჩიქოვანის მოკლე ნოზარაფთა. „სიმონ ჩიქოვანის ლექსებს, — წერს მიმო მორინა, — რომლებსაც თქვენ ამ ნომერში წაიკითხავთ, მთარგმნელ გრაციელა ლემან-განდოლფის მიერ შესანიშნავად შესრულებულს მოჰყვება პოეზია ანა კალანდაძისა, გრიგოლ აბაშიძისა და მრავალი სხვა პოეტისა, რომლებიც საქართველოს უხვმა მიწამ დაბადა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე. (ბუეან გიორგაძე, „ქართული პოეზია ლექსმებურგის უურნად-გაზეთებში“ „ლიტერატურული საქართველო“, № 18, 1978 წ. 80 მარტი).

სიმონ ჩიქოვანის ლექსების ცალკეული თარგმანი გამოაქვეყნდა სოციალისტურ ქვეყნებში — (რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი).

ვენეციის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი — ლეიჯი მაგაროტო კარგა ხანია, რაც დაინტერესდა ქართული ენითა და ლიტერატურით. იტალიელი მეცნიერი თავდაპირველად რუსული თარგმანებით გაეცნო ვალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ცხოვრება-შემოქმედებას მან გადაწყვიტა, შესწავლა ქართული ენა და

ორიგინალიდან ეთარგმნა ქართველი პოეტები იტალიელი მკითხველისათვის. ჭერ დამოუკიდებლად დაიწყო ქართული ენის შესწავლა, მაგრამ საჭიროდ ცნო გალაკტიონის სამშობლოში გამგზავრება.

ლუიჯი მაგაროტო პროფ. ი. ტაბალას დახმარებით 1977 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა, სადაც სამი თვე დაჰყო.

სამშობლოში გამგზავრების წინ იტალიელმა მეცნიერმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს, ლ. ზუბულურს უამბო: „რუსი ავტორების ჩინებული თარგმანებით გაცეცანი ქართველი პოეტების — გ. ტაბიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის შემოქმედებას. მივიხილვე ქართველი პოეტების ლექსებით. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გალაკტიონის პოეზიამ. ამ მიზნით დავიწყე ქართული ენის შესწავლა. იტალიაში ქართული ენის შესწავლა არც ისე ადვილია. ასრულდა ჩემი დიდი ოცნება, ჩამოვედი საქართველოში. მომეცა საშუალება უფრო ახლოს გაცნობოდი ქართველ ხალხს, შემეწავლა ქართული ენა“.

ლუიჯი მაგაროტომ თბილისშივე დაიწყო, ავტორზე, ტიტან ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის და პაოლო იაშვილის ლექსების თარგმნა. იტალიაში მან გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სიმონ ჩიქოვანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

იტალიელმა სწავლულმა შეასრულა თავისი დაპირება, მან 1978 წელს ქართულიდან თარგმნა და გამოაქვეყნა გალაკტიონის 19 ლექსი: აღნიშნული თარგმანი დაიბეჭდა ვენეციის უნივერსიტეტის უცხოური ენისა და ლიტერატურის წელიწადურში (1978, ტომი XVII, განაკვეთი სამი, ორიენტალისტური სერია № 8).

ლექსების თარგმნის წარმდგარებული აქვს მთარგმნელის ვრცელი შესავალი სტატია, რომელშიც განხილულია ქართველი პოეტის შემოქმედება.

მკითხველის ყურადღებას იქცევს ლუიჯი მაგაროტოს შესავალი სტატია „ავანგარდში და კლასიკა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში“ „ბევრი სხვა პოეტისაგან განსხვავებით, — წერს ლუიჯი მაგაროტო, — გალაკტიონ ტაბიძემ მოძენა საყოფარო გზა, რომელმაც უბიძგა მას, პოეზიის ღრმა შეცნობისაკენ“.

„გალაკტიონის ლექსი „ქარი ჰქრის“, არის დიდად მუსიკალური, მაგიური ლექსი, რომელშიც წარმოდგენილია განახლებული „ვერსიფიკაცია და პასუხობს ახალი პოეზიის მოთხოვნებს“ იტალიელი ავტორი მიუთითებს გალაკტიონის პოეტური ლექსიკის იშვიათ თავისებურებაზე: „ეაღუბლებს“ (აღუბალი), „დაიარისა“ (ირისი) „გადიგებებს“ (გედი), „მოაიავებს“ (ია), „მოდაიარო“ (დაიარა), „მონაიავებს“ (ნიავე). „მოთვალმარგალიტება“ (თვალმარგალიტი).

იტალიელი მეცნიერი ჩერდება ფერტა სიმბოლიკაზე გალაკტიონის პოეზიაში. ავტორი

მიუთითებს, რომ გალაკტიონი თავის იუენებს მრავალ ფერს. „შავი ფერით, — წერს ლუიჯი მაგაროტო, — გალაკტიონი გამოხატავს სევდას, რომელიც ხშირად დემონურ საწყისს უკავშირდება, მაგრამ პოეტის ლექსებში ცისფერი სქაბობის მალარმეს პოეზიის მსგავსად. რუსთაველთან ცისფერი ფიზიკურ და სულიერ წუხილს გამოხატავს. მაგრამ 700 წლის შემდეგ ეს ფერი ნ. ბარათაშვილთან სევდის მაუწყებელ ფერად იქცევა, ხოლო გალაკტიონის პოეზიაში ცისფერი გამოხატავს სიცოცხლესაც, ოცნებასაც და მოგონებებსაც.“

ლუიჯი მაგაროტოს აზრით, „ლურჯა ცხენები“ ედგარ პოსა და რენეს პოეზიითაა შთაგონებული და არ ეხმანება ვ. ბოლუისთვის ლექსს. მაგრამ „ლურჯა ცხენების“ მთავარი საფუძველი მაინც ქართულ პოეზიაშია საძებარი.

გავისხენოთ თვითონ გალაკტიონი ამბობს: „ავთანდილი იქდა ლურჯა ცხენზე, ისევე როგორც მეფე ერეკლე“. „მერანცის“ აშკარად ლურჯა ცხენია. ლურჯა ცხენები არა მხოლოდ ესმათ სვლას ვაუწყებს, არამედ პოეტის რწმენასა და იდეალსაც გამოხატავს, რომელსაც ძალუძს სიკვდილის დამარცხება. რუსთაველისათვის თითქმის ყოველთვის ყვითელი ფერია საუკეთესო: ნესტანი ამ ფერის სამოსშია გამოწყობილი. გ. ტაბიძისა და ა. ბლოკისათვის ზმანებანი ყოველთვის თეთრია. წითელი ფერი, რომელიც ხშირად გვხვდება პომეროსთან და ემილ ვერხარნთან, გ. ტაბიძისთან სისხლის, ფიზიკური ტანჯვის, აგრეთვე, მგზნებარ სიუვარულის სიმბოლოა და ზოგჯერ მხოლოდ ინტენსიური ტონალობაა“.

ლუიჯი მაგაროტოსული იტალიური თარგმანების შედარება დედანთან ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს თარგმნითი ხელისუფლების კარგოსტატთან. მთარგმნელის მიერ შეტრულებული თარგმანები განწყობილია თეთრ ლექსად და, შესაძლებლობის ფარგლებში, სწორად გადმოცემს ქართველი პოეტის აზრებს. რაც შეეხება სტროფებსა და ტაქებს, იდენტურია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ უჩუესტობას.

ავტორს დიდი მუშაობა გაუწევია, კარგად შეუსწავლია ჩვენი სასიქადლო პოეტის ცხოვრება-შემოქმედება. როგორც ავტორის მიერ მიითვებული მასალებიდან ჩანს, გამოუყენებია ქართველი მეცნიერების: გ. ასათიანის, დ. ბენაშვილის, ი. კენჭოშვილის, გ. მარგველაშვილის, ა. ხინთიბიძის, მ. ანათის, ლ. სტურაუსა, თ. ჩხენკელის და სხვათა ნაშრომები.

იტალიელი მეცნიერის ნაშრომი და თარგმანები ხელს შეუწყობს ქართველი და იტალიელი ხალხების კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარებას.

შემოთ მოტანილი მასალები იმაზე მეტყველებს, რომ უცხოელი მეცნიერები და ინტერესებული არიან ქართული საბჭოთა პოეზიით.



# ზაზა სისარულიძე

## პარმონის ქიზაში

...ერთ-ერთ სტატიაში ვამბობდი, რომ წყო-  
ბილისიტყვაობის დღევანდელ მსახურთა შო-  
რის ორი ჭკუფი გამოიყოფა: პოეტ-მოაზროვ-  
ნეთა (უმბრავლესობა) და პოეტ-მხატვართა  
(უმცირესობა); რომ თანამედროვე პოეზიის  
მთავარი ტენდენციაა ფიქრი თუ განსჯა, და  
არა — სახისმეტყველება, რაც ხელოვნების  
სპეციფიკას წარმოადგენს-მეთქი...

როგორც ჩანს, სათქმელი სათანადოდ ვერ  
გამოვხატე, ვინაიდან ერთი უფროსი მეგო-  
ბარ-კოლეგის სამართლიანი შენიშვნა დავიმ-  
სახურე — სახისმეტყველება აზრისა და  
გრძნობის, ფიქრისა და ხატის მარმონიულ  
ერთიანობას გულისხმობს, ხოლო ამგვარი ერ-  
თიანობა დღეს იშვიათია... მეც სწორედ ეს  
მინდოდა მეთქვა...

თუკი ამ თვალსაზრისით განვიხილავთ  
მ. შ. ა. რ. თ. უ. რ. მ. ა. ა. უ. ლ. ის პირველ პოეტურ  
კრებულს („დღე-ღამის დედა“, გამომცემლობა  
„მერანი“, 1988), უნდა დავასკვნათ, რომ ძი-  
რითადი ტენდენცია, რაც ამ წიგნში დასტამ-  
ბულ ლექსებს მსჭვალავს თავით ბოლომდე,  
გახლავთ აღნიშნული მარმონიისაკენ სწრაფვა,  
ფიქრისა და სახის ერთიანობის ძიება. ეს იგრ-  
ძნობა კრებულის პირველივე ლექსის — „ძვე-  
ლი დღიურიდან“ — წაქითხვა-გააზრებისთა-  
ნავე.

„ძველი დღიურიდან“ ყველაზე საინტერე-  
სო ნაწარმოებია პოეტისეული მსოფლგანც-  
დის თავისებურებათა გარკვევის თვალსაზრი-  
სით. ეს ლექსი განსჯითი ლირიკის ნიმუშია. ამ  
ნაწარმოებში გამოხატულია ჩვენი თანამედ-  
როვე ახალგაზრდა პიროვნების დამოკიდებუ-  
ლება კაცობრიობის ოდითგან თანამედვეი კი-  
თხევისხაღმი, რომელთა არსი კიდევ ერთხე-  
ლთაა გაცხადებული „შეუცნობლობის მტანჭველ  
ტივილით“ ნახულდგმულევ შემდეგ სტრი-  
ქონებში:

„...რანი ვართ ჩვენ...  
ან ეს, ჩვენს ირგვლივ რაა, რაც არის...“.  
ამ ჩაფიქრებას ლოგიკურად მოსდევს დაე-  
კვბა:

„...იუდას ცოდვა, იობის მადლი,  
ვაი თუ ცოდვა-მადლი არ არის...“.

პოეტის პოზიცია, ვფიქრობთ, ნათელია:  
ერთმნიშვნელოვნად არ უნდა მივედგეთ ამა  
თუ იმ პიროვნების საქციელსა და მოქმედებას,  
ცხოვრებისეულ ფაქტსა და ბუნებრივ მოვ-  
ლენას, რადგანაც ჩვენს სამყაროში (როგორც  
მიკრო, ისე მაკროკოსმოსში) ყველა და ყვე-  
ლაფერი ურთიერთგადაჭაჭუველგანპირობებუ-  
ლია, კერძოდ, მადლი (სიკეთე) თავის არსს  
აკლენს ცოდვასთან (ბოროტებასთან) დაპი-  
რისპირებულობით და პირიქით...

რა გზას უნდა დაადგეს კაცი, რა მოიმოქმე-  
დოს, როცა მაშინაც კი, ოდეს, ვთქვათ, „ქვეშ-  
ნად არრა არის ხატევი“. მაინც ვერ ისვენებს,  
ვერ დაწუნარებულა, ვინაიდან „ყოველივეს  
სასრულობა მისი დასცინის“ ამ სამყაროში  
(„...ენა ჩემი და ხელები ჩემი“)... და ისევ წა-  
მოიჭრება დანიელი პრინცის კითხვა...

ფიქრობთ, პოეტის საბოლოო (და ჩვენ-  
თვისაც გასაზიარებელი) პასუხი მარადიულ კი-  
თხეებზე ნათლადაა გამოხატული ამ უსათაუ-  
რო ლექსში:

„კითხვამ — ყოფნა თუ არყოფნა — ჩემამ-  
დეც ბევრი იარა; კითხვამ — ყოფნა თუ არ-  
ყოფნა — კვლავ ბევრი უნდა იაროს; ბევრნა-  
ირ სისხლის ამრევი, მეც გულს ჩამეჭრა  
იარად, მეც მათქმევინა: „ასეთი რა ხარ, შე  
ოხერ-ტიალო!“ ჭერ კი ვთქვი: „თავი მოვკ-  
ლა...“, მერე კი ისევ ვთქვი: „არა!“, თობი ავი-  
ლე, სიმინდებს ძირები მოვუფხვიერე, წვიმა  
ვინატრე, გულიდან ღრუბელმა გადაიარა და  
წასვლა-მოსვლის მიზანი მეც უნახავით ვიცა-  
ნი — ამოვა, მოსვლა ის არის, იზრდება, ყოფ-

ნა ის არის, ტაროს ან თავთავს მოიბამს, იმი-  
სი" საქმეც ის არის, ამაო ფიქრი ღვარძლია,  
ხვიარაა და ის არის; და რადგან უოფნიო არ-  
უოფნა რაა, ვერ გამოვიცანი, მოვკვდები, მე-  
რე" ვიფიქრებ არუოფნაზე და ის არის."

ეს ლექსი მთლიანად იმის გამოც გავიხსენეთ,  
რომ ცხადლივ წარმოგვეჩინა სათქმელის ფორ-  
მისადმი პოეტისეული დამოკიდებულების  
ერთი ასპექტი, როგორც ვხედავთ, ციტირე-  
ბული ნაწარმოები დაწერილია "ტრადიციუ-  
ლი" (კლასიკური და ხალხური) სალექსო  
ხერხებით, რომელთაც კრებულის ავტორი ხში-  
რად მიმართავს. ამავე დროს პოეტი დასახუ-  
ლი მიზნის მისაღწევად ასევე წარმატებით  
იმარჯვებს "თავისუფალ" ლექსსაც. ერთი სი-  
ტუვით, მთავარია ნიჭი იყოს, ფორმა მოიძებ-  
ნება..

ომარ თურმანაულის "თავისუფალ" ლექს-  
თა შორის შინაარსობრივი და მხატვრული  
ღირსებებით გამოირჩევა „საჯაფახულო ეპის-  
ტოლე ქალაქისადმი“. თუკი გავითვალისწი-  
ნებთ, რომ ლექსის ავტორი მთის კუთხის შვი-  
ლია, თითქოს მოსალოდნელია კიდევ ერთხელ  
მოვიხსინოთ უკვე შეაბლონად ქცეული საყვე-  
დურები ინდუსტრიული ცივილიზაციის უძლე-  
ბი პირშვის აურაცხელ სიკვითა გამო, მაგრამ,  
მიუხედავად უოველივ ადნიშნულისა, პოეტი  
თანაგრძნობითა და გაგებით მიმართავს ქა-  
ლაქს:

„...ჩვენ მანც მეგობრები ვართ...“

და უურს უგდებს ქალაქისეულ სიმღერას,  
თუმცა მეგობარს არც ხმა უვარგა და არც —  
სმენა, მაგრამ სიმღერისათვის ხომ „გული  
არის მხოლოდ საქირო!“

„ეპისტოლეს“ ავტორი წუხს, რომ ქალაქი  
„...თებერვლის ხმას ხიდან კი არა, კედლის  
კალენდრის ყრუ და მშრალი ფურცლიდან“  
ისმენს...

ბუნებისა და მის შვილთა ტრადიციულ  
ურთიერთკავშირების დარღვევა თავისებურად  
აისახება თანამედროვე ახალგაზრდულ პოე-  
ზიაში: აღარ ჩანს ლექსები, რომლებშიც ბუ-  
ნება სათანადოდ იქნება მოხმობილი ადაამიანის  
სულის მდგომარეობის უკეთ გამოსახატავად.  
სარეცენზიო კრებულში დაბეჭდილია ლექსი  
„მარტოხე“, სადაც ავტორი ცდილობს გზის-  
პირ, ტერაზზე ამოსული ეული ხის მოშველიე-  
ლით გადმოგვეცეს თავისი ლირიკული გმირის  
ფიქრი და განცდები, მაგრამ სასურველ შე-  
დეგს ვერ აღწევს.

ომარ თურმანაულის ლექსებში ხშირად დას-  
ტურდება სიტუვა „სიუვარული“, მაგრამ პოე-  
ტის შემოქმედებაში ეს სიტუვა წარმოგვიდგება  
რალაც აბსტრაქტულ ცნებად, რასაც გამოც-  
ლილი აქვს კონკრეტული შინაარსი... ვფიქ-  
რობთ, ამ გზით ვერ მიიღწევა აზრისა და ხა-  
ტის სანატრელი მარმონიული ერთიანობა —  
„დღე-ღამის დედის“ ავტორს მომავალი შე-  
მოქმედებითი ძიებისას განსაკუთრებით მარ-  
თებს გაამაზვილოს უურადლება ამ მიმართები-  
თაც...

სარეცენზიო კრებულის ერთ-ერთი ლექსი  
ამგვარად იწყება:

„ჩვენ, უველა  
და ჩვენს ირგვლივაც, თუ კი რამეა,  
ერთ და იმავე ამბავს ვუვებთ...“

მართალია, მაგრამ, ჩემის მხრივ, მინდა დავ-  
ძინო:

სიტუვის უოველიმა მსახურმა იმნარად უნ-  
და გაიაროს და გადმოგვეცეს სამყაროსა და  
კაცის უძველესი, მაგრამ მუდამ ახალი, თანა-  
მედროვე თავგადასავალი, რომ მისი ნაფიქრ-  
ნაამბობი სხვისას არ ჰგავდეს... — აი, რას ვუ-  
სურვებ „დღე-ღამის დედის“ ავტორსაც...

## ტარიელ ქანტურია

# ელისო—პირველი, ელისო—მეორე

(ქება ღაწირილია ოთხი ხელისათვის)

რა უბერხულიც არ უნდა ჩანდეს, მაინც საკუთარი თავიდან უნდა დავიწყო.

ჩემს სიცოცხლეში დაბადების დღე არ გადამიხდა ამის მიუხედავად, წელს, ჩემი დაბადების დღეს — 11 ივლისს, ორი ისეთი სასიხარულო ამბავი შევიტყვე, მაინც ზეიმი გამომივიდა: ჭერ იყო და, მაინცა და მაინც 11 ივლისს დაიბადა ზუთმემილიარღე კაცი დედამიწაზე — კაცობრიობა ზუთ მილიარდამდე შეივსო! მერე იყო და, დამირტყეს და მახარეს: ელისო ბოლქვაძემ — ჩვენი ზაური ბოლქვაძის ქალიშვილმა, ლისაბონის საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატის საპატიო წოდება მოიპოვა! ერთი დაბადების დღისათვის ამაზე ძვირფასი საჩუქრები მართლაც რომ ძნელი წარმოსადგენია!

მაშ, ასე: ელისო ბოლქვაძე — ჩვენი „საკუთარი პიანისტი“, ჩვენი ფავორიტი, ჩვენი ჭილა, ჩვენი იმედი — ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია!

პირველი ჭილადი ვიურთ პორტუგალიელს არგუნას!

შინ კედლებიც გვეხმარება!

ახლა ერთი ასეთი შეკითხვა: რა ჯობდა — თბილისელი ქალი თბილისში პირველი ჭილადი მსოფლიო გამბლარეო, თუ ლისაბონში, — მეორის? მართლაც რამ გაუცხანეთი და პორტუგალია კამოენის ქვეყანას სერვანტესიკ ლამის თავის კაცად მიაჩნია. ამიტომ პირველი-მეორე ჭილადის შესახებ ერთ-ორ სიტყვას სწორედ სერვანტესს ვათქმევინებ. გაიხსენეთ, როგორ დაარჩა დონ კიხოტმა ერთი დამწეები პოეტი:

„თუ ლიტერატურული შეჭიბრებისათვის წერს ლექსს, ეცადეთ, მეორე ჭილადი მიიღო, იმიტომ, რომ პირველს ყოველთვის კეთილგა-

ნწყობილების ან დიდი შთამომავლობის გამო იძლევიან, მეორე კი ნიჭის ჭილადა, ის ენიჭება ნამდვილი სამართლიანობით...“

და აი, იმ ქვეყანაში, სადაც ამ სიტყვების დამწერის უკვდავი ნაფხურებიცაა აღბეჭდილი, ელისომ მიიღო მეორე ჭილადი!

დავწერ სიტყვა და მერეა მივხვდი: მართო სახელით არ უნდა მომხსენიებინა ელისო ბოლქვაძე! მართო სახელით მოხსენიებული ელისო — ელისო ვირსალაძეა — ჩვენი საბაყო ელისო ვირსალაძე, ვის გამოც პატარა გოგონას მისმა მშობლებმა — ჩვენმა ცნობილმა ზაურ ბოლქვაძემ და მისმა მეუღლემ, აღმანახ „საუნჯის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ნანა დარჩიამ — ელისოს დაარქვეს.

არ ვიცი, იმთავითვე ფიქრობდნენ თუ არა მშობლები იმაზე, პატარა ელისოს მისი სახელმობვეტილი სენიის წყალი გადაეხმებო!

მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ ეს სწორედ ასე მოხდა, და ამიტომ ვწერ ამ პატარა ქებას — აპოლოგიას ოთხი ხელისათვის: ელისო ვირსალაძის ორი დვითიკურთხეული ხელისა და მისი ახალგაზრდა თანამოსახელის ელისო ბოლქვაძის ორი ჭერ კიდეც გამოუცდელი, მაგრამ მრავლისაღმთქმელი ხელისათვის...

ამ სათაურით იმის თქმა მინდოდა მხოლოდ, რომ ელისო — მეორეცა გვყავს! — ელისო მეორე! ჭერჭერობით — მეორე!

ღმერთმა რომ ინებოს და ერთ მშვენიერ დღეს იგი სულაც პირველი გახდეს, ამით, პირველ რიგში, სწორედ ელისო პირველი გაიხარება: ის ურჩევნია...

არც იმის თქმა მინდოდა ასეთი სათაურით, თითქოს მხოლოდ ელისო და ელისო გვყავდეს! ღმერთმა დამიფაროს ასეთი ფიქრისაგან! ჭერ ერთი, მე კარგად მახსოვს, რაზეც ატუდა ტროას ომი, და მეორეც ის, რომ არც ჩვენი უმშ-



ვენერებს პიანისტების მსმენელი ვარ ცული: მარინე მდივანიც ვიცი, ნინო ჳირაქაძეც, ეთერ ანჭავაძეც, მანანა დოიჯაშვილიც, მარინე ხვიტიაც, რუსუდან ხუნწარიაც, სხვებიც...

ისინიც ვიცი, ჳერ ამთლავგვარი შთამბეჭდავი ჳილოები რომ არა აქვთ, მაგრამ ბრწუნვადე შემსრულებლები არიან — ბოლოს და ბოლოს, კონკურსში გამარჯვება, სადაც ერთ-მანეთს მარტო ცოდნა და ოსტატობა კი არ ეჩიბრება, არამედ, პირველ რიგში, ნერვები, სულაც არ მიმანინა შემოქმედის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად! სხვაგვარად, რა ადგილი უნდა მიეღვეინა შემსრულებელთა რეიტინგში სვიატოსლავ რიხტერისთვის! — ლეგენდარული პიანისტი, რამდენადაც ვიცი, არც ერთი მნიშვნელოვანი კონკურსის ტრიუმფატორი არაა!

ელისო ვირსალაძის წინ არც პედაგოგის პრობლემა მდგარა ოდესმე და არც ინსტრუმენტის! — ერთიცა და მეორეც, ორივე დიდებული — ანსტასია ვირსალაძე და მრავლისმხილველი „ბეზშტეინი“ — მას, ასე ვთქვათ, მწამწარულად ერგო! იგი მენრამ ნემაჳის, იაკობ ჳაკისა და ლევ ოზორინის გარემოცვაში აღიზარდა, ელისო ბოლქვაძისათვის წესიერი როიალის ჳოვნის ოპერაციაში კი თითქმის მთელი ჳართული მწერლობა იღებდა მონაწილეობას. ნოღარ ლუმბაძე და მისი ავტორიტეტი და ურთიერთობები რომ არა, აღზათ არც მოხერხდებოდა თბილისში საგამოყენოდ ჩამოტანილი ერთადერთი „ავგუსტ ფიორსტერის“ ხელში ჩაგდება. „დამიჯერე, ძამა, გვასახელებს ერთ დღეს ჩვენი ეგ მოგო, მაღლობას გეტყვიან შენ, ასეთი კეთილი საქმე რომ გააკეთეს!“ — ასე უთხრა ნოღარ ლუმბაძემ მამინე ვაჳრობის მინისტრს. გულსატკეპნია, ნოღარი მის ხელში გაზრდილი პატარა პიანისტის ამ სერიოზულ გამარჯვებას რომ ვერ მოესწრო! ეს გამარჯვება კი მთელი ჳართული საუმსრულებლო სკოლის გამარჯვებაა! ელისო ბოლქვაძის პირველი მასწავლებლის, ჳალბატონ მიაი წულუკაძის გამარჯვებაა! მისი პედაგოგის, ბატონ თენგიზ ამირეჯიბის, გამარჯვებაა! ჩვენი კონსერვატორიის გამარჯვებაა!...

იოლი საქმეა ჩემთვის: სიამოვნებით ჩამოვთელიდი აქ იმით გვარებს, ვისი ყვაილებითა და ტაშითაც სავსეა ელისოს ბავშვობა — მისი პირველი კონცერტები, პირველი სიხარულები და პირველი წყენებიც. მათი უმრავლესობა ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად ცნობილი და საუვარელი მოღვაწეები ბრძანდებიან და ისინი ელისოს ყოველ კონცერტს იმტობს კი არ ესწრებიან, რომ ამით ვაღდებულტებას იხდიან ვინმეს — ვთქვათ, ახალგაზრდა პიანისტის მშობლების — წინაშე, არამედ იმიტომ, რომ მოწონთ ამ ლამაზი, ჳიუტი, ძლი-

ერი, მომხიბლავი ჳართველი ჳალის ხელსუფლება, სწაბთ მისი ნიჳის, მისი მომავლის! ვულოცაც ყოველ მათგანს ამ მოლოდინის გამართლება!

იქნებ უფრო უპრიანი ყოფილიყო, ელისო ბოლქვაძეზეც ვიცი გემგეკორს დაეწერა — ელისო ვირსალაძეზე მშვენიერი წეროლის ავტორს. მე მისი წიგნიდან ერთ პატარა აბსაცს ამოვიწერ. ლაპარაკობს ელისო პირველი: „ჩემს პიანისშმს საფუძველი მოცარტის სონატებმა ჩაუყარეს და მიძნელებდა დავასახელო სხვა კომპოზიტორი, რომლის ნაწარმოებთა შესწავლა დამწუებ მუსიკოსს ამგვარსავე სარგებლობას აძლევდეს!“.

ეს სიტყვები ელისო მეორესაც შეეძლო ეთქვა — მას ხომ, ჳერ კიდევ სავსებით პატარას, მამამისის ერთმა მეგობარმა — თუ მეხსიერება არ მღალატობს, ჳუნა მიქატაძემ — მოცარტისამი უცნაური სიყვარულის გამო მოცარტინა შეარქვა!

ეს სიყვარული ელისოს ლემედ არ განელებია!

ეს სიყვარული არც ერთ ელისოს ლემედ არ განელებია!

მაგრამ სხვა სიყვარულებიც ხომ არის! — პიანისტის გამოსვლა ერთი მსახიობის თეატრია, და ნიღბი იქ იმდენია, რამდენიც მის რეპერტუარში კომპოზიტორია!

მსახიობს კი თეატრში, დაკვრის გარდა, სხვაც ბევრი რამ მოეთხოვება!

რამდენი რამის სწავლა მართებს ამ თვალსაზრისით ელისო მეორეც ელისო პირველისაგან! აღზათ სხვა თვალსაზრისითაც!

რას გრძნობს ელისო ვირსალაძე კონცერტის წინ?

„ არაფერს. მე არაფერი ვიცი, რა ხდება ჩემს ირგვლიც. მე არაფერს ვგრძნობ. მე ამას ვერაფერს დავარქმევ. მე არ ვიცი, რას ვგრძნობ დაკვრის დროსაც. არც ამას დაერქმევა სახელი. მე არაფერი შემორჩილება. ყველაფერი თითქოს უჩემოდ მოქმედებს. არა, ამის გაღმოცემა სიტყვები შეუძლებელია!“.

ელისო ვირსალაძის ეს სიტყვები შეუძლია გაიმეოროს ელისო ბოლქვაძემ! — მასაც, თავისი საამყო სენისის მსგავსად, უხილავი რაღაც ძალა ითრებს და მიეზიდება უცხო, უცნაური, ლვთაებრივი სამყაროსაკენ. რა ჳობს იდღე ნიჳს! მაგრამ მეორე დიდი ნიჳი ისაა, დიდად ნიჳირმა ადამიანმა იგრძნოს დიდი პასუხისმგებლობა თავისი ჳვეუნის, ხალხის, კულტურის წინაშე!

ელისო ბოლქვაძე ამ პასუხისმგებლობით ცხოვრობს და შრომობს!

ჩემი დაბადების დღეს — თერთმეტ ივლისს — მე და ჩემი ოჯახისწევრები — მისი მულღავი მსმენელები, მისი თაყვანისმცემელები



ფულაცავთ ელისოს ამ მეორე დიდ წარმატებას და ვუსურვებთ ახალ გამარჯვებებს. ახლა, როგორც ვთქვით, მისი მსმენელთა აუდიტორია გაფართოვდა — 11 ივლისს კაცობრიობამ ზუთ მილიარდს მიაღწია!

მწვიდობა ნუ მოშლოდეს კაცობრიობას და მის მგალობლებს, მათ შორის ორ ელისოსაც — ელისოს (პირველს) და ელისოს (მეორეს)!  
ღმერთმა ოთხი ზელი მოუშართოთ მათ „ცისკრის“ მკითხველებს მინდა შევთავაზო ჩემი და ლისაბონიდან ახლადდაბრუნებული ელისოს საუბრის მოკლე ჩანაწერი.

— ელისო! პატარაობისას, მახსოვს, მშვენიერი იმიტატორი იყავი, დიდებულად ზაძავდი მომღერლებს! საბოლოოდ აიღე ზელი იმ „თამაშებზე“?

— ოღონდ იმათთვის მიმამაძვინა, ვისი მიბაძვაც ოცნებად მაქვს და, იმიტატორობას არ ვჩივი!

— მაინც ვინაა შენი იდეალი, თუ საიღუმლო არაა!

— ის, ვინც ჩემი ფიქრით, სადღესიოდ ალბათ ყველას იდეალია — სვიატოსლავ რიხტერი და ვლადიმერ გოროვიცი!

— არის თუ არა განსხვავება მამაკაცისა და ქალის საშემსრულებლო პოტენციალს შორის!

— მაია ჩიბურდანიძის მაგალითით მტკიცდება, რომ მსგავსი კომპლექსებისაგან ქალები ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავთავისუფლდეთ!

— რომელ კონკურსს თვლი ყველაზე პრესტიჟულად!

— რა თქმა უნდა, ჩაიკოვსკის სახელობისას.

— ხომ არ გიფიქრია მონაწილეობაზე!

— მიფიქრია, რადგან ფიქრი იოლია. ძნელი

— მონაწილეობაა: ჭერ — უფლების მოპოვება, მერე — „ზრძოლა“!

— რას იტყვი ოსკარ პიტერსონზე!

— რა უნდა ვთქვა ოსკარ პიტერსონზე მე! საინტერესო ის იქნებოდა, მას რომ ეთქვა რამე ჩემზე! პიტერსონზე ერთი აზრი არსებობს!

— დაუკრავდი ჭაწვს?

— დამიკრავს, სხვათა შორის, ოღონდ — მართლა სხვათა შორის! ეს დაახლოებით იმას ჰგავს, რომანებიდან ლექსების წერაზე გადავიდეს მწერალი! თან ძნელია, თან არავინ იცის, არის თუ არა საჭირო!

— ეთანხმები თუ არა ჟიურის გადაწყვეტილებას! ესე იგი — მეორე ჯილდოს!

— ჟიურის განაჩენი კასციას არ ემორჩილება! წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მიზეზით, ვსაც ხელი მოეცა, კონკურსი, ალბათ, თვეობით გაგრძელდებოდა!

— ახლა ერთი ასეთი შეკითხვა: რამდენია

ფული პრემიებისათვის გამოუფიცილი: პირველი ლისათვის, მეორისათვის, მესამისათვის!

— მე სამიათასი დოლარი მომეცეს. პირველი პრემიისათვის ექვსათასი დოლარია დაწესებული. მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილებისათვის პორტუგალიურ ესკუდოს მიღლებიან. შესაბამისად — 300 000, 150 000 100 000, 50 000 ესკუდოს. ვერ გეტყვი, რამდენია ეს ჩვეთვის გასაგებ გეგმ.

ჰონორარის თვალსაზრისით ძვირადღირებული კონკურსები ბევრია მსოფლიოში. მაგალითად, ამ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა ამერიკაში მერილენდის უნივერსიტეტის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი. იქ პირველი პრემიისათვის 15 000 დოლარია, მეორისათვის — 10 000, მესამისათვის — 75 000 დოლარი. მე წამიკითხავს, რა თავგამოდებით იბრძოდა ბობი ფიშერი მოჭადრაკეთა ჰონორარის გაზრდისათვის. არა მგონია, ვარგ პიანისტს აწყუინოს ვარგმა ჰონორარმა.

— ელისო! ელოს გეძახიან, არა? ახლა ერთი ასეთი შეკითხვა: გსმენია თუ არა ელოს სისტემის შესახებ! ეს არის მოჭადრაკეთა რეიტინგ-განხილვის გამოთვლის წესი, რომელიც პროფესორმა ელომ შეიმუშავა. პიანისტებისათვის ასეთი „სისტემა“ ჭერჭერობით მხოლოდ კონკურსია. მოახერხებს თუ არა, შენი აზრით, კარგი პიანისტი, კონკურსში გაუმარჯვებლადაც დაიმკვიდროს დიდი ოსტატის სახელი?

— სპეციალისტებს დაარწმუნებს, ფართო საზოგადოებრიობას კი, რომლის ყურიც მიჩვეულია მსახიობის ტიტულატურას, ვერა! ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ასე! დასავლეთში, სადაც რეალურად ხელოვნების დონეზე ასული, ალბათ, უფრო იოლია, თუმცა იქაც არ დაუშლის საქმეს კონკურსების ჯილდო — სხვა რომ არა იყოს რა, ეს ჯილდოები იმავე რეკლამისათვისაა საჭირო. ასე რომ, გინდა — არ გინდა, უნდა ნაცად სისტემას ენდო — საერთაშორისო კონკურსებს!

— ეტყობა, უკვე ფიქრობ მომავალ კონკურსზე! მაინც, რომელზე?

— ჩემი ნება თუ იქნება, ტეხასის საერთაშორისო კონკურსში მივიღებ მონაწილეობას. ჰო, მართლა, წედან ნათქვამს ის უნდა დავუმატო, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ ახალგაზრდებს ეხება, თორემ რისტერი ტიტულების გარეშეც იგივე რისტერია!

— ზახის კონკურსზე შეექვსე ჯილდო გერგო. ახლა რომელს აიღებდი?

— თუ ჟიურის თავმჯდომარის ვაყი არ მიიღებდა მონაწილეობას, პირადად მე პირველი ადგილისთვის ვიფიქრებდი.

— ამასთან დაკავშირებით, მოგისმენია თუ არა, როგორ უკრავს ზახს ოსკარ პიტერსონი?

— არა, არა მომისმენია. მაგრამ ბატონი თე-



ნგზ აშირეჯიბიდან ვიცე, რომ პიტერსონი — ბახის შემსრულებელი — შეუღარებელია!

— გავრცელებულია აზრი, რომ კონკურსებისათვის მზადება — ეს არის რეპერტუარის თავსმოხვევა! — გინდა, არ გინდა, უნდა ის მოამზადო, რაც სხვამ გაიარანა.

— ეს მართალია. ასე მომხვეის მე თავის დროზე თავს ბახის იტალიური კონცერტი, პრელუდები და ფუგები, სკრიანინის სონატა № 2, პროკოფიევის სონატა № 2, მოცარტის კონცერტი № 21, სენ-სანსის კონცერტი № 2, რველის ციკლი „ანარეკლები“, ჩაიკოვსკის კონცერტი № 1, შუბერტის ოთხი დიდი ექსპრომპტი, შოპენის ნოქტიურნები, პრელუდები და ზოგი სხვა შედევრი. პირადად მე ცუდს ვერაფერს ვხედავ ამგვარ თავსმოხვევაში! სხვამ რომ არ გააკეთოს ეს, ჩვენ თვითონ უნდა მოვიხივოთ თავს ჩვენი უკვადავი კლასიკა.

— ყველაზე მეტად რა მოგეწონა ლიხაბონში?

— პორტუგალიის დედაქალაქსაც აქვს თავისი გადასახედი, დაახლოებით ისეთი, რაც ჩვენთვის ფუნქციონირია! ამაღლებულ სარკვეზ მავრების აშენებული ციხე-სიმაგრეა, საიდანაც ხელისგულით მოჩანს ქალაქი. სწორედ იქიდან დამანახეს პატარა კათოლიკური ეკლესია, სადაც ქეთევან დედოფლის წამების შემსწარმ პორტუგალიელ ბერებს ქართველი წმინდანის ნაწილები დაუტოპალავე. დიდი პატივისცემით მიამბეს რეზო თაბუკაშვილზე, რომელიც თურმე ფილმზე მუშაობდა იქ. პორტუგალიელებს რატომღაც მიაჩნიათ, რომ სიკვდილის წინ ქეთევან წამებულმა კათოლიკობა მიიღო. მე არაფერი მეფიქმის ამაზე, თუმცა მომეჩვენა, რომ ეს ამბავი იმ მიზნითაა შეთხზული, რომ ქართველი წმინდანი უფრო მეტად იყოს მათი სამწუხაროდ, ეკლესია დაკეტილი იყო და მისი ნახვა არ მოგვიხერხდა. ამის მიუხედავად, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ უცხო ქალაქში ბლომად იყვნენ ჩემიანები... ჩემს გულში ამ ამბის იმედიც მქონდა კონკურსზე მიმავალს. სხვათა შორის, უცხოობა და მარტობა მართლა არ მოგვრძენია. რომ არაფერი ვთქვა ჩვენს წარმომადგენელზე — იგორ გვრიტიშვილზე, რომელიც პირდაპირ გადაგვეყვა, ერთი წუთითაც არ მოგვეკლება ზრუნვა და ყურადღება ჩვენი საელჩოს თანამშრომლების მხრივ. ასე რომ, მუშაობისა და „ბრძოლის“ ყველა პირობა გვექონდა. საბრძოლო და დასაძლევ-გადასალახავი კი ცოტა არ იყო.

— ხელის შემშლელი მიზეზი თუ იყო რაიმე?

— ორ პატარა მავალით ვიტყვი. კონცერტამდე ათიოდე წუთით ადრე რიოლთან ჩამოვკეტი. როცა ავდექი, მთელი კაბა მოთხვრილი იყო რაღაც საღებავით, რომელიც სკამიდან ამყვა. ბედად, დედაჩემის დაინებებით, კაბა

მეორეც მქონდა წაღებული და ამ უსიამოვნო ტუაცხიდან შედარებით იოლად გამოვედი. როგორც გამოირკვა, სკამი საგანგებოდ იყო „დამუშავებული“ რაღაც საღებავით. როგორც ჩანს, ტექნიკური პერსონალის რომელიმე წარმომადგენელი თავისი ჭკუით ვიღაცას ეხმარებოდა ამით.. მერე იყო და, ამერიკელი დირიჟორი მე და ივარ ილიას რეპერტუარზე გველოდებოდა, ჩვენ კი პირიქით ვცოხობრეს, არ სცალია და ნუ მიხვალთო! როცა ნაწყენ დირიჟორს აუფხსენით, რა როგორ იყო, გაუკვირდა, მერე კი თავი გაღიმებულმა გადააქინია — როგორც ჩანს, ამგვარი რამები დიდად არ უყვარს. დავიჯერო, ყველაფერი ეს შემთხვევით მოხდა?

— როგორ მოგეწონა პორტუგალიელები — მსმენელები?

— მე არ ვიცოდი, ქართველების გარდა სხვებსაც თუ ჰყავდა ვინმეს მეფე-პოეტები! პორტუგალიელ ტრუბადურთა შორის საპატიო ადგილები სჭირიათ პორტუგალიელ მეფეებს ღონ სანშო პირველსა (XII ს.) და ღონ დინისის (XIII ს.). მაგის გარდაც, თუ შეიძლება ხალხი ხალხს და აუდიტორია აუდიტორიას ჰგავდეს, პორტუგალიელები და ქართველები ნამდვილად ჰგვანან ერთმანეთს! ალბათ, იმ დონეზე, რა დონეზეც გვაქვს წარმოდგენილი ესპანელთა და ქართველთა მსჯავსება. მოკლედ, დიდებულნი მსმენელი და შემფასებელია. არ ვიცი, ეს იქნება იმ დიდმა სიმპათიამ მათეობებინა, რაც ჩემს მიმართ ვიგრძენი — იყო წუთები, თუ სკამები გადაჩრებოდა, არ მეგონათ! დიდი მადლიერების გრძნობით ვიხსენებ მათ. იმ მსმენელთაგან ერთი მინდა მაინც გამოვეყო — არტურო პიზაროს — კონკურსის გამარჯვებულის დედა: მოვიდა იგი ჩემთან და ჩემთვის საესებით გასაგებ ესტ-მიმიკის ენაზე „მითხარა“ მომღიმარემ, პირველი შენ ხარ, ჩემი შვილი კი მეორეაო! ოღონდ ამის დედაწირთ, ტარიელ ბიძია, თორემ ხომ იცი, არ გამიჩნდება ლამაზად ჩემგან ამის თქმა!

— კარგი, არ დავწერ ამას! ოღონდ შენ ის მითხარი, რა მნიშვნელობას ანიჭებ ვირტუოზულ ტექნიკას!

— ყოველი დიდი შემსრულებელი ვირტუოზია.

— რას იტყვი ბიჭვინთისა და თელავის საღამოებზე?

— დიდებულია ერთიცა და მეორეც, მაგრამ მე მაინც მერჩია, ერთი დიდი საერთაშორისო კონკურსი ჩვენს დედაქალაქშიც ეწყობოდეს. თუკი მსოფლიო ჩემპიონატის ბადალი შეიჭირება ეწყობა ქიოლოდში, რატომ არ შეიძლება უდიდესი მუსიკალური კულტურის რუსუბულიკაში იმგვარი შეიჭირებებოც ეწყობოდეს, როგორც თუნდ პორტუგალიაში ტარდება. სამ

ან ოთხ წელიწადში ერთხელ ამგვარი კონკურსის ჩატარება სავსებით რეალური მეჩვენება.

— ხომ არ მიგიწვია ვინმემ სადმე? და, საერთოდ, გაქვს თუ არა დაგეგმილი კონცერტები?

— ლიდის (ინგლისი) საერთაშორისო კონკურსის მეცენატმა და ეიურის თავმჯდომარემ ფანი უატერმანმა ინგლისში მიმიწვია. ვნახოთ.

— შენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ბახი.

— დედა უფრო გიყვარს თუ მამა?

— დედა! მამაჩემს აქვს იუმორის გრძნობა

— მამა „ნიანგის“ რედაქტორია!

— გარდა შენი პედაგოგებისა — მე ვიცი ჯერ — ჭალბატონ მიაი წულუკიძის დიდი დამსახურება და მერე — ბატონ თენგიზ ამირეჯიბის ასევე დიდი ღვაწლი — დიახ, გარდა მასწავლებლებისა, ვის აქვს ყველაზე მეტი ამაგი შენზე?

— დედაჩემს. სხვათა შორის, არ შემიძლია, დიდი მადლიერებითა და გულისტკივილით არ მოვიგონო ჩემი სულ პირველი მასწავლებელი, აწ განსვენებული ეკა მუხაძე. სწორედ მან მასწავლა, როგორ შევხებოდი კლავისს... ამის მეტი მან ვერ მოასწრო.

— საცივის გაკეთება თუ იცი, ელისო?  
— ქართველმა ქალმა უსათუოდ უნდა იცოდეს ოდეს ქართული კერძების მომზადება!

— ნუ ეშმაკობ, ელისო! უნდა იცოდეს, მაგრამ შენ თუ იცი?

— მე არა!

— დამისახედე უსახელო მეგობარი შენი, ორი-სამი ახალგაზრდა, ვისიც დიდი იმედი გაქვს!

— მე ბევრის იმედი მაქვს!

— საუბარი ჩაითვალოს დამთავრებულად. გავაგრძელოთ იგი მაშინ, როცა ტენასის კონკურსის მოიგებ.

ღიმილიც თანხმობის ნიშანია!

●  
ოცნებას კაცი არ მოუკლავს:

...თელავის მუსიკალური საღამოების დასკვნით კონცერტზე ჟღერს სონატა ოთხი ხელი-სათვის. ასრულებენ ელისო ვირსალაძე და ელისო ბოლქვაძე — ელისო პირველი და ელისო მეორე.

სხვათა შორის, არის ოცნებათა ერთი კატეგორია, რომელიც სულ იოლად შეიძლება ახდეს!

## ავთანდილ პარაზი

(სილუბტი)

როდესაც ჩავუვლი ვერის უბნის მყუდრო კუთხეში მდგარ, აგურით ნაშენ, ძველებური უაილის სახლს, ჩემს გონებაში უნებურად გამახსენდება ხოლმე სიტუციები წარმოთქმული პუშკინის მიერ მისი ერთი ახლობელი ფუნჯის ოსტატის მიმართ: «И грустен, и весел вхожу я, о художник, в твою мастерскую».

ქართული ინტელიგენციის ამ ტრადიციულ სამკვდრო ალაგას, სადაც გამვლელთ სწირად შემოხვდებოდნენ შალვა ნუსტუხიძე, ივანე გამბართელი, ელენე ახვლედიანი და სხვანი მათგანი, ცხოვრობდა და წერდა სურათებს ძალზე სეგვიანი და ძალზე ხალისიანი მხატვარი ავთანდილ ვარაზი. აქ ეწიარა იგი დიდი ხელოვნების საიდუმლოს. მატარებლის კუპესავით ვიწრო ოთახში, რომელიც მხატვრის სამუოფელიც გახლდათ და სახელოსნოც, თავს იყრიდნენ მისი თაობის ხელოვნებისა თუ ლიტერატურის წარმომადგენელნი: თეიმურაზ გოცაძე, შოთა ჩანტლაძე, ჭიბოან ხუნდაძე, კობა გურული, ფილიპე ბერიძე, გივი კუშეიავა, ვახტანგ რურუა, ომარ დურშიშიძე, ალბერტ დილხარაიანი, ნიაზ დიასამიძე, ლეონ ბაიასჩევი. შოთა დედაბრისწილი, ირაკლი ნანეიშვილი, ოთარ რამიშვილი და მრავალნი სხვანი, რომელთაგან ბევრმა თავისი კვალი გაავლო უაღმოსნობისა თუ კალმოსნობის სარბიელზე, ზოგის ნიჭი და უნარი კი მათ სიცოცხლესთან ერთად შთანთქა ბოჰემური ცხოვრების ტალღებმა. ამ ოჯახში ტრიალებდა ჭეშმარიტად ინტელიგენტური ჰაერით. ვრცელ დარბაზში, ძველი ფოლიანტებითა და უახლესი სამედიერო ფურნალებით სავსე, ქერს აწვდენილ თაროსთან, დღენიდაგ მაგიდას უჭდა ავთანდილის მამა, ქართული ფიზიოლოგიის ერთ-ერთი სვეტი, ნობელის პრემიის დაურეგატობის კანდიდატი, ვასილ ვარაზი, მომღვენო ოთახში მუშაობდა ავთანდილის ძმა, ლევან ვარაზი, ვინც დანტისტიკის ხელობა ხელოვნების სიმადლემდე აწიდა. აქ ტრიალებდა სული ომში დაკარგული ავთანდილის უფროსი ძმის, ძალზე ნიჭიერი ტექნიკოსის, ვახტანგის, რომლის მულღე, ტიპობატონი მარგარიტა ვერ შეეღია ამ დიდებულ ოჯახს

და რომლის ერთადერთი ძე, ვასო, მიჰყვებოდა პაპის კვალს, ცდილობდა ჩასწვდომოდა მედიცინის სიღრმეებს და ჩუმჩუმად ფუნჯსაც სინჯავდა ბძის წაბაჟვით. ამ ოთახებში გაისმოდა დარბაისლური ქართული და საუბარი დახვეწილ ევროპულსა თუ რუსულ ენებზე. საღამოობით ბატონი ვასილი შეახებდა თითებს მისი ფიქრთგასართველი ინსტრუმენტის, ფისპარმონის კლავიშებს და იქაურობას მოეფინებოდა გლიუკის, ჰენდელის, ბახის მელოდიები.

ავთანდილის ოთახის კედლები მოფენილი იყო ცნობილი მხატვრების სურათების საუკეთესო რეპროდუქციებით, რომლებიც მზარად იცვლებოდა. იგი ჭეროვან ხარკს მიუზღავდა ძველსა და ახალი დროის გამოჩინებულ ხელოვანთ, ამიტომაც ნახავდით აქ ერთად გამოფენილ რემბრანდტსა და სალვადორ დალს. ეს ნახატები იცვლებოდა ლამის კალიდოსკოპური სისწრაფით, უცვლელად ეყიდა მხოლოდ ვან-გოგის, უტრილოის, ფიროსმანის სურათები, იმ ფიროსმანისა, რომელსაც ავთანდილი თავყვანს სცემდა და რომლის როლიც ახე შთამბეჭდავად განასახიბია ამ სწორუპოვარი მხატვრის შესახებ შექმნილ ფილმში. ავთანდილი საკუთარ ნამუშევრებსაც კიდებდა კედლებზე მათი ავკარგის შესამოწმებლად და ისინიც საკმაოდ დიდი სისწრაფით იცვლებოდა. ამ კედლებს ახსოვთ ვარაზის შემოქმედების მრავალი მიჯნა. მისი საკუთარი ნამუშევრებიდან მუდამ ჩინობდა ჭერ კიდევ სტუდენტობის დროს შესრულებული, წარსულისადმი დიდი კრძაღვითა და რიდიტ გამსჭვალული, დახვეწილი კულტურით შესრულებული მომცრო სურათი, რომელზეც ძველი წიგნები იყო გამოსახული. ეს თვისებები, კულტურა და დახვეწილობა, ორიგინალურ თვალთახედვასთან ერთად მუდამ იყო მთავარი მახასიათებელი ავთანდილ ვარაზის შემოქმედებისა. ამასვე ასხივებდა თავად ეს გონებაგახსნილი, კვლამახვილი და მუსიკალური პიროვნება, რომლის სული და სხეული საოცრად ენახვესებოდა ერთერთს. მახსოვს ერთხელ ხელოვნების შეგარძნის ნერვის მქონე გურამ რჩეულიშვილი და მე ქუჩაში



მოვდიოდით. ავთანდილი შემოგვხდა. ისინი ერთ-მანეთს გავაცანი, როცა გავცვილდა, გურამმა ამ მეტყველი სახისა და პლასტიკური მიმოხროის აღამიანის შემხედვარემ მკითხა, ეს ჩემი ახალი ნაცნობი მხატვარი ხომ არ არისო და რაკი ჩემი დასტური მიიღო, სახე გაებადრა, რომ ამჭერადაც არ უმეტუნა აღამიანს ამოცნობის მძაფრმა გუმამანა, რომლის დაძაბვაც, კაცმა რომ თქვას, ამჭერად მაინცდამაინც არ დასჭირვებია.

მხატვრად შობილი ავთანდილ ვარაზი მუშაობდა თავამოდებთ. შრომობდა მაშინ, როცა წერდა სურათებს, შრომობდა მაშინაც, როცა უხალამი უქმად ედო. ახლობლებმა კარგად იცოდნენ რომ სწორედ ამ დროს მხატვრის გონებაში უაღებდებოდა ახალი სურათის მრავალგვარი დასახულებანი. მისი ოთახის კედლებზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ნაკლებმორტები, პოპ-არტები, პორტრეტები. მხატვრობის ეს უკანასკნელი უხარი იქცა მისი შემოქმედების ერთგვარ ღერძად და ზერზემლად. ამათგან შთამბეჭდაობით გამორჩეულია „ბუკინისტი“. ტილოდან გვიმზერს თეთლ დუნიანზე ხტიალით ძალაგაცილი, ძველი წიგნების სტრიქონებივით დაშაშრული სახე წაგნით მოვაჭრისა, ვინც მიუხედავად არა ვრცელი გონებრივი ჰორიზონისა კარგად უწყობს რარიგ რთულსა და საჭიროს საქმეს მსახურებს. შესანიშნავია ლიზიკო ვარაზის პორტრეტიც. ამ არცთუ დიდი ზომის ტილოზე ფუნჯის ოსტატმა სულ რამდენიმე შტრიხით შესძლო გამოეხატა ქალიშვილის სულის მოძრაობა, რის გადმოცემასაც ამ სფეროში ღრმად ჩახედულდომო თვით სიორენ კერკეგომა თერთი ფურცლების არაერთი დასტა შეაღია. აქვე ვიტყოდით, ვარაზმა სიახლებიც შეიტანა იმუამინდელ ქართულ მხატვრობაში. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაითავისა კოლუის ტექნიკა. ოღონდ ეს იყო, მაინც არ ტოვებდა უქმარობის გრძნობა, მისი მუღმევი თანამგზავრი. ეს ფართო გაქანების ხელოვანი ვერა და ვერ ეტეუბოდა აკადემიზმის ჩარჩოებს. მაგრამ მაინც საკუთარ ნაკლად მაჩანდა სამხატვრო აკადემია რომ არ ჰქონდა დამთავრებული (მან გაასრულა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტი). ამიტომაც ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე სერგო ქობულაძის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდამაყვალის, ბაშბუყ მელიქოვის სახელოსნოებს და ეს უკვე დასრულებული მხატვარი ძველ იტალიელ ოსტატთა ადათის მიდევნით შევირდივით სწავლობდა მათგან. ოღონდ ეს იყო, ყველაფერს აღნობდა საკუთარი ინდივიდუალობის ქურაში. ზოგჯერ ეს უქმარობის გრძნობა ზენიტს აღწევდა და მაშინ ავთანდილი ძალზე კურიოზულად იჩებოდა. ვაშლოვანის ქუჩის კუთხე მომსწრეა ასეთი სცენისა. გამთენიის ხანს ავ-

თანდილი ეწილებს თავის სურათებს ძირს სანაგვე მანქანაში ურის. თანაც მძლოლს ვანუმარტავს, რომ იგი მდარე რანგის მხატვარია, რომელსაც ამ სახელის ნაცვლად მღებავი უფრო ეთქმის, ამიტომაც მისი ნაცოდვილარის ადგილი სწორედ აქ არის. ამ ამბის შემსწრე შემუყურ კარის მეზობელი ატუბობინებს ავთანდილის რძალს, ქალბატონ ჭულიეტას საქმის ვიათრებას. რომელიც მხოლოდდა ხალათის მოსხმას ასწრებს, გამობრბის ქურაში, იჭერს ტაქსს, იწევა სანაგვე მანქანას და რის ვინაჩრობით ახერხებს სურათების ამოთრების ძონძებისა და ათასგვარი ხარახურის ჩეღნიდან. ამ სურათებიდან ახლა ბევრი ამშვენებს საქართველოს ხელოვნების მუზეუმს, მოსკოვის, ლინინგრადის, კიევის სამხატვრო გალერეებსა და კერძო კოლექციებს, ამერიკის ცნობილ მოდერნ-არტის მუზეუმს, კოსტაის კოლექციას ინგლისში, გლეჯერის კოლექციას საფრანგეთში. ზოგჯერ ზედმეტი დაძაბულობა ამ ისედაც ნერვიული აღამიანისათვის აუტანელი ხდებოდა და იგი მიიტანებოდა მისი კერპების, ვინსენტის, მორისის, ნიკოლას ცხოვრების წესს, გუნებ-განწყობის წამიერად გამახლისებელს, მერმე კი შავი ნაღველის მომგვრელს. აქვე შევნიშნავდით ავთანდილს ერთხანობას რატომღაც სჭეროდა გაუთვითცნობიერებელ მხატვრებში გავრცელებული შენახზავისა და ამ გზით მეცადინებოდა კაშკაშა ყვითელი ფერის ხილვას. მაშინ მის წინარე აღიმართებოდა მამა, ბატონი ვასილი და ამ სიტუვის არა გადატანითი, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით დულუში იწვევდა შვილს, რადგან სურდა ის მუდამ მისწრაფებული ყოფილიყო ცხოვრებისა და შემოქმედების ზენა საფეხურებს. ასეთ პერიოდებს კვლავ მოჰყვებოდა გამაფრებელი მუშაობა. იგი კვლავ გადაიქიმავდა ტილოებს და მოიმარტვებდა ფუნჯს. საკუთარი თავის ასეთმა ნგრევა-აღშენების ცდებმა მოასწრაფა კიდევ მისი სიცოცხლის ტრაგიკული დასასრული.

მავნათა აზრით მხატვარი ვარაზი დიდ ყურადღებას არ აქცევდა წერის ტექნიკას. და უმეტესად განწყობილების გადმოცემის ამოცანით იყო შთანთქმული. ერთის მხრივ, თუკი მხედველობაში მივიღებთ მისი სურათების მართლაც ძლიერ გრძნობით ტონს, ეს მისაზრება თითქმის არ უნდა იყოს სიმართლეს მოკლებული, მეორეს მხრივ კი იგი სრულიად უსაფუძვლოა. მხატვარი ვარაზი უბრალოდ ხატვის არცერთ ხერხს არ ანიჭებდა თავისთავად მნიშვნელობას, და დიახაც განწყობილების გადმოცემისაკენ იყო ერთიანად მიმართული, თორემ ტექნიკით ამ მხრივ გაწაფულ ფუნჯის ოსტატებსაც არ ჩამოუყარდებოდა. მაგონდება ამის მადასტურებელი შემთხვევა. ერთხელ საქმოდ ცნობილმა მხატვარმა



მიწვია იგი თავის ბინაზე, რათა ეჩვენებინა დიდი პანო. ეს პანო ცხადყოფდა ავტორის პროფესიონალიზმს, მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებში მას არ ეთქმოდა. ავთანდილმა რამდენიმე შენიშვნა მისცა პანოს ავტორს, მერე კი მიხვდა რომ სიტყვით საქმეს არ ეშველებოდა და მისთვის ჩვეული ენის ბოროტი სთხოვა, თუ შეიძლება ფუნჯით ცოტას წავიმუშავებო. მთელი გულსიყუარით ვაკირდებოდი თუ რა რიგ განიცდიდა ნახატი ტრანსფორმაციას და ხელოსნობის სფეროდან გარდადიოდა ხელოვნების სფეროში. ეს კი ძალუძდა რაღა თქმა უნდა გემოვნებიან და ამასთან ტექნიკურ ხერხებს დაუფლებულ ოსტატს. საერთოდ ბევრჯერ შევსწრებივარ როგორი გულმოდინებობით მუშაობდა ავთანდილი თავის სურათებზე, მაგრამ საკუთარი თავისადმი მისიერი მომთხოვნელობა ერთმა ეპიზოდმა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ დამანახა და გამიცნობიერა. იმ ხანებში ავთანდილი და მე ვაკირებდით ქართლის მოვლას, მას იზიდავდა საქართველოს ამ კუთხის მკაცრი სილამაზის ბუნება, მე — ქანდაკებასავით ნაკვეთი სიტყვა. მოგზაურობას გარკვეული თანხა სჭირდებოდა. ამ დროს ავთანდილს ერთ-ერთმა თბილისის მუზეუმმა სამუშაო დაუკეთა. იგი მისთვის არასანატურესო გამოდგა. მაშინ ავთანდილმა დიმილითა და თავისებური იუმორით მითხრა: მოდი ამ დაკვეთის ნაცვლად თბილისელების პორტრეტს დავხატავ, რამდენადაც ვიცი შენ თბილისელი ხარ და არა სან-ფრანცისკოელი. სურათზე მთელი ორი კვირა იმუშავა გადაბმულად და ძალიან კარგა პორტრეტი შექმნა. უკეთესი გადაწყვეტა ვერც კი წარმომედგინა და მეგონა, რომ მან დაასრულა მუშაობა, მაგრამ ავთანდილმა უეცრივ გადაუსვა ფუნჯი ნახატს, უქმაყოფილოდ გაიქნია თავი, ასე არ ივარგებნო ჩაილაპარაკა, ხელახლა შეუდგა ხატვას, და ჩემდა გასაკვირად შექმნა პირვანდელზე გაკიდლებით ღრმა და შთამბეჭდავი სურათი.

ავთანდილი ერთის შეხედვით რბილი ხასიათისა ჩანდა, მაგრამ ამ ძალზე თავაწიან და მორიდალ კაცში იმალებოდა საკუთარი პრინციპების მკაცრად მიმდევნი, განუხრელი პიროვნება, ვინც ვიღვდა ერთხელ არჩეული გეზით და იოტის ოდენითაც არაოღოს შეუცვლია კურსი. აგრე გრძნობდა ყველა მისი გარემომცველი, რომელთა ფიქრი ავთანდილ ვარაზის ხსოვნის სამგლოვიარო თავურილობა-

ზე მისმა უმცროსმა კოლეგამ თეიმურაზ ფარქიძემ გამოხატა ორადღობი სიტყვით: „ჭემმარტი მხატვარი“, თავისთვის ჩაილაპარაკა მან. ეს გახლდათ საკუთარი შეხატებლობების მენცარი, ამასთან საკუთარ თავში დატეხილი, ცხოვრებისაგან ერთგვარად განრინებული და ზოგჯერ გაუცხოებული პიროვნება. მხატვრობის ზოგ მესვეურთა უუურადღებობასთან ერთად უთუოდ ამაწაც განაპირობა ის, რომ ამ ღირსეულ ფუნჯის ოსტატს სიცოცხლეში არ მოსწრებია არცერთი გამოფენა მისი ნამუშევრებისა. თუკი ავთანდილ ვარაზის შემოქმედებითი უნარის რომელსამე დამფასებელს სურდა ვინმესთვის მისი ნიჭიერება დაემტკიცებინა, შეეძლო მიეთითებინა მხოლოდ ისტორიული მუზეუმის დიდებულად შესრულებულ არქეოლოგიურ ექსპოზიციაზე. მის სურათებს ერთხელ თავი მოუყარა მხატვრობის მოყვარულმა, ალექსანდრე გეგეჭკორმა, თავისი საცხოვრებელი სახლის ვრცელსა და ნათელ ოთახში, სადაც მომსვლელით შეეძლოთ ეხილათ ვარაზის ნამუშევართა მაშინ ჭერაც და უმთავრებელი სიფონია. ეს გახლდათ ავთანდილის ნამუშევრების ერთადერთი „გამოფენა“. მისი შემოქმედება ჭერ არ ქცეულა ხელოვნების ავ-კარგის განმჩხრცეთა სერიოზულ სამსჯელო საგნად, მაგრამ სახიზარულოა, რომ ამ მეტად თავისებური ფენომენის შესახებ დაწერილ თითო-ოროლა სტატიაშიც იპოვება მისთვის სადაგი ეპითეტები. რა რიგ სამართლიანად წერს ერთი კრიტიკოსი, ვარაზის ნახატებს მოსავსო ელ გრეკოსებრი სინატიფე და სულიერება. ამ თხემით ტერფადელ მხატვრის შინაგანი არსება და ვარე გამოვლენა ერთ-ფერი იყო. ამიტომაც წამოაგონდა ალლოიან ქართველ ლიტერატორს, ბესიკ ადგიშვილს მასზე საუბრისას ერთი გერმანელი პოეტის ბევრის დამტევი სტრიქონები: „ჩრდილი რომელი გახლდა ჩემგნივ, არს ჩრდილი ჩემგნივ გახლომილი, მდგომარება დავადექ რომელს, არს მდგომარება დავადექ რომელს“. მის ნახატებში ერთურთს შეზავება უჩვეულო სინარული და დიდი ნაღველი. აქ აწრი თითქოსდა შენივთებულა სევდალ: სევდა კი — აზრად.

და ამიტომაც, როცა ჩავუვლი ვერის უზნის მუდრო კუთხეში მდგარ მის სამკვიდრო სახლს, მუდამ მეგონდება პუშკინის სიტყვები წარმოთქმული მისი ახლობელი ფუნჯის ოსტატის მიმართ:

«И грустен и весел вхожу я, о художник в твою мастерскую».

თანამედროვე შვედი მწერლის ტორბენი  
ლინდგრენის პოპულარობა უთუოდ ამბის ზე-  
პირგადმოცემის ტრადიციასთანაა დაკავშირე-  
ბული, რომელიც ლინდგრენმა ბავშვობიდანვე  
შეიძინა თავის მშობლიურ ვიკტორბოტენში.  
ლირიულ და ეპიკურ საწყისთა შერწყმა, მუსი-  
კალური პროზა, სიტყვის ოსტატური და თი-  
თქმის უშიშარი ფლობა (მას ბიბლიეზმებში  
ვიკტორბოტენული დიალექტია შეაქვს) —  
ყველა ეს ღირსება მწერლისა არაერთხელ აღუ-  
ნიშნავთ კრიტიკოსებს.

ახალი რომანისათვის „ბერსაბე“ ავტორი  
ძველი აღთქმიდან სესხულობს სიუჟეტურ ქა-  
რგას, მაცკრად იცავს ბიბლიური ლეგენდის  
ძირითად სიუჟეტურ კვანძებს და ჰქმნის ძა-  
ლიან თავისებურ და სრულიად თანამედროვე  
ნაწარმოებს. ძველი აღთქმის ტექსტების გამო-  
ყენება ახალი მოვლენა არაა სკანდინავურ ლი-  
ტერატურაში. საკმარისია, თანამედროვე შვე-  
დი მწერლებიდან დავასახელოთ: პერ-ლაგერ-  
კვისტი და ლარს იულენსტენი. ამ სიუჟეტთა  
წაკითხვის მრავალფეროვანი ვარიანტები, მათი  
გაჯერება ახალი დროის ეთიკური გამოცდილე-  
ბის გათვალისწინებით, დაფარული და აშკარა  
პარალელების ძიება, მითში კოლიზიათა გამოვ-  
ლენა, რომელიც მთელ მსოფლიო ლიტერატურ-  
აში მეორდება ყოველივე ეს მე-20 საუკუნის  
„მითოლოგიური“ რომანის პოპულარობას გან-  
საზღვრავს.

ლინდგრენის რომანის უჩვეულობა და თავი-  
სებურება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ იგი  
თავის სიუჟეტს არ იგონებს. ლეგენდას ისტო-  
რიულ მოვლენათა კონტექსტში ავითარებს,  
თხრობას ახალი პერსონაჟებითა და სცენებით  
ამდიდრებს. ამასთან პერსონაჟთა ფსიქოლო-  
გიას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას დეტა-  
ლურად ამუშავებს და, რაც მთავარია, მათ  
საქცივლას ასახულებს, ხსნის.

ლინდგრენი თავისი გმირების წინაშე მუდმივ  
და დღესაც საჭირობოროტო პრობლემას სვამს:  
სიკეთისა და ბოროტების, გულმოწყალებისა  
და სისასტიკის, სამართლიანობისა და უკანონ-  
ობის არჩევანის პრობლემას.

მეფე დავითი ურია ქეტლს ცოლს წაჰგვრის,  
ბერსაბე ძლიერი ნებისყოფის ქალია. იგი გა-  
დწევეტს დაიპყროს დავითი, რომელსაც ურ-  
ყვად სჭირა თავისი წმინდანობისა და ღვთიუ-  
რი წარმოშობისა. ამიტომ მიეტევება ნების-  
მიერი დანაშაული. და ბერსაბეს შევითხვან  
„როგორია ღმერთი“? იგი პასუხობს: „ისეთი,

როგორიც მე“. ასე იწყება ბერსაბესა და და-  
ვითის ორთაბრძოლა.

სიწმინდე — მიუღწეველი თვისებაა, ფიქ-  
რობს ბერსაბე, მაგრამ თვით ცხოვრება, თვით  
ადამიანის სული რატომ არაა წმინდა?

ბერსაბეს სახე რთული და არაერთსახოვანია.  
ლაგერკვისტის „მარიამნაში“ სიკეთე და ბო-  
როტება განსაზღვრულია: იროლი — ბოროტე-  
ბაა, მარიამნა — სიკეთე. სულ სხვაა „ბერსა-  
ბეში“. დავითი და ბერსაბე ცხოვრებისეული  
ორი პრინციპის წარმომადგენლები არიან. და-  
ვითის ყველა საქციელი ღვთის ნებით განისაზ-  
ღვრება, ადამიანის სიცოცხლეს მისთვის ფასი  
არა აქვს. უდანაშაულობის დასამტკიცებლად  
ყოველთვის მარჯვე და გაქნიალა.

დავითისაგან განსხვავებით ბერსაბე უფრო  
თანამედროვე ხასიათია, ვიდრე მითოლოგიური,  
რაც ავტორს საშუალებას აძლევს თანამედრო-  
ვე შეგნებისათვის დამახასიათებელი პრობლე-  
მები წამოჭრას. მომაკვდავი დავითი ბერსაბეს  
უსვამს კითხვას, რომელიც მთელ რომანს რეფ-  
რენად ვასდევს: „როგორია ღმერთი?“ ქალი  
პასუხობს: „ისეთი, როგორიც მე“. და მეფეც  
ეთანხმება. ამ ირონიულ პასუხში ჩანს არა მარ-  
ტო მიღწეული გამარჯვებით ტკბობა, არამედ  
თავსმოხვეული ტრადიციებისა და ღმერთის  
წინააღმდეგე ჯანყი. ბერსაბე იმარჯვებს და-  
ვითზე, მაგრამ მარცხდება წევობრივად. დავი-  
თის „ღვთაებრივი“ არსი უპირისპირდება ბერ-  
საბეს „მიწიერი“ არსს. და კითხვაში „როგო-  
რია ღმერთი?“ ხომ არ იგულისხმება მეორე:  
„როგორია ადამიანი?“ თვით იგი ხომ არაა ბო-  
როტებისა და უსამართლობის სათავე?

არცთუ ისე ადვილია სიმ შიშარდში საუ-  
ბარი. იგი ბრწყინვალედ უკრავს დასარტყმელ  
ინსტრუმენტებზე, წარმატებით გამოდიოდა მს-  
იანი წლების სხვადასხვა როკ-ჯგუფებთან ერ-  
თად. გატაცებულია ცხენოსნობით. ხოლო, მას  
შემდეგ რაც ის გადაიღეს ფილმებში: „სამო-  
თხის დღეები“, „ფრენსისი“, „ნამდვილი ადა-  
მიანები“, და „ქვეყანა“, სემ შეპარდი პოპუ-  
ლარულ მსახიობად იქცა.

მაგრამ, შეპარდს სახეოდ მაინც მისმა პე-  
სებმა მოუტანეს. მის თერთმეტ პიესას „ობის“  
პრემია მიენიჭა. ხოლო პიესამ „დაკრძალულმა  
ბავშვმა“, კი 1979 წელს პულიცერის პრემია  
დაიმსახურა.

ფურნალ „ფლიბოსი“ კორესპონდენტ რო-  
ბერტ ჰოლდბერგთან საუბარში შეპარდმა აღ-



ნიშნა: „აღმათ არც ერთი პიესა არ დამიწერია ისეთი, რომელიც ნამდვილს ჩამოგავს. ეს პიესები უფრო პიესა — მოჩვენებებია. დღეს ვის უნდა ტრადიციული ფორმის პიესები? რაც შემეხება მე, საერთოდ არ მომწონს სალონური კომედიების წერა“.

როგორია სემ შეპარდის სამომავლო გეგმები? მან უკვე რამდენიმე სცენარი დაწერა კინოფილმებისათვის და იგი იმედოვნებს, რომ ერთ-ერთს თავად გადაიღებს. გარდა ამისა, მას გადაწყვეტილი აქვს თავად დადგას ყველა ის პიესა, რომელსაც მომავალში დასწერს.

„მთავარია — ამზობდა შეპარდი — მიიწვევდე წინ, ოღონდ ახალი მიმართულებით. არ შეიძლება ერთი ადგილის ტყეპნა. შემოქმედება სივრცის მოითხოვს, თან საქართველომ... ჩერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება მსურს. მინდა თავი ფერწერასა და ქანდაკებაშიც ვცადო, უბრალოდ ექსპერიმენტის გამო... მინდა ვცადო ყველაფერი!“

მე წლის ამერიკელ მსახიობ ჯონს მალკო-პინჩუმი ძალზე დიდ იმედებს ამყარებენ.

გასული წლის მარტის თვეში მან ბროდვეიზე ართურ მილერის პიესაში „კომივოიაჟერის სიკვდილი“ ითამაშა უილის ვაიშვილის ბიფის როლი. უილისის როლში დაკავებული იყო ცნობილი ამერიკელი მსახიობი დასტინ ჰოფმანი. როგორც გაზეთი „ნიუ იორკ ტაიმსი“ აღნიშნავდა მან „საოცრად ითამაშა“. სექტაკლების შეუღლეში კი მან ლანფორდ უილისონის პიესა დადგა, რამაც მას დიდი სახელი მოუტანა, როგორც რეჟისორს. რამდენიმე თვის შემდეგ კი ჯონ მალკოვიჩი გადაიღეს წლის ორ საუკეთესო ფილმში. ესენია რობერტ ბენტონის „ადგილი გულში“ და როლანდ ჯოფის „სიკვდილის მინდვრები“.

მარლონ ბრანდოს შემდეგ ამერიკაში არ აღმოჩენილა ისეთი მსახიობი, რომელსაც ასე ახალგაზრდას ესოდენ დიდი პოპულარობა მო-

ეხვეჭოს. რეჟისორი ბენტონი ხაზს უსვამს „უჩვეულო წარმოსახვის“ უნარს, ხოლო ჯოფი კი ამზობდა, რომ მალკოვიჩი „იმ ალბინოსტს ჰგავს, რომელიც ისე აკეთებს უჩვეულოს თითქოს და ამის გაკეთება მას არაფრად უღირს“.

მთავარი კი ის არის, რომ უკვლას, ვისთანაც მას ურთიერთობა აქვს უუვარს იგი.

ვერ ვიტყვი, რომ მალკოვიჩი გათამაშა ასეთმა დიდმა თაყვანისცემამ. „თაყვანისცემა გადამეტებულად მაქვს, — ამზობს იგი, — ეს კი დამეხმარა მივმხვდარიყავი, რომ ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ რას ფიქრობენ ჩემზე. ერთადერთი ადამიანი ვისი აზრიც მაინტერესებს — მამაჩემია. იგი ჩემი იდეალია. იდეალია იმის, თუ რას ნიშნავს იყო ამერიკელი, თქვენ ირჩევთ იმას, რისი გაკეთებაც გსურთ და ამას მთელი სულით და გულით აკეთებთ, და თუ მე მასავით ცხოვრებას შევიძლებ, მაშინ არც სიმდიდრე და არც დიდება აღარ დამჭირდება“.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მალკოვიჩი ჩიკაგოს თეატრ „სტეპენველფში“ მიდის, სადაც ათი წლის მანძილზე დეკორაციებს აკვებდა, ამჟამად კოსტიუმებს, დგამდა პიესებს, თამაშობდა...

სახელი მოულოდნელად მოვიდა მასთან. 1982 წელს ამავე თეატრში შედგა მისი დებიუტი სემ შეპარდის პიესაში „ნამდვილი დასავლეთი“. ამ პიესის ანტრაქტის დროს რეჟისორმა ბენტონმა განაცხადა: „ეს ადამიანი ან ფსიქოპათია ან ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მსახიობი...“

ჯონ მალკოვიჩის მეუღლეს მსახიობია — 80 წლის გლენ ჰედლი. „ის მხიარული და შესანიშნავი მსახიობია, — ამზობს ჯონ მალკოვიჩი, — თანაც ჩემზე ბევრად ჭკვიანია... მე კი მიყვარს ჩემი საქმიანობა... ხოლო, ნამდვილად კი პროფესიონალი ფეხბურთელი მინდოდა გამოსულიყავი...“

ჩუენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-32.
პასუხისმგებელი რედაქციონი — 72-43-75, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა განგებები — 72-26-85
პრაქსი — 72-26-30, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-47-62.

გადაეცა ასაწყობად 9. 07. 87 წ., ხელმოწერილია დასაბუქლად 9. 09. 87 წ., ქალაქის ზომა 70x108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 11. სააღრ.საჯ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1729. უე 11083. ტირაჟი 70.000

საქართველოს კ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

### ქვირფასო მკითხველო!

ჟურნალის საქმიანობა უფრო მეტად რომ დაეუახლოვოთ მკითხველთა ინტერესებს და მოთხოვნებს, ვთხოვთ, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ რედაქციის ლიტერატურულ ცხოვრებაში: გამოგვიგზავნეთ თქვენი მოსაზრებები ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული ნაწარმოებების შესახებ (სასურველი იქნება თუ თქვენს მოსაზრებებს კონკრეტული ფაქტებით დაასაბუთებთ) რატენდენციებს გამოყოფდით მიმდინარე ლიტერატურული პროცესებიდან, მათგან რომელი მიგანინათ უარყოფითად, რომელი დადებითად. რას გვირჩევთ, რომელ სოციალურ და საზოგადოებრივ პარობლემებს უნდა მიექციოს მეტი ყურადღება რედაქციამ და ა. შ.

რედაქცია ყურადღებით შეისწავლის თქვენს წერილებს და მათგან ყველაზე გამორჩეულსა და საინტერესოს გამოაქვეყნებს ჟურნალის ფურცლებზე.

ველით თქვენს გამომხმარებას.

ჟურნალ „მისარის“ რედაქცია

ფან 60 კკკ.

612/102

  
0540000 78286

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ